ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

2

თებერვალი

1951

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამერვე

4955

2

★

თებერვალი

19 სახელგამი 51
თბილისი

საქ. სახ. საქ. ... ბიბლიოთეკა

შინაარსი

„მხიანად ი. ბ. სტალინის საუბარი „პრავდის“ კორესპონდენტთან . . . 3

ალექსანდრე ჟუთათელი — პირისპირ, რომანი, მეოთხე წიგნი, გაგრძელება . . . 8
ზურაბ ლოლთქიფანიძე — ბელადის დროშის სიმაღლე არის, ლექსი . . . 26
სერგო კლდიაშვილი — ქუქუნა, მოთხრობა . . . 29
იაკინთე ლისაშვილი — ერთგულება, რომანი, გაგრძელება . . . 36
ლესია უკრაინკა — ორი ლექსი, თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა და მაყვალა მრევლიშვილისა . . . 52
ანდრო ლომიძე — მშობლიური მიწა, მოთხრობა . . . 54
შალვა ფოლრჩხიძე — საღამოები ყვირილას პირას, ლექსები . . . 62
დავით გაჭრაძე — გმირთა სისხლით, გაგრძელება . . . 66

ნარკვევები

ბრიგოლ ჩიქოვანი — ჩვენი დედაქალაქი . . . 82
როდიონ ქორქია — გმირი ქალი . . . 94
მიხეილ დავითაშვილი — ახალი სოფელი, ახალი ადამიანები . . . 104
ელიზბარ უბილავა — სიცოცხლის სიყვარული . . . 112
ბრ. ბერძენიშვილი — ქედა . . .

გიორგი ნატროშვილი — 30 წლისთავზე, წერილი . . . 120
სერგი ჭილაია — ომისშემდგომი პერიოდის ქართული საბჭოთა პოეზია, წერილი . . . 139
ლავრენი კალანდაძე — ქართული საბჭოთა პროზის გმირი, წერილი . . . 149

გიორგი ყურაშვილი — საბჭოთა არმიის XXXIII წლისთავი, წერილი . . . 165

ანდრო თევზაძე — ბორის ჩხეიძე „მოთხრობები“, ბიბლიოგრაფია . . . 177
ვლ. ჯიბუტი — გ. ქუჩიშვილი „მოგესალმებით ბავშვებო“, ბიბლიოგრაფია . . . 179
პეტრე ბახტურიძე — მოთხრობა საკოლმეურნეო სოფელზე, ბიბლიოგრაფია . . . 182
ნოდარ ჩხეიძე — თინა დონეაშვილი „განთიადი“, ბიბლიოგრაფია . . . 183
მ. ჯინჭველაშვილი — ნარკვევი სტალინურ შევარდენზე, ბიბლიოგრაფია . . . 187
ზ. ანჩაბაძე — И. Г. Антелава „Очерки по истории Абхазии XVII — XVIII веков“, ბიბლიოგრაფია . . . 190
ახალი წიგნები . . . გარეკანის მე-3 გვერდი

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლოლთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/III-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12.
УЭ 00533. შეკვ. № 139. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. 3-23-42.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგ ი. ბ. სტალინის საუბარი „პრავდის“ კორესპონდენტთან

ამას წინათ „პრავდის“ კორესპონდენტმა მიმართა ამხანაგ სტალინს მთელი რიგი საგარეო-პოლიტიკური ხასიათის კითხვებით. ქვემოთ იბეჭდება ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი.

კითხვა. როგორ აფასებთ თქვენ ინგლისის პრემიერის ეტლის უკანასკნელ განცხადებას თემთა პალატაში იმის შესახებ, რომ ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირი არ განიარაღებულა, ე. ი. არ მოუხდენია თავისი ჯარების დემობილიზაცია, რომ მას შემდეგ საბჭოთა კავშირი სულ უფრო ადიდებს თავის შეიარაღებულ ძალებს?

პასუხი. პრემიერ ეტლის ეს განცხადება მე მიმაჩნია საბჭოთა კავშირისათვის ცილის დაწამებად.

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა ომის შემდეგ მოახდინა თავისი ჯარების დემობილიზაცია. როგორც ცნობილია, დემობილიზაცია განხორციელდა სამ რიგად: პირველი და მეორე რიგი — 1945 წლის განმავლობაში, ხოლო მესამე რიგი — 1946 წლის მაისიდან სექტემბრამდე. გარდა ამისა, 1946 და 1947 წლებში განხორციელდა საბჭოთა არმიის პირადი შემადგენლობის უფროს ასაკთა დემობილიზაცია, ხოლო 1948 წლის დამდეგს დემობილიზებულ იქნა ყველა დარჩენილი უფროსი ასაკი.

ასეთია ყველასთვის ცნობილი ფაქტები.

პრემიერი ეტლი რომ ძლიერი ყოფილიყო საფინანსო ან ეკონომიურ მეცნიერებაში, იგი ადვილად მიხვდებოდა, რომ არც ერთ სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოსაც, არ შეუძლია მთელი გაქანებით განავითაროს სამოქალაქო მრეწველობა, დაიწყოს ისეთი დიდი მშენებლობანი, როგორიცაა, მაგალითად, ჰიდროსადგურები ვოლგაზე, დნეპრზე, ამუ-დარიაზე, რომლებიც ათეულ მილიარდობით საბიუჯეტო ხარჯებს მოითხოვენ, განაგრძოს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკა, რაც აგრეთვე მოითხოვს ათეულ მილიარდობით საბიუჯეტო ხარჯებს, ასეული მილიარდები დააბანდოს გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, და ამასთანავე, ამავე დროს, გაამრავლოს თავისი შეიარაღებული ძალები, გააფართოოს სამხედრო მრეწველობა. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი უგუნური პოლიტიკა სახელმწიფოს გაკოტრებას გამოიწვევდა. პრემიერ ეტლის საკუთარი გამოცდილებით, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებით, უნდა სცოდნოდა, რომ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამრავლება და გამალებული შეიარაღება იწვევს სამხედრო მრეწველობის გაფართოებას, სამოქალაქო მრეწველობის შემცირებას, დიდ სამოქალაქო მშენებლობათა შეჩერებას, გადასახადების გადიდებას, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების გადიდებას. ჯასაგებია, რომ თუ საბჭოთა კავშირი კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით,

აფართოებს სამოქალაქო მრეწველობას, კი არ კვეცავს, არამედ, პირიქით, აჩაღებს ახალი გრანდიოზული ჰიდროსადგურებისა და სარწყავ ... მშენებლობას, კი არ წყვეტს, არამედ, პირიქით განაგრძობს ... რების პოლიტიკას, — მას არ შეუძლია ამავე დროს გააფართოოს სამხედრო მრეწველობა და გაამრავლოს თავისი შეიარაღებული ძალები, ისე, რომ გაკოტრების წინაშე არ დადგეს.

და თუ პრემიერ ეტლის, ყველა ამ ფაქტისა და მეცნიერული მოსაზრების მიუხედავად, მაინც შესაძლებლად მიაჩნია აშკარად დასწამოს ცილი საბჭოთა კავშირსა და მის სამშვიდობო პოლიტიკას, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ იგი ფიქრობს საბჭოთა კავშირისათვის ცილის დაწამებით გაამართლოს ინგლისის გამალებული შეიარაღება, რასაც ახლა ლეიბორისტული მთავრობა ახორციელებს.

პრემიერ ეტლის ესაჭიროება სიცრუე საბჭოთა კავშირის შესახებ, მას ესაჭიროება საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა დახატოს როგორც აგრესიული პოლიტიკა, ხოლო ინგლისის მთავრობის აგრესიული პოლიტიკა როგორც სამშვიდობო პოლიტიკა, — იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანოს ინგლისელი ხალხი, თავს მოახვიოს მას ეს სიცრუე სსრ კავშირის შესახებ და ამრიგად მოტყუების გზით ჩაითრიოს იგი ახალ მსოფლიო ომში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები აწყობენ.

პრემიერი ეტლი თავს ასაღებს მშვიდობის მომხრედ. მაგრამ თუ იგი მართლა მშვიდობის მომხრეა, რატომ უარყო საბჭოთა კავშირის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილი წინადადება საბჭოთა კავშირს, ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩინეთსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დაუყოვნებლივ დადების შესახებ?

თუ იგი მართლა მშვიდობის მომხრეა, რატომ უარყო საბჭოთა კავშირის წინადადებანი შეიარაღების შემცირების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ, ატომური იარაღის დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ?

თუ იგი მართლა მშვიდობის მომხრეა, რატომ დევნის მშვიდობის დაცვის მომხრეებს, რატომ აკრძალა მშვიდობის დამცველთა კონგრესი ინგლისში? განა მშვიდობის დაცვის კამპანიას შეუძლია საფრთხე შეუქმნას ინგლისის უშიშროებას?

ცხადია, რომ პრემიერი ეტლი ემხრობა არა მშვიდობის შენარჩუნებას, არამედ ახალი მსოფლიო აგრესიული ომის გაჩაღებას.

კითხვა. რას ფიქრობთ კორეაში ინტერვენციის შესახებ, რით შეიძლება დამთავრდეს იგი?

პასუხი. თუ ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბოლოოდ უარყვეს ჩინეთის სახალხო მთავრობის სამშვიდობო წინადადებანი, ომი კორეაში შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ინტერვენტების დამარცხებით.

კითხვა რატომ? განა ამერიკელი და ინგლისელი გენერლები და ოფიცრები ჩინელ და კორეელ გენერლებსა და ოფიცრებს ჩამოუვარდებიან?

პასუხი. არა, არ ჩამოუვარდებიან. ამერიკელი და ინგლისელი გენერლები და ოფიცრები სრულიადაც არ ჩამოუვარდებიან არც ერთი სხვა ქვეყნის გენერლებსა და ოფიცრებს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარისკაცებს, ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ ომში მათ, როგორც ცნობილია, საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი. აბა რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ კორეისა და ჩინეთის წინააღმდეგ

ომი ჯარისკაცებს უსამართლო ომად მიაჩნიათ, მაშინ, როცა ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ ომი მათ სავსებით სამართლიან ომად მიაჩნდათ. საქმე იმაშია, რომ ეს ომი მეტად არაპოპულარული ამერიკელ და ინგლისელ ჯარისკაცთა შორის.

მართლაც, ძნელია დაარწმუნო ჯარისკაცები, რომ ჩინეთი, რომელიც არ ემუქრება არც ინგლისს, არც ამერიკას და რომელსაც ამერიკელებმა წაართვეს კუნძული ტაივანი, აგრესორია, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც კუნძული ტაივანი მიიტაცეს და თავიანთი ჯარები ზედ ჩინეთის საზღვრებთან მიიყვანეს,—თავდამცველი მხარეა. ძნელია დაარწმუნო ჯარისკაცები, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი უშიშროება კორეის ტერიტორიაზე და ჩინეთის საზღვრებთან, ხოლო ჩინეთსა და კორეას უფლება არა აქვთ თავიანთი უშიშროება დაიცვან საკუთარ ტერიტორიაზე ან თავისი სახელმწიფოს საზღვრებთან. ამიტომ ეს ომი პოპულარული არ არის ინგლისელ და ამერიკელ ჯარისკაცთა შორს.

გასაგებია, რომ ყველაზე გამოცდილი გენერლები და ოფიცრები შეიძლება დამარცხდნენ, თუ ჯარისკაცებს მათთვის თავსმოხვეული ომი უაღრესად უსამართლო ომად მიაჩნიათ და თუ ისინი ამის გამო თავიანთ მოვალეობას ფრონტზე ასრულებენ ფორმალურად, ისე, რომ არა სწამთ თავიანთი მისიის სამართლიანობა, აღფრთოვანებული არ არიან.

კითხვა. როგორ აფასებთ თქვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აგრესორად აცხადებს?

პასუხი. მე იგი მიმაჩნია სამარცხვინო გადაწყვეტილებად.

მართლაც, სინდისის უკანასკნელი ნასახი უნდა დაკარგო, რომ ამტკიცო, ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც მიიტაცეს ჩინეთის ტერიტორია, კუნძული ტაივანი, და შეიჭრნენ კორეაში ჩინეთის საზღვრებისაკენ,— თავდამცველი მხარეა, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც თავის საზღვრებს იცავს და ცდილობს დაიბრუნოს ამერიკელთა მიერ მიტაცებული კუნძული ტაივანი,— აგრესორიაო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა, როგორც მშვიდობის დაცვის ბურჯი, იქცევა ომის იარაღად, ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების საშუალებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესორული ბირთვია აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წევრი ათი ქვეყანა (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, კანადა, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, ისლანდია) და ლათინური ამერიკის ოცი ქვეყანა (არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, ჩილი, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, დომინგოს რესპუბლიკა, ეკვადორი, სალვადორი, გვატემალა, ჰაიტი ჰონდურასი, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ვენესუელა). სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლები წყვეტენ ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ომისა და მშვიდობის ბედს. სწორედ ამათ გაიყვანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამარცხვინო გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აგრესიულობის შესახებ.

თუ როგორი წესებია ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამის დამახასიათებელია ის, რომ, მაგალითად, პატარა დომინგოს რესპუბლიკას ამერიკაში, რომლის მოსახლეობაც ორ მილიონ სულს ძლივს შეადგენს, ახლა ისეთივე წონა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოეთს, და გაცილებით მეტი წონა, ვიდრე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც მოკლებულია ხმის უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამრიგად, იქცევა რა აგრესიული ომის იარაღად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამასთან ერთად აღარ არის თანასწორუფლებიანი ერების მსოფლიო ორგანიზაცია, არსებითად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახლა წარმოადგენს იმდენად მსოფლიო ორგანიზაციას, რამდენადაც ორგანიზაციას ამერიკელებისათვის, რომელიც ამერიკელი აგრესორების საჭიროებისათვის მოქმედებს. არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ისწრაფვიან ახალი ომის გაჩაღებისაკენ, არამედ ამ გზას ადგას აგრეთვე ლათინური ამერიკის ოცი ქვეყანა, რომელთა მემამულეებსა და ვაჭრებს სწყურიათ ახალი ომი სადმე ევროპასა თუ აზიაში, რათა მეომარ მხარეებს საქონელი მიჰყიდონ ზემაღალ ფასად და ამ სისხლიანი საქმით მილიონები შეიძინონ. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის ოცი ქვეყნის 20 წარმომადგენელი ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დარაზმული და მორჩილი არმიაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ადგება ერთა ლიგის სამარცხვინო გზას. ამით იგი ასამარებს თავის მორალურ ავტორიტეტს და ამზადებს თავის დაშლას.

კითხვა. მიგაჩნიათ თუ არა ახალი მსოფლიო ომი გარდუვალად?

პასუხი. არა. ყოველ შემთხვევაში ამჟამად იგი არ შეიძლება გარდუვალად ჩაითვალოს.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, ისე როგორც საფრანგეთში, არიან აგრესიული ძალები, რომელთაც სწყურიათ ახალი ომი. ომი მათ ესაჭიროებათ ზემოგების მისაღებად, სხვა ქვეყნების გასაძარცვავად. ესენი არიან მილიარდერები და მილიონერები, რომელნიც ომს ისე უცქერიან როგორც შემოსავლიან საქმეს, რაც კოლოსალურ მოგებას იძლევა.

მათ, ამ აგრესიულ ძალებს, უჭირავთ ხელში რეაქციული მთავრობები და გეზს აძლევენ მათ. მაგრამ მათ ამასთან ერთად ეშინიათ თავიანთი ხალხებისა, რომლებსაც არა სურთ ახალი ომი და ემხრობიან მშვიდობის შენარჩუნებას. ამიტომ ისინი ცდილობენ რეაქციული მთავრობები გამოიყენონ იმისათვის, რომ სიცრუის ქსელში გახვიონ თავიანთი ხალხები, მოატყუონ ისინი და ახალი ომი დახატონ, როგორც თავდაცვითი ომი, ხოლო მშვიდობისმოყვარე ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკა, როგორც აგრესიული პოლიტიკა. ისინი ცდილობენ მოატყუონ თავიანთი ხალხები იმისათვის, რომ თავს მოახვიონ მათ თავიანთი აგრესიული გეგმები და ახალ ომში ჩაითრიონ.

სწორედ ამიტომ მათ ეშინიათ მშვიდობის დაცვის კამპანიისა, ეშინიათ, რომ ამ კამპანიას შეუძლია გამოააშკარაოს რეაქციული მთავრობების აგრესიული ზრახვანი.

სწორედ ამიტომ მათ ჩაშალეს საბჭოთა კავშირის წინადადებანი მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, შეიარაღების შემცირების შესახებ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, რაკი შიშობენ, რომ ამ წინადადებათა მიღება ძირს გამოუთხრის რეაქციული მთავრობების აგრესიულ ღონისძიებებს და ზედმეტს გახდის გამალებულ შეიარაღებას.

რით გათავდება აგრესიული და მშვიდობისმოყვარე ძალების ეს ბრძოლა?

მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ. ომი შეიძლება გარდუვალი გახდეს, თუ ომის გამჩაღებლები მოახერხებენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ.

ამიტომ ფართო კამპანიას მშვიდობის დასაცავად, როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მაქინაციების გამოააშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი კვლავაც ურყევად განახორციელებს ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის დაცვის პოლიტიკას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

პირისპირ*

რომანი

ტყეში

„კაცს თუ გინდა რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო, კაცისკვლის ფიქრი ჩაუსახე გულში, ეგ ეყოფა სატანჯველად".
ი. ჭავჭავაძე: „გლახის ნაამბობი"

I

კორნელის და მიხას ტერეზას „ხაბარდულა" და მეზობლის ცხენი შეუკაზმა აგოიამ. ტერეზამ, იონამ და შინაურებმა ბონდის ხიდამდე მიაცილეს სადგურზე მიმავალნი. ტერეზა შვილს მოეხვია, აკოცა და ცრემლი გადმოღვარა. ის და იონა ობლად და ნაღვლიანად იდგნენ ხიდის თავში მანამდე, სანამ მხედრები თვალს არ მიეფარნენ. კორნელის გული დაწყდა და შეეცოდა ისინი.

მხედრები შარაგზაზე გავიდნენ და რიონის სადგურისაკენ გაეშურნენ. კორნელის ხმა არ გაუცია გზაში მიხასთვის, მხოლოდ ქვეითად მიმავალ აგოიას ესაუბრებოდა. ამ საუბარმა გააოცა, ისე გათვითცნობიერებულიყო ბიჭი. აგოიას იონა აძლევდა თავის სამკითხველოდან წიგნებს და ცნობისმოყვარე ბიჭიც კითხულობდა მათ ზამთრის გრძელ ღამეებში. განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს", „კაკო ყაჩაღს", ყაზბეგისა და ნინოშვილის მოთხრობებს მასზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. ამ კითხვას სამშობლოსადმი და ღარიბი ხალხისადმი სიყვარული, ხოლო მდიდართა მიმართ ზიზღი ჩაენერგა აგოიას გულში, რასაც იგი ვერ ფარავდა და ყმაწვილური გატაცებით უამბობდა კორნელის. კორნელის სწყინდა, ასეთი ნიჭიერი ბიჭი სოფელში მოჯამაგირედ რომ იყო ამდენხანს. ახლა კი უხაროდა, რადგან მიუხედავად ტერეზას წინააღმდეგობისა, დეიდა ელენე დაითანხმა თბილისში წაეყვანა აგოია. სკოლაში ან სადმე სახელოსნოში მოგაწყობ შეგირდადო, — ჰპირდებოდა კორნელი და ცოდნასა და ქალაქს დანატრებული ბიჭიც ცას წვდებოდა სიხარულით.

ყვირილაზე გაშენებულ სიგუნავას დუქანში მოქეიფე სპეკულიანტმა ანტუშა ნიორაძემ და ყაჩაღმა იასონ ჯანჯღავამ მხედრები სუფრაზე მიიპატიჟეს. კორნელისა და მიხას სადგურზე დააგვიანდათ. ბათუმიდან და ფოთიდან დღისით თბილისში მიმავალი ყველა მატარებელი გასულიყო სადგურიდან და შემდეგი კი მხოლოდ ღამის 10 საათზე იქნებოდა... სანამ კორნელი სადგურის მორიგესთან საუბრობდა, აგოია ორთქლმავალთან მისულიყო, მას ათვალიერებდა და მემანქანეს შეკითხვებით არ ასვენებდა. ბოლოს აგოიამ კორნელი გადაკოცნა, მიხას დაემშვიდობა, ხაბარდულაზე შეჯდა, მეორე

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 1

ცხენი მარქაფად გამოიბა და კარისმერეთისაკენ წავიდა.

კორნელიმ მაჯის საათს დახედა, კარისმერეთიდან გამოსვლის შემდეგ პირველად დაელაპარაკა მიხას და უთხრა:

— სამი საათია. ამ სადგურზე, სიცხეში შვიდ საათს გდებას, მირჩევნია აქვე სოფელ სარბევში მივიდე. იქ საქმე მაქვს. შენი მატარებელი სამი საათის შემდეგ გადის ქობულეთისაკენ. აქ დაუცადე, მშვიდობით.

კორნელიმ პალტო მკლავზე გადაიკიდა, ჩემოდანი აიღო და აღმართზე ბილიკს გაჰყვა. მთაზე, ვაკე ადგილას გაშენებულ საღორიას ტყეში შევიდა, მუხის ქვეშ ჩრდილში პალტო გააგო და ზედ წამოწვა, მხოლოდ ახლა მოაგონდა, მიხა მისი სტუმარი რომ აღარ იყო და შეეძლო გასწორებოდა მას, როგორც სიმთვრალეში უთხრა. შერცხვა და გაწითლდა.

სადგურის ბაქანზე სახტად დარჩენილი მიხა კი ფიქრობდა: „კორნელი ნამდვილად თინასა და ჩემზე ეჭვიანობს, ამიტომ მექცევა ასე მკაცრად. ზედაზენიდანაც იმიტომ იჩქაროდა წამოსვლას. არ უნდოდა, მე რომ თინასთან დავრჩენილიყავი... ეხ," — ამოიოხრა მიხამ და ისიც აღმართზე ბილიკს გაჰყვა. თანაც ღიღინებდა: „მზეთუნახავო, თინაო, რა ღმერთმა გაგაჩინაო".

მთაზე ავიდა. შავ ზღვამდე გაშლილი რიონის წარმტაცი ველი რომ დაინახა, მოჯადოებული გაჩერდა. მერმე ტყეში შევიდა და მუხის ქვეშ წამოწოლილ კორნელის წააწყდა. გაოცდა. ნაცემ ძაღლივით მივიდა მასთან და ისიც მუხის ქვეშ დაწვა. სრულიად არ ახსოვდა, სიმთვრალეში რაც უთხრა ნინოს შესახებ კორნელის. ეს რატომღაც არ ავონდებოდა მას.

კორნელი და მიხა უბრად წოლას განაგრძობდნენ. თვითოეული მათგანი საკუთარ ფიქრს გაჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ მიხა კორნელის არ შორდებოდა, მის გვერდით იწვა ახლაც და თითქმის თავი თავზე მიედო, მათ შორის მაინც დიდი ზღვარი იდგა! მიხას მალე ჩაეძინა და ცვრინა ამოუშვა.

„რას გადამეკიდა ეს ჩემი გამცემი, მოღალატე და ჯაშუში, ბოროტი სულივით რომ უკან დამდევს! ნუ თუ ვერასოდეს ვერ უნდა მოვიშორო?!" — გაიფიქრა კორნელიმ. ადგა და მეორე ხის ჩრდილში დაწვა.

თბილისიდან ბათუმსა და ქობულეთში, ქუთაისსა და კარისმერეთში, ზედაზენსა და სადგურებზე თრევით და გდებით, უკმაყოფილებით, დაუსრულებელი ქეიფით დაღლილს და დაქანცულს, მასაც მალე დაეძინა. ცოტახნის შემდეგ ერთბაშად გამოეღვიძა, იქვე მუხის ძირას მძინარ მხატვარს გახედა და გაიფიქრა: „როგორ ვცდებოდი, ეს არაკაცი ჩემი ცხოვრების მესაიდუმლედ რომ გავიჩინე და, ნინოს მიჯნური, ყოველივეს მას ვუცხადებდი! მე მეგობარი მეგონა, ეს კი მეტოქე, მტერი ყოფილა. იგი მანამდე იყო ჩემი მეგობარი, სანამ არ დარწმუნდა, ნიჭით, გონებით და ქონებითაც მასზე მაღლა რომ ვდგეარ. მერმე კი შური გულში გესლივით შეეპარა, ჩემი მეტოქე, მტერი გახდა და გამწირა... განა მარტო მან? მე მეცნიერებით და ხელოვნებით გატაცებული კაცი ვარ. კარგი წიგნი ჩემთვის მთელი მოვლენაა. ვიცი საკუთარი და სხვისი ცოდნისა და ნიჭის ფასი. ამიტომ ნაცნობთა და მეგობართა უვიცობის და უნიჭობის მხილება დავიწყე. ასე მოვიქეცი კონცერტზე პლატონ მოგველაძის მიმართაც. მე ამ „დიდი ავტორიტეტის", „სახელოვანი კაცის" და „ფილოსოფოსის" იდეალისტური და მისტიკური, მცდარი და ჰაერში დაკიდებული თეორიები, უარვყავ და გავაკრიტიკე. პლატონ მოგველაძეს მუსიკის დიდ მცოდნე კაცადაც მოჰქონდა თავი. ერთხელ ხალხში გამოვცადე. მრავალი კომპოზიტორის ნაწარმოებებიდან აღებული ცნობილი ადგილები ზეპირად ვუმღერე

გამოსაცნობად, მან კი ვერც ერთი ვერ გამოიცნო. ამის გამო გაბრაზდა და მტრად მომეკიდა. ასევე: მიხას და სხვა ჩვენი „მხატვრების“ უნიჭო სურათები დავიწუნე და გავაკრიტიკე და ახლა პოეტებთან და მწერლებთან ერთად მხატვრებიც მტრად გადავიკიდე. ეს არ ვიკმარე და შინაურებსაც თავს დავესხი. ბევრი მათგანი რეაქციას ეტრფის, მე კი — რევოლუციას. და აი, სიმართლის თქმისათვის შინაურნიც და გარეშენიც აღმიდგნენ, მლანძღავენ და მათრევენ, ბოლშევიკად მაცხადებენ და სადაც ჯერ არს იქ მაბეზღებენ, გზას მიხშობენ.. ესტატე მაყაშვილის მეგობრის — ქადაგიშვილის ჩაგონებით, არა მარტო გამომცემელმა, არამედ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმაც „გოჯასპირი“ არ დამიბეჭდეს და ვანო მახათაძე რომ არა, ის ჩემი მოთხრობა დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ამ მოთხრობაში გამოთქმულ სიმართლისათვის ესტატე მაყაშვილი ბოლშევიკს მიწოდებს და ქალს არ მაძლევს. ყველა მე გადამეკიდა და ჩემი მტერი შეიქნა, მაგრამ ყველაზე დიდი ჩემი მტერი და გამცემი ეს „ვაუბატონი გახლავს“, — ფიქრობდა კორნელი და ისევ მუხის ქვეშ მძინარ მიხა მაჭავარიანს მიაშტერდა. გაუკვირდა: მის სულიერ სიმახინჯესთან ერთად, ფიზიკურ სიმახინჯესაც რომ ვერ ამჩნევდა ამდენ ხანს.

მხატვარს მზე მისდგომოდა. ფეხსაცმელი გაეძრო. საყელო შეეხსნა და მკერდგაღეღილს და ღორმუცელას ხელები ლაჯებამდე ჩამოშვებულ, პატარა ღიპზე დაეწყო. ცალი ფეხი მოეღუნა, მეორე კი მოლზე გაეშხლართა. ვიწრო, დაღარულ და ოფლიან შუბლზე თმა მისწებებოდა. მოკლე საძირკვლიანი და გაბუშტული ცხვირის ნესტოები ჭენებით დაღლილ ცხენსავით ერხეოდნენ. ქვედა ბაგეც ცხენის ჩიჩვირივით დაჰკიდებოდა. გაღებულ ხახაში დიდი, მსუნაგი კბილები უჩანდნენ. სველ ლაშებზე ბუზები მისეოდნენ. ცხვირიდან ხახამდე [illegible] ბით ამოზიდული, გაპარსული [illegible] შე, თითქმის სამი თითის დადება ექნებოდა. ამ გაჭყლეტილი და მოკლე ცხვირისა, დიდი კბილებით ამოზიდული და ფართო ზედა ბაგის გამო, ორანგუტანგს ემსგავსებოდა იგი. „ეგ შეჩვენებული მაიმუნი ყოფილა, მე კი კაცი მეგონა“, — გაიფიქრა კორნელიმ.

მხატვარმა მაშინვე გაიღვიძა. უაზრო, უსათვალო, ბეცი და მარღი თვალებით შეხედა კორნელის და უშნოდ გაუღიმა. ახალ მთვარესავით გალეული მისი ზედა ბაგის ზოლი მთელი სახის გასწვრივ გაიზიდა, მსუქანსა და ვეება ქვედა ბაგეს დაებჯინა, შიგ ჩაეფლა და გაუჩინარდა. მისმა სახემ სულელური გამომეტყველება მიიღო. ეს ვეება და ხორციელი ქვედა ბაგე — ჩიჩვირი, ბეცი და პატარა, ცხოველური თვალები და სულელური ღიმილი შეზარდა კორნელის, ტანში გააჟრჟოლა და მიხას თვალი მოარიდა. ის ღიმილი, ერთის შეხედვით, ღვთისგლახას ამსგავსებდა მიხას, მაგრამ ამ ღვთისგლახის ღიმილში ცბიერება და დაცინვაც გამოსჭვივოდა. თვალებში კი — დამბეზღებელის გამოხედვა. თითქოს ის თვალები მუდამ ზვერავდნენ და სწონიდნენ კორნელის. იმ თვალების პატრონი კორნელის ყოველ საქციელს, სიტყვას და საქმეს, უბრალო ნაკლსა და უნებლიე შეცდომასაც კი იხსომებდნენ იმისათვის, რომ ყოველივე ეს მაშინვე მაყაშვილებისათვის მოეხსენებინა და „მეგობარი“ დაებეზღებინა და გაეცა. ამაში ახლა ეჭვიც არ ეპარებოდა კორნელის. „ოხ, შე ღვთისგლახავ, ჯაბანო, ჯაშუშო“, — გაიფიქრა მან და მოაგონდა, ჯიბეში რომ ბრაუნინგი ედო. კორნელის მიხას მოკვლის ფიქრი ჩაესახა. ამ ფიქრმა გულში ჯოჯოხეთი გაუჩინა. დიდხანს ებრძოლა თავისთავს.

მაშინვე, მიხას ფეხებთან, კორნელიმ

ვეება გველი დაინახა და ისე მოეჩვენა, თითქოს იგი მხატვარის არსებიდან გამოსული ყოფილიყოს. გველი აჩქარებით მიიკლაკნებოდა მახლობელ ბუჩქისაკენ. ჩუმად და უხმოდ მისცურავდა, თითქო მწვანე მოლზე ვერცხლის წყალი იღვრებაო. კორნელიმ ბრაუნინგი ამოიღო თავში დაუმიზნა და სამჯერ ესროლა, მაგრამ ააცდინა. მაშინ ჯოხს წაავლო ხელი, თავი გაუჭეჭყა და მერმე ეკალზე გადაჰკიდა. გველს ჭადრაკის დაფასავით მოხატული მუცელი ჰქონდა.

2.

მიხა თოფნაკრავივით წამოიჭრა და ეკალზე გადაკიდებული გველი რომ დაინახა, იყვირა:

— უი, გველი, გველი... ჭირი ჭირს გადაკიდებია. რამოდენაა. როგორი ჭრელია?!

— გველი გარედან არის ჭრელი, შენ კი შიგნიდან, — შენიშნა კორნელიმ და მიხას ზიზღით მიაშტერდა. კორნელის სიტყვებისათვის მიხას ყურადღება არ მიუქცევია და ჰკითხა:

— ტყვია ვერ მოახვედრე?

— ვერა,—მიუგო კორნელიმ,—მრუდედ ვიდოდა, თავს არხევდა და ტყისაკენ ეჭირა თვალი. შემდგარი რომ ყოფილიყო და ჩემთვის ემზირნა, ამბობენ გველის თვალი ტყვიას იზიდავსო და, ტყვია ნიშანში მივიდოდა. ასე ამბობს ხალხი. თუმცა, ეს ცრუმორწმუნეობა მე არა მჯერა. შენკენ მოცურავდა და მძინარს კინალამ ფეხზე გიკბინა.

გაფითრებული და შიშისაგან ზეზეულად გათავებული მხატვარი ეკალზე გადაკიდებულ გველს მიაშტერდა და თავზარდაცემულის ხმით იყვირა:

— ვაი-მე, რომ ეკბინა, ხომ დავიღუპებოდი!

— რა კაცი დაეღუპებოდა საქართველოს, — შენიშნა კორნელიმ.

— მაშ! შენ ეგა თქვი. ვაჰ, კორნელი, სიკვდილს გადამარჩინე. მოდი გაკოცო, ბიჭო, — დაიძახა პალტოზე წინდებისამარა მდგარმა მიხამ, ადგილიდან მოსწყდა, და საკოცნელად გაიწია. [illegible] ნელიმ შეაჩერა და უთხრა:

— კოცნას თავი გაანებე. იმ გველს უმადლე, თორემ შენთვის უნდა დამეცა ტყვია.

— კორნელი, მეჯავრება მასეთი ლაპარაკი. რა უცნაურად მიცქერი? ძეშინია, — წაილუღლუღა მიხამ და საჩქაროდ ფეხსაცმლის ჩაცმა დაიწყო.

— მშიშარა დედაკაცო, — ზიზღით შესძახა კორნელიმ მიხას. ხელი ჯიბეში ჩაიდო, ბრაუნინგის კონდახს მოუჭირა და უთხრა: — შენ ამ ტყიდან ცოცხალი ვერ გახვალ.

მიხა უმალვე გაიმართა, კორნელის შეხედა და უთხრა:

— ვერ გამიგია, მართალს ამბობ თუ ოხუნჯობ? რას მემუქრები? მე შენს წინაშე უდანაშაულო ვარ, გეფიცები...

— რას მეფიცები?

— კაცობას, ძმობას და სინდისს.

— შენ კაცობა და სინდისი არ გაგაჩნია. შენისთანა კაცი ცოცხალი არ უნდა დაიარებოდეს დედამიწაზე.

მიხას შეეშინდა.

— შენ ზედაზენშიც მემუქრებოდი თინას გამო, უკანასკნელი ტყვია მე მეკუთვნისო.

— თინას გამო?

— მაშ?

კორნელის გაუკვირდა, ხომ არ მაპამპულებსო და ჰკითხა:

— ქალაჩუნავ, თითქოს არ იცი, რის გამო? ფუი, — გადააფურთხა კორნელიმ და მერმე უბრძანა: — გასწორდი. ფეხი არ მოიცვალო. შეკითხვებზე სისწორით მიპასუხე. რადგან უტყუარი ცნობები მაქვს, ტყუილის თქმა არ გაბედო, თორემ გესვრი, — ისეთი გადაწყვეტილებით უთხრა ეს კორნელიმ, რომ მიხას კანკალი დააწყებინა, შიშისაგან გაფართოებული თვალები აქეთ-იქით წაუვიდნენ, თითქო გაქცევის გზას ეძებენო, მაგრამ მხატვარი ადგილიდან

ფეხს არ იცვლიდა, თითები პირში ჩაედო და, ფრჩხილებს იკვნეტდა. მერმე განწირული და მტირალი ხმით დაიწყო:

— რასა შვრები, კაცო, რასა შვრები?! ბრალი არაფერში არ მიმიძღვის, გეფიცები, გეფიცები.

— მიხა, — შესძახა კორნელიმ და ბრაუნინგი ამოიღო.

— გეტყვი, ყველაფერს გეტყვი... — დასთანხმდა მიხა.

კორნელიმ ჰკითხა:

— მიპასუხე: რესტორანში ქალალდის ხელსახოცზე დაწერილი ჩემი ბარათი ნინომ შენ, ელოს და ვარდოს წაგაკითხათ თუ არა?

— ელოს და ვარდოს წაუკითხა. მე იმ ბარათის შინაარსი ელომ მიამბო, — მიუგო მიხამ.

— მარგარიტამ ჩემს ოთახში ღამე რომ გაათია, ნინოს, ვარდოს და ელოს შენ უამბე თუ არა?

— მე ელოს ვუამბე, ელომ კი — ნინოს და ვარდოს.

— მიხა, შენ მეგობრობა შემომფიცე თუ არა?

— შემოგფიცე.

— შემომფიცე თუ არა, ჩემსა და მარგარიტას ამბავს რომ არავის ეტყოდი?

— შემოგფიცე.

— მაშ რად გასტეხე ფიცი და მიღალატე?

— ნინო მომწონს, ნინო მიყვარს, ვერ ვბედავდი შენთვის მეთქვა. ნინო მომწონს, — იმეორებდა მიხა. — ნინოს ვეარშიყებოდი. შევთავაზე: ელოს გავუშვებ და შენ შეგირთავ-მეთქი. მან მიპასუხა: ჩემი სიძეც რომ არ იყო, შენისთანა გარყვნილ კაცს ცოლად არ გავყვებიო და სახეშიც მომაფურთხა. მე გავბრაზდი და მივუგე: განა ყველანი და მათ შორის კორნელიც გარყვნილი არ არის, ცოლად რომ მიყვები-მეთქი, და ყველაფერი ვუამბე შენს შესახებ...

კორნელი გაოცდა და ჰკითხა:

— როგორ? ცოლის დას ეარშიყებოდი. ცოლის და გინდოდა ცოლად შეგერთო, შე ღორო, შენა?

— ჰო, — ურცხვად ამიგო მიხამ — ცოლის დას კი არა, დეიდაშვილსაც ვეარშიყებოდი, სისხლის ნათესავს. ცოლის დაი, სისხლით ნათესავი ხომ არ არის?!

— გარყვნილო, ცხოველო, ქურდო, მოღალატე, — უყვირა კორნელიმ — მიპასუხე: რისი ღირსი ხარ შენ? რა სასჯელი გეკუთვნის?

— მე რა ვიცი, მე რა ვიცი... რა სასჯელი? მე ასეთი კაცი ვარ, მე ასეთი კაცი ვარ. ასეთი ვარ ასეთი... რა ვუყო!? — იმეორებდა მიხა. იგი ძალზე შეშინებული იყო. გონებადაბნეული იდგა და კანკალებდა. თვითონაც არ იცოდა, რას ბოდავდა და როშავდა. კორნელის საშინლად შეზარდა. სახეში მიაფურთხა. რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო და უთხრა:

— შენზე ტყვიის დახარჯვაც კი ცოდვაა. შენზე ხელის გასვრაც არა ღირს. შენ ღორივით უნდა დაგკლას კაცმა ამ საღორიის ტყეში. არა, შენ საკირეში უნდა ჩაგაგდოს კაცმა და დაგწვას.

კორნელი გაოცებით უცქერდა მუხასთან ატუზულ, დასახვრეტად გამეტებულ კაცს, რომელსაც ცალ ფეხზე ჩაცმა ვერ მოესწრო. მაჯის საათს დახედა და უთხრა:

— საცაა ქობულეთში მიმავალი მატარებელი ჩამოდგება. აიღე შენი ჩემოდანი, პალტო და გასწი.

მიხა მიხვდა, საშიშროებამ რომ გადაიარა, საყვედურები დაიწყო და თავი შეაცოდა კორნელის:

— ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მე ხომ შენი სტუმარი ვარ, არა გრცხვენია, ბიჭო, სტუმარს მოკვლას მიპირებდი?

— ახლა მე შენი მასპინძელი არა ვარ. აი ამ რკინიგზის სადგურზე გაიყარნენ ჩვენი გზები. შენ შენი გზით იარე. დღეის შემდეგ ჩვენ არ ვიც-

ნობთ ერთმანეთს. ჭკუით იყავ. თავი გამანებე, თორემ უთუოდ თავს წაგებ, — გააფრთხილა კორნელიმ.

— რა გინდა, ბიჭო, ჩემგან? რას მერჩი?

— მომშორდი, გამეცალე, წადი ქობულეთში მაყაშვილებთან. ისევ დამაბეზღე, ჭორიკანა, ჯაშუშო,—ზიზღით უთხრა კორნელიმ.

— მე ქობულეთში ვერ წავალ, — მიუგო მიხამ.

— რატომ?

— ცუდი სიზმარი ვნახე. ჩვენი წამოსვლის შემდეგ, ქობულეთში დიდი ჩხუბი, ვაი-უბედურება მოხდებოდა. ალბათ, ვარდომ, ნინომ და ელომ ერთმანეთი დაჭგლიჯეს შენს გამო. თავი გამანებე. ქობულეთში, ამ ცხელ გულზე ქალებმა თუ ხელთ მიგდეს, ტყავს გამაძრობენ. რაღა შენ მოგიკლავარ და რაღა ქალებს, — მიუგო მიხამ და ყველის ვაჭარივით გაიცინა.

— ჩემს გამო რატომ უნდა დაეგლიჯათ ქალებს ერთმანეთი?

— აღიარე, რომ შენ ნინო დაჩაგრე, დაასნეულე, ლამის ლოგინად ჩავარდეს. მშობლები შეძრწუნებული არიან.

— ვინ ვის ჩაგრავს, ეს კიდევ საკითხავია.

— კარგი ერთი, კორნელი, ნინოსთან ჩხუბს სხვას რად აბრალებ? — უტიფრად ჰკითხა მიხამ და განაგრძო: — ან მე რა შუაში ვარ? შენი ვერაფერი გამიგია! ჯერ იყო და ქალი ცოლად მოგყვებოდა, შენ კი რჩეობდი: საბრალო სტუდენტმა და ცარიელ-ტარიელმა კაცმა ცოლი როგორ ვარჩინოო! ახლა, როდესაც სწერ და ჰონორარს იღებ, მაინც გაიძახი: ვაი, თუ ცოლშვილმა შემოქმედებით მუშაობაში ხელი შემიშალოსო. ქალი კი ამდენი ცდით დაიტანჯა. ან შეირთე, ან გაეყარე, ან არა და ხასად გაიჩინე. მორჩი და გაათავე, კაცი არა ხარ?

— ეგ შენი საქმე არ არის. შენ ქალთან შეყრა და გაყრა თამაში გგონია, სიყვარული კი — მარტო სიძვა. ისიც არ იცი, დიდ სიყვარულს [illegible] ძულვილი რომ მოსდევს, — მიუგო კორნელიმ და ახლა თვითონვე ჰკითხა: — ერთი ეს მითხარი, ქობულეთში რომ ჩახვიდე, მაყაშვილებმა ჩემს გამო, შენ ტყავი რად უნდა გაგაძრონ? ორ ფრონტზე მუშაობისათვის?

— ეგ რა შუაშია? განა ისინი მაპატიებენ, იმ უსიამოვნების შემდეგ, რომელიც შენსა და ნინოს შორის მოხდა, შენ რომ კარისმერეთში წამოგყევი? ახლა რომ ჩავიდე...

— დავაშავე, რომ დაგპატიჟე. არ მეგონა ჯაშუშობის შემდეგ თუ ამედევნებოდი.

კორნელის შენიშვნისათვის მიხას ყურადღება არ მიუქცევია და გაწყვეტილი სიტყვა განაგრძო:

— არა, ძმაო, სჯობს ჯერ თბილისში წავიდე. იქ თეატრიდან ფული მერგება. ელოს და ნინოს საჩუქრებს ვუყიდი და ისე ჩავალ ქობულეთში. იქნებ ფულით და საჩუქრებით მოვთაფლო ქალები, თორემ ახლა რომ ქობულეთში ხელცარიელი ჩავიდე, კუდით ქვას მასროლინებენ, — დიაცებრ წვრილი ხმით უთხრა მიხამ. გაიცინა, ცხენსავით დიდი კბილები გამოაჩინა, ზედ ბელი მიიფარა, ქურდივით მოიღუნა და ფეხის წვერებზე შემდგარი ჩემოდნისაკენ ნელა წავიდა, თითქოს ქალებისათვის ნაყიდი საჩუქრები შიგ უნდა ჩააღაგოსო. კორნელის ისევ შეზარდა და შენიშნა:

— ეს არის მერმე ცხოვრება? არა, არ მინდა ისეთი ცოლი და ქალი, რომელიც თავის სულსა და ხორცს ფულზე და საჩუქრებზე ჰყიდის!

— მაშ, შენ რა გეგონა? ქალებში ანგელოზი სადღაა, მაყაშვილებში რომ ეძიო იგი? აკი ათასჯერ მითქვამს შენთვის: შენ ჯერ არ იცი, მაყაშვილები რანი არიან-მეთქი!

— შენზე უკეთ ვიცი, რანიც არიან. მორჩა და გათავდა, — ისეთი ხმით

უთხრა კორნელიმ, თითქოს ურყევი და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოო:— მაყაშვილების და ზედაზენში მოქეიფე, მუქთახორა, უსაქმო და დრომოჭმულ თავადთა და აზნაურთა დრო მოკვდა. ჩვენი მეგობრობა აი, ამ ტყეში თავდება. გიმეორებ, ამიერიდან ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს. გადაეცი მაყაშვილებს, რომ მე სამუდამოდ ვტოვებ მათ. მეზიზღება ფილისტერების და რეაქციონერების ის დასანგრევი ბუდე. არაფერი საერთო არა მაქვს არც ესტატე მაყაშვილებთან და არც ოტია მდივნებთან. დედის ქონებაზეც უარს ვაცხადებ ამიერიდან. მე უკვე საკუთარი შრომით ვცხოვრობ. ახალი თაობიდან გამოსულ უკეთესთა რიგებში მინდა ჩავდგე და რევოლუციის გზას გავყვე. ბრძოლით და ჭიდილით არის სავსე ის გზა. ბევრი სისხლი და ცრემლი დაგვედინება, მაგრამ ჩვენ მივაღწევთ მაინც ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც დღითიდღე უფრო [illegible] და საამური გახდება. სადაც [illegible] ჩაგრულთა შრომით და ოფლით მაძღარნი, მდიდარნი, კაციჭამია კაპიტალისტები, გულცივნი, გულმანკიერნი, ბოროტნი და შენებრ სულით მახინჯნი, არამედ მონური შრომის დამამხობელი, თავისუფალი და ბედნიერი ადამიანები.

მიხა გაოცებული მიშტერებოდა მგზნებარედ მოლაპარაკე კორნელის და უმალვე მიხვდა, მათი გზები რომ სამუდამოდ გაყრილიყვნენ.

კორნელიმ ზურგი შეაქცია და სადგურისაკენ გასწია იმ გადაწყვეტილებით, რომ შორაპნამდე ან ზესტაფონამდე საბარგო მატარებელს გაჰყოლოდა, იქ კი სამგზავრო მატარებელში გადამჯდარიყო და არასოდეს აღარ შეჰყროდა მიხას.

—

ნაწილი მეორე

ლტოლვილნი

„ყოველი ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს ყოველი უბედური ოჯახი თავისებურად უბედურია.“
ლ. ტოლსტოი „ანა კარენინა“

I

ტყეში მარტო დარჩენილი მხატვარი შიშმა აიტანა. იგი გაოცებული იყო.: „ნინომ თუ უამბო ქობულეთში კორნელის ჩემი ღალატისა და გაცემის შესახებ, მაშინ იქვე ქობულეთში, ან ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე, რისთვის არ გამისწორდა და კარისმერეთში რად მიმათრევდა? კარისმერეთში კი ვინ ეტყოდა მას რამეს ჩემი ღალატისა და ნინოს მიერ მისი წერილების გამეღავნების შესახებ?“ — ისევ არ აგონდებოდა მიხას ოტია მდივნის აივანზე სიმთვრალეში თავისი ნათქვამი. კორნელისთან შეხვედრის შიშით, იგი ნელა დაეშვა მთიდან და სადგურში ქურდივით ფრთხილად შევიდა, მაინც ქობულეთში წასვლა არჩია, მაგრამ ფული არ აღმოაჩნდა. დარბაზში შევიდა, ჩემოდანი გახსნა, ალბომი და ფანქრები ამოიღო და მგზავრების ხატვა დაიწყო. სურათებში აღებული ფული ქობულეთში თუ ჩაიყვანდა.

საღამო ჟამი იყო, როცა მიხა მაყაშვილთა აგარაკს მიადგა. დიდხანს უტრიალა ეზოს გარშემო. მერმე ჭიშკარს აეტუზა. შიგ შესვლა ვერ გაბედა

სმენადქცეული იქედან ადევნებდა თვალს სახლს, მაგრამ სახლიდან ბაიბურიც არ ისმოდა. ბოლოს გაბედა ჭიშკარში შესვლა. ფრთხილად გაიარა ეზო, აივანზე ავიდა და, ფეხის წვერებზე შემდგარი, მაყაშვილთა ბინის კარებს გაუბედავად მიადგა. ოთახში სრული სიჩუმე სუფევდა. მაგიდასთან ვარდო და ესტატე ისხდნენ და ნამტირალევი თვალებით მიშტერებოდნენ ერთმანეთს, როგორც სასაფლაოდან დაბრუნებული ჭირისუფალნი, რომლებმაც რამდენიმე საათის წინათ საყვარელი შვილი მიწას მიაბარეს და ახლა დამწუხრებულნი და გლოვით მოკლულნი დაბრუნებულიყვნენ ცარიელ ბინაში. მხატვრის წინასწარმეტყველება აღსრულებულიყო. კარისმერეთში მისი და კორნელის გამგზავრების შემდეგ, ქობულეთში დიდი ჩხუბი მომხდარიყო. ქალებს ერთმანეთი დაეგლიჯათ. ნინო მშობლებს დამდურებოდა და რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში წასულიყო, მას ელოც გაჰყოლოდა. მიხამ კარი შეაღო და ვარდოსთან ხელის ჩამოსართმევად მიიჭრა, მაგრამ ვარდომ უკივლა:

— მე თქვენ ხელს არ ჩამოგართმევთ. თქვენ ზნედაცემული კაცი ხართ. სადა გაქვთ თავმოყვარეობა, ჩვენი ოჯახის შეურაცხმყოფელს კარისმერეთში რომ გაეკიდეთ?!.

— რა ვუყო, ქალბატონო ვარდო? არ მომეშვა, წამოდიო...

— სცრუობთ. განა, ნინომ არ მითხრა! თქვენ თვითონ შეხვეწნიხართ!

— არა, გეფიცებით, ეს არ არის მართალი. ნინოს ჰკითხეთ,

— თქვენ დაუძახეთ. რიონის სადგურთან მაინც იქნება ახლა და იქედან გადმოფრინდება. ნინო და ელო ორ საათზე მეტია, რაც თბილისში გაემგზავნენ.

— რა მოხდა? — გაუკვირდა მხატვარს, — მაშ როგორ დავამტკიცო ჩემი სიმართლე?..

— თქვენ სიმართლე განა ოდესმე გითქვამთ! — შეარცხვინა ვარდომ.

— როგორ გაბედეთ თქვენ, ჩემი ქალისთვის წინადადება მიგეცათ, ცოლად გამოგყოლოდათ?! — ჰკითხა ესტატემ და ბრაზისაგან აცახცახდა. ვარდო შეშინდა: ქმარმა მიხას არ სცემოს.

მიხას თავზარი დაეცა და ძლივს ამოთქვა:

— აბა ეგ რა სათქმელია!

ვარდოს შერცხვა და სიტყვა ბანზე აუგდო:

— თქვენ ენატანია, ჭორიკანა, უსინდისო კაცი ხართ. კორნელისთან ჩვენ გვაგინებთ და გვჭორავთ და ჩვენთან კი — მას. მე თქვენს გამო ერთადერთი შვილი დავკარგე. შვილი დავკარგე, საძაგელო და მართლაც დაკარგულო სულო. საზიზღარო... გასწით, გამეცალეთ აქედან... — ვარდომ ცხვირსახოცი სახეზე მიიფარა და აქვითინდა. ესტატე მივიდა, ხელი მოჰხვია, დამშვიდება დაუწყო, მაგრამ თვითონვე ცრემლი მოერია.

მიხა თოფნაკრავივით გავარდა კარში. იგი სადგურისაკენ მიმავალ ქუჩას დაადგა. „მეც თბილისში უნდა გავსწიო“,—ფიქრობდა. კარგა დიდი მანძილი გაიარა, სანამ მოაგონდებოდა, ჯიბეში გროში რომ არა ჰქონდა. შეჩერდა და მერმე ისევ მაყაშვილთა აგარაკისაკენ გამოიქცა, თითქოს იქ რაღაც დარჩაო. ღობეზე გადაცოცდა, უკანა ეზოში ჩახტა, გაირინდა და სამზადთან, პატარა ოთახის კარს მიადგა და ჩუმად დააკაკუნა. ევტიხიმ კარი გაუღო, მიხა იცნო და უყვირა:

— აა.. ეს შენ ბრძანდები, შე ურჯულო და გათახსირებულო! შამოდი, შამოდი ერთი შინ, — საყელოში წაავლო ხელი მხატვარს მზარეულმა და შინ შეათრია.

მიხამ ტუჩზე ხელი მიიფარა და შეევედრა, ნუ ყვირიო.

შურა გაოცებით მიშტერებოდა პალტოში გამოწყობილ და გაფითრებულ მხატვარს, რომელსაც ცემას უპირებდა ევტიხი.

— ეს რა ჩაგიდენია, შე ჯაშუშო? კორნელი და ნინო ერთმანეთს რად წაჰკიდე და გაჰყარე? — ჰკითხა ევტიხიმ მიხას.

— მე არაფერ შუაში ვარ, — მიუგო მხატვარმა.

— აბა ვინ არის შუაში? მე?

— ელო.

— ნუთუ ელო? — გაუკვირდა შურას.

— სად არიან ელო და ნინო? — ჰკითხა მიხამ.

— თბილისში წავიდნენ.

მხატვარი დარწმუნდა, ვარდოს მართალი უთქვამსო და ევტიხის უთხრა:

— მეც ეხლავე თბილისში უნდა წავიდე. მაგრამ როგორ? გზაში ჯიბგირმა ფული ამომაცალა. კაპიკიც არა მაქვს... ევტიხი, თუ ძმა ხარ, მასესხე გზის ფული.

— მე შენ გასესხებ ფულს, შე იუდა-გამყიდველო?

— იუდა რადა ვარ?

— ორი მშვენიერი, ცოცხალი არსება შენ არ დაღუპე, შენ არ მოუშთე მათ სიყვარული? იუდა, იუდა, — უყვიროდა მზარეული.

— შენ არ იცი... რა მოხდა? მასესხე ფული. მე თბილისში ჩავალ და აბა ნახე, კორნელი და ნინო თუ არ შევარიგო!

— შენი წამხდარი საქმე, შენვე გამოასწორე, თორემ სულს ამოგხდი, — უთხრა აპილპილებულმა მზარეულმა და ჭიროდა, მოცისფრო თვალები შეანათა.

— როგორ გამოვასწორო, როცა გზის ფული არა მაქვს?!

— რას გადამეკიდე? რომელი მილიონერი მე მნახე! ესტატეს თხოვე, ის გასესხებს.

— ესტატეს და ვარდოს ვერ დავენახვები... მე ახლავე უნდა გავიქცე აქედან. მიშველეთ, ევტიხი, მიშველეთ, შურა, გზის ფული მასესხეთ... თბილისში რომ ჩამოხვალთ, მაშინვე მოგართმევთ, — დაეღრიჯა მხატვარი ცოლქმარს.

— რამდენი გინდათ? — შეეცოდა შურას.

— ორასი მანეთი.

შურამ კალათიდან ხის ყუთი ამოიღო, გახსნა და მიხას გზის ფული ასესხა.

— რას აძლევ ამ წამხდარ კაცს ფულს?! რუსები ზედმეტად გულკეთილი და კაცის შემბრალე ხართ.

მიხამ კიბე ჩაირბინა. ეზოდან ქუჩაში გადახტა და სადგურისაკენ მოჰკურცხლა. სჯობდა კი არ წასულიყო თბილისში, რადგან სასოწარკვეთილმა ნინომ ქობულეთში ელოს უთხრა: „შენ ახალი შერთული ჰყავდი მიხას, როდესაც მან სიყვარული გამიმჟღავნა და წინადადება მომცა, ელოს გავეყრები და თქვენ გამომყევით ცოლადო“. ადვილი წარმოსადგენია ამის შემდეგ, რა გუნებაზეც დადგებოდა ელო და რა დღესაც დააყრიდა იგი ქმარს.

2.

კორნელი დილით ჩავიდა თბილისში. მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა პერონზე მისივე მატარებლით ჩამოსული ნინო და ელო დაინახა. ისინი გაფითრებული იდგნენ ვაგონთან. შეწუხებული სახით მიშტერებოდნენ პაჭიჭებიან და ჩაბალახიან მგზავრებს, რომლებიც ხურჯინებით, კალათებით, ფუთებით და ზურგზე მოკიდებული ტომრებით ქალაქში გასასვლელისაკენ უწესრიგოდ გარბოდნენ. სოფლელები ბაზარში სურსათ-სანოვაგის გასაყიდად მიიჩქაროდნენ.

კორნელიმ ზღვა ხალხისგან გარიყულ და საცოდავად ცალკე მდგარ ნი-

ნოს და ელოს დინჯად გაუარა, თავი გვერდზე მიიბრუნა და თვალი მოარიდა. მათ შენიშნეს ეს და ეწყინათ. გაფითრებული და წამებული სახით მდგარი ნინო კორნელის ფართო ბეჭებს მანამდე უცქერდა, სანამ იგი თვალს არ მიეფარა. მერმე, როცა პერონი დაცარიელდა, ნინომ და ელომ შუშას ჩემოდნები აჰკიდეს, მოედანზე ეტლი დაიჭირეს და შინისაკენ გასწიეს. ეტლი ბორჯომის ქუჩაზე, ელოს ბინასთან გაჩერდა. ნინოც აქ ჩამოხტა, რადგან მშობლებთან დამდურებული იყო და შინ მისვლას არ აპირებდა.

ბნელ ოთახში ალხი ტრიალებდა და ელომ დარაბები და ფანჯარა გამოაღო. ოთახის კუთხეში ხალიჩა, ტახტზე ზეწარგადაფენილი და ნაფთალინგადაყრილი ქვეშაგები ეწყო. მთელ ღამეს არ სძინებიათ ქალებს. ხალხით გაჭედილ მესამე კლასის ვაგონით იმგზავრეს და დაღლილნი და დაუბანელნი იყვნენ. ელომ ტახტზე დაწყობილ ქვეშაგებიდან ლეიბი, ორი ბალიში გამოაძრო. კუთხეში კარების ახლოს, იატაკზე დააგდო და ზედ დაჯდა.

— რასა შვრები? — ჰკითხა ნინომ.

— დავიღალე. აღარ შემიძლია. უნდა დავიძინო,—მიუგო უძილობით დასუსტებულმა ელომ განწირულის ხმით.

— რა დროს ძილია?!. ჯერ აბანოში წავიდეთ...

მაშინვე მეზობელი ქალი აივანზე გამოვიდა, ფანჯარაში თავი შემოჰყო, ელო იცნო, გაეხარდა და აქაქანდა:

— უი, ელო, დილამშვიდობისა. უკვე ჩამოდით ქობულეთიდან?

— დიახ, ირინე, ჩამოვედით,—უსიამოდ გაუღიმა ელომ.

ირინესთან სხვა მეზობლებიც მივიდნენ და ელოს გული გაუწყალეს: —

— ასე მალე რად დაბრუნდით თბილისში? ხედავთ, როგორ ცხელა? ჯერ კიდევ დილა არის და ოდესაც იმიტომ გრილა... ცოტა ხნის მერე [illegible] ... ოგორი ალხი დატრიალდება.— [illegible] ... ში რა ამბავია? — ასე რად გამხდარხართ? ზღვამ ხომ არ დაგცადათ? ციება ხომ არ შეგეყარათ? ქობულეთი ცელებიანი ადგილია. მიხა სად არის?..

ელოს მოთმინების ფიალა აღევსო. მოიხედა: „აბანოში მივდივართო“ — უთხრა. ფანჯარა და კარები დაკეტა და ზედ დარაბა მიახურა. ოთახი წყვდიადმა მოიცვა, მერმე ოდნავ გამოაღო კარების დარაბა ელომ და ოთახში მზის შუქი შემოიჭრა. ელო ისევ წელმოწყვეტილი დაჯდა ლეიბზე, გვერდით ნინო მიუჯდა. გამხდარი მუხლები ქალებმა მაღლა ასწიეს და ზედ ნიკაპით დაებჯინენ და დადუმდნენ. ახლა არც აივნიდან და არც ეზოდან ისმოდა ხმაბაიბური. ამ დაულაგებელ, დამტვერილ და დადუმებულ ბნელ ოთახში ჩაკეტილი და უბრალო ჩითის კაბებში გამოწყობილი ელო და ნინო უპატრონო, ლტოლვილ ბავშვებსა ჰგვანდნენ, რომელთაც მშობლები და უფროსები დაუკარგავთ და არ იციან ახლა სად წავიდნენ, რა გზას დაადგნენ და რა მოიმოქმედონ. კარგა ხანს იყვნენ ასე დამწუხრებულნი და დამუნჯებულნი. თვითოეული თავის საკუთარ ფიქრს გაჰყოლოდა. ნინო დარაბის ღია-ჭვრიტში შემოჭრილ ლურჯ, ბოლისფერ, გამჭვირვალე შუქზე მტვრის ტრიალს, მიშტერებოდა და მის თავშიც მტვრის იმ პატარა, წერტილების ოდენა ფიორებივით ტრიალებდნენ უსაგნო ფიქრები. იგი შინაგანად დაცლილი, სულით დაობლებული, ნებაწართმეული და სასიმიხდილი იჯდა ლეიბზე.

— რა დომხალია, — ამოიხვნეშა.

— სად? — ჰკითხა ელომ [illegible] ულ ოთახს მოავლო თვალი.

— ჩემს თავში, — მიუგო ნინომ.

— ისევ დაიწყე წუწუხი?

ნინო დადუმდა მას კორნელისთან პერონზე შეხვედრა მოაგონდა „როგორ ამარიდა თვალი, თითქოს არც კი ვიცნობდეთ ერთმანეთს“ — გაიფიქრა მან. ოთახში ისევ გულისდამღონებელი სიჩუმე იდგა. ქალი საშინელ მარტოობას და კაეშანს გრძნობდა. ვერ აიტანა გულისმომკვლელი სიჩუმე და ელოსთან საუბარი სცადა:

— ნუთუ ჩვენი ცხოვრება, მართლა სიზმარია?

— კმარა, ეგ შავი ნაღველი და კაეშანი.

— სანამდე უნდა ვეგდოთ ამ ბნელ ოთახში, იატაკზე?

— მოდი, დავიძინოთ.

— ნეტავი ისე დამაძინა, რომ არასოდეს აღარ გამომეღვიძოს.

— ეს რა სათქმელია!

— მიზანს ვერა ვჰვრეტ.

— განა არ გახსოვს ჩვენი გადაწყვეტილება, ახალი ცხოვრება დავიწყოთ? მე მომწონს, მედიკურ ფაკულტეტზე რომ შედიხარ. მე მასწავლებლობას დავიწყებ. განა ეგ არ არის მიზანი? კმარა: მიხას და კორნელის სამუდამოდ გავეყაროთ. დავიწყოთ წარსული ტანჯვა-ვაება.

— მაინც ეგ არ არის ნამდვილი ცხოვრება.

— მაშ რა გნებავს? თავი მოვიკლათ?

— მე არაფერი აღარ ვიცი, არაფერიც არ მნებავს.

— როგორ მალე დაჰყარე ფარ-ხმალი! სად არის შენი სიამაყე და თავმოყვარეობა? კმარა ამაო ოცნება და რომანტიკული გატაცება! მე მხატვრობით გატაცებამ დამღუპა, შენ კი — მუსიკითა და პოეზიით. ცხოვრების სინამდვილეს დავუბრუნდეთ და ჩვენს თავს ვეწიოთ, ისა სჯობს. ამიერიდან ჩვენ თავისუფალი ქალები ვართ, — ამხნევებდა ელო სასომიხდილ ნინოს.

— ვინ იცის, რა სჯობს? აბა, უფიქრე, როგორ საცოდავად და ობლად ვგდივართ ამ ბნელ ოთახში — საკუთარ ბილეში! ეგ არის თავისუფლება? — ჩუმად უთხრა ნინომ, თითქოს თავის თავს ედავებაო.

ასეთ საუბარში ელოს და ნინოს ძილი შეეპარათ. თავშექცევით დაწვენ და მალე დაეძინათ.

კარზე ვიღაცაც დააკაკუნა. ნინოს გაეღვიძა, ადგა და კარი გააღო. მიხა დაინახა და უკანვე გამობრუნდა. ლეიბზე დაჯდა, მუხლებზე დააწყო გრძელი მკლავები, შიშველ ფეხებზე დაიხედა, დადუმდა და ისევ უსაგნო ფიქრებს მიეცა. იგი პასუხს არ აძლევდა მიხას შეკითხვებზე და დუმილს განაგრძობდა. თმა ჩამოშლოდა და ბეჭებზე ნაბადივით დაჰფენოდა, თითქოს ოცნების ულრან ტყეში შესული, წმინდა და უმანკო ქმნილება თავის ბედს დასტირისო. ნინო ყურადღებას არ აქცევდა ახლა მიხას, არ ერიდებოდა და არც რცხვენოდა, ეჩვენებინა მისთვის შიშველ ბეჭებზე ჩამოშლილი თმა, ეჩვენებინა შიშველი ფეხები... კაეშნიან ოცნებას წარეტაცნა შეუბღალავ უმანკოებისაგან დამწვარი და წამებული ქალი და ბნელ ოთახში გამეფებული ღამის წყვდიადი და სიჩუმე თავზე დასწოლოდა.

მხატვარი გაშტერებით მისჩერებოდა. მისი დახატვის ფიქრი ჩასახოდა გულში. „დიდებული თემაა: „კაეშნიანი ქალი“, — გაიფიქრა მან, მაგრამ მაშინვე მის ცოლს გაეღვიძა. ელო თვალებს არ უჯერებდა, უმალვე წამოჯდა საწოლზე და ქმარს უყვირა:

— გასწი, გამეცალე აქედან. მე შენი ცოლი არა ვარ. არა მსურს შენთან ცხოვრება. გასწი-მეთქი! მეყოფა სხვათა კარდაკარ რბენა და ხეტიალი. ახლა შენ ირბინე. გამოგზავნე ვინმე და შენს ბარგსა და ბარხანას გამოვატან.

— ელო, — მუდარით შესძახა სასომიხდილმა ქმარმა.

— ხმა გაჰკმიდე. გასწი, გამეცალე თორემ... — ხმაც არ ამოაღებინა ცოლმა, იატაკიდან, წამოიჭრა. ქმარი შეშინდა. კარში გავარდა და შერცხვენილი, თავლაფდასხმული, გაგდებული და ქეციან ძაღლივით ნაცემი, [illegible] ბისაკენ გაეშურა.

ბარათები

„მშვიდობით, ტრფობის ბარათებო! მან ასე ბრძანა...
ცეცხლს ვერ მივეცი, ვაყოვნებდი, არ მეყო ძალა,
რომ წამეშალა სიხარული, გრძნობა მარადი!
მაგრამ დრო დადგა: სიყვარულის დავწვა ბარათი,
მზად ვარ: აწ ჩემს სულს არ ახარებს აღარაფერი
მშიერი ალი ჭამს შენ ბარათს, შავად დაფერილს...
აღსრულდა! შავად დაიგრაგნა შენი ფურცელი“...

ა. პუშკინი „დამწვარი ბარათი“.

ნინოსთან გაყრა დიდის ტანჯვით, შაგრამ საბოლოოდ გადასწყვიტა კორნელიმ. ერთი რამ მაინც არ ასვენებდა და სულს უშფოთებდა: ხელთ ეგდო ნინოსადმი გაგზავნილი თავისი ლექსი და ბარათები, განსაკუთრებით კი ის ბარათი, რომელიც სარდაფიდან მისწერა ნინოს. „როგორ გაბედა მან დედისა და ელოსათვის ეჩვენებინა ის ბარათი, როდესაც გავაფრთხილე, არავის უჩვენოთ და წააკითხოთ, თორემ თავს მოვიკლავ-მეთქი.“ — ფიქრობდა კორნელი. იგი ამ ბარათში საყვარელ ქალს ეეედრებოდა: ნუ გამინეტებთ, ნუ გამწირავთ და ნუ მიმატოვებთ. უთქვენობას, სიკვდილი მიჯობსო. იგი თავს იმცირებდა ნინოს წინაშე და ახლა ალბათ ვარდო, ელო და, ვინ იცის, კიდევ ვინ, დასცინის მას. კორნელის ისე ეჩვენებოდა, თითქო ნინომ მისი ღირსება და თავმოყვარეობა გასთელა, სასტიკად გასწირა და შეურაცხჰყო იგი, ხალხის წინაშე სულ მთლად გააშიშვლა... სირცხვილით იწოდა პატივმოყვარე კაცი და გადასწყვიტა, ხელთ ეგდო თავისი ბარათები, აგრეთვე ლექსი „კონცერტზე“ და თვითონ კი ნინოს მიერ გამოგზავნილი ბარათები დაებრუნებინა და რაც სათქმელი ჰქონდა, ყველაფერი დაწვრილებით ეთქვა ქალისათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად ხერხის გამოძებნა და დიდხანს ლოდინი არ დასჭირებია. თბილისში ჩასვლის მესამე დღეს, ადგილობრივი ფოსტით, ნინოს ბარათი მიიღო. ქალი მოკლედ სწერდა:

„გთხოვთ, ხვალ საღამოს 9 საათზე მობრძანდეთ. შინ მარტო ვიქნები. თან წამოიღეთ ესა და სხვა ჩემი წერილები და სურათიც. მე თქვენ ბარათებს და სურათს დაგიბრუნებთ. ასე არის ახლა საჭირო. ალბათ, ამას თქვენცა გრძნობთ. ძალიან გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენსას. სხვა გზა ვერ მიპოვნია. გელოდებით. ეს უკანასკნელი ჩვენი შეხვედრა იქნება“.

2.

კორნელი დანიშნულ დროზე მივიდა. იგი ღელავდა. და გაუბედავად დარეკა. კარი ნინომ გაუღო. დიდრონი თვალები შეანათა და ხელი გაუწოდა. კორნელიმ ხელზე აკოცა. ქუდი დერეფანში კაჩხაზე ჩამოჰკიდა. ნინომ თავის დაულაგებელ ოთახში მიიპატიჟა. ელექტრონის ლამპით განათებულ საწერ მაგიდასთან დაჯდა და კორნელის სკამი შესთავაზა. მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა წიგნები, რვეულები, ქაღალდები და ფანქრები.

კორნელი დაჯდა და ნინოს შეხედა... ქალი ძალზე გამხდარიყო და სანთლისფერი დასდებოდა. მარტოდა თვალები დარჩენოდა. ნინოს უბრალოდ ეცვა, ლურჯი კაბა და მოკლესახელოებიანი თეთრი კოფთა. თმა დაუვარცხნელი ჰქონდა. ხელები და ფრჩხილები მოუვლელი. ნინო გულგატეხილი იყო და ჩაცმა-დახურვის, მოკაზმვის, მით უმეტეს კოხტაობის თავი არა ჰქონდა. კორნელის ძალიან გაუკვირდა მისი აჩაჩულად ჩაცმულობა. დაჭმუჭნული კოფთის მოკლე სახელოდან ნინოს შავი ბუსუსებით დაფარული მკლავები ჭლექიანსავით დასწვრილებოდა. ქალი დარდს დაენელებინა. იგი სკამზე გასწორდა, კორნელის მკაცრად შეხედა და უთხრა:

— მე ბარათი გამოგიგზავნეთ. თანა გაქვთ ჩემი ბარათები?

— დიახ, — მიუგო კორნელიმ. პიჯაკის გულჯიბეში ხელი ჩაიყო, ბარათების დასტა ამოიღო და მაგიდაზე დაულაგა. მერმე ნინოს სურათი მოსძებნა. დიდხანს დააცქერდა, გადააბრუნა. საყვარელი ქალისაგან მიძღვნილი სატრფიალო წარწერის კითხვა დაიწყო. ნინომ არ აცალა და წყენით უთხრა:

— მომეცით. ნუ კითხულობთ. რად გინდათ?

კორნელიმ შეხედა, მერმე ისევ სურათს დააცქერდა. ეტყობოდა, დაბრუნება ენანებოდა... ნინომ ისევ უთხრა, მომეცითო. კორნელიმ ნელა გაუწოდა. ხელი აუკანკალდა, თითქო სურათს გულსაც თან ატანსო. ნინომ თვალზე ცრემლი შენიშნა და ერთბაშად გაწითლდა. კორნელის შერხცვა თვალზე მომდგარი ცრემლისა, ადგა, ღია ფანჯარასთან მივიდა, ნინოსაკენ ზურგშექცევით გაჩერდა და ბაღში გაიხედა. გრილი, მოლრუბლული ღამე იყო. ფანჯარასთან გაჩერებული კორნელი და მაგიდასთან მჯდარი ნინო დიდხანს სდუმდნენ. კორნელი არაფერ გარკვეულზე არ ფიქრობდა იმ დროს. ბოლმა და ცრემლი ყელში ებჯინებოდა. თავს ბალას ატანდა, თვალთაგან ცრემლი არ დასდინებოდა და აკვიატებულ სიტყვებს იმეორებდა გულში: „ყოველივე გათავდა, რა საშინელებაა, რა საშინელებაა“.. მერმე ერთბაშად შემობრუნდა. ჩქარი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან, დაჯდა, ნინოს მკაცრად შეხედა და უთხრა:

— ახლა ჩემი ბარათები და სურათიც მიბოძეთ.

ნინომ მაგიდის ყუთი გამოსწია, ბარათები და სურათი ამოიღო და კორნელის წინ დაულაგა. კორნელიმ სწრაფად და გაშმაგებით გადასინჯა მთელი დასტა, რესტორანში ქაღალდის ხელსახოცზე დაწერილი ბარათი მოსძებნა, დახია და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. მერმე სხვა ბაბარათები და სურათიც დახია. ნინო ხელებში და სახეში გაოცებით მისჩერებოდა. კორნელიმ ნაკუწები შეაგროვა. მაგიდიდან სუფთა ქაღალდი აიღო, შიგ შეახვია და ჯიბეში ჩაიდო. ნინომ წყენით უთხრა:

— თქვენ შეგეძლოთ შინ დაგეხიათ ბარათები და არა აქ, ჩემს თვალწინ.

— ესეც შემეძლო, — უხეშად მოუჭრა კორნელიმ.

— ან რისთვის [illegible]ბიეთ ბარათები? თქვენ იმ ბარათებისათვის ხელოვნება და არტისტიზმი არ დაგიშურებიათ და მომავალ თქვენს რომანში გამოიყენებდით.

— მომწონს ეს ირონია და თქვენი რჩევა. მაგრამ გვიანღა არის. უკვე შემზარდნენ ის ბარათები.

— რათა?

— ისინი სხვებმაც წაიკითხეს.

— თუნდაც ასე იყოს, მერმე რა? — ოდნავ გაწითლდა და გაუბედავად ჰკითხა ნინომ. კორნელის გაუკვირდა ასეთი პასუხი, გაბრაზდა და მიუგო:

— ჩემს ბარათებში თქვენდამი ჩემი ფარული ფიქრი და წმინდა გრძნობა იყო გამოთქმული... ის ფიქრი და გრძნობა მხოლოდ თქვენ გაგიმჟღავნეთ

საიდუმლოდ, რადგან მხოლოდ საყვარელ არსებას შეეძლო იმ ფიქრისა და წმინდა გრძნობის სწორად გაგება. თქვენ კი ჩემი ბარათები ათას კაცს წააკითხეთ და თქვენდამი ჩემი გრძნობა სხვებს გაუმჟღავნეთ, რამაც დამარწმუნა, თუ რა ზერელედ და უგულოდ ეპყრობოდით თქვენ თურმე ჩემს გრძნობას. ნეტავ ეგ არ მომხდარიყო.

— რა მოხდა?

— ასე მგონია, ჩემმა ბარათებმა თითქოს უბიწობა და უმანკოება დაჰკარგეს და შიგ გამოთქმული ჩემი წმინდა გრძნობა გარეწრებმა შებღალეს.

ნინო გაბრაზდა. უეცრად შეხედა კორნელის, თვალი გაუსწორა და პირდაპირ ჰკითხა:

— როდესაც თქვენ გარყვნილ გერმანელ ქალს ჩემ თავს ალანძღვინებდით და მასთან მღალატობდით, განა ჩემ გრძნობას არ ბღალავდით?

კორნელი არ დაიბნა და მიუგო:

— განა მე ვალანძღვინებდი თქვენ თავს? გარდა ამისა, მე თქვენ ბევრჯერ მოგახსენეთ: ის უნებლიე, წუთიერი ცოდვა თქვენდამი ჩემს წმინდა გრძნობას არ შეეხებია. მაგრამ რა საჭიროა ახლა ამის შესახებ ლაპარაკი. თქვენ ახლაც მიხას უფრო უჯერით, ვიდრე მე. მაგრამ მიხასთან ანგარიში უკვე გავასწორე და თუ ჭკუით არ იქნა, თავს წააგებს.

— თავი გაანებეთ მიხას, — მიუგო ნინომ და შეშინდა, რადგან მიხამ გუშინ ყოველივე უამბო მას და ისიც უთხრა, რიონის სადგურთან კორნელი ტყეში მოკვლას რომ უპირებდა... გაფითრებული ქალი განაგრძობდა:

— გაანებეთ თავი მიხას. ელო სამუდამოდ გაეყარა მას და ამიერიდან ჩვენ—მაყაშვილები მას არ ვიცნობთ. მიხას თავისი უბედურება ეყოფა... ის გაოხრებული, გატიალებული, ბუდიდან ამოვარდნილი, ავადმყოფი და უბედური კაცია.

ამ პასუხმა კორნელის ბრაზი დააცხრო. ნინომ სულ სხვა თემა ჩამოგდო:

— ბარათების დანაგვა-გასაგებია, მაგრამ თქვენ სურათს რას ერჩოდით?

— ის სურათიც და ზედ ჩემი წარწერაც თქვენ სხვას უჩვენეთ.

ნინომ თავი ჩაჰკიდა, ღრმად ამოიოხრა. კორნელის შეეცოდა. ძალზე გამხდარი და ნერვებმოშლილი ქალი. თავისი ბარათების და ლექსის დახევის შემდეგ, მან რაღაც დიდი სიცარიელე იგრძნო. ნინოსათვის სათქმელი უეცრად დაავიწყდა. დადუმდა და მოეშვა. უაზრო თვალებით მიაშტერდა ქალს. მერმე მაგიდისაკენ მიიწია, სუფთა ქაღალდი აიღო და ნინოსაგან მალულად ზედ ფანქრით თაგვი და კატა დახატა. ქალმა თვალი მოჰკრა. გაწითლდა და უთხრა:

— თავი გაანებეთ ჩემს დაცინვას. ისევ განაგრძობთ ჩემს დამცირებას?— ჰკითხა აღელვებულმა ქალმა.

— აბა, საიდან მოიტანეთ? თქვენი დამცირება არც მიფიქრია.

— თქვენის აზრით: მე თაგვი ვარ და თქვენ კი — კატა?

— ჰერი-ჰა! თქვენ ძალზე ეჭვიანი გამხდარხართ. დამშვიდდით, ნინო! აბა ეგრე იქნება, — ცხოვრებაში გამოცდილ და დაბრძენებულ კაცივით შენიშნა კორნელიმ, დახატული წაშალა და თან ღიმილით დაამატა: — ვამოდის, რომ თქვენთან ხუმრობა არ შეიძლება.

— ხუმრობისათვის ახლა მე არა მცალია, — მიუგო ნინომ, ნერვიულად აიჩეჩა მხრები, გამხდარი, გრძელი და სანთლისფერი თითებით კორნელისადმი გაგზავნილი თავისი ბარათების და სურათის ხევა დაიწყო ანგარიშმიუცემლად. მერმე მაგიდის ყუთი გამოსწია და ქაღალდის ნაკუწები შიგ ჩაჰყარა. გაბრაზებულ და გაწითლებულ ქალს კორნელიმ შენიშნა:

— აკი, მისაყვედურეთ, ჩემ თვალწინ რად დაჰხიეთ ბარათებიო. მე კი არ

გისაყვედურებთ. თქვენ სწორად მოიქეცით. იმ ღაფის შემდეგ, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გადავასხით, სხვანაირად მოქცევა არც შეიძლებოდა. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ რაც თქვენ ჩემი ბარათები სხვებს წააკითხეთ და ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა, მათ უკვე მნიშვნელობა და ფასი დაჰკარგეს. ამიტომ სწორად მოიქეცით ჩემი ბარათები, რომ დახიეთ. მეც სწორად მოვიქეცი, თქვენი ბარათები რომ დავხიე. ახლა ბარდაბარ ვართ.

— ჩვენ იმიტომ წავაკითხეთ სხვებს ჩვენი ბარათები და დავხიეთ კიდეც, რომ კარგა ხანია რაც ერთმანეთი შეგიძულეთ, — შენიშნა ქალმა.

— თუმცა თქვენ არაგულწრფელს მიწოდებთ, მაგრამ მე უფრო გულწრფელად მიყვარდით თქვენ. თქვენდამი სიძულვილი ჩემში არასოდეს არ ყოფილა.

— მე პირიქით მეგონა.

— თქვენ გეგონათ მხოლოდ.

— ნეტავ ეგ ასე იყოს, და თქვენი სიტყვების დაჯერება შემეძლოს.

— ეგ არის ჩემი უბედურება.

— მე მგონია, თქვენ არავინ და არაფერი არა გწამთ, არავის არა გჯერათ, საკუთარი თქვენი თავისაც კი.

კორნელის გაუკვირდა, დამცინავად გაიღიმა. და შესძახა:

— ღმერთო ჩემო, რა ურწმუნო თომა მე მნახეთ!

ნინო შეკრთა და ბრაზით შენიშნა:

— როგორ შეგიძლიათ თქვენ ასეთ წუთებში ღიმილი და სიცილი! თქვენ რაღაც უცნაური კაცი ხართ. მე თქვენი მეშინია...

— ნუ გეშინიათ. ნუთუ თქვენ მართლა სატანა გგონივართ? — ჰკითხა კორნელიმ და ისევ დამცინავად გაიღიმა. სატანას ხსენებაზე, ისე როგორც მუშტაიდში შეხვედრის დროს, ნინოს შეაკრთოლა. თვალი მოარიდა კორნელის და ჩურჩულით უთხრა:

— თქვენ ხანდახან რაღაც დამცინავი, საშინელი და ბოროტი [illegible] გაქვთ. თქვენ არსებითად [illegible] დობელი კაცი უნდა იყოთ. თქვენ ძალიან გამოიცვალეთ. თქვენ ასეთი არ იყავით. ნუთუ თქვენ ამას ვერ ამჩნევთ?

— მე მხოლოდ იმას ვამჩნევ და იმასა ვგრძნობ, რომ ჩემი ფიქრი, გრძნობა და საქციელი ხშირად არ ეგუება თანამედროვე ეპოქის სულს. თქვენ მართალი ხართ. თქვენ ჩემში სანტიმენტალურად განწყობილ, იდეალისტს ხედავდით და მოგწონდათ ეს. თქვენ მართალს ბრძანებთ. ინსტინქტს არ უღალატნია თქვენთვის. მე ბევრ რამეზე აზრი გამომეცვალა. მაგრამ სატანასავით ყველაფერს როდი დავცინი, არამედ მას, რაც დასაცინია.

— არა, თქვენ ყველაფერს და ყველას დასცინით: მე, ელოს, ჩემ შშობლებს, თავად-აზნაურობას, ინტელიგენციას, ჩვენ მთავრობას. მუშებსა და გლეხებს კი აქებთ და ადიდებთ. მარტო „გოჯასპირი“ რადა ღირს. თქვენ ბოლშევიკებს მიჰკედლებიხართ... მიკვირს.

— რად გიკვირთ? განა გულხელდაკრეფილი უნდა ვუცქირო ქვეყნად არსებულ უსამართლობას, — მიუგო კორნელიმ. — ამაოდ გეშინიათ თქვენ ბოლშევიკებისა. სიმართლე მათ მხარეზეა. ისინი ხალხთა თავისუფლებას ეტრფიან. ბოლშევიკები ხალხის ინტერესებიდან გამოდიან. ისინი სოციალურ უთანასწორობის მოსპობას ქადაგებენ. ისინი შრომის პრინციპზე აგებულ თავისუფალ ქვეყანას ქმნიან. მეც მათ გზას მივყვები. გადაეცით ეს თქვენ მშობლებს, რომლებმაც სწორედ ამის გამო შემიძულეს, თქვენც შეგაძულეს ჩემი თავი და ახლა საშიში და სავსებით შეცვლილი გეჩვენებით. დიახ, მე გამოვიცვალე. მე ბევრი რამ ვნახე და განვიცადე და საკვირველი იქნებოდა, საზოგადოებრივ მოვლენებზე და ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანებზე აზრი და შეხედულება რომ არ შემცვლოდა.

— მაინც რა განიცადეთ ისეთი? — გაუბედავად ჰკითხა ქალმა.

— ომი, გულითადი მეგობრის, გრიგოლ ცაგურიშვილის ბრძოლაში დაღუპვა, ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხის გოჯასპირის ჩამოხრჩობა და ათასი სხვა უბედურება: კაცისკვლა, კაცთმძულვარება, ტანჯვა, მდიდრის მიერ ღარიბის ჩაგვრა, უსამართლობა, ღალატი, ანგარება, სიცრუე, უღირსისაგან ღირსეულის შეურაცხყოფა. საყვარელი ქალის დაკარგვა... აბა, რომელი ერთი მოვთვალო?

უკანასკნელ სიტყვებზე ნინომ თავი ასწია, კორნელის მიაშტერდა და ამოიოხრა. კორნელის ისევ შეეცოდა და უთხრა:

— თქვენი ტანჯვა ისევ გრძელდება. მე არ მინდა ვიყო მიზეზი თქვენი ტანჯვისა. მე თავს განებებთ, მხოლოდ ესტატემ, ვარდომ, ელომ და მიხამაც გაგანებონ თქვენ თავი. გაცალონ საკუთარი გონებით და გრძნობით იხელმძღვანელოთ. წარსულს ნუღარ მოიგონებთ, ნუ გამიბრაზდებით. ჩემი სურვილია, თქვენ ბედნიერი და თავისუფალი ქალი იყოთ.

ნინოს გაუკვირდა: კორნელის შეხედა და მიუგო:

— არ ვიცი, ნამდვილად თავისუფალი ქალი ვიქნები თუ არა, მაგრამ ის თავისუფლება, საშინელი ტანჯვის შედეგად რომ უნდა მოვიპოვო, ეს კი აშკარაა.

— ნუ გეშინიათ. ამიერიდან აღარ დაგტანჯავთ. მხოლოდ ქობულეთში, განშორების ჟამს რაც მითხარით, იმაზე პასუხი უნდა გაქცეთ და მერმე გაგეცლებით. ჩემთვის გასაგებია ახლა ჩემდამი თქვენი უნდობლობა და თქვენდამი ჩემს გულწრფელ სიყვარულში თქვენი შეეჭვება. მე თქვენს წინაშე დამნაშავე ვარ. მე ვიცი, ჩემი ბრალი რაც არის. — კორნელი შეენერვა. ნინომ ჰკითხა:

— რა ბრალი?

— მე გავაჭიანურე ჩემი რომანი... იცით რატომ?

— რატომ?

— მეძნელება, მაგრამ მაინც გეტყვით. სიმართლის თქმისა, უანგარობისა, თავმოყვარეობისა და უსახსრობის გამო, თორემ მე სხვებზე ასწილ უკეთ გამეგება, სად და როდის არის საჭირო წერტილის დასმა.

— უსახსრობა რა შუაშია?

— არა. ესეც არის მოსატანი. ესტატე მაყაშვილის სიძობისათვის წელი არა მქონდა. ხოლო, როდესაც წელი გავიმაგრე, მარცხი მომივიდა

— რა მარცხი?

— არ ვიცი, მარცხი თუ შეცდომა დავარქვა მარგარიტა ლეტცთან ჩემს ცდუნებას. ზნეობრივ დაცემას ვერ ვუწოდებ მას, რადგან ის უნებლიე ცოდვა, როგორც არა ერთხელ მითქვამს თქვენთვის, თქვენდამი ჩემ სიყვარულს არ შეჰხებია, მაგრამ იგი ცოდვა თქვენს წინაშე მაინც უნდა მეღიარებინა და მომენანიებინა. ხოლო მის გამო ჩემი დასჯა თუ პატიება, ეს თქვენი საქმე იქნებოდა.

— რამდენჯერ უნდა მეპატიებია?

— მხოლოდ ორჯერ.

— არა მჯერა.

— უნდა დამიჯეროთ, რადგან აღსარებას გეუბნებით. ზნეობრივად თქვენ ჩემზე მაღალი აღმოჩნდით. მუდამ მესმოდა თქვენი დარიგება: „ქორწინების ჟამს მამაკაცი ზნეობრივად და ფიზიკურადაც ისეთივე წმინდა და სპეტაკი უნდა იყოს, როგორც ქალიო“. ბევრჯერ მიფიქრია ამის გამო და ის მადარდებდა... თუმცა ისიც ვიცი, რომ ჩემი ზნეობრივი წონასწორობის ერთგვარი სისუსტე ჩემ სიჭაბუკესა და გადაჭარბებულ მგრძნობელობას უნდა მიეწეროს. დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე კიდევ იმ მხრივ, რომ თქვენდამი ჩემ სი-

ყვარულს მშვენიერების სფეროს ვაკუთვნებდი, თქვენი სახე, თქვენთან შეხვედრები და აქედან გამოწვეული განცდები, ესთეტიკურ კატეგორიაში აწყავდა და მას ათასნაირად ვსინჯავდი, ჩავკირკიტებდი და გონების თვალით ვწონიდი, მაშინ, როდესაც ნამდვილი სიყვარულის დროს არისტიტიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენი—მწერლებისა და მხატვრების უბედურება ის არის, რომ ხშირად პატივმოყვარეობა და ინდივიდუალიზმი შეგვეპარება ხოლმე. მაგრამ ჩვენი გაყრის მთავარი მიზეზი ეს როდია.

— მაშ რა?

— ჩემი და თქვენი მშობლების განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი, რომლის გამო თქვენ ჩემი გეშინიათ და ბოლშევიკს მიწოდებთ.

— ესეც არის.

— ნუთუ თქვენ არ იცოდით, მე რომ რევოლუციით გატაცებული კაცი ვიყავი და ჩემს გულში სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტი სუფევდა!

— თქვენი „გოჯასპირის“ შემდეგ მამაც და მეც აშკარად დავრწმუნდით, რომ თქვენ ბოლშევიკების ბანაკში გადაბარგებულხართ და ქართველი ხალხისა და კერძოთ ჩვენი — თავადთა მტრობა გადაგიწყვეტიათ.

— თქვენ ბრმად იმეორებთ მამათქვენის სიტყვებს და გავიწყდებათ, რომ თავად-აზნაურობა ქართველი ხალხის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. ანგარიშში არ იღებთ ხალხის უმრავლესობას, გლეხებს და მუშებს. მტრობა რა შუაშია? საკითხი — მართალი საქმის შეგნებაშია. განა ილია ჭავჭავაძე თავადი არ იყო, უნიათო თავადებს რომ თავს ესხმოდა, მშრომელი ხალხის ინტერესებს იცავდა და პარიზის კომუნასაც კი უმღეროდა? ის მომავლისაკენ იხედებოდა. მამათქვენი კი წარსულისაკენ იხედება. მამათქვენი მემამულეთა, და მრეწველთა, ვაჭართა და ჩარჩითა სახელმწიფოს დამკვიდრებას ეტრფის. მე — მის დანგრევას. მე თანამედროვე ჩვენი ფილისტერული და მეშახური საზოგადოება მეზიზღება. ჩემთვის მენშევიზმი და მეშჩანობა სინონიმია. თქვენი მშობლები და მათი მეგობრები — ვექილები, პოეტები, ჟურნალისტები, გენერლები და მინისტრებიც ყველაზე დიდი ფილისტერები არიან.

— მადლობას მოგახსენებთ ჩემი მშობლებისა და მათი მეგობრების დახასიათებისათვის.

— აი, ხომ ხედავთ, თქვენ გწყინთ. იმიტომ, რომ თქვენ შებოჭილი ხართ ნათესაური კავშირით. თქვენ უძლური აღმოჩნდით და ვერ შესძელით მშობლებთან, თქვენ გარშემო არსებულ ფილისტერულ წრესთან სულიერი კავშირი გაგეწყვიტათ... და თუ ცოლად გამომყვებოდით, უთუოდ ძველ ტრადიციაზე აგებულ ოჯახის შექმნას შეეცდებოდით და მეც იმ ფილისტერულ, მეშჩანურ ჭაობში ჩამითრევდით. ეს გარემოება მაფრთხობდა, რადგან თავისუფლების დაკარგვისა მეშინოდა. არ შემიძლია პროგრესის და რევოლუციის გზა დავაგდო და, პირადი ბედნიერების გამო, ისტორიის მიერ განწირული, ძველი, მეშჩანური და ჩამორჩენილი წოდების და საზოგადოების უღელი დავიდგა.

— არც არავინ გაძალებთ.

— წყენა რა შუაშია. განა საყვარელი ქალის დაკარგვა ჩემთვის აუტანელი ტანჯვა და ტკივილი არ არის! ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, თუკი იმ ძველ სამყაროს გამოვგლეჯდი თქვენ თავს. მაგრამ თქვენ, თქვენი მშობლების ნება-სურვილს ვერ გაექეცით და ამიტომ უარი მითხარით ცოლობაზე. თქვენი მშობლები ისეთი ადამიანები როდი არიან მარტოკა მარგარიტა ლეტცთან ჩემი შეხვედრებისა და ცოდვის გამო, ჩემდამი სიძულვილი გულში რომ ჩაედოთ. არა, არ არის ეს

მართალი. განა პლატონ მოგველაძე ათას ქალთან არ ცხოვრობს, მაგრამ თქვენზე ორჯერ უხნესი ის კაცი თქვენ მშობლებს თქვენთვის სასურველ საქმროდ მიაჩნიათ. რატომ? იმიტომ, რომ მოგველაძე წარჩინებული, სახელიანი, შეძლებული კაცია და, რაც მთავარია, მამათქვენის იდეოლოგიური თანამოაზრე. აი, მთავარი მიზეზი ჩვენ გაყრისა. ჩემსა და თქვენს ოჯახს შუა იდეოლოგიური უფსკრული გაითხარა. გიმეორებთ, თქვენ თქვენი მშობლებისა და წრის მარწუხებით ხართ შეკრული, რომლის გაწყვეტა არ მოისურვეთ და ამიტომ უარი მითხარით ცოლობაზე. დაე, ასე იყოს. ჩემი რომანი აქ დასრულდა. მაგრამ იცოდეთ, თქვენთან განშორების გამო გამოწვეული ტანჯვა და ტკივილი ვერ გამტეხს და ფარხმალს ვერ დამაყრევინებს. პირიქით იგი თანამედროვე დრომოჭმულ, ფილისტერულ საზოგადოებასთან ბრძოლის სურვილს მიასკეცებს. მართალია, ჩემი „გოჯასპირი“ მკითხველის გულში არსებული წყობილებისადმი ზიზღს ჰბადებს, მაგრამ ამიერიდან მარტო მოთხრობების წერით როდი დავკმაყოფილდები, არამედ იმ წყობილების დამხობისათვის მიმართულ ბრძოლაში აქტიურად ჩავებმები...

— ასე მგონია, თქვენ ჩემი მშობლებისა და ჩემდამი შურისძიებისათვის ემზადებით, — შენიშნა ნინომ.

— ჩემი სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად ვემზადები და არა თქვენდამი შურისძიებისათვის. თქვენ რას გერჩით?

კორნელიმ ნინოს შეხედა, ქალს ღაწვებზე ყაყაჩოსაებრ წითელი ლაქები აჩნდა. კორნელი მიხვდა, რა ტანჯვაც გამოეცლო ნინოს და გულითადი ხმით უთხრა:

— არ იფიქროთ, მტრად მოგეკიდოთ. დადგება დრო და, ეს დრომოჭმული საზოგადოება დაემხობა და მაშინ მოვალ თქვენთან, [illegible] შურისძიებისათვის, არამედ ჩემი უანგარო, გაბზარული სიყვარულის გამრთელებისათვის. მაშინ საბოლოო სიტყვა თქვენზედაც იქნება. არა, არ მინდა, არ შემიძლია მტრად მოგეკიდოთ თქვენ, — იყვირა კორნელიმ. ნინოს ხელი შეიპყრო და აგზნებით უთხრა: — ნუთუ თქვენ მართლა გეგონათ, რომ ასე უაზროდ, უეცრად და ადვილად მიგატოვებდით? არა. თქვენ ღრმადა ხართ შემოჭრილი ჩემს სულსა და გულში. მართალია, ჩვენ ახლა ვშორდებით ერთმანეთს, მაგრამ არა მგონია, თქვენც ასე ადვილად შეგეძლოთ ჩემი დავიწყება. გაივლის დრო, რა გინდ დიდიც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც ოცი, ან ოცდაათი წელი, მე ისევ მოვალ, მოვალ, როდესაც თქვენ მე სავსებით გამიგებთ, ჩამწვდებით, როდესაც თქვენდამი ჩემ უანგარო გრძნობაში დარწმუნდებით, რაც მანამდე არ გჯეროდათ. მე მოვალ მაშინ, როდესაც ჩემი გზის სისწორეს ირწმუნებთ, როდესაც სიმართლე ჩემს მხარეზე, და არა თქვენი მშობლების მხარეზე იქნება. მაშინ შესაძლოა თქვენ ისურვოთ ჩემი თანამგზავრობა. და თუ არ მოვედი, დაკარგულად ჩამთვალეთ, როგორც თქვენთვის, აგრეთვე სხვათათვისაც. იგულისხმეთ: მართალი საქმე დამარცხებულა, სინათლე სიბნელეს შთაუნთქავს... და მეც დავიწვები და დაუსაბამო სივრცეში ბოლივით გავქრები — აგზნებით ამბობდა კორნელი.

ნინოს ჟრუანტელმა დაუარა ტანში და კორნელის შეევედრა:

— ეგრე ნუ ლაპარაკობთ... მეშინია. — ადგა საწოლზე დაგდებული შალი აიღო, შიგ გაეხვია, თითქოს შეცივდაო.

— განა რა ვთქვი ისეთი? — ჰკითხა კორნელიმ.

— თქვენ სიტყვებში სამარის სიცივის ქროლვა იგრძნობა.

— ჩემი სიტყვები დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შედეგია.

— მით უარესი. თქვენ სიტყვებში მუქარაც ისმის.

— არა, ეს მუქარა არ არის. ეს აღსარებაა ჩემი გულისა, რომელსაც უთქვენოდ ძგერა არ ძალუძს.

— ღმერთო ჩემო, რა ბედისწერა მოიწია ჩვენ თავზე, — ამოიოხრა ნინომ.

— ჩემი სურვილია, თქვენ ყოთ ბედნიერი, — უთხრა კარებთან.

— ბედნიერება ჩვენ თვითონ დავმარხეთ. — მიუგო ცრემლმორეულმა ქალმა. თვალი გაუშტერდა და უიმედოდ, სადღაც შორს კაეშნით გაიხედა, თითქოს მშობელი ყოფილიყოს და საკუთარი ბავშვი დაემარხოს.

ამ დროს კარებზე ელომ დააკაკუნა.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლორთქიფანიძე

ბელადის დროშის სიმაღლე არის

★

განთქმული ვაზით, პურით, კაკლებით
ჩვენი სამშობლო, ჩვენი მთა-ბარი;
რომ ვთქვა არც მეტი და არც ნაკლები
ბელადის დროშის სიფართე არის.
სანამდეც უწევს ბელადის დროშა,
მზისფერ ცხოვრების მღალადებელი,
იქამდი ჩვენი თეთნულდიც მოჩანს,
ლაჟვარდ ზეცაში ღამისმთეველი.
აზრი ნათელი რომ დავისახეთ,
წინ მიგვაჩქარებს, სული ინთება.
და არც მგონია, გულს თავის საქმე —
ფეთქვა ოდესმე მიავიწყდება.
ეს ჩვენი დროშა მაგონებს აფრას.
რომელიც უძლებს ბობოქარ ქარებს.
ის დიად მამულს უძლეველს, ახალს
სხივით მოხატულ გზით მიაქანებს.
დიდება მამულს — უქრობ სინათლეს,
დიდება მამულს — ურყევ სიმაგრეს,
მამულს — ბელადის დროშის სიფართეს,
მამულს — ბელადის დროშის სიმაღლეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

ქუქუნა

★

უდაბურ ველზე, რკინიგზის ლიანდაგიდან ოციოდე ნაბიჯის სიშორეზე, ჩანს თითქოს შეშთხვევით გადადგმული და მივიწყებული ძველი საბარგო ვაგონი, რომელზედაც მიჭედილია ფიცარი ოდნავ გასარჩევი წარწერით: სადგური არგვეთა.

მისი გარეგნობა მოწმობს, რომ არაერთი წელიწადია მზე აცხუნებს, აწვიმს და ათოვს. აღმოსავლეთის მხარეს, სადაც თუნუქის საკვამლე მილს თავი აქვს გამოშვერილი, ვაგონი გამურულია. შემოდგომიდან გაზაფხულამდე აქ ქარი ატრიალებს კვამლს და ჭვარტლავს კედელს. არგვეთის ველზე კი ქარი ხშირი და აბეზარი სტუმარია. ოი, როგორი მრისხანებით დატრიალებს სივრცეს და რა გულსაკლავად ზუზუნებს თავის ბრაზიან ჰანგს იმ მავთულებზე, რომელიც გაბმულია ლიანდაგის მიმყოლ ბოძებზე!

ტელეგრაფისტი სანდრო მინდიაშვილი, მისთვის საუბედუროდ, არ იყო მეოცნებე. ეს თვისება რომ ჰქონოდა, იქნებ უფრო ადვილად აიტანდა არგვეთაში ყოფნას. ის თავის თავს ფაქიზი განცდების მქონე ადამიანად სთვლიდა და ამიტომ მარტოობას გრძნობდა. იმავე ვაგონში, მართალია, სადგურის უფროსი ილიაც ცხოვრობდა, მაგრამ ის ხერვებს თუ უშლიდა, თორემ მისგან სხვა სიკეთე არ იყო. ხანდახან მთელი დღე ისე გაივლიდა, რომ ილია ერთხელაც არ დაილაპარაკებდა, სამაგიეროდ დროს იხელთებდა თუ არა, გიტარას უკრავდა და თან ხმას აყოლებდა.

— რას უჩხაკუნებ, რა გააწყალე გული! — ბუზღუნებდა ყოველთვის სანდრო, რომელსაც მისი სიმღერა ქარის ზუზუნს აგონებდა. — გიტარა გასათხოვარი ქალის საქმეა, რა ვაჟკაცის საკადრისია. ვერ გამიგია, რა სიამოვნებას პოულობ მაგაში!

ილია მხოლოდ გაიღიმებდა ამ სიტყვებზე, შესწყვეტდა სიმღერას, მაგრამ სიმებს კიდევ დიდხანს აჟღერებდა. სანდროს ეს ხმაც მავთულების ზუზუნად ესმოდა და სევდას უძლიერებდა.

საბარგო მატარებელი არ ჩერდებოდა არგვეთაში. რახრახით ჩაუვლიდა, სვლასაც არ შეანელებდა. წუთით დგებოდა მხოლოდ ორი სამგზავრო, — ერთი ნაშუადღევს დასავლეთიდან მომავალი და ერთიც ნაშუაღამევს აღმოსავლეთიდან.

უმეტეს დროს ტელეგრაფისტი თავის მაგიდას უჯდა და აპარატის შეუჩერებელ კაკუნს უსმენდა, რომელსაც მიჰქონდა ამბავი დაბიდან დაბაში და ქალაქიდან ქალაქში. სადღაც სხვაგან იყო დიდი ცხოვრება, დაუცხრომელი, ხმაურით სავსე.

სანდრომ ერთ უბრალო საშუალებას მიაგნო,—ეს იყო ტელეფონი. მოხდა ეს შემთხვევით, როცა ერთხელ თითონ

აცნობა მატარებლის გასვლა მეზობელ სადგურ ჩოლაბაურს. ცნობა მიიღო იქაურმა სადგურის უფროსმა, რომელიც ქალი ყოფილიყო და აგრაფინა რქმეოდა. ამ დღიდან დაიწყო მათი ნაცნობობა და ამის შემდეგ ხშირად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

ტელეფონით მათი საუბარი ყოველთვის ხანმოკლე იყო, მაგრამ ის საღამო მაინც რაღაცათი გალამაზებული ეჩვენებოდა სანდროს. მიმზიდველი ხმა ჰქონდა აგრაფინას და ამის მიხედვით წარმოიდგინა ქალის გარეგნობაც: უეჭველად წაბლისფერი გრუზა თმა და თეთრი პირისახე (სანდროს არ უყვარდა შავგვრემანები), თვალები მშვიდი ზღვასავით ლურჯი (ზღვას სიყრმიდანვე ეტრფოდა) და, რა თქმა უნდა, შუატანზე ოდნავ მაღალი და ჩათქვირებული (გამხდარი ქალი მხოლოდ სიბრალულს იწვევდა მასში). ამასთანავე, რაბაკვირველია, ძალიან შვენის წინაფრიანი წითელი ქუდი და ნაცრისფერი სერთუკი, ხოლო გაშლილი ყვითელი ალამი, თითქოს ძვირფასი მარაო ყოფილიყო, ისე კოხტად უჭირავს ხელში... ქალს სახელიც კი გადაარქვა. ძალიან მდაბიური ეჩვენებოდა „აგრაფინა“ და ამის გამო უფრო შესაფერით შეუცვალა, — ქუქუნას ეძახდა. ასე კი იმიტომ უწოდა, რომ მთელ არგვეთის ველზე მხოლოდ ის ერთი კეთილშობილი და ფერადებით შემკული ყვავილი იზრდებოდა.

აგრაფინა ყოველთვის კისკისებდა თავის ახალი სახელის გაგონებაზე. ეტყობოდა, რომ სიამოვნებდა.

მზიან დღეში სანდრო გარეთ ვაგონის კედლის ჩრდილში იჯდა ხოლმე, და წიგნს კითხულობდა, ან გარემოს გაჰყურებდა... დიდ სივრცეზე გაშლილი ველი, ფერდობზე აბიბინებული ყანა და ვენახი, იმის ზემოთ კი ტყით დაფარული მთის გრეხილი... არა, ვერ იტყვის კაცი, რომ ლამაზი შესახედავი არ იყოს, მაგრამ სულ ერთი და იგივე?

სანდროს მობეზრებული ჰქონდა იქაურობა და ეს იყო მიზეზი, რომ ერთი ფიქრი აეკვიატა: მალე, ოღონდ ამ ადგილიდან არგვეთას... არაერთხელ გაგზავნა სამმართველოში განცხადება და სხვაგან გადაყვანა ითხოვა, მაგრამ ვერ იქნა და ჯერ საწადელს ვერ მიაღწია.

როგორც კი მიიღებდა პასუხს, მაშინვე აგრაფინას დაურეკავდა, გულისტკივილს მასთან ლაპარაკით იყუჩებდა.

— ჩოლაბაური... მომეცით ჩოლაბაური... ქუქუნა ხარ? მაღირსეს პასუხი.

— რაო? ისევ უარი?

— უარი...

— ხომ გეუბნებოდი!

— მაშ ისე გამოდის, რომ მთელი ცხოვრება აქ უნდა გავატარო?

— რა მოგახსენო...

— აგრეა, არა? მერე რატომ, შე ქალო? ა? რას გაჩუმდი?

— არ გეწყინება, რომ გითხრა?

— შენგან არაფერი არ მეწყინება.

— ახირებული კაცი ყოფილხარ... რას დაიჯერინე სხვაგან გადასვლა? ვითომ რაო, რატომაო?

— გაიგე, ქუქუნა, ველარ ვუძლებ აქაურობას. მინდა მეც ხალხში გავერიო, ცოცხალ ცხოვრებას ვეზიარო. ყველა ეხალისება და შეხარის ამ ქვეყანას, მარტო მე და შენ დავრჩით ყანჩასავით გარიყული!

— არა, ჭირიმე, მე ნუ გამრევ მაგ ამბავში. ჩემს მაგიერ ტყუილად ამბობ საყვედურს, მე კმაყოფილი ვარ ჩემი ბედით. შენც გირჩევ დამშვიდდე. ალბათ საჭირო ხარ მანდ და იმიტომ არ გიშვებენ.

სანდროს გულისმესაიდუმლე და ერთადერთი ნუგეში მაინც ისევ აგრაფინა იყო. უბრალოდ მისი ხმის გაგონებაც უქარვებდა სევდას და ამხნევებდა. ეს ქალი ნამდვილად მისთვის სანუგეშოდ და საიმედოდ გადმოისროლა ბედმა მეზობელ სადგურში!

დიდიხანია სანდროს გადაწყვეტილი ჰქონდა აგრაფინასთან ჩოლაბაურში ჩა-

სვლა და თითქმის თრთოლვით ფიქრობდა მასთან შეხვედრაზე. მაგრამ ასეთი უბრალო საქმეც როგორღაც არ ხერხდებოდა, — ხან სამსახური არ უშვებდა, ხან კიტელი არ იყო გარეცხილი, ხან ესაო, ხან ისაო, და ამ გადადებაგადმოდებაში და ხელსაყრელ შემთხვევის ლოდინში დღე დღეს მისდევდა და დრო შეუმჩნევლად გადიოდა.

—::—

ახლა ზამთარია და გარშემო ღრმა თოვლი დევს. ერთად-ერთი სიკეთე ამ ყინვაში ისაა, რომ ქარი დაცხრა. იშვიათად თუ გადაირბენს ველზე, აანიავებს თოვლის ზედაპირს, აქა-იქ აშლის და აიტაცებს ფიფქს, მაგრამ შორს წასაღებად ძალა არ შესწევს, იქვე ახლოს დაჰყრის და თითონაც ზედ დააკვდება. ღღით მისი ხმა სულ არ ესმის სანდროს. მხოლოდ ღამით, როცა ფიქრებში გართული გაღვიეებულ ღუმელთან ზის, ხანდახან ყურს მოჰკრავს როგორ გაიზუზუნებს მავთულებში. მაგრამ სადღაა მისი ძველი მრისხანება! ახლა ისეთი საწყალი ხმა აქვს, თითქოს თავს აცოდებდეს და თბილ სადგომში შეშვებას სთხოვდეს.

იმ ღამეს სადგურის უფროსი ერთი ღღით ქალაქში გაემგზავრა და მორიგეობა სანდროს დაავალა. ასეთ შემთხვევას კიდევაც შეხაროდა სანდრო, — ყური მაინც დაისვენებს მომბეზრებელ გიტარის ჟღარუნისაგან.

ნაშუალამევს საგზავრო მოვიდა აღმოსავლეთიდან. კვერთხი მემანქანეს გადასცა და როცა მატარებელი წავიდა, სადგურისკენ გაბრუნდა. საფარნე სვეტთან თვალი მოჰკრა ორ ლანდს, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია... ალბათ სოფლელები ჩამოვიდნენ... ის იყო ვაგონში შედგა ფეხი, როცა კარი გაიღო და ვიღაც ორი შემოვიდა. არა, ისინი სოფლელებს არ გვანდნენ. ერთი იყო შუახნის მამაკაცი, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარაგარეული ულვაშებით, მეორე — ახალგაზრდა ქალიშვილი. ფეხებში ოკზაკები ეკიდათ და ხელში თბილამურები ეკავათ.

— ხომ არ შეგაწუხებთ, თუ ამალამ დავრჩებით? — ისეთი მორიდებით და თავაზიანობით იკითხა ქალიშვილმა, რომ უმალვე მოინადირა სანდროს გული

მგზავრებმა ჩამოიხსნეს ტვირთი, გაიხადეს თბილი კურტაკები და ცეცხლის პირად მოიკალათეს. როცა ქალიშვილმა ბეწვის ქუდი მოიხადა, სანდრომ სიამოვნებით შეავლო თვალი მის სახეს. ხამგზავრს დაღლილობა ემჩნეოდა, თვალები მიბნედოდა, მაგრამ ამის გამო კიდევ უფრო მიმზიდველი იყო.

— დიდი თოვლი დაუყრია წელს, — სთქვა მამაკაცმა.

სანდრო თანაგრძნობით შეეხმიახა:

— აქაურებიც ამბობენ, რომ დიდხანია ასეთი ზამთარი არ უხახავთ...

— მმ... ვგრძნობ ხვალ ძველი გზა გვექნება, — ჩაიბუბუნა მამაკაცმა და ქალიშვილს მიმართა: — გაუძლებ, ელენე?

ქალიშვილმა მხოლოდ გაუღიმა. ღიმილი მხნე იყო.

— შორს მიხვალთ? — იკითხა სანდრომ.

—უნაგირას მთა გაგიგონიათ? იმის ძირში.

უხაგირას მთასთან სანდრო არ ყოფილა, მაგრამ მოწმენდილ ღღეში და ძთვარიანშიც არგვეთიდან ბევრჯერ დაუნახავს.

— სტუმრად სოფელში?

— არა, ადგილების დასათვალიერებლად...

მგზავრები ინქინრები აღმოჩნდნენ... ძშენებლობის უფროსი — არჩილ ხვედელიანი, სამუშაოთა მწარმოებელი — ელენე მესხი... გაზაფხულიდან რაიონში პატარა ელსადგურის მშენებლობა დაიწყება. უნაგირას ბიდამოში სამ პატარა მდინარეს გვირაბებით შეაერთებენ, ხელოვნურ ტბაში დააგროვებენ

და შემდეგ ძლიერ დაქანებას მისცემენ. წყალვარდნილის ძირში მთავარი სადგური დაიდგმება... მალე აქაურობა ელექტრონით გაჩაღდება და ამოძრავდება... ახლა კი იმისთვის ჩამოვიდნენ, რომ ადგილები დააზუსტონ, — სად ამენდის საწყობები, სად მიზიდონ მასალა, სად ააგონ საცხოვრებელი სახლები...

— კარგი საქმეა, — ჩაილაპარაკა სანდრომ და ამასთახავე გაიფიქრა, რომ ყოველივე ეს შორს იქნება არგვეთიდან... უნაგირაც დიდ ცხოვრებას ეზიარება, აქ კი ისევ ქარი და ილიას გიტარა... სად ისწავლა იმ ოჯახდაქცეულმა ასეთი გულისგამწყალებელი ზუზუნი? ქარს ბაძავს თუ როგორაა?

სახდრომ გაიფიქრა, რომ კარგი იქნებოდა გამასპინძლებოდა მათ. მაგრამ რითი? მამაკაცს თამამად შესთავაზებს პურს, ყველსა და კომშს, მაგრამ ქალიშვილს? აჰ, არა ამას ვერ შეკადრებს! ასეთი ლამაზი რომ არ იყოს, მაშინ არ მოერიდება, მაგრამ ახლა...

ლამაზი ქალის წინაშე სანდრო ყოველთვის შებორკილად გრძნობდა თავს, მუდამ მორიდებული და დარცხვენილი იყო. ახლა კი ჩვეულებრივზე მეტად. ეს ქალიშვილი რაღაცათი სხვებზე უფრო ბევრად მიმზიდველი ეჩვენებოდა. რა იყო ეს რაღაც, ამას ვერ იტყოდა, მაგრამ რომ არსებობდა ეს რაღაც მეტი და განსხვავებული, ამას გრძნობდა და აზრი უდასტურებდა. უნდოდა როგორმე გამოეჩინა მისდამი ყურადღება და, რადგან სხვა ვერაფერი მოახერხა, თავისი ტახტი შესთავაზა.

— მერე თქვენ არ დაისვენებთ?

— ამაღამ მე ძილი არ მერგება, — იცრუა მასპინძელმა. — მატარებლები მე უნდა მივიღო.

ქალიშვილმა მოიწყო ხელი და დაწვა. როცა სანდრომ მოიხედა, შენიშნა, რომ ელენეს თავი მკლავზე დაედვა. მძინარე უკეთესი ეჩვენებოდა. მისი სახე სიმშვიდეს და კმაყოფილებას გამოხატავდა... ის ჭრიჭინა ტახტი, აქ თითქოს განზრახ დადგმული ადამიანის სასეირნოლებლად, ახლა ისეთნაირი ჩანდა, რომ მხოლოდ მასზე შეიძლებოდა ნებიერად მოსვენება... ქალიშვილის წყნარ სუნთქვას სიმშვიდე შეჰქონდა სანდროს გულში და ამასთანავე რატომღაც აგონებდა იმ სხვა, შორეულ ადგილებს, საიდანაც ის ჩამოსულიყო.

— მოწყენილობაა აქ, — თავისუნებურად ამოიოხრა და ხელი ჩააქნია.

ხვედელიანმა გაკვირვებით გადახედა, მაგრამ ამოოხვრის მიზეზი არ იკითხა, მხოლოდ მოიბოდიშა, კუთხეში მიდგმულ მერხზე კურტაკი დადვა და დაწვა.

სანდრო დიდხანს იჯდა ღუმელთან თავის ფიქრებში გართული... სასიამოვნო ადამიანები შეიფარა ამ ღამეში... მართალია, არგვეთიდან წასვლის საღერღელი აუშალეს და კიდევ უფრო ააფორიაქეს, მაგრამ რა მათი ბრალია... მით უფრო ელენესი... ამფორიაქებლად კი არა, დიდი, ხალისიანი ცხოვრების მეშვეობლად და მაცნედ მოეელინა ის... ახლა გზად ჩამოიარა, თითქოს მძლეავარმა, სხვა ქვეყნისკენ მიმფრინავმა უცხო რამ ჩიტმა. ამაღამ დაისვენებს, ალიონზე კი ისევ გაშლის ფრთებს და, ივრი ჰე, ისე გასწევს, თვალიც ვეღარ დაეწევა... განა წარმოსადგენია, რომ ძან ოდესმე აქ ხანგრძლივად დაიბუდოს? რა უნდა გაუჭირდეს ამის ფასი!

შორიდან ელმავალის საყვირი მოესმა. ფარანი აიღო და გავიდა. წყნარი, სუსხიანი ღამე იყო. სხიკადი, თითქოს დაფერილი ვარსკვლავებით მოჭედილიცა. მოვერცხლილ ჟუჟუნებით მოფენილი ველი დაკიდებულა ციდან... უნაგირაც გარკვევით ჩანს, — საოცრად თეთრი და საოცრად მაღალი... ხეტავ რას იტყოდა ის ქალიშვილი, ახლა რომ შეეხედნა იმ მთისთვის...

ჩაიგრიალა მატარებელმა და მალე მისი ხმაურიც მიწყდა... ყველაფერი მხოლოდ ასე გვერდით ჩაუვლის, სხვაგან იჩქარის, სხვაგან მიუხარის... მაშ აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას გაუჩერდეს? ქარსა და ილიას გიტარას? ტფუ!

დილით ადრე წამოიშალნენ სტუმრები, მოეწყვნენ და გავიდნენ. ქალიშვილს წუხანდელი დაღლილობის ნასახიც არ ემჩნეოდა. შეუჩერებლად ყღურტულებდა და შეხაროდა ყოველივეს.

მზე ჯერ არ ჩანდა, მაგრამ საღღაც ახლო იგრძნობოდა. თოვლიახი სივრცე თეთრად ბრწყინავდა. ცა სუფთა, გარემო ნათელი, კარგი ამინდის მახარობელი.

— რა დღეა! — ღრმად შეისუნთქა ელენემ დილის მაცოხცლებელი ჰაერი. — გავუდგეთ გზას, არა?

დაემშვიდობა სანდროს, გაიკეთა თხილამურები და გასრიალდა.

სანდრო იდგა და უყურებდა როგორ შორდებოდნენ ორივენი. ერთ ადგილას ისინი რატომღაც შეჩერდნენ, მიმოიხედეს, მერე წრე დაარტყეს, თითქოს შეათვალიერეს და კიდეკაც მოზომეს იქაურობა. რატომღაც ერთხანს სადგურისკენ იხედებოდნენ, თითქოს მანძილს ანგარიშობდნენო. მოულოდნელად ელენემ ხელი დაუქნია სანდროს, სწრაფადვე შეტრიალდა და გაქანდა.

ისევ იდგა სანდრო და თვალს არ აშორებდა ველს, რომელზედაც ორი ადამიანი თანდათან პატარავდებოდა. მალე ისინი მხოლოდ ოღნავ გასარჩევ შავ წერტილებათ გადაიქცნენ. უეცრად ესეც გაქრა, სადღაც გადნა და ისევ თეთრი სივრცე და თეთრი სიცარიელე.

იმ საღამოს არ დაურეკია ჩოლაბაურში. მოგვიანებით თითონ აგრაფინამ მოიკითხა.

— რა ამბავია მანდ? ხომ მშვიდობაა?

— აგრაფინა ხარ? გმადლობთ, ყველაფერი რიგზეა.

თავის სახელის გაგონებაზე ქალშა ჩაიკისკისა.

— მოგაგონდა რა მქვია? მეგონა, დავიწყებული გქონდა.

— არა, რატომ, შე ქალო...

— რა ვიცი, ყოველ ... მეძახდი...

სანდრომ რაღაც ჩაიღუღუნა გაურკვევლად.

— მეჩვენება, თუ მართლა უგუნებოდ ხარ?

— რა ვიცი, ისე... წუხელ ორმა ინჟინერმა გაათია ღამე... მკლავზე ედვა თავი და...

— რავა აბურდულად ლაპარაკობ? ვერ გავიგე, რას ამბობ.

— აი, ამას... ქალიშვილი რომ იყო... ელენე.

— ელენე? — ისე იკითხა აგრაფინამ, თითქოს ემცნაურაო.

— იცნობ თუ? — გამოცოცხლდა სანდრო.

— არა, — გულცივად მოსჭრა აგრაფინამ და უეცრად დაუმატა: — ვინ იცის, რამდენი ელენე აივლის და ჩაივლის ამ გზაზე!

სთქვა და ტელეფონი გამოთიშა.

სხვა დროს, ალბათ, გულთან ახლო მიიღებდა სანდრო ამ გარემოებას, მაგრამ ახლა ყურადღება არ მიუქცევია. ისიც კი ეჩვენა, რომ შორს იყო ჩოლაბაური და არც ქუქუნა მოჰგონებია აგრაფინას ხმის გაგონებაზე. ადგილიც გადაეცვლა იმ მინდვრის ყვავილს, ახლა ის ახლო ჩანდა, — აქვე, არგვეთის სადგურთან თოვლიან ველზე ხარობს ფერადებით შემკული და იმგვარად დახრის ხოლმე თავის ნაზ ღერაკს, თითქოს ხელს უქნევდეს. დიახ, სწორედ რომ ხელს უქნევდეს...

რამდენიმე დღე იმის მოლოდინში იყო, რომ ხვედელიანი და ქალიშვილი დაბრუნდებოდნენ უნაგირას მთიდან. მაგრამ ისინი არ გამოჩენილან... ალბათ სხვა გზით და სხვა სადგურიდან გაემგზავრნენ...

გადიოდნენ დღეები, კვირეები, იმ ერთი ღამის მოგონება თანდათან იშლებოდა და ბოლოს თითქოს სულაც გაქ-

რა. გადნა თოვლი, ქარმა და მზემ მოაშორო მიწა. გარემომ ფერი იცვალა. ველზე გამოჩნდა ბალახი და მერე ᲭᲠᲔᲚᲘ ᲟᲣᲟᲣᲜᲐᲪ. ბუხების განახლება გულში აღვიძებდა სიხარულს და თან იმედს, რომ ყველაფერი სასიკეთოდ იქნება... ოღონდ რატომ ასე დაიგვიანა პასუხმა სამმართველოდან? უკანასკნელი განცხადება საფუძვლიანი იყო და შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიათ. არა, უსათუოდ გადაიყვანეს რომელიმე დიდ სადგურზე... აი ავრაფინა კი ეს ერთი ხანია მუდამ უხეშად ელაპარაკება. თუ ასე გაგრძელდა, აღარ ღირს დარეკა.

—::—

მარტის ერთ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ დღეს არგვეთის სადგურთან რამდენიმე დატვირთული საბარგო ავტომობილი გაჩერდა. მანქანებიდან გადმოზიდეს ხეტყე, ხელსაწყოები, იქვე დასტოვეს და გაბრუნდნენ. იმ დღიდან შეუწყვეტლად მოდიოდნენ ავტომობილები და ისევ მოჰქონდათ ფიცრები, თუნუქი, რაღაც მანქანები. ერთ დილას პირველად დადგა საბარგო მატარებელიც, — გადმოტვირთეს კასრები ცემენტით, რაღაც ლითონის ურჩხულები, ვეებვრთელა მიწახაპიები. მატარებელი და ავტომობილები ისევ და ისევ მოდიოდნენ და დაცარიელებული უკან ბრუნდებოდნენ, ხალხი კი რჩებოდა. დღე და ღამე ისმოდა ხერხის და ჩაქუჩის ხმა. ველზე ხმაური არ წყდებოდა.

ტელეგრაფისტსაც მოემატა საქმე — ახლა დეპეშები ხშირად მოდიოდა არგვეთაში და აქედანაც ხშირად იგზავნებოდა. როცა დეპეშა სასწრაფო იყო, თითონ მიჰქონდა მშენებლობაზე. ასეთი შემთხვევა კიდევაც სიამოვნებდა სანდროს, — ველზე გაივლის, იქაურობას გადახედავს, ხალხში გაერევა და იქნებ ვინმესთან საუბარიც გააბას.

ერთი ასეთი შემთხვევის დროს, როცა დეპეშა თითონ მიჰქონდა, მოულოდნელად თვალი მოჰკრა ᲭᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ, — მუშებში იდგა საწყობთან და თვალყურს ადევნებდა, რაღაც ამოქონდათ ყუთებიდან რაღაც რკინის ნაწილები. თითქოს ნაცნობი იყო. უსწორა იმ ადგილს, მივიდა ახლოს და დარწმუნდა — ის იყო, ელენე! გაზაფხულის ამ მზიან დღეს ის კიდევ უფრო უკეთესი ეჩვენა.

ელენამაც მაშინვე იცნო და ხალისიანად მიეგება.

— მოგაგონდით?—გახარებული იყო სანდრო. — მე კი მეგონა, დავიწყებული გყავდით.

— აბა რას ამბობთ, როგორ დაგივიწყებდით... პირიქით, ჩვენ დავალებულიც ვართ თქვენგან. ისეთი მზრუნველობა გამოიჩინეთ იმ ღამეს რომ...

— ახ, არა, არა! ეგ რა სახსენებელია!

— არა უშავს, ვალში არ დავრჩებით. ამიერიდან ჩვენ ხომ ხშირად შევხვდებით ერთმანეთს...

— რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! — სახე უბრწყინავდა სანდროს. ამ გაზაფხულზე აქ დარჩებით?

— არა ერთ და ორ გაზაფხულს კიდევ, ჩემო მეგობარო. აქ რა მოლევს საქმეს. ეს ველი ქარხნებით და დიდი შეხობებით დაიფარება მალე. თქვენც ბევრი სამუშაო გექნებათ ჩვენთან ერთად, აღარ მოგეწყინებათ თქვენს არგვეთაში!

სადგურიდან სასწრაფოდ იხმეს სანდრო და საუბარიც უნებურად შეწყდა.

ტელეფონით ურეკავდნენ საკვანძო სადგურიდან.

— მინდიაშვილი ხართ? თქვენ გაგზავნეთ განცხადება სამმართველოში?

— რა განცხადება?

— გადაყვანას ითხოვდით.

— რას? გადაყვანას? ჰო, მახსოვს რაღაც, მაგრამ...

— სამმართველო თანახმაა.

— რაო?

— ხვალ ჩამოდით ჩემთან გასაფორმებლად.

— არა, აჰ, არა! სად მცალია ახლა ქით-აქეთ სასიარულოდ! აქ ბევრი საქმეა! არა, აჰ, არა! აქ იმდენი საქმეა, იმდენი საქმე!

პასუხად რაღაც გულმოსული ბურტყუნი გაისმა და ტელეფონიც დადუმდა.

მხოლოდ ახლა შენიშნა სანდრომ, რომ დეპეშა ჯერ არ გადაეცა და ისევ ხელში ეკავა. მაშინვე გამოვიდა სადგურიდან.

ველზე გუგუნებდნენ ავტომობილები, სადღაც ქოშინით ამოდიოდა კვამლი... ეს როგორ მოუვიდა თავში, რომ სადმე მოიძებნებოდა მიტოვებული და მივიწყებული ადგილი!

შორიახლოდან ისევ დაინახა ელენე... აი სდგას ის, დიდი ყუყუნა, მთელი თავისი მშვენიერებით გახარებული, თითქოს მაცნე იმ დიდი, ხმაურიანი ცხოვრებისა, რომელსაც სანდრო შენატროდა.

დეპეშის დაჭმუჭვნილი ფურცელი ხელისგულზე მოასწორა და მშენებლობისაკენ გასწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკინთე ლისაშვილი

ერთგულება

რომანი *

★

*
* *

აქ გააზილა მან პირველად თვალი. თამაზი ამ კედლების, იატაკისა და ჭერის ყოველ ფიცარს, ამ ოთახის ყოველ ნივთს იცნობდა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მისთვის აქ ყველაფერს სხვა ელფერი ეძლეოდა, ყველაფერს სხვანაირად განიცდიდა; პატარაობისას არავითარ განსაკუთრებულ გრძნობას არ აღუძრავდა ეს ოთახი, სახლი, ეზო; ბაღი და ვენახი, სოფლის შუკები და გზები, ხოლო, როცა ქალაქის გზას გაუყენეს, მეტად გაუძნელდა კარ-მიდამოს და მშობლიური სოფლის დატოვება. ზაფხულის არდადეგებზე, პირველად რომ ქალაქიდან დაბრუნდა, ყველაფერი სხვაგვარად ეჩვენა, იგრძნო, რა ძლიერ ყვარებია აქ ის საგნებიც კი, რომლებსაც წინათ ყურადღებასაც არ აქცევდა.

დრო მიდიოდა. თამაზს ჯერ უმცროსი ძმა მოუკვდა, შემდეგ მამაც დაჰკარგა. ამ დღიდან, ჩამოვიდოდა თუ არა სოფელში, გული კაეშნით ევსებოდა. ყოველი ნივთი, ყოველი საგანი საყვარელ ძმასა და მამას აგონებდა. გული ეკუმშებოდა. ახლა კი, თუ ძველი ტკივილები მიყუჩებულიყვნენ, სამაგიეროდ ახალი გაჩენილიყო.

აი, ამ მაგიდასთან ისხდნენ ფრონტზე გამგზავრების წინ, საუბრობდნენ, თამარს თვალები ცრემლით ევსებოდა. თამაზს ეს ცრემლი სულს უნათებდა. ეს სიყვარულის ცრემლები იყო. გავიდა ომის მძიმე წლები, და იმავე მაგიდასთან ახლა თამარის დიდრონ თვალებს კვლავ ხედავს თამაზი და უკვირს, რატომ სჯეროდა მაშინ იმ ცრემლების... არა, მაშინ ის ცრემლები ისეთი წმინდა, ისეთი გულწრფელი იყო.. რა მოხდა შემდეგ?

ფიქრებმა მოღალეს. თავი მკლავზე დადო, თვალები დახუჭა და მალე ჩაეძინა.

*
* *

მზე ზღვაზე ეშვებოდა.

თამაზი აივანზე გამოსულიყო. მზის ჩასვლას უცქეროდა.

ხეებზე ჩიტები ჟღურტულებდნენ.

მზე თითქოს შეეხო ზღვას. ცეცხლი წაუკიდა, აალაპლაპა, შემდეგ ნელ-ნელა ჩაიძირა ზღვაში. უკანასკნელი სხივები ციმციმებდნენ ბახმაროს ჯერ კიდევ თოვლიან მწვერვალებზე, შეწყდა ჩიტების გაბმული ჟღურტული.

სოფლად გაისმოდა ადამიანთა შეძახილები, სიმღერა. მეორდებოდა ბავშვობისას მოსმენილი ხმები.

ხანგამოშვებით სამზარეულოდან დედის ხმა ესმოდა; ვახშმის მზადებაში გართული დედა ხან ძაღლს შეუძახებდა, ხან კი თავის ფიქრს გაესაუბრებოდა.

ჭიშკარმა გაიჭრიალა, ვიღაც მამაკაცმა ჩაახველა, ეზოში შემოვიდა.

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 12 1950 წ

თამაზმა იცნო უფროსი ძმა — გაჭაღარავებული, საშუალოზე დაბალი და მხრებდაშვებული.

თამაზი აივხიდან კიბეზე დაეშვა, მიეგება ძმას.

— თამაზ, ძმაო! — დაიძახა ძმამ, სასხლავი ძირს დააგდო, გამოემართა და ძმას გადაეხვია.

— გიორგი, როგორა ხარ, გიორგი? — ჰკითხა თამაზმა. გიორგი სახეს მალავდა, არ უნდოდა ომიდან დაბრუნებულ ძმას მის თვალში ცრემლი შეენიშნა.

სანამ გიორგი ძმას პასუხს გასცემდა, ახლა მეორე, გიორგიზე უმცროსი ძმა, ვლადიმერიც მოვიდა:

— ვიცოდი, გული მეუბნებოდა! — ჩაილაპარაკა მაღალმა შავგვრემანმა კაცმა.

— ლადო! — მიაძახა თამაზმა სახე გაუნათლდა, ხელი მოხვია:

შემოდიოდნენ ნათესავები და მეზობლები ეზოში. ისმოდა ჭიშკრის ჭრიალი, ძაღლების ყეფა. მოვიდნენ თამაზის რძლები, ძმის შვილები, ერთადერთი და ელენე და სიძე ბართლომე.

ზოგი მოლზე დამჯდარიყო, ზოგი დაბალ სამფეხა სკამზე. ხოლო მაღალ სელის სკამებზე თამაზი, ლადო და ბართლომე ისხდნენ.

იმათ პირდაპირ, ცოტათი მოშორებით, ფარდაგზე, ქაიხოსრო დაესვათ, მოხუცისათვის ზურგს უკან მუთაქები შემოეწყოთ. ქაიხოსრო ზედ მიწოლილიყო და ჩიბუხს აპლაკუნებდა. საუბარში არ ერეოდა, მხოლოდ ზოგჯერ ყურზე ხელს მოიფარებდა, თითოორროლა სიტყვა ჩაესმოდა და ამითაც ხვდებოდა, თუ რაზე ჰქონდათ ბაასი.

ასმათი ხან შვილის გვერდით დაბალ სკამზე ჩამოჯდებოდა, ხან შვილის ხელს გულში ჩაიკრავდა, რაღაც საალერსო სიტყვებს ჩურჩულებდა.

თამაზი სიტყვებს ვერ არჩევდა, თუმცა იცოდა, რას ამბობდა, დედა რაზე ხარობდა. მარტო დედის ჩურჩული კი არა, აქ ყველას ფიქრიც ესმოდა.

მთვარიანი, მშვიდი საღამო იყო. მაღალხეთა ჩრდილები მოლზე გაწოლილიყო, ნიავის ნელი სუნთქვა და ასევე ფოთოლთ ნელი შრიალი ისმოდა. აღმოსავლეთით ბახმაროს მთები დაბინდულიყვნენ, დასავლეთით შავი ზღვის სივრცე გაშლილიყო. აქ კი, ნაძვების, თელებისა და ევკალიპტების წრეში კენტად ამოზრდილ „მძინარა ხესთან“ გაცხოველებული საუბარი გაემართათ. აქ წარმოთქმული ყოველი სიტყვა თამაზზე არაჩვეულებრივი ძალით მოქმედებდა, იქნებ იმიტომ, რომ გულის სილრმეში სატკივარს ფარავდა. ამ სატკივარმა უფრო ღრმად ჩაახედა. უფრო მეტი შინაარსი აღმოაჩენია ყოველ სიტყვაში.

ლამპა აანთეს, განათდა შეკრებილთა სახეები.

— აქაც გვქონდა ფრონტი, თამაზ, განაგრძობდა დაწყებულ ამბავს ბართლომე. — ყანები და ბაღები შველას ითხოვდა. ქალებმა გვიხსნეს. მოედებოდნენ ჩაის ბუჩქებს, ციტრუსების ბაღებს, ყანებსა და ვენახებს, გაჰქონდათ ბაღის მწკრივი და ყანის სვრელი. აგერ თამაზ შენი ძმისშვილი ციალა, ახლა დედის გვერდით რომ ზის, იცი ვინ არის? ჯერ თვრამეტი წლის არც კი იქნება, მაგრამ სასწაულს ახდენს. განა თვითონ შენი რძალი სალომე ნაკლებად იბრძოდა? ომი, დიახ, აქაც ნამდვილი ომი იყო. — განაგრძობდა ხანდაზმული, სახე გაბადრული ბართლომე.

სუფრა გაშალეს. ვახშამი დაიწყო.

აქ ეზოში დამყარებულ მყუდროებაში ხმადაბლად თქმული ყოველ სიტყვა ისე ხმიანობდა, თითქოს მთელ სოფელს ესმოდა.

გვიან დაიშალნენ. თამაზი დაწვა, ის იყო უნდა ჩასძინებოდა, რომ დედის ხმა შემოესმა.

— შვილო უნდა დაგითბილო მტკივანი ფეხი!

თამაზი დედას ხმისამოუღებლად დაემორჩილა. ბავშვობა მოაგონდა, ყოველ საღამოს, დაძინების წინ რომ მოვიდოდა, დედა ფეხებს დაბანდა და ისე აწვენდა.

— ო, შვილო, შვილო! იმ ტყვიას კინაღამ დაუბრმავებია დედაშენის თვალები! — ამბობდა დედა, ნატყვიარზე ხელს უსვამდა, ფრთხილად უზელდა, თბილი წყლით ჰბანდა.

თამაზს დედის ხელიდან წამოსული სითბო ჟრუანტელს ჰგვრიდა.

* *
*

იმ ღამეს, როცა ყველას ეძინა, ციალა ლოგინიდან წამოდგა, გამოღებულ სარკმელთან ფეხაკრეფით მივიდა, იქ სკამზე დაჯდა:

ქვემოთ, ციტრუსების ბაღში ჩადგმულ ოდასახლს თვალი გაუსწორა. ასე ეგონა: რაც ამ ქვეყნად სიხარულია, ყველა იქაა.

იმ ოდა სახლში, ალბათ, უკვე ჩაძინებულ ვაჟზე ფიქრობდა: „შენ მეუპნები, რომ ქალაქში წაგყვე? ო, რა კარგია, მაგრამ...“ — ფიქრი ვერ დაასრულა, იმ საღამოს ბიძია ბართლომეს საზეიმო სიტყვები მოესმა: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ მერე ბიძია თამაზის სახეც წარმოუდგა, — რაღაც უზენაესმა გრძნობამ შეიპყრო, შორს, ბინდბუნდში ჩათვლემილ ზღვას გადაჰხედა. აქ დიდხანს იდგა.

2

შეუმჩნევლად გადიოდნენ დღეები. თამაზი მეცადინეობდა, თავს არ იღებდა წიგნიდან, მხოლოდ ზოგჯერ ბაღში გავიდოდა, ზღვას გადაჰყურებდა, ან ბაბუა ქაიხოსროსთან დაჯდებოდა, გაესაუბრებოდა.

რამდენჯერ თხოვეს, მაგრამ შინიდან ფეხს არ იცვლიდა, ფურცლავდა წიგნებს, — დღეებიც წიგნებივით იფურცლებოდნენ. ზაფხული მწვანე მოსასხამით მოსავდა მიწას. მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა კრამიტით დახურული სახლების სახურავები.

ხარობდა ბაღი, ხარობდა ყანა, ხარობდა ადამიანი, რომლის ხელი სიცოცხლეს ანიჭებდა ყველაფერს.

თამაზი ეზოში ნაძვის ჩრდილქვეშ დადგმულ მაგიდას მიჯდომოდა. ისე იყო გატაცებული, რომ ირგვლივ არაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა...

მოღლილობა იგრძნო და წამოდგა. მაგიდას გაშორდა. ბებერი მუხის ძირას ბაბუასთან მივიდა, ფარდაგზე დაჯდა.

მოხუცი თამაზს უკვე ფეხის ხმით ცნობდა, მაგრამ მაინც უნდოდა შეემოწმებინა, ხომ არა ვცდებიო, და თვალი დააცეცა:

— თამაზი ხარ, შვილო?

— მე ვარ, ბაბუა!

— როგორ გამახარე, არ მივიწყებ. ჩემი ხარ, ჩემი თამაზი.

— ბაბუა, მიამბე რამე შენს ახალგაზრდობაზე; წარსულზე, როგორ ცხოვრობდით...

— ეჰ, რა სათქმელია ჩვენი ცხოვრება, შვილო. წელგაუმართავ შრომაში ილეოდა ჩვენი დღეები. სხვის მიწაზე ვმუშაობდით, ჩვენი ნაშრომი სხვას მიჰქონდა, ჩვენი თავი სხვას ეკუთვნოდა. არც სახლი იყო ჩვენი და არც კარი. ჰე, შვილო სად იყო ცხოვრება, პირუტყვიც ცხოვრობდა და გლეხიც ცხოვრობდა. — გაჩუმდა, არ უნდოდა მის უკულმართ ცხოვრებაზე ლაპარაკი. — თამაზ, შვილო, ჯვარს როდის იწერ?

— ჯვარს როდის ვიწერ?.. — შეეკითხა თავისთავს უნებურად თამაზი. მწარედ გაეცინა, წამოდა და ისე შებრუნდა არ შეუხედავს ბაბუასათვის.

მოხუცმა თავი გვერდზე გადახარა. გაკვირვებით გაჰხედა მძიმე ნაბიჯით მიმავალ შვილიშვილს. ჩიბუხი გამოიღო, ხელისგულზე დაფერთხა, უნდოდა დაეძახა, მაგრამ გადიფიქრა. „რა ვაწყენინე ნეტავ?“, გაიფიქრა და შეწუხდა, მიმოიხედა. მხოლოდ ბებერი ძაღლი ვარდია იწვა მის გვერდით.

— ვარდია, აქა ხარ?.. — უთხრა ძაღლს. — თამაზს ვაწყენინე რაღაც, ვარდია. — ჩიბუხი ისევ თამბაქოთი გატენა, მოუკიდა.

თამაზი ისევ მაგიდას მიჯდომოდა და წიგნი აეღო.

დედა ასმათი შეუმჩნევლად მიუახლოვდა. გვერდით დაბალ სკამზე ჩამოჯდა, კარგა ხანს უცქეროდა შვილს, შემდეგ გაუბედა:

— შვილო, თამაზ, დედაშვილობას, სიმართლე მითხარი: რატომ ხარ ასე გულჩათხრობილი? ხომ არაფერს მიმალავ?

დედა ისეთი თვალებით მიჩერებოდა, რომ თამაზმა იგრძნო, ახლა დედის ამ შეკითხვას უპასუხოდ ვერ დავტოვებო, ფანქარი დადო, დედის გამხდარ ხელს დააჩერდა; რამდენი სიკეთე შეექმნა ამ ხელს, რომ შვილებისათვის არაფერი მოეკლო! ახლაც არ ისვენებდა დედა.

— დამშვიდდი, დედა! ვიცი, რაც გაწუხებს. არაფერია, ამასაც გავუძლებ.

— მერე რას, შვილო? რა მოხდა შვილო თქვენს შორის? სად არის თამარი?

— ნურაფერს მკითხავ, დედა.

დუმილი ჩამოვარდა. მერე ჩუმი ხმით დაიწყო დედამ:

— ყველაფერს ვგრძნობდი. გერიდებოდი, შვილო... არაფერია, შენს სახელზე გამლილი ყვავილი უშენოდ არ დაჭკნება, ნუ იდარდებ, შვილო!

— არ ვიდარდებ, დედა. — ლაპარაკი უჭირდა თამაზს. სული ეხუთებოდა... უნდოდა შეეწყვიტა ეს უხერხული საუბარი. — წადი, დედა, საქმეს მიხედე. — უთხრა დაყვავებით.

დედა, მძიმედ წამოდგა და ახლა უფრო ჩაფიქრებული გამორდა შვილს.

ჭიშკართან ავტო შეჩერდა.

ჯერ ვარდენი გადმოვიდა მანქანიდან. მერე ვიღაც ქერათმიანი მაღალი ქალი, ბოლოს შავგვრემანი, გამხდარი ჭაბუკი.

ვარდენმა რაღაც ჩაულაპარაკა შავგვრემან ბაჭუკს. მერე ჭიშკარი ფრთხილად გააღო, ეზოში შემოვიდა. ისე მსუბუქად მოაბიჯებდა ეს ვეებერთელა ვაჟკაცი, რომ ძაღლებმაც ვერ გაიგეს მისი შემოსვლა.

— ვარდენ! — მიეგება თამაზი.

— ზიხართ კითხულობთ და კითხულობთ, — სიცილით უთხრა თამაზმა. — სულ წიგნები და წიგნები. რა იქნება, ჩვენთან გადმოხვიდეთ, ნახოთ, როგორ ვმუშაობთ, როგორ ვცხოვრობთ.

— მართალია, ვარდენ, ვერ მოვედი, ვერ გნახეთ.

— ჩვენ თვითონ მოვედით, თამაზ. აი, ჩვენი ხალხი.

— მობრძანდით! — უთხრა თამაზმა ქერათმიან ქალიშვილს და ჭაბუკს.

— თქვენ იცნობთ, ძვირფასო, ჩვენი სოფლის პარტიული კომიტეტის მდივანს, ხარიტონს! რაც შეეხება ამ ახალგაზრდა ქალს, ნატოს, ესეც ამ კუთხის შვილია, მაგრამ დიდი ხანია წასული იყო აქედან და შენ არ გეცოდინება. იგი ინჟინერია, თქვენი კოლეგა, — გააცნო ვარდენმა.

თამაზმა სტუმრებს ხელი ჩამოართვა. ნატოს იგი რატომღაც ცივად მიესალმა.

— ხომ ხედავთ, თამაზ, ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, რომ ომში დაჭრილ კაცს აღარ გასვენებთ. — წამოიძახა ხარიტონმა.

თამაზის დედაც გამოჩნდა, სახლიდან სკამები გამოიტანა. ეზოში თამაზის მაგიდასთან დაუდგა სტუმრებს.

— დაბრძანდით, დაბრძანდით!

— გმადლობთ, დედა, მაგრამ სკამზე ჯდომა აკრძალული გვაქვს. სკამზე ჯდომით კი არა, საქმეს ცხენებითაც ვერ ვეწეოდით და ავტოები მოვიშველიეთ! — იხუმრა ვარდენმა.

— კარგი ქენით, რომ მობრძანდით და გაგვიხსენეთ.

— ჰო, დედა, ძვირფასო, მოვედით, რომ თქვენი შვილი სოფლის საქმეებში ჩავაბათ. აი, ხომ ხედავთ, ნატოს, როგორ იღიმება? გაღიმება კაი იცის, მარა აშენება რამდენად ეხერხება, ეს თქვენმა შვილმა უნდა შეამოწმოს. მაშ, როგორ ფიქრობთ, ჩვენი სოფლის აშენება განა მარტო ხარიტონს და მე შემეხება? თქვენც არ მომიკვდეთ, ვინც ჩვენი სოფლის მიწაზე ფეხს დაადგამს, ასე ადვილად ვერ გაგვექცევა. უნდა გვერდში ამოვიყენოთ! — განაგრძობდა ვარდენი.

— კეთილი, შვილო! — მიუგო ასმათმა, თავი დაუქნია და სახლისკენ გაბრუნდა.

ყველანი დასხდნენ.

ვარდენმა თამაზის მაგიდაზე გადაშლილი წიგნი შეათვალიერა, შიგ ნახაზები შეამჩნია და წამოიძახა:

— ბარაქალა, დაჭრილი კაცი სადოქტორო შრომას ამზადებთ! ეს ყველაფერი კარგია, ძვირფასო, მაგრამ ჯერჯერობით საჭიროა ჩვენ დაგვეხმაროთ და მერე თქვენ იცით!

— დიახ, ამხანაგო თამაზ! — ჩაერია ლაპარაკში ხარიტონი და ნიკაპზე ხელი მოისვა, ყოველ სიტყვაზე მარჯვენა თვალს ოდნავ ხუჭავდა. — ჩვენ ერთი ახალი საქმე დავიწყეთ. ჩვენს სოფელს შესაფერი კლუბი არა აქვს და გადავწყვიტეთ ახალი ავაგოთ. აი, გეგმის შედგენა ამ ახალგაზრდა ინჟინერ ქალს, ნატოს მივანდეთ. ნატომ წელს დაამთავრა საინჟინრო, ახლა სოფლად ისვენებს. ჩვენ კი არ მოვასვენეთ და საქმეებში ჩავაბეთ. ახლა ესკიზები თქვენ მოგიტანეთ, უნდა გადახედოთ, გვირჩიოთ, რა აკლია, რა უნდა [illegible]

ნატო ყურადღებით [illegible] ლოდ ზოგჯერ ქურდულად შეავლებდა თვალს თამაზს, უნდოდა გამოეცნო, როგორ გავლენას ახდენენ ვარდენისა და ხარიტონის სიტყვებიო. მერე იმ პაპკას გადახედავდა რომელშიაც მის მიერ შედგენილი ესკიზები ელაგა. თამაზი ერთნაირი ყურადღებით უსმენდა ვარდენს და ხარიტონს.

— თქვენ, ალბათ, იცით, რომ მე არქიტექტორი არა ვარ. მართალია საარქიტექტოროზე ვსწავლობდი, მაგრამ შემდეგ მექანიკამ დამაინტერესა.

— ჰო და, ძვირფასო, ეს ჩვენც ვიცით! — დაიძახა ვარდენმა. — ჩვენ საქმეს მექანიკოსიც ესაჭიროება და არქიტექტორიც.

თამაზმა ნახაზები მაგიდაზე გაშალა.

ნატო თამაზს მიჩერებოდა და გული უთრთოდა...

ვარდენი და ხარიტონი ხმას არ იღებდნენ. მხოლოდ ვარდენი ზოგჯერ ეშმაკურად თვალს ჩაუკრავდა ხარიტონს, მერე ნატოსაც გადახედავდა, იღიმებოდა.

— გასაგებია, — ცოტა ხნის შემდეგ წარმოსთქვა თამაზმა და ნახაზები მაგიდაზე დააწყო. — ესკიზებს განვიხილავთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა საშუალებები გაქვთ, რა თანხა შეგიძლიათ დახარჯოთ.

— თანხები? — გაიკვირვა ვარდენმა, — ეს რაღა სათქმელია, ძვირფასო! თანხები და საშუალებები რამდენიც საჭიროა იმდენი იქნება!

— დიახ, იქნება, მილიონერები ვართ, თამაზ, უსახსრობა არ შეგვაშინებს, — დაეთანხმა ხარიტონიც.

— ეს ნახაზები და ესკიზები ინჟინერს, — განაგრძო თამაზმა, ცუდად არ შეუდგენია, კეთილსინდისიერად უმუშავნია, მაგრამ მასშტაბი ძალიან მცირეა... ამას ინჟინერს ვერ დავაბრალებთ. ჩემის აზრით, კარგად ვერ გა-

გითვალისწინებიათ თქვენივე შესაძ-ლებლობა და მოთხოვნილება.

ნატო ოდნავ დამშვიდდა. გულის სი-ღრმეში მაინც აწუხებდა, რომ თავის დროზე რატომ იგივე აზრი არ გამოსთ-ქვა და დავალება ბრმად შეასრულა.

— ჩანს, თქვენ ამ შენობის ქვედა სართულში კლუბს ვარაუდობთ, — ზე-ვით ოთხ ოთახს, ისიც ხის მასალით, ჩვენს პირობებში, მიუღებელია ასეთი შენობა. უპირველეს ყოვლისა, საჭი-როა მარტო დღევანდელ მოთხოვნილე-ბას კი არ გავუწიოთ ანგარიში, არამედ ხვალინდელსაც...

— მართალია, მართალია თამაზ! — დაემოწმა ვარდენი.

ხარიტონი ღიმილით მიჩერებოდა თამაზს.

— ამიტომ ჩვენი შესაძლებლობა მთლიანად უნდა გამოვიყენოთ. შეიძ-ლება პირველ ხანებში ცოტა გაგვი-ჭირდეს, სამაგიეროდ ერთხელ აშენე-ბულს, ხელახალი აშენება არ დაჭირ-დება... ჩემის აზრით, უნდა აშენდეს ერთი დიდი, ქვის, ან აგურის ლამაზი შენობა. ამ შენობაში იქნება კლუბი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სოფსაბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა, სასტუმრო ოთახები და სხვა პატარა კულტურუ-ლი დაწესებულებები... თუ თქვენც ასეთივე აზრის იქნებით, მაშინ ახალ-გაზრდა არქიტექტორს შესაძლოა მეც მივცე ცოტა რამ რჩევა.

— ამხანაგო თამაზ, ჩვენ არ შევმც-დარვართ, როცა პირდაპირ თქვენთან მოვედით, — კმაყოფილებით წარმოსთ-ქვა ხარიტონმა და ქუდი მოიხადა, გვერდზე გადავარცხნილ შავ თმაზე ხე-ლი გადაისვა.

ვარდენმა სერიოზული გამომეტყვე-ლებით ხარიტონს გადახედა და ღიმი-ლით უთხრა:

— ძვირფასო, თამაზმა ისეთი სურა-თი გადაგვიშალა, რომ ახლა ჩვენს შე-ჩერებას ეშმაკი ვეღარ შესძლებს. სახ-სრები გვეყოფა, ხე-ტყე ჩვენს ხელთაა, აგურს ვამზადებთ, ცემენტს, რკინე-ულს საღებავებს და სხვა. წვრილმანს ვიშოვით. ახლა თქვენ [illegible] სო, რა მალე გაგვიკეთებთ პროექტს..

თამაზი ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემ-დეგ ყოყმანით წარმოსთქვა:

— გეჩქარებათ? ვეცდები, მე შემიძ-ლია ოცდაოთხი საათი ვიმუშაო, — ნა-ტოს შეხედა. — არ ვიცი, ნატო რას ფიქრობს.

— ჩვენი ნატო ერთი წუთითაც არ მიგვატოვებს, ძვირფასო! ხვალ დილი-დან აქ გაჩნდება და მერე კი თქვენ იცით!

თამაზმა პაპიროსი ამოიღო, სტუმ-რებს მიაწოდა და თითონაც მოწია! ნა-ტოს არ უცქეროდა. ეს ქალი მისთვის იმდენად იყო საინტერესო, რამდენა-დაც მისი სტუმრობა საქმესთან იყო და-კავშირებული.

— პატივცემულ თამაზს დასვენება სჭირდება. ჩვენ მას მუშაობით ვერ დავტვირთავთ, — როგორც იყო გაბე-და ნატომ ხმის ამოღება. გაწითლდა, თვალები დახარა. — მე მხოლოდ კონ-სულტაციისათვის მოვალ თქვენთან, ბა-ტონო თამაზ. სხვა მხრივ არ შეგაწუ-ხებთ.

— არა, ნუ მომერიდებით, როცა დაგჭირდეთ, ყოველთვის მზადა ვარ. — ისე უპასუხა თამაზმა, რომ არც შეუ-ხედავს ნატოსთვის.

— მაშ, ჩვენი საქმეები გაჩარხულია და იცოცხლეთ, ძვირფასებო! — დაი-ძახა ვარდენმა და წამოდგა, შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო. — ახლა კი მეორე საქმე გვაქვს თქვენთან. აქ მარ-ტო იმისათვის კი არ მოვედით, რომ ჩვენი საქმე გაკეთებიოთ. არა. ძვირფა-სო. ჩვენი საქმიანობაც უნდა გიჩვე-ნოთ. უნდა ნახოთ, რა გაგვიკეთებია, როგორ გვიმუშავნია თქვენი ფრონტ-ზე ყოფნის დროს. არც ჩვენ ვიჯექით გულხელდაკრეფილი, ძვირფასო. ხომ ასეა, ასმათ? — უთხრა სამზარეულო-დან გამოსულ ასმათს.

ასეა, შვილო, სულ სახლში ზის ჩემი თამაზი. მეზობლებთანაც კი არ გადასულა ჯერ.

— სიამოვნებით წამოვალ, ვარდენ, წარმოსთქვა თამაზმა. — მაგრამ...

— „მაგრამს“ თავი დავანებოთ, არ ძიყვარს „მაგრამ“. სადაც „მაგრამ“ იწყება, ის საქმე ფუჭდება. — მოუჭრა ვარდენმა.

თამაზმა თანხმობის ნიშნად ხმა აღარ გასცა, მხოლოდ დედას გაულიმა.

დედამ იგრძნო, რას ნიშნავდა თამაზის ღიმილი.

— ახლავე, შვილო, — დაიძახა და ოდა-სახლისკენ წავიდა.

ნატოს, ერთის მხრივ, სინანულის გრძნობა იპყრობდა, რომ მისი ესკიზები თითქმის უვარგისი გამოდგა. მეორე მხრივ, იმდენად იტაცებდნენ თამაზის მიერ გამოთქმული ახალი აზრები, რომ სინანული ქრებოდა, მის ადგილს სიხარული იჭერდა.

თამაზიც გრძნობდა, რომ მის კარჩაკეტილ ცხოვრებაში დღეიდან რაღაც ახალი შუქი ლამობდა შეჭრას. ახარებდა, რომ მისი სიყრმის ამხანაგები ვარდენი და ხარიტონი მასთან მოვიდნენ რჩევის საკითხავათ, მას ისე ეჭცეოდნენ, როგორც ახლობელს, რომ იგი საჭირო კაცი იყო მათთვის, მას რაღაც სარგებლობის მოტანა შეეძლო თავის სოფლისათვის და რომ ის ძველებურად უყვარდათ აქ პატივსა სცემდნენ.

— ეს რა ამბავია, ასმათ ბატონო, კალანდა ხომ არ გათენებულა, ამოდენა ხორაგი მთელ ჯარს ეყოფა. — შესძახა ვარდენმა ასმათს, მიეგება და გოზი ჩამოართვა.

— ოღონდ, თამაზი მყავდეს კარგად და ჩემთვის ყოველდღე კალანდა იქნება, ჩემო ვარდენ. — უთხრა ასმათმა და სუფრის გაშლას შეუდგა.

— ჩვენ გვეჩქარება, დეიდა ასმათ. — დაიწყო ხარიტონმა, მაგრამ ვარდენმა შეაწყვეტინა.

— აპა, მეჩქარება რას ძიქვია, ძვირფასო! ასმათის ხაჭაპურებს რავა გავექცევი. დაბრძანდით, სულერთია, ასმათი მაინც არ გაგვიშვებს აქედან, თუ თამაზი არ ვუდღეგრძელეთ, ოჯახი არ დავულოცეთ. — თქვა ვარდენმა და თვითონ პირველი მიუჯდა მაგიდას.

შოფერსაც დაუძახეს და ყველანი სუფრას შემოუსხდნენ.

ნატოს ტუჩთან მიჰქონდა ჭიქა, ღვინოს ოდნავ მოსვამდა, ჭიქას დასდგამდა. ღვინის ფერი მისი თმისა და სახის ფერს ეხამებოდა, მისი მოხდეხილი ტანი, განიერი მხრები და მაღალი ყელი, მწვანე ფონზე სურათივით მოჩანდა.

ვარდენი წამოდგა:

—მეგობრებო, ერთი სათხოვარი მაქვს. ბაბუა ქაიხოსრო უნდა მიჩვენოთ, როცა მას ვხედავ, ადამიანი უკვდავი მგონია!

წამოიშალნენ, ჭიქებით ხელში ბაბუასთან მივიდნენ.

— გამარჯობა, ძვირფასო, ბაბუა! — ჩასძახა ყურში ვარდენმა.

— რომელი ხარ, ბაბუა?

— შენი ვარდენი ველარ იცანი? კოლექტივის სახელით გადღეგრძელებ, ბაბუა! — უთხრა ვარდენმა, — ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა. — აიღე, შეგერგოს!

— რას მეუბნები!.. ჩემი ვარდენი! გაიხარე, შვილო! — წარმოსთქვა ქაიხოსრომ და ღვინით სავსე ჭიქას ტუჩი შეახო, ნელ-ნელა შესვა.

ვარდენმა კვლავ ყურში ჩასძახა:

— აგაშენოთ, ბაბუა!

იმ ხმებში, რომლებიც ბაბუა ქაიხოსროს სადღეგრძელოს ამბობდნენ, ვიღაც უცნობი ქალის ხმაც ჩაესმა მოხუცს და ცალი თვალით იქითკენ მიიხედა:

— შენ, რომელი ხარ, ბაბუა?

— მე ნატო მქვია.

— ნატო... ნატო... — მოხუცმა თითქოს გაკვირვებით გაიმეორა, ბოლოს დალოცა: — კარგად იყავი ბაბუა.

წავიდნენ.

თამაზი შოფერის გვერდით დასვეს და მანქანა დაიძრა.

ასმათმა ავტოს სიხარულით გაადევნა თვალები, ხელები გულზე დაიწყო და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— იცოცხლეთ, შვილებო.

3.

კარგ გუნებაზე მყოფმა სანდრომ თავისებური ამბები დაიწყო:

— ბაბუა ქაიხოსროც ომში რომ წასულიყო, იმ ბებერ მუხას თან წაიღებდა.

ვარდენი ხარხარებდა.

სხვა დროს სანდრო უფრო მორცხვი იყო, მაგრამ როგორც კი საჭეს მიუჯდებოდა, თავს მდგომარეობის ბატონპატრონად გრძნობდა. ოხუნჯობდა, ჰყვებოდა გაგონილს, ნახულს, ზოგ რამეს თვითონ იქვე სთხზავდა.

თამაზი ავტოს გამოღებულ სარკმელში იხედებოდა, ახალ-ახალი სურათები იშლებოდა მის წინ.

აქ, მუქად ამწვანებული ვენახების გაბმული მწკრივები, აგერ ლიმონების, ფორთოხლების, გრეიფრუტებისა და მანდარინების გაძლიერებული, ერთმანეთს შეერთებული ხშირი ბუჩქები, უცხო ქვეყნიდან მოსული ტუნგოს ნარგავები, ხურმები, უფრო შორს ხეხილის ბაღები, ლურჯ ფოთლება ფეიხოათ ამოვსებული ტაფობები და ჩაის ბუჩქები. ამ ბუჩქებში თითქოს თეთრი მტრედების გუნდები ჩამსხდარანო, ჩაის მკრეფავი ქალიშვილები დაგოგმანობდნენ.

აქ, გზის პირად გამწკრივებულ ევკალიპტების ჩრდილში ავტო შეჩერდა. ჩამოვიდნენ და სანდროს გაბმული ბაასიც შეწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ, თითქო ძალდატანებულ იტკარცალესო, ქალიშვილების კისკისი გაისმა. შედგნენ. ჭილოფის ვეებერთელა ქუდები გაისწორეს და ისევ ჩაის კრეფა განაგრძეს.

ვარდენმა ფართო სახეზე ხელი ჩამოისვა, მერე მკლავი გაშალა:

— აი, ჩვენი ფრონტი, თამაზ! აქ დიდი ბრძოლა გვაქვს! მთელ საბჭოთა კავშირში მიდის ამ ქალიშვილების მიერ მოკრეფილი ჩაი. ვინ არ ახსენებს მათ: რუსი თუ უკრაინელი, ბელორუსი თუ უზბეკი, სად არ ნახავ „ქართულ ჩაის“, „საქართველოს თაიგულს“ — უცებ გაჩუმდა, ხელი გადახვია მხარზე თამაზს. — თამაზ, ერთ ვისმეს გიჩვენებ, და ვნახოთ, თუ იცნობ!

— ვინ უნდა მიჩვენო?

— წამოდი.

ფერდობზე, სადაც ჩაის ბუჩქები ერთმანეთს ლარივით ასდევნებოდა, თამაზი ჯოხის ბიჯებით ადიოდა და თითქოს, ახლა უფრო თამამად მიაგამდა დაშავებულ ფეხს.

ქალიშვილები გაიტრუნენ, მხოლოდ ჩაის ბუჩქებზე მოწყვეტილი ფოთლის ტკაცანი ისმოდა. ისინი ორივე ხელით ჰკრეფდნენ და ხელში დაგროვილ ჩაის ფოთოლს წელზე ჩამოკიდებულ კალათებში ყრიდნენ.

მათ შორის ჩაის მწკრივებში დაწინაურებული ორი გოგონა ყველაზე სწრაფად ჰკრეფდა. ისინი ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ, ჩაის მწკრივებს გამალებით მისდევდნენ და მხოლოდ ზოგჯერ თუ გაჰხედავდნენ ერთმანეთს... თუ რაიმე მიზეზის გამო რომელიმე გოგონა სიჩუმეს დაარღვევდა, ყველა მას აჰყვებოდა. რამდენად უეცარი იყო მათი ახმაურება, ასევე უეცრად დადუმდებოდნენ.

ვარდენი ამ ორ გოგონასთან შეჩერდა. ერთს მიაჩერდა და თამაზს ჰკითხა:

— ხომ არ იცნობთ, ძვირფასო?

— ციალა! — დაიძახა თამაზმა.

ციალამ გაულიმა, თავი მხიარულად დაუქნია და ჩაის კრეფა განაგრძო.

ეს გოგონა თამაზმა ომში გამგზავრების წინ სულ ბავშვი დატოვა! ასე რა ძალამ გაიტაცა? რა ძალამ წარმოშვა მასში დაუცხრომელი მისწრაფება?

— ამათ, ძვირფასო, ნუ ეხუმრებით! ამათი სახელი რადიოში ყოველდღე ისმის. ამ რგოლს ხუთი ჰექტარი აქვს ჩაბარებული და ყოველ ჰექტარზე ხუთმეტი ტონა ჩაი უნდა მოიყვანოს. ხმას რომ არ იღებენ, განა ფიქრობთ ჩუმად არიან? არა, ძვირფასო... „ჩვენ უბრალო ქალიშვილები ვართ, მაგრამ ყველა ერთად დიდ საქმეს ვაკეთებთ და ბელადისადმი მიცემულ სიტყვას არ გავტეხთ!“ — აი, გულში რას ამბობენ! — განაგრძობდა ვარდენი.

ქალიშვილები იღიმებოდნენ.

— რამდენი მოკრიფეთ? — იკითხა ვარდენმა.

— ერთი ტონა და ასი კილო უკვე წაიღეს, — უპასუხა ციალამ.

— ოჰო, დღევანდელი ნორმა უკვე გადაჭარბებით შეუსრულებიათ, — წამოიძახა ვარდენმა და მზეს ახედა.— დღის დალევამდე, კიდევ ბევრს მოკრეფენ!

— უნდა მოვკრიფოთ, ბიძია ვარდენ.

— გესმის, ძვირფასო, თამაზ? — ჰკითხა ამაყად ვარდენმა — აი, ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები. აი, ახალი ადამიანები. კლუბს კი არა, ოქროს სასახლეებს დავდგამთ, ამათი შრომითა და გარჯით. წავიდეთ, ახლა ამათ ბრიგადირს გიჩვენებ, თამაზ, — უთხრა და წინ გაუძღვა.

პლანტაციის დასავლეთით, ისე ახლო მოსჩანდა ზღვა, თითქოს შეიძლებოდა ხელი მიეწვდინა კაცს.

მშვიდი ზღვა მოკალულივით პრიალებდა და ციმციმებდა.

— ზღვა... თქვენ ზღვა გიყვართ? — შეეკითხა თამაზს, შემთხვევით მის გვერდით გაჩერებული ნატო და ციბ-ფერი თვალები სახეში მიაშუქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზმა თითქოს გაკვირვებით ახედა.

— კარგია ზღვა.

— მე მაშინ მიყვარს, როცა ღელავს.

— „როცა ღელავს“—თავისთვის ჩაილაპარაკა თამაზმა.

— აი, ჩვენი ყანები, ზღვის დაბლობებში, რომ გაწოლილა! როცა ასეთ ჩაშავებულ ყანებს ვუცქერით, გული გვეხსნება.

— წავიდეთ იქ! —სთხოვა თამაზმა ვარდენს.

ჩაყვნენ ფერდობს.

— ამათი ბრიგადირი ესტატე ცალფეხა კაცია. ერთი ფეხი სტალინგრადში დატოვა, მაგრამ ათი კაცის საქმეს მაინც აკეთებს არ ისვენებს. დღედაღამ გარჯაშია. დილით ჩიტები ადგომას ვერ ასწრებენ, შედგება ალაგეზე, „უუ-ს“ იძახის და ხალხს აღვიძებს. თუ დრო იშოვა, აკორდეონს შეყვარებულივით გულში ჩაიკრავს, მოეხვევა და ააჟღრიალებს.

ჯერ ჩაის პლანტაციები, მერე ციტრუსების ბაღები უკან დატოვეს.

დაივაკეს. — ყანები დაიწყო.

აქედან ევკალიპტების ხეივანში ლარივით გამართული გზა ზღვას უერთდებოდა. მარჯვნივ და მარცხნივ აბიბინებული სიმინდის ყანები ლაღად ღელავდნენ.

შორს, ამწვანებული ყანების სიღრმიდან, ვიღაც აქეთ მომავალი შენიშნეს. მას თავზე ჩამოფხატული ჭილის ქუდი ორბის ფრთებივით ერხეოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო ემჩნეოდა, რომ იგი კოჭლობდა.

— ესტატე მოდის! — დაიძახა ვარდენმა და ბრიგადირისაკენ ხელი გაიშვირა. — შეხეთ როგორ მოჰქრის კოჭლი აფთარი!

მართლაც, ჯოხის ბიჯებით, მაგრამ სწრაფად მომავალი ესტატე ფეხს ისე შორიშორ მოადგამდა, გეგონებოდათ

მიწას ზომავსო. პერანგის ამარა იყო. გახდილი ხალათი დაეხვია, დაეძრგვალებია და ქამარზე შეეკრა. რამდენ ფეხს გადმოსდგამდა, წელზე თასმით მიმაგრებული ხალათი იმდენჯერ ფრინველივით შეხტებოდა და შეიფართხალებდა.

— გამარჯვებათ! — შორიდანვე დაიძახა ესტატემ და თამაზის პირდაპირ უეცრად შედგა. — თამაზ, მშვიდობით დაგვიბრუნდი. — მთელი სახით გაუღიმა, ხელი ჩამოართვა.

— ესტატე, ძლივს გიცანით!

— მე კი შორიდან გიცანით, თამაზ! — უპასუხა ესტატემ. — უნდა ძენახეთ, მაგრამ, როცა ღამით სახლში ვბრუნდები, თქვენთან მოსვლა უკვე გვიანაა, როცა მივდივარ, ძლიერ ადრეა! კვირაობითაც არა ვარ შინ.

— გახსოვს, მოსკოვში რომ შევხვდით ერთმანეთს?

— რა დამავიწყებს, ჩემო თამაზ. ძართალი გითხრა, მაშინ არ მეგონა, თუ ისევ ვნახავდით ერთმანეთს.

— შეხვდით და სასახელოდ დაბრუნებულები! — შესძახა ვარდენმა. — ახლა ჩვენი ესტატე აქ იბრძვის მაღალი მოსავლისათვის! თამაზიც ჩავაბით ამ ბრძოლაში, ძვირფასო ესტატე!

მახლობლად ნადურს მღეროდნენ. იმ ხმებში თამაზს თითქოს მამამისის ხმაც ესმოდა. განა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, როცა ძმები აქ, მამასთან ერთად ყანას თოხნიდნენ და მეზობლებთან ერთად ნადურს მღეროდნენ?... მაშინ ყმაწვილი იყო თამაზი. ზაფხულის არდადეგებზე შინ ჩამოდიოდა, მხარში ედგა მამას.

მინდვრად ყველა ბრიგადა და რგოლი დაათვალიერეს.

მზე მიიწურა, მაგრამ ცისკიდური ჯერ ისევ წითლად ენთო. აქა-იქ მიმოფანტული ღრუბლების მცირე ნაფლეთები მრავალფერად ლივლივებდა.. გორაკებზე თითქმის ყოველ წუთს იცვლებოდა ფერები.

თამაზი თვალს არ აშორებდა ფერთა ამ გასაოცარ ცვალებადობას.

აღმართი აიარეს და, როცა ქვევით დაეშვნენ, მათი მანქანის გვერდით საბარგო მანქანამ ჩაიქროლა.

— ვისი მანქანა იყო, სანდრო? — ჰკითხა ვარდენმა შოფერს.

— ვასილასია! ჩვენი მასწავლებლის, სალომეს ქალიშვილები მიჰყავს სოფელში. მგონი, თამარი უგუნებოდ ყოფილა. ასე სთქვა, ვასილამ.

თამაზს თითქოს ხელი ჰკრესო თამარის ხსენებაზე. სახე გაუფითრდა. ასე მოეჩვენა, თითქოს ყველა მას მიჩერებოდა.

მხოლოდ ნატომ შეატყო თამაზს ცვლილება. ვერ მიმხვდარიყო, რატომ გაფითრდა იგი.

ციტრუსების ბაღებში მამაკაცთა სიმღერა ისმოდა, ჩაის პლანტაციებში კი ქალთა კისკისი. ეს სამუშაო დღის დასრულებას ნიშნავდა.

მახლობელ გორაკებზე ტერასებად გაშენებულ ჩაის პლანტაციებიდან სიმღერით ჩამოდიოდნენ ქალები. თამაზი მანქანის სარკმელიდან იცქირებოდა, მაგრამ ფიქრით ისე იყო გართული, რომ არაფერს ხედავდა. გულში ოდნავ მიმქრალი ცეცხლი კვლავ გაღვივებოდა. ახლა იგრძნო, რომ ყველა დუმდა: „ალბათ ყველამ იცის ჩვენი ამბავი... თამარი უგუნებოდ არისო? მერე რაა, რატომ ვფიქრობ ამაზე? რატომ მდევს თან მისი ამბები“.

— თამაზ, ალბათ დაიღალე, ძვირფასო! — დაარღვია სიჩუმე ვარდენმა. — არაფერია, მალე შინ მიგიყვანთ და მოისვენებ. მინდოდა კრებაზე წამეყვანე, ჩვენი ხალხისათვის ყური რომ დაგეგდო, მაგრამ ამას შემდეგშიაც მოვესწრებით, ძვირფასო!

— კეთილი, ვარდენ, — დაეთანხმა თამაზი.

— ხვალ კი თანახმად ჩვენი შეთანხმებისა, მზის ამოსვლამდე, ნატო ამოვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შე კაცო, მზის ამოსვლამდე რა ამბავია! — ჩაურთო ხარიტონმა.

თამაზი მძიმედ ჩამოვიდა ავტოდან, ყველას გამოემშვიდობა და ეზოში შევიდა...

ღამე ძილი გაუკრთა... რამდენი რამე ნახა და განიცადა დღეს. ყველგან სიცოცხლე, მისწრაფება, გატაცება. ყველას ერთი, საერთო ძალა ამოძრავებს, აცოცხლებს.

შუაღამე გადასული იყო, ეზოში რომ ძაღლი აყეფდა. მერე აივანზე ამოსული უფროსი ძმის — გიორგის ხმა შეესმა თამაზს და ახლა მოაგონდა, რომ გიორგი კრებაზე იყო წასული... ალბათ, ის ციალაა, წინა ოთახში რომ კარი შეაღო.

„მოიცა, მამა, სანთელს ავანთებ და გამოვიტან“ — გაიგონა თამაზმა ციალას ხმა.

როცა ლამფა აანთეს, დედა ასმათისა და რძლის, მატრონეს, ლაპარაკიც გაიგონა. ჭურჭლის ხმაურზე ეტყობოდა, რომ კრებიდან დაბრუნებულ მამაშვილს სუფრა იქვე, აივანზე გაუშალეს.

— შვილო, ციალა როგორ გაბედე, ამოდენა ამბავი როგორ იკისრე?... — მოესმა თამაზს გიორგის ხმა. — რვატონა ჩაის მოვკრეფო, რომ განაცხადე, იცი ეს რას ნიშნავს?

ნუ გეშინია, მამა, ჩემს პირობას შევასრულებ, — უპასუხა ციალამ.

— შენ იცი, შვილო, თუ არ შემარცხვენ, — უთხრა სიყვარულით მამამ ციალას.

— აი, შენ იცოცხლე, ჩემო ბებია, სასახელო ბავშვი მყავხარ! — უთხრა ასმათმა.

— თქვენ უნდა გენახათ, როგორ მივიდა რაიკომის მდივანი ციალასთან! — ესმოდა გიორგის ხმა. — როგორ ჩამოართვა ხელი. რაიონის საამაყო ქალიშვილი ხარო, აბა შენ იცი, სირცხვილი არ გვაჭამოო. თუ რაიმე გაგიჭირდეს, ნუ მომერიდებიო. რა უნდა გაგვიჭირდეს ისეთი, რომ თქვენ შეგაწუხოთო, მიუგო ციალამ. ვინც გულით მუშაობს, იმას არ გაუჭირდებაო. ვინც ბელადს პირობა მისცა, იმას ხელს ვერავინ შეუშლისო.

კარგა ხანს გრძელდებოდა ბაასი.

გვიან დაწვნენ.

ყველა ოთახი მყუდროებამ მოიცვა.

თამაზი ვერ იძინებდა. რამდენი ახალი თვისება შეუძენია სოფელს. საზოგადო ინტერესი ყოველ ოჯახში შეჭრილა და ბევრი რამ პირადული გაუდევნია. მისი ფიქრები მალე ისევ თამარს დაუბრუნდა. თამარი ქალაქში დატოვა, ახლა კი...

სარკმელი უეცრად განათდა; ელვამ ცა გაჭკვეთა, გამაყრუებელი გრუხუნი გაისმა.

თამაზმა უცებ წამოიწია, მაგრამ სახურავზე გახმაურებულმა ძლიერმა წვიმამ მოაგონა, რომ შინ იყო და არა ფრონტზე. ლოგინში წამოჯდა. ჭექა-ქუხილით თითქოს ცა ინგრეოდა.

თამაზს ოდერზე გადასვლის ღამე მოაგონა. ვეღარ მოითმინა, ადგა ჯოხი მოიმარჯვა და აივანზე გავიდა.

ელვა ხან ზღვას დაანათებდა, ხან მთას; სივრცე იხსნებოდა, მის სიღრმეში თითქოს თვითონ ცის განათებული გული ჩნდებოდა. ეს გული დედამიწას დააშუქებდა, უმალ ქრებოდა და ყველგან, სადაც ელვის ტალღები შეიჭრებოდა, ჭექა-ქუხილიც ზედვე ერთვოდა.

აჰა, ელვის ისარი მიწას დაენარცხა, იქვე მეხი დაეცა, — კრთოდა ნაკუწებად ქცეული ღამე. ქარში ერთმანეთს ეხლებოდნენ ხეები, მიწამდე იხრებოდნენ, რტოებს ვით ხელებს თავში იცემდნენ და მოდიოდა კოკისპირული ძლიერი წვიმა.

აივანზე შეჭრილი წვიმის შხეფები სახეში სცემდა თამაზს. მაინც არ იძროდა.

სველ სახეზე რაღაც შვებით ისობდა ხელს.

ქარიშხალი შენელდა, თითქოს გულისჯავრი მოიკლაო ბუნებამ და ახლა თამაზიც თითქოს დამშვიდებული დაბ-

რუნდა ოთახში. დაწოლისთანავე თვალები დაეხუჭა და ჩაეძინა.

თავი მეოთხე

იმ სალამოს, თამაზმა რომ თამარი უცხო კაცთან მოცეკვავე ნახა და უკან გამობრუნდა, გაფითრებული და იერშეშლილი თამარი, ტახტზე დაეშვა, მაგიდასთან მდგარ ისიდორეს სახე მოარიდა.

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ გაოგნებული ისიდორე მივიდა, მხარზე ხელი მოკიდა და გაბრაზებული ხმით შეეკითხა:

— რა მოხდა, თამარ?

თამარმა იგრძნო, რომ არ შეიძლებოდა არ ეპასუხნა ისიდორესათვის, არ ეთქვა სიმართლე. მაგრამ ამისათვის ნებისყოფა არ ეყო.

— არაფერი მომხდარა, ისიდორე. — უპასუხა დაბნევით.

— მაინც?

— იმ კაცს მე მოვწონდი, — დაიწყო თამარმა. ისიდორეს ახლაც არ შეხედა.

— ჰა, ჰა! — გაისმა ოთახში შემოსული გენრიეტას სიცილი, — მოსწონდი, თუ უყვარდი, მშვენიერო?

— რას ამბობ, გენრიეტა! — შეკრთომით შესძახა თამარმა.

— მერე რა, განა შენც არ გიყვარდა, ჩემო დაიკო? დანიშნულიც იყავი, მტკიცე სიტყვაც მიეცით ერთმანეთს, მაგრამ ის ფრონტზე წავიდა, შენ კი აქ დარჩი. მერე რა ვუყოთ, მონაზონი ხომ არ იყავი?

— გენრიეტა, თამარი ზეზე წამოიჭრა. კარზე მიუთითა. — გადი ახლავე, გენრიეტა!

— ჰა, ჰა, — თითქოს ახლაც გაიცინა გენრიეტამ და დერეფანში გავიდა, — იქიდან მიაძახა: — გირჩევ, ჩემო დაო, სიმართლე თქვა! „წესიერი ქალი“ ხარ. განა ისიდორე ისე ცუდი კაცია, რომ დანაშაული არ გაპატიოს? გაპატიებს! ჰა ჰა! — გადაიკისკისა და კარი ჯახუხით მოხურა.

თამარს ასე გარკვევით [illegible] არ უნახავს გენრიეტას სახე. აი, თურმე ვინ ყოფილა მისი „ძველი მეგობარი“. აი, ვინ აურია ცხოვრების გზა-კვალი; მერე როგორ დასცინა, — „წესიერიო“. ეს სიტყვა პირუკუღმა ესმოდა თამარს.

გენრიეტამ ჩააგონა მას თითქოს თამაზს აღარ უყვარდა მაგრამ განა ამას მეტყველებდა ახლა თამაზის სახე? ახლა რაღა ჰქნას? ვეღარ დაუბრუნდება თამაზს. ახლა მაზე ოცნებაც კი ზედმეტი იქნება. წინ? დიახ, ისევ წინ! მაგრამ განა წინსასვლელ გზას ჩრდილი არ დაადგა? მერე რითი შეუძლია მოიშოროს ეს ჩრდილი?

— რა მოგდის თამარ?

თამარმა მხოლოდ ახლა გაბედა ისიდორესთვის პირდაპირ შეეხედა. მის გამომეტყველებაში თანაგრძნობა კი არა, საყვედური მოჩანდა.

— ეს საძაგელი გენრიეტა, თუ ჩემი ძველი მეგობარია, შენიც ხომ იყო? ყველაფერი, რაც მოხდა — მისი ბრალია, ხოლო ჩვენ ორში თუ ვინმემ დაამავა, უპირველეს ყოვლისა, ეს შენ გეხება.

— რას ამბობ, თამარ?

— სიმართლეს ვამბობ! — ხმას აუმაღლა თამარმა.

— გამაგებინე რაშია საქმე, ვინ იყო ის მამაკაცი. რა დავაშავე მე? ნუთუ ის, რომ შეგიყვარე? რა ვიცოდი თუ... — და ისიდორემ სიტყვა არ დაასრულა.

თამარი აწრიალდა, წამოდგა. ისიდორეს პირდაპირ შეჩერდა. მის თვალებში შეკავებული ბრაზი და მუდარა ერთად მოჩანდა: ალბათ საკმარისი იქნებოდა ოდნავი ბიძგი, ერთი ან მეორე მიმართულებით, რომ გაორებული გრძნობა გათიშულიყო და საბოლოოდ ერთს გაემარჯვნა. მაგრამ ჯერ ამ ბიძგის წუთი არ დამდგარიყო, ან მის დად-

ბომას არა მარტო თამარი, ისიდორეც ერიდებოდა. ამიტომ თამარმა ისევ ამ გაორებული გრძნობით მიუგო:

— ისიდორე, მე დავაშავე, რომ მაშინ არ გითხარი. მაგრამ გენრიეტამ ხომ ყველაფერი ადრევე გიამბო და შენ იცოდი.

— მე არაფერი არ ვიცოდი და ახლაც არ ვიცი, რაშია საქმე.

თამარი ცრემლს ძლივს იკავებდა. ისიდორე ხედავდა ამას და გულისტკივილით შეჰყურებდა.

— ისიდორე, — დაიწყო თამარმა ენის ბორძიკით, — რაც ახლა გენრიეტამ თქვა, მართალია. მაგრამ მუდამ ეგრე მართალი რომ ყოფილიყო გენრიეტა, მაშინ ჩვენ ალბათ ვერასოდეს ვერ შევხვდებოდით ერთმანეთს და იქნებ ეს საბედისწერო ნაბიჯიც არ გადამედგა.

— საბედისწერო ნაბიჯი, — გაიმეორა ისიდორემ. — რატომ, რატომ არ ვიცოდი, რატომ არ მითხარი დროზე, თამარ? მე ის კაცი მინახავს, ბევრი რამ გამიგონია მაზე კარგი. რა უფლება მქონდა მე, დამენგრია მისი ცხოვრება? თამარ, შენ გრძნობ, რა ჩავიდინეთ?

— ვიცი, ვიცი ისიდორე. — აღმოხდა ვედრებით თამარს. — მე ყველაფერს გეტყვი, ისიდორე. მაგრამ თუ ჩემს ერთგულებაში და სიყვარულში მჭვი გეპარება, მაშინ ნურაფერს მკითხავ.

ისიდორე კარგახანს გაფითრებული იდგა, მერე თამარის ხელი აიღო, თითქოს რაღაც უნდობლობის გრძნობით უცქეროდნენ ერთმანეთს, ისე ღელავდნენ რომ სიტყვას ვერ ამბობდნენ.

— ერგულებაში? არა... არ ვიცი! ორის წუთი, როცა დუმილი უკეთესი წამალია, ვიდრე სიტყვა...

— რად მელაპარაკები ეგრე?

— თამარ, აღარაფერს არ გეუბნები. ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე დღეს — იქნებ არც ხვალ, არც ზეგ. არასოდეს. იქნებ ასე ჯობია.

— ისიდორე! — ცრემლით ავსო თვალები თამარს.

იდგნენ, უცქეროდნენ ერთმანეთს და გრძნობდნენ, რომ ახლა სულსხვანაირად აფასებდნენ ყველაფერ იმას, რაც მათ დღემდე აკავშირებდათ.

— მოისვენე, თამარ. შენ დაღლილი ხარ, — ბოლოს ისევ ისიდორემ დაარღვია სიჩუმე. — მე წავალ. ხვალ გინახულებ.

ორთავეს რაღაც გრძნობა უკარნახებდათ, რომ მათი დღევანდელი გამომშვიდობება ჩვეულებრივზე უფრო ცივი არ ყოფილიყო, მაგრამ ვერ მოახერხეს.

— ნახვამდის, თამარ.

— კარგად იყავი, ისიდორე. ხვალ გიცდი.

— მოვალ, მოვალ.. — ერთხელ კიდევ დაპირდა ისიდორე და წავიდა.

თამარმა ფრთხილად მიხურა კარი. იქვე შეჩერდა. საოცარი სიმარტოვე იგრძნო. იდგა ოთახში. ყველასაგან გარიყულად ეჩვენებოდა თავი. შეაჟრჟოლა. მერე უცებ მოწყდა ფეხსაცმელი უთავბოლოდ მიჰყარ-მოჰყარა, ლოგინი გაშალა, შუქი ანთებული დატოვა და ლოგინში ჩაწვა.

მოაგონდა რომ დილით კახეთიდან ნინოს ელოდა. ამან გაახარა.

— „ნინო, მალე ჩამოდი ჩემო დაო, რამე ჭკვიანური მითხარი, მომეშველე“. ძილი არ ეკარებოდა. გენრიეტასთან დამეგობრებამ უნივერსიტეტის მეგობრებსაც ჩამოაშორა, განსაკუთრებით ანიკოს დაშორება უმძიმდა.

„ჩემო ერთგულო, დაო, ანიკო! შენი საყვარელი ხმა მომენატრა; გენრიეტამ მიღალატა — შენ მომეშველე. მოდით ჩემო მეგობრებო, დამიბრუნდით უნივერსიტეტის დღეებო“ — ახლა ყველას თავისკენ უხმობდა, ვინც მას კიცხავდა გენრიეტასთან მეგობრობის განახლებისათვის. ახლა ძალზე მიმზიდველად და თან მიუწვდომელ ბედ-

ნიერებად ეჩვენებოდა ყველაფერი ის, რაც უნივერსიტეტში სტუდენტობის დროსთან ერთად დატოვა. მისთვის ეს ყოველივე განუმეორებელი ბედნიერების ზმანება იყო. იქ დაბრუნება კი აღარ შეეძლო და ამის შეგნება უკლავდა გულს.

*
* *

როცა თამარის ბინიდან ისიდორე ქუჩაში გავიდა, ჩვეულებისამებრ თამარის აივანს ახლაც ახედა, მაგრამ როგორც სხვა დროს იქ თამარი აღარ იდგა, არ აცილებდა ღიმილით და ხელის ქნევით. ბედნიერი იყო ისიდორე, მას უკვე მთელი თბილისი იცნობდა, როგორც კარგ მომღერალს. დღითიდღე სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევდა. შეჰხაროდა სიცოცხლეს, მომავალს, შეჰხაროდა თამარს და ასე უცებ, მოულოდნელად... „თამარი და ასეთი, როგორ დავიჯერო? განა ოდესმე მოვიფიქრებდი ამას? თამაზს რად უღალატა? ჩემი გულისთვის?“ თავიდან არ შორდებოდა ეს აზრი. იგი არეული ნაბიჯით მიდიოდა. ირგვლივ ვეღარაფერს ცნობდა, ვეღარაფერს არჩევდა.

ასე გაოგნებული გაიარა მთელი გზა. როცა სახლში მივიდა დედა შეაკრთო მისმა გაფითრებულმა სახემ.

— შვილო, ისიდორე. რა დაგემართა?

— დამიგე, დედი! დავიღალე, ძალიან დავიღალე და მეძინება! — უთხრა დედას და თავის საწოლ ოთახში გავიდა. გახდა დაიწყო.

გაოცებულმა დედამ უსიტყვოდ გაუშალა ლოგინი. როცა ოთახიდან გადიოდა. მხოლოდ ეს უთხრა:

— ღვინო ხომ არ დალიე, შვილო?

— ღვინო? არა.

ისიდორე ჩაწვა. ვერ იძინებდა, ბორგავდა, თვალს ძალით ხუჭავდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. „შემიძლია თუ არა, გადავლახო ... ...

— თამარ, ასე როგორ დაგეძინა? ნახევარი საათია ვდგევარ, ვაბრახუნებ, ვრეკავ, გეძახი! როგორ ხარ? რაა ახალი?.. დავითი ხვალ თუ არა, ზეგ მაინც ჩამოვა და ვარდიკოსაც თან ჩამოიყვანს. პლეხუმის დამთავრებამდე მეც აქ დავრჩები. შენ აქ რალას უცდი, ჩვენთან რატომ არ ჩამოდი, ან გურიაში რად არ წახვედი?

— ადრეა, ნინო.

— აქ რას აკეთებ?

— მინდოდა სამსახური დამეწყო.

— სამსახური? მერე რა ცოდნა გაქვს, რომ იმსახურო?

— ცოდნა? რამეს კი შევძლებ.

— დაჩუმდი, თამარ! იმას არ ამბობ, რაც გულში გიდევს! ცოდნაც რომ გქონდეს, ამ სიცხეში რაღა დროს სამსახურის დაწყებაა? გურიაში წადი, დედასთან, ან ჩემთან წამოდი, კახეთში, და იქნებ სექტემბრიდან სწავლა განაგრძო.

— კარგი იქნებოდა... ასეთი ჭკვიანური აზრები, თავის დროზე რომ მომსვლოდა.

— მერე, ახლა ხელს რაღა გიშლის?

— ყველაფერი, — წამოცდა თამარს.

— რას ამბობ, თამარ? რა არეულად ლაპარაკობ, რა მოხდა? გულახდილად მიამბე, სანამ გვიან არაა.

— გიამბო?

— მითხარი, ახლა მაინც მითხარი სიმართლე. — ნინომ ხმა შეარბილა, თამარს ახლო მიუჯდა.

— იცი, ნინო? ცუდად ვარ. მერე, მერე გეტყვი... — არ დაასრულა თამარმა, თვალები დახუჭა.

ნინომ აივანზე გასასვლელი კარის სახელურს ჩაჭიდებული მალხაზი ხელში აიყვანა. ბავშვს სურვილი შეუსრულა, კარი გააღო და აივანზე გაიყვანა.

თამარი ლოგინის გაშლას შეუდგა. აივნიდან ნინოს ხმა შემოდიოდა:

— აქ დაიბადე, შვილო! ეს ჩვენი დედაქალაქია, აი მთაწმინდა! ის პატარა მატარებელი მთაზე ადის. იქაც წაგიყვან. სოფლურ ურემს არა ჰგავს, მალხაზ! არც ხარებია შიგ ბაგონი, თავისით მიიწევს მაღლა, მაღლა! ჩვენ შიგ ჩავჯდებით, სულ ზევით, ძია სტალინის დიდ ბაღში შევალთ.

მალხაზს დედის ნაამბობიდან არაფერი ესმოდა, მაგრამ მაინც ხელებს ისე იქნევდა, ისე ფართხალებდა, თითქოს აფრენას ლამობსო.

— ახლა შინ შევიდეთ! — უთხრა ბიჭუნას და სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. შვილი იატაკზე დასვა.

ბავშვმა ორიოდე ნაბიჯი მოიცვალა, შეირხა, თავი ძლივს შეიმაგრა. ისევ წინ გასწია, წაბორძიკა, ხელები გაშალა და იატაკზე დაეცა...

დედა არ მიეშველა, როგორც მერცხალი თავის ბარტყს ფრენას ასწავლის, ისე ასწავლიდა ნინო სიარულს თავის პატარას.

— მალხაზ, აბა, წამოდექი.

მალხაზი ხვნეშითა და დიდი ვაივაგლახით ძლივს წელში გაიმართა, წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა, მაგრამ ისევ წაბორძიკდა, დაეცა და ტირილი მორთო.

— აი, შე ვაჟკაცო, შენა! — მიაძახა ნინომ, მიირბინა და აიყვანა.

ბავშვს ბროლის ნამსხვრევებივით სახეზე გადმოყრილი ცრემლი მოსწმინდა, გულში ჩაიკრა.

თამარი ღიმილით შეჰყურებდა ნინოს, უნდოდა ჩამოერთმია ბავშვი, მასაც ჩაეკრა გულში, მიალერსებოდა, მაგრამ რატომღაც ვერ ბედავდა.

ნინომ ტახტზე დასვა მალხაზი. ოთახი შეათვალიერა, არ მოეწონა. ტანთ გაიხადა, ხალათი ჩაიცვა და საქმეს შეუდგა.

— თამარ, როგორ აგრეევია აქ ყველაფერი, რასა ჰგავს ოთახი? სკამიც არა დგას თავის ადგილას... — ამბობდა ნინო და ტრიალებდა ოთახში, იქაურობას ასუფთავებდა, ალაგებდა.

— ნინო, დაისვენე! ალბათ, წუხელ არ გიძინია, მე დავალაგებ.

— მგონი, შენ არ გიძინია თვითონ. ძოისვენე. ჩემთვის საქმე დასვეხებაცაა და გართობაც.

რადგან ნინო თავისას არ იშლიდა, თამარი ხმისამოუღებლად ეხმარებოდა.

ყველაფერი დაასუფთავეს. ფახჯრები დაწმინდეს, ისაუზმეს, მალხაზი დააძინეს.

— იქნებ ახლა მაინც მიამბო, თამარ, რაც უნდა გეთქვა?

— რა უნდა მეთქვა? არაფერი. — ყოყმანობდა თამარი.

— თამაზის რა ისმის?

— თამაზის... თამაზის?.. — არეულად იმეორებდა თამარი თამაზის სახელს და ვერაფერი მოეფიქრებინა ამ კითხვის საპასუხოდ.

— თამარ, რა გემართება? — ახლა უფრო მტკიცედ წარმოსთქვა ნინომ.

— თამაზი ჩამოვიდა! — უხებლიედ მოწყდა თამარის ტუჩებს ეს ორი სიტყვა. ახლა თვითონაც იგრძნო, რომ დადგა დრო, როცა თავის გარშემო შექმნილ მდგომარეობის შემდგომ დაფარვას ველარ შეძლებდა.

— თამაზი ჩამოვიდა!? რას ამბობ, თამარ? სად არის, როგორ არის?

— არ ვიცი.

— როგორ? შენ არ გინახავს? აქ არ მოსულა?

— აქ იყო, მაგრამ... ნინო, ნუღარ მკითხავ, ნუ მკითხავ, დაო! — უეცრად გამწარებით დაიძახა თამარმა, დას სახე მოარიდა, პირქვე დაემხო და აქვითინდა.

— ააა, მაშ აგრე, თამარ? აი, თურმე რა ამბებია!

თამარმა ქვითინი შეწყვიტა:

— ნინო, ვიცი არ მეპატიება... თვითონ მე არ ვაპატიებ ჩემს თავს. მაინც გთხოვ, გამიგო... შენცა და ყველა ჩემი ამხანაგები მართალი იყავით, როცა მაფრთხილებდით, გენრიეტას ნუ ავყვებიო. არ დაგიჯერეთ. მისი წყალობით გზაკვალი ამერია... ერთი ვალია, სხვა შევიყვარე.

— სხვა შეიყვარე!?

— ერთი ახალგაზრდა მომღერალი, წუხელ საღამოს აქ ჩემთან იყო... მოულოდნელად თამაზი შემოვიდა.

— თამარ! — წამოიძახა ნინომ და სახე გაუფითრდა. — ამას არ ველოდი! არ ველოდი, არა.... ნეტავი არ ჩამოვსულიყავი. რა მითხარი ეს, თამარ?

— ნინო, ვიცი დავაშავე, რომ უარვყავი თამაზი, მაგრამ ასე მოხდა, ნინო. ჩემდაუნებურად... ვიცი, არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ახლა გვიანაა.

— გვიანაა... ჰო, გვიანაა... — დაბნევით გაიმეორა ნინომ.

— ჰო, ნინო. გვიანაა. ჩვენ ერთ კვირაში ხელს მოვაწერთ.

— რა გითხრა, თამარ, — დიდი ხნის დუმილის შემდეგ უთხრა დას ნინომ. — ყოველივე ამის შემდეგ, რაც მოხდა, არა მგონია, რომ იმ შენს რჩეულთან ბედნიერი იქნე. არა მგონია, მას შენ უყვარდე, მაგრამ ვთქვათ, რომ უყვარხარ. რას წარმოადგენს ის კაცი, რომელმაც იცის, რომ ქალს საქმრო ჰყავს, იქ ფრონტზე ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის სიცოცხლეს სწირავს და ის კი ასეთ ადამიანს საცოლეს ართმევს. არა, ამას ის არ ჩაიდენს, მაგრამ, თუ ჩაიდინა, განა ასეთ მეგობარს თვითონ შენ ისურვებდი?... ეგეც არ იყოს, ვთქვათ, ვისაც დღეს უყვარხარ, არაფერს ანგარიში არ გაუწია და შეგირთო, განა ეს იმას ნიშნავს, რომ მან საბუდამოდ დაივიწყა შენი უღირსი საქციელი თამაზისადმი? არა, ამას იგი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს!

— რა ვქნა, ნინო? — შეშფოთებით შეეკითხა თამარი.

— წავალ, თამაზს ვნახავ.

— არა, არა, ნინო! რა უნდა უთხრა თამაზს, თამაზი ახლა ჩემთვის... რა გითხრა, ნინო. ვერ მივატოვებ ისიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს, დამიჯერე, მე არც ისე სულელი ვარ! ვიცი რას ვაკეთებ!

— არ იცი, არ იცი, თამარ! შენ ბავშვი ხარ, სულელი ბავშვი, ჩემო დაო!

შეღამებისას ნინო სადღაც წავიდა.

თამარი გაოგნებული დადიოდა ოთახში. ზოგჯერ ჩაძიხებულ მალხაზს დააჩერდებოდა. ბავშვის ოდნავ წინწამოწეულ ტუჩებს, დახუჭულ თვალებს, წარბებს, წამწამებსა და პატარა ცხვირს უღიმოდა.

ისე გულშიჩამწვდომად სუნთქავდა ბავშვი, ზოგჯერ ისეთი ღიმილი ჩნდებოდა მის ნორჩ ტუჩებზე, რომ თამარს უნდოდა აეყვანა, გულში ჩაეკრა.

ნინო მალე დაბრუნდა. აღელვებული და შეწუხებული იყო. ბავშვს დახედა. ძერე ხმისამოუღებლად საკარძელში ჩაჯდა და ფიქრს მიეცა.

თამარი ფიქრში წასულ ნინოს წინ იჯდა. უნდოდა თვითონ ნინოს ეთქვა რაიმე, მაგრამ ნინო ხმას არ იღებდა.

— სად იყავი, ნინო?

— თამაზს დავურეკე.

— რას ამბობ, ნინო? რატომ ქენი ეს? ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია! სიკვდილი მიჯობს! გაიგე, ნინო, უფლებაც აღარა მაქვს!

— „უფლებაც აღარა მაქვს“, — გაიმეორა ნინომ. — მართალი ხარ, თამარ, არა გაქვს უფლება! — შესძახა შეშფოთებით, სახეზე ხელები აიფარა და ცრემლი მოერია.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლესია უკრაინკა

ორი ლექსი

• • •

უკრაინული ლიტერატურის გამოჩენილი კლასიკოსი, პოეტი ქალი ლესია უკრაინკა — ლარისა კოსაჩი (1871 — 1913), რომლის დაბადების 80 წლისთავი უკრაინელ ხალხთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნა ქართველმა ხალხმა, თითქმის ათი წელი ცხოვრობდა საქართველოში. მას უყვარდა საქართველო, აინტერესებდა ქართველი ხალხის ისტორია, მისი კულტურა, ლიტერატურა.

ლესია უკრაინკამ დიდად შეუწყო ხელი უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრულ კავშირს, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ დავით გურამიშვილის დროს, ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის დროს.

საქართველოში შექმნა მან თავისი მრავალი უკვდავი ნაწარმოები და აქვე (სურამში) გარდაიცვალა. იგი მოწმე იყო ქართველი ხალხის გმირული ბრძოლებისა 1905 წლის რევოლუციის დღეებში და ურყევად სწამდა, რომ მეფის თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრული ქართველი ხალხი სხვა დამონებულ ხალხებთან ერთად გაიმარჯვებდა უსამართლობასთან ბრძოლაში და შექმნიდა ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას.

ლესია უკრაინკა მთელი თავისი შემოქმედებით, როგორც პოეტი და მოქალაქე, თავდადებულად ემსახურებოდა მშრომელთა გათავისუფლების საქმეს. სამშობლოს მგზნებარე სიყვარული, უსამართლობის წინაშე ქედმოუხრელობა, თავგანწირული ბრძოლა მოძალადეებთან, მხნე და ვაჟკაცური სულისკვეთება, ნათელი მომავლის იმედი, მშრომელი ხალხის სამსახური, — აი რა ახასიათებს მისი პატრიოტულ ლექსებს.

ჩემო სიმღერავ

★

დადუმებული დიდხანს იყო ფიქრი ტყვექმნილი,
ვით გალიაში დამწყვდეული უცხო ფრინველი;
აღარ ისმოდა სიმღერები ლაღი და ტკბილი,
სიმღერას ჰკლავდა კაეშანი, შავი ნაღველი.
დროა გაშალო, გაისწორო დაღლილი ფრთები,
ჩემო სიმღერავ, გაიღვიძო უკვე დრო არი,
გაინავარდო, ყური უგდო ხმაურს ზვირთების,
როცა თამაშობს ზღვის სივრცეზე მქროლავი ქარი.
ჩემო სიმღერავ, ზვირთს მიბაძე, არ იგრძნო დაღლა,
მან ხომ არ იცის, ქარის ძალას სით მიჰყავს ისა,
როგორც თოლიას, შენც ნუ გაკრთობს მორევი ზღვისა.
როგორც თოლიამ ინავარდე სულ მაღლა-მაღლა;
ჩემო სიმღერავ, შეჰქმენ ღელვა, აურ-ზაური,
იყავი შმაგი, როგორც შმაგობს სივრცეში ქარი.
პასუხს ვერ ჰპოებს ქარი, მაგრამ მისი ხმაური,
ტალღების ტაში, მათი სრბოლა — საამო არი.

თარგმანი **გრიგოლ ცეცხლაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

★

რა იქნა სიმები

რა იქნა სიმები, მძლავრი ხმა რა იქნა,
ან ფრთოსან სიტყვათა ძალა,
აწმყოს რომ უმღერონ, მწუხრში რომ დაირხან
ამ შავბნელ დროების ზარად?!

მოედნებს მოჰფენდნენ გულიდან ამომხდარს
კედლებში მიჩქმალულს, ჯერაც;
რომ ხალხის ენაზე სიმღერად აწყობდნენ
ბორკილთა საზარელ ჟღერას.

წარსულსაც თავისი ჰყავს იერემია,
ისმენდნენ ველნი მის ღაღადს,
ვინ არის იმგვარი; ვინც ხმიერებია,
სიტყვა ვერ დაუძრავთ ლაღად.

გარს ჯოჯოხეთურზე მხურვალე, ათასჯერ,
გვწვავს საშვილიშვილო ალი,
დანტეზე უარესს განვიცდით სატანჯველს,
დანტედ კი არავინ არის.

ჰე, ელვავ, ქუხილის დობილო, სადა ხარ? —
დალეწე სიბნელის ბჭენი,
დაე, გაზაფხულის მეხივით დავჭექოთ
ერთხელ ჩვენც, სათქმელი ჩვენი!

თარგმანი **მაყვალა მრევლიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

მშობლიური მინა

★

ნოვოროსიისკში ბოლშევიკები თეთრგვარდიელებს ავიწროებდნენ.

ქართველმა მენშევიკებმა დიდძალი საომარი საჭურველი ჩატვირთეს ძველ გემში, რომ თერთგვარდიელებისათვის მიეწოდებინათ. გემი გათენებისას უნდა გასულიყო ბათუმის ნავსადგურიდან.

გემბანზე ბოლთასა სცემდა მორიგე ნაოსანი — ახოვანი ტანის ლევან ჩხარტიშვილი. იგი გემბანიდან ქვევით ჩავიდა, მიმოიხედა. სიწყნარე იყო. გემზე ყველას ეძინა. ლევანმა კინგსტონები სწრაფად გააღო, მერე ნაპირზე გადავიდა და შინისკენ სირბილით გასწია.

გემი ნელა ჩაიძირა.

„მომკლავენ მენშევიკები, თავი ლაზეთს უნდა შევაფარო", — ფიქრობდა გზაზე.

შინ შავგვრემანი, ხუჭუჭთმიანი, ათი წლის გურამი დახვდა.

— წავიდეთ, აქაურობას უნდა გავეცალოთ, შვილო, — უთხრა გურამს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზღვის ნაპირზე იდგნენ. ხრეშზე გადმოპირქვავებული ნავი გადააბრუნეს და ზღვაში შეაცურეს.

გურამი კიჩოზე მოთავსდა, ლევანმა მარჯვედ დაჰკრა ხოფები და ნავი გააქანა.

—::—

დილის გრილმა ნიავმა გამოაღვიძა გურამი.

მკლავებდაკაპიწებული ლევანი ნავს ხალისიანად მიაქროლებდა.

ზღვის ღორები ნავის ირგვლივ ქშუილით ამოვარდებოდნენ და მალაყს გადადიოდნენ.

თუმცა ნაპირი შორს იყო, ლევანს მაინც ეშინოდა მესაზღვრეებმა არ შეჰ. ნიშნონო. ზეაიხედა. არც ერთი ღრუბელი არ ჩანდა ცაზე. საოცარი დუმილი სუფევდა ირგვლივ. ლევანი მოიღუშა, იცოდა, ამ დუმილს რა მოყვებოდა.

მართლაც, მცირე ხნის შემდეგ ძლიერი ქარი ამოვარდა და ზღვის ზედაპირი ქაფის ზოლებით დაისერა. ჯერ პატარა, თეთრქოჩორა ზვირთები გაგორდნენ, მერე ლილები შეეჯახნენ ნავს და აიტაცეს.

ნაცრისფერი ღრუბლების ქარავნებით გაიჭედა ცა და უცებ ჩამობნელდა.

ლევანი ხოფებს ღონივრად ეწეოდა. მხრებამდე დაკაპიწებულ მკლავებზე მსხვილი ძარღვები დაბერვოდა. ქშინავდა. შუბლიდან ჩამონადენი ოფლი აბურდულ, წარბების ღეროებზე წვეთებად ეკიდებოდა.

ნავის ცხვირი ზევით აიწევდა, თითქოს ნავი გაფრენას აპირებსო, მერე ქვევით ჩავარდებოდა.

იქ, სადაც ხოფი ეშვებოდა, ზოგჯერ ორმო ჩნდებოდა. მაშინ ცალი ხოფი თუ წყალს ებრძოდა, ცალი ჰაერში რჩებოდა.

ნავი შემოტრიალდა.

— ფსკერზე დაჯექი! — უთხრა ლევანმა გურამს.

ზვირთების ხმაური ძლიერდებოდა, გუგუნში გადადიოდა. ზვირთების თავზე მოქცეულ ქაფს ქარი იტაცებდა.

ღელვამ იბატა. გურამი ხან ერთ ქიმს მიარტყამდა თავს, ხან მეორეს. „შპანგოუტებს ჩავჭიდებ ხელსო“, — გაიფიქრა, მაგრამ შპანგოუტი სველი იყო, ხელი ვერ მოიკიდა.

ტალღამ გასწუწა გურამი. შეშინებულმა წამოიკივლა და მამას შეხედა.

ლევანს ყურადღება არ მიუქცევია შვილისათვის. ოფლისა და ზღვის ქაფისაგან ერთიანად სველი გამალებით ურტყამდა ხოფებს.

„ზაფხულია, ღელვა დიდხანს არ გასტანს“, — ფიქრობდა იგი.

—::—

მზე ჩასული იყო, მაგრამ, მისი შუქი ჯერ კიდევ კიაფობდა ჰორიზონტთან შეჯარულ ღრუბლებზე. აქა-იქ ღრუბელი წითლად აელვარდებოდა, მერე ნათელი ილეოდა, ქრებოდა. ისევ გაჩნდებოდა ალი, ხან ძლიერი, ხანაც სუსტი.

„ჰორიზონტზე ღრუბლები მოძრაობენ“, — გაიფიქრა ლევანმა.

აი, ღრუბელს თითქოს ცეცხლი წაეკიდა. მერე გამდნარ ოქროსავით ალივლივდა. მცირე ხნის შემდეგ ოქროსფერი, უნაზესმა ვარდისფერმა შეცვალა. და ეს უმშვენიერესი ფერი ერთხანს ედო ღრუბელს, მერე ნელნელა გაჰქრა.

ისე ჩამობნელდა, ლევანი ვერაფერს ხედავდა.

ქარის სისინი, წვიმილი, ზუილი და ზღვის გუგუნი ერთმანეთში ირეოდა.

ლევანმა თვალი მოჰკრა შუქურას მწვანე შუქს და გაუღიმა. თითქოს მკრთალი, მწვანე სხივი საშველად გაწვდილი მკლავი იყო.

ქარი ნაპირიდან ქროდა.

ჟამგამოშვებით შუქურას მწვანე, მერე წითელი შუქი ზღვას ეფინებოდა.

ლევანს წელი ასტკივდა. მკლავებზე ისე დაებერა ძარღვები, თითქოს უნდა დაუსკდესო.

ოთხი წლისა იყო გურამი, ლევანს მეუღლე რომ გარდაეცვალა. წვითა და დაგვით გამოზარდა ბავშვი, წერა-კითხვა ასწავლა, ახლა კი ულმობელმა ზღვამ უნდა წაართვას იგი.

ხოფებს ხელი შეუშვა, ხელში აიყვანა ბავშვი. დაუკოცნა ხელი, ფეხი, სახე... მერე წამოდგა, ხოფებს დასწვდა და მძლავრად მოუსვა. ახლა ლევანი გამხეცებული იყო, თავგანწირვით ებრძოდა ზვირთებს, ქარს.

—::—

გურამი ნავის ფსკერზე ულონოდ იწვა. განძრევის უნარი დაჰკარგოდა, კარგად იცოდა — სად იყო, გარშემო რა ხდებოდა. მისი პატარა სხეული შიშს შეეპყრო.

ღამე ელვამ გაჰკვეთა. ელვას მეხის გრუხუნი მოჰყვა. შინ, გურამს შიშის ზარს სცემდა მეხის გრუხუნი, ახლა კი არც შემკრთალა, ყურადღება არ მიუქცევია.

ხან ჰორიზონტზე, ხან ნავთან სულ ახლოს ელავდა.

სივრცე წყლის მფრინავი მტვრით ივსებოდა, თითქოს წვიმდა. მაგრამ, არა, წვიმა მარილიანი არ არის, თვალს არ წვავს.

ნავი მაშინ აყირავდა, როცა ელვამ გაანათა. გურამმა ვეებერთელა შავი ზვირთები დაინახა და შიშით თვალები დახუჭა. ზვირთები ფაფარაყრილ, ხახადაღებულ მხეცებს გვანდა.

—::—

ზვირთები თანდათან გარკვევით ისახებოდა.

„თენდება“! — სიხარულით გაიფიქრა ლევანმა.

სინათლე მატულობდა, ლევანს თვალები ეწვოდა, ზვირთებს ერთმანეთისაგან ძლივს არჩევდა, წელი სტკიოდა, მკლავები დამძიმებოდა, ხოფებს ველარ იღებდა წყლიდან. მხოლოდ იმას ცდილობდა, ტალღისათვის ნავის ცხვირი შეეხვედრებინა. დიდმა ტალღამ ნავი

უცებ გადააბრუნა. გურამი ამოცურდა. მამა რომ ვერ დაინახა, მხარულით ნაპირისაკენ გასწია.

მთაზე რამდენიმე კაცი იდგა.

ლევანს ნავი ზედ რომ წამოემხო, ირგვლივ ხელი მოაფათურა, გურამი ვერ იპოვნა. „ჩავყვინთავ და ნავს მოვშორდებიო, — გაიფიქრა, მაგრამ ნავის ბოლოში დაყრილ ბაწრებში ფეხი გაეხლართა. ფეხი ღონივრად გაიქნია, მერე მოხარა, ვერ გაითავისუფლა. გაიბრძოლა. ბაწარი ფეხზე მაგრა შემოხვეოდა. ბაწრის ბოლო ნავზე ლურსმით იყო მიმაგრებული. დიდხანს ბუღრაობდა ლევანი. როცა იგრძნო ფეხი გავითავისუფლეო, ზევით ამოვარდა.

გურამი არსად იყო. „რა დაემართა, მან ხომ კარგი ცურვა იცის, აგრე ადვილად არ დანებდებოდა ზღვას. მაშ, რატომ არ ჩანს? იქნებ ნავის ქიმს დაჰკრა თავი“.

ღრუბლებიდან მზემ გამოახათა. ლევანმა მხოლოდ მაშინ დაინახა მთა.

„იქნებ ნაპირისკენ მიცურავს გურამი?!“ — გაიფიქრა და მთისაკენ გასცურა.

მთის ძირას, ვეება ლოდებზე დგაფუნით იმსხვრეოდა ზვირთი, ქაფდებოდა, შხეფებს ისროდა. ლოდებთან მორევები ბრუნავდა, წყალი ქაფად იყო ქცეული. ერთ-ერთ მორევში უზარმაზარი მორი ხან იმალებოდა, ხან კაცივით თავს ამოჰყოფდა.

მორევებთან დაცურავდა ლევანი. მორევს რომ ჩაეთრია, უთუოდ დაახრჩობდა. მთაზე ვიღაც ყვიროდა, ალბათ აფრთხილებდა — მორევს ერიდეო. ლევანმა მთიდან ჩამოშვებული ბაგირი დაინახა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, იგი გურამს ეძებდა.

სადაც სალი კლდეა, იქ ზვირთი რაღაცას ათამაშებს. იქნებ გურამია? ლევანი მიცურავს და გრძნობს, მკლავებში ღონე ელევა. მუხლებსაც ძლივს შლის და ღუნავს. მთიდან ყულფს ისვრიან. ყულფი ლევანს ხან ზურგზე ეცემა, ხან მის წინ ტყაპანს გაადენს. უცებ წყლის დინებამ გაიტაცა ლევანი. ერთ-ერთ ფიქალ ქოს ვიღაცა მძიმე და ღონიერი ფეხებზე ჩამოეკიდა, ფსკერისაკენ ეზიდება, თანაც ბზრიალასავით ატრიალებს. ლევანი გრძნობს: ქვევით ჩადის. ყურებში საშინლად ხმაურობს წყალი, ჰაერი არ ყოფნის, პირი დააღო. ჰაერის ნაცვლად მარილიანმა წყალმა აუვსო პირი, იხრჩობა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ იღლიაში ამოდო ხელი.

ლევანმა თვალი გაახილა. მთიდან ბაგირია ჩამოშვებული. ბაგირზე ვიღაც ჰკიდია, ლევანს მკერდზე ბაწარს ახვევს.

—::—

სიცხიანი, ოფლში მცურავი ლევანი ტახტზე იწვა. ბნელოდა. ლევანმა თვალები გაახილა. ამოიკვნესა. მთელი სხეული სტკიოდა. კვლავ დახუჭა თვალები.

„ლევანი ზღვაშია, ნავში გურამი უზის. ირგვლივ ტალღები მძვინვარებს. ერთი ტალღა აიმართა. ტალღას ადამიანის თავი გამოება, კბილებს აკრაჭუნებს და გურამისაკენ ხელს იშვერს“.

ლევანი შფოთავს, ტახტიდან წამოიჭრება, კედლებს თავსა და ხელს სცემს. მერე ტახტზე პირქვე დაემხობა და ძილს ეძლევა.

სინათლის სვეტი ჩამოეშვა სარდაფში, ჭაბუკი და ბერიკაცი ჩამოვიდნენ ვიწრო კიბით.

ჭაბუკმა ბერიკაცს შეხედა.

— ძინავს. — თქვა ბერიკაცმა.

— ხელები და თავი გასისხლიანებული აქვს.

— ზეწრებით დავაბათ ტახტზე, კედლებს ებრძვის.

ლევანი ზეწრებით დააბეს ტახტზე და ზევით ავიდნენ. ისევ ჩამოღამდა სარდაფში.

—::—

ლევანს გამოეღვიძა. აბორგდა.

„სადა ვარ?“ — შეეკითხა თავის თავს, უნდოდა წამომჯდარიყო, მაგრამ განძრევაც ვერ მოახერხა. სიცხისაგან

ამღვრეული თვალებით ჭერს მიაჩერდა. „ალბათ თურქმა მესაზღვრეებმა შეშიპყრეს და საპყრობილეში ჩამაგდეს. გურამი სადღა არის?“

— ეი, ვინა ხარ მანდ? — დაიყვირა მან თურქულად.

პასუხი არავინ გასცა.

„შვილო, ჩემო ლამაზო, ბიჭო, გურამ, სადა ხარ?“ — ლუღლუღებდა ღონემიხდილი.

ზევით ჭერზე, ხანდახან ვიღაცა გაივლიდა და ფიცრებს აახმიანებდა. მაშინ ლევანი დაიძაბებოდა და ყვიროდა:

— ეი, ვინა ხარ, მანდ, ხმა გამეცი...

ყურადღებას არავინ აქცევდა.

ლევანის გარდა სხვა სულდგმულიც იყო ოთახში, თხილს შეექცეოდა.

„ლაზეთში თხილი ბლომად მოდის, მაგრამ, საპყრობილეში რა უნდა თხილს?“

ლევანი როცა ყვიროდა, ვირთაგვა არ ხმაურობდა. როცა შეწყვეტდა ყვირილს, კვლავ ესმოდა თხილის ნაჭუჭის მსხვრევის ხმა.

ახლა ზღვის პირას უნდა იყოს ლევანი... იქნებ ზღვამ ამოაგდო გურამის გვამი?

ლევანი დაღალა ფიქრმა, ტვინი დაუმძიმდა. გაბრუებულს ყოველივე ის, რაც თავს გადახდა, ახლა შორეულ, ბუნდოვან სიზმარივით ესახებოდა. გონებაში წუთით გამოჩნდებოდა გურამის სახე და ქრებოდა. თითქოს სხვა სამყაროში იყო გადასული და ამქვეყნიურ ამბებს ძლივს იგონებდა.

—::—

გურამი და მასზე ორი წლით უფროსი, გამხდარი, მაღალშუბლიანი, ნიკაპწაწვეტებული ბიჭი შებარდულ სერზე ადიოდნენ.

— თქვენი სახლი სოფლიდან ასე შორს რომ დგას, არ გეშინია? — შეეკითხა გურამი ისმაილს.

— მამას და მე თოფები გვაქვს...

— კედელზე პატარა თოფი რომ ჰკიდია, შენია? —

— ჩემია, კიდევ მაქვს თოფი, ორი თოფი მაქვს.

— მე არ მაქვს თოფი — [illegible] ლიანად გურამმა.

— ჩემს თოფს გათხოვებ.

— სროლა არ ვიცი.

— გასწავლი. ზამთარში აქ, უჰ, რამდენი იხვია... ერთად ვინადიროთ.

გურამმა ზევიდან მომავალი შუახნის კაცი დაინახა.

— ვინ არის ის, კაცი? — ჰკითხა ისმაილს.

— თურქი მეთევზეა. შენ არ შეხედო, თუ რამე გვკითხა პასუხს მე გავცემ.

— განა მე ვერ ვეტყვი?

— შენ ხომ თურქული ენა არ იცი...

— არ ვიცი.

— ხომ გახსოვს, მამაჩემმა რა გითხრა?

გურამმა დამნაშავესავით თავი ჩაღუნა, ძოაგონდა ბერიკაცის სიტყვები: თუ ვინმემ ლაპარაკი დაგიწყოს, შენ გაიღიმე, გურამ, თითქოს გესმის თურქული ენა და ლაპარაკი არ გსურს. შენს ძაგივრად ისმაილი გასცემს პასუხსო.

თურქმა მეთევზემ გურამს და ისმაილს ისე ჩაუარა, რომ არც შეხედა.

— ტყეში მამას მაღლარი ვაზი აქვს, — ჩუმად უთხრა ისმაილმა გურამს, — როცა ყურძენი დამწიფდება, ღამით მივდივართ და ყურძენს ვკრეფთ. მერე მამა ღვინოს აყენებს. ჩვენს გარდა ეს არავინ იცის, შენც არავის უთხრა.

— რატომ?!

— მოლა ღვინის დაყენების უფლებას არ გვაძლევს.

— ჩვენთან ბევრია ყურძენი. მე შავი ყურძენი მიყვარს, ისეთი ტკბილია...

— ყურძენი მეც მიყვარს, ჯერ კი არ გავმძღარვარ ყურძნით, მამა მიშლის. ყურძენი ბევრი რომ ჭამო, ღვინოს ვერ დავაყენებო. ქვევრები სარდაფში გვაქვს დამარხული. შენ არ იცი, მამამ საიდან მოიტანა ქვევრები, — ისმაილის თვალებში აღტაცება გამოიხატა. — თურმე მამა მიწას თხრიდა და ქვევრებს წააწყ-

და. ქვევრები ღამით გადმოვიტანეთ. მამამ თქვა: დიდი ხნის წინათ აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ეს ქვევრები ქართველებმა გააკეთესო.

— შენც ხომ ქართველი ხარ, ისმაილ?

— ქართველი ვარ, მაშ ვინ ვიქნები? — იწყინა ისმაილმა.

გურამი მიხვდა, რომ ისმაილს აწყენინა.

— გაბრაზდი?

— არა, — მიუგო ისმაილმა. — ბაგირი რომ გადმოგიგდეთ, ხომ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს...

— მაშინ მამას მეც ვეხმარებოდი. მამას ეშინოდა — ბაგირს ხელი არ შეუშვასო, ლოდებზე დაეცემაო, მოკვდებაო. ღონიერი ყოფილხარ, გურამ.

გურამს ეამა შექება.

— ჩემი მამა ძალიან ღონიერია, თავისი ამხანაგები ზღვის ლომს ეძახიან.

— მამამ რომ შემოგხედა, წამოიყვირა — ქართველიაო, და, შუბლზე გაკოცა, გახსოვს?

— მახსოვს.

— ჩემმა ძმამ, ხუსეინმა შინ წაგიყვანა. მერე მამაშენი ამოვიყვანეთ.

ისმაილი და გურამი თხილის ბუჩქის ძირას ჩამოსხდნენ. გურამმა ზღვას გახედა.

დასავლეთისკენ დახრილ მზის შუქზე ზღვის ზედაპირი ადუღებული თითბერივით ლაპლაპებდა.

თევზებით დატვირთული ბებადურთა ბაიდა ნაპირს უახლოვდებოდა. შიგ ორი კაცი იჯდა.

ბაიდას შორი-ახლო თოლიები მისდევნენ კრიახით. თოლიებში ერთი პატარა, მკერდშავი ერია. დროდადრო ეს პატარა თოლია თავის ამხანაგებს გამოეყოფოდა, ბაიდას ზედ დასტრიალებდა. იგი უცებ ქვასავით დაეცა თევზებს, თევზი აიტაცა. მკერდშავს დიდი თოლიები დაედევნენ. ერთმა თევზის ბოლო გამოგლიჯა, მეორემ თევზის მკერდი წაართვა. მკერდშავს თევზის თავი-ღა შერჩა ნისკარტში. ალბათ შეეშინდა — ესეც არ წამართვანო, — ბაიდაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაფრინდა.

— ვისია ის ნავი?—იკითხა გურამმა.

— მებადურებისაა, თევზი მოაქვთ. ჩვენც გვაქვს ნავები. მამა მეთევზეა.

— როცა ღელვაა, მაშინ თევზაობთ?

— ვთევზაობთ, ზღვაში ბადეები გვაქვს ჩაყრილი. აქ მდიდარი თურქია, თევზს ის ყიდულობს; მამას ეჯავრება ის თურქი, თევზი მუქთად მიაქვსო.

— ისმაილ, რატომ გაცვია დაგლეჯილი შარვალი?

— მეტი არა მაქვს, გურამ. — ისმაილი მიწას დააშტერდა. — იმ თურქის შვილი ჩემზე პატარაა, მაგრამ დილას სულ სხვა აცვია, შუადღისას სხვა, საღამოს კიდევ სხვა. ისეთი ლამაზი შარვლები და ბლუზები აქვს...

— სკოლაში დადიხარ?

— არა. იქ მხოლოდ მდიდრებს ღებულობენ.

ისმაილმა გახეულ შარვლის ტოტში ამოყოფილ მუხლის თავს დახედა და ადგილი გადინაცვლა.

—::—

სარდაფში, ტახტზე ისხდნენ ლევანი გურამი, ბერიკაცი. ბერიკაცის შვილები — ბრგე ჭაბუკი ხუსეინი და ისმაილი.

— სარდაფში იმისთვის დაგაბინავე, ლევან, რომ თურქები თვალს გვადევნებენ, არ გვენდობიან. თურქებმა რომ გაიგონ, სერვეტის სახლში ქართველი ცხოვრობსო, გადამასახლებენ, შენს თავს კი მენშევიკებს ჩაუგდებენ ხელში. გუშინ შენ ხომ მიამბე — გემი ჩავძირეო, მენშევიკებს ჩემი სისხლი სწყურიათო... თურქებს არ შეეცოდები, ძალლებია. გურამიც შენთან, სარდაფში უნდა ყოფილიყო, მაგრამ, შემეცოდა ბავშვი, სარდაფში ვერ დავამწყვდიე. მოლამ მკითხა — ვინ არის ეს ბავშვი, შენს შვილთან რომ თამაშობსო... დისწული მესტუმრა-თქო, — მივუგე. ჩემი დის-

წული გავს გურამს, ყოველ წელიწადს შესტუმრება ხოლმე. ეჰ... ბევრნი ვიყავით ქართველები, ლევან, ცოტანი დავრჩით. ჩემი მშობლები მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვიტეს და გადაასახლეს.

— რატომ გადაასახლეს? — ნაავადმყოფარი ლევანი მძიმედ სუნთქავდა.

— რატომ? — მწარე ღიმილი გამოისახა ბერიკაცის ბრინჯაოსფერ, მოგრძო, დამჭკნარ სახეზე, — თვალი გურჯისტანისაკენ გიჭირავთო, აი, რატომ გადაასახლეს.

— ჩვენს გვერდით ბიძაჩემი ახმეტხამიდი ცხოვრობდა,—დაიწყო ხუსეინმა და მამას მოკრძალებით შეხედა. — სახელგანთქმული მეკობრე იყო. თურქების სანდლებს თავს ესხმოდა, ნადავლს ღარიბ ლაზებს ურიგებდა. გაუგეს, ბიძა მთაში გაიქცა. თვეში ერთხელ ჩამოვიდოდა იქიდან თავის რაზმით და მუსრს ავლებდა თურქებს.

ბერიკაცმა ჩიბუხი თუთუნით გატენა, გააბოლა და თქვა:

— ჩემს მშობლებს აქ უცხოვრიათ, მათი ძვლები აქ მარხია, ლევან, ვინ წამართმევს ამ მიწას? ალაჰს ვფიცავ, მზეს დავუბნელებ იმას, ვინც ჩემს გადასახლებას დააპირებს. მომკლან, მკვდარს ხომ არ წამიღებენ?

ხუსეინმა ქვევრს სარქველი მოხადა, კათხით ღვინო ამოიღო და ლევანს მიაწოდა.

ლევანმა კათხა ჩამოართვა, პირთან მიიტანა, ხელი აუთრთოლდა. რაღაც უსაზღვროდ ახლობელი, საყვარელი, მშობლიური ტიროდა მის გულში. თითქოს საუკუნეების განმავლობაში უგზოუკვლოდ დაკარგულ ძმებს მშობლის კალთაში ეპოვნათ ერთმანეთი...

ლევანმა კათხა გამოცალა.

ხუსეინმა ახლა ბერიკაცს მიაწოდა ღვინით სავსე კათხა.

ბერიკაცი ადგა. იგი მაღალი იყო, თეთრი წვერი მკერდზე სცემდა. მოწკურული თვალებით შესცქეროდა ლევანს.

— საქართველოს გული აქაც ფეთქავს, ლევან — ბერიკაცმა ქვევრზე მიიდო ხელი. — ეს ქვევრები ჩემ წინაპრების მადლიან ხელს გაუკეთებია. დავლოცოთ მათი უკვდავი მარჯვენა. — ბერიკაცმა შესვა. წამოდგა და თავისიანებს შესძახა: — აბა, წასვლის დროა. ყველანი წამოიშალნენ. თევზსაჭერი იარაღები აიღეს და სათითაოდ გავიდნენ ოთახიდან.

—::—

დადგა ზამთარი.

ლევანი დღისით სარდაფში იყო. ღამით სარდაფიდან ამოდიოდა. აივანზე გაისეირნებდა. მერე ისევ სარდაფს უბრუნდებოდა.

„სანამდე უნდა ვიმალებოდე აქ კურდღელივით?“ — ფიქრობდა იგი და გამოსავალს ეძებდა.

თებერვლის მიწურული იყო.

ისმაილი და გურამი იხვებზე ნადირობდნენ, ისმაილს ორი თოფი ჰქონდა, ერთი ახალი, მეორე კი ძველი. ახალი გურამს მისცა, თითონ კი ძველით ნადირობდა. გახარებული გურამი ყოველ საღამოს ლევანს უამბობდა:

— მამიკო, როგორი დიდი იხვი მოვკალი... ნადირობა ისეთი კარგი ყოფილა,შენ რატომ არა გაქვს თოფი?

— შვილო, თოფთან ხუმრობა არ შეიძლება, ფრთხილად იყავი.

— შენ ნუ გეშინიან, მამიკო. ისმაილი გაფრენილს უმიზნებს და კლავს. მეც ვესროლე გაფრენილს, მაგრამ ვერ მოვკალი. ისმაილი მეუბნება, ნუ ჩქარობ, შენც მოკლავ გაფრენილ იხვსო.

—::—

ლევანი ჩვეულებისამებრ სარდაფში იწვა ტახტზე. გარედან საუბარი შემოესმა. ბერიკაცის ხმა მაშინვე იცნო, მაგრამ ვის ესაუბრებმოდა ვერ გაიგო.

— შენ რატომ გაინტერესებს გურჯისტანის ამბავი? — ისმოდა გარედან უცნობის ხმა.

— ქვეყანაზე რაც ხდება, ხომ უნდა იცოდეს კაცმა? — უპასუხა უცნობს ბერიკაცმა.

— ჰო, გურჯისტანში ლენინის კაცები გამეფებულან. ლენინს კი ღმერთი არა სწამს. საშიში კაცია, ლენინი ძლიერ საშიში. მდიდრებს ემტერება, მდიდრები კი ალაჰმა გააჩინა. ალაჰს ადამიანი ვერ აღუდგება.

— რას ბრძანებ, როგორ შეიძლება, — მიუგო ბერიკაცმა და გაიფიქრა: საყვარელი კაცი ყოფილა, ლენინი. მუსტაფა სუბხიმ ტყუილად კი არ უწოდა, ლენინს — კაცობრიობის მზე და სინდისი.

„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარებულა, მენშევიკები ჩემზე ვეღარ იძიებენ შურს“, — ფიქრობდა ლევანი, ხელს ისვამდა სახეზე, კისერზე, უხაროდა, რომ ცოცხალი იყო და ჩქარა ნახავდა სამშობლოს.

—::—

ვარსკვლავიან ღამეში ბერიკაცი და ხუსეინი წინ გაუძღვნენ ლევანს. უკან კი ისმაილი და გურამი მიაბიჯებდნენ.

ბერიკაცი და ხუსეინი ფერდობს ჩაჰყვნენ, ზღვის პირას შეჩერდნენ.

— სანდალი ახალია, ჩასჩედით. — ბერიკაცმა იალქანი გაშალა. — გზა ხომ იცი?

— რის მეზღვაური ვარ, გზა რომ ვერ გავიკვლიო? ცაზე ვარსკვლავი იყოს, გზა არ ამერევა.

ბერიკაცს განშორება ეძნელებოდა, ყელში ცრემლი ებჯინებოდა, ეხვეოდა გადახვეოდა ლევანს, გადაეკოცნა, რატომღაც წვერზე მოიკიდა ხელი და ყრუდ უთხრა:

— ნუ აგვიანებ. მუსტაფა სუბხი კომუნისტური მოძრაობის ხელძღვანელი იყო თურქეთში. იგი ჟანდარმებმა მოკლეს 1921 წლის იანვარში.

ლევანი ჩაფიქრდა. მერე ბერიკაცს მიუბრუნდა:

— წამოდით, ერთად ვიცხოვროთ საბჭოთა საქართველოში, ერთად ვიმუშაოთ.

— არა, ლევან, — უპასუხა ბერიკაცმა. — ესეც ხომ ქართული მიწაა? თურქებს დავუტოვოთ?

— კიდევ მოდი, მალე გვინახულე. — ჩასჩურჩულა ისმაილმა გურამს და გადაეხვია.

ლევანმა გადაკოცნა ბერიკაცი, ხუსეინი, ისმაილი, გურამი აიყვანა და სანდალში ჩასვა, მერე თავათ ჩახტა სანდალში.

ბერიკაცი სანდალს მიაწვა. სანდალი აქანავდა, ნაპირს ნელა მოშორდა.

სუსტმა, სუსხიანმა ქარმა იალქანი გაჰბერა და სანდალი მსუბუქად გააქროლა.

ნაპირზე დარჩენილნი სევდიანად გასცქეროდნენ სანდალს. იგი სწრაფად მიაპობდა ზღვის ქოჩორა ტალღებს და მალე მქრალ ბურუსში გაუჩინარდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

საღამოები ყვირილას პირზე

★

შეხვედრა გეოლოგებთან

მარტო მივყვები ხევს ფიქრიანი,
ირგვლივ ჩიტების არის ჟღურტული.
ვოცნებობ ჩემთვის ხეთა შრიალში
მაღალი მთებით შემოზღუდული.

შევდგები წამით, გაკვირვებული,
ქორის თვალებით ვზვერავ მიდამოს.
და ვიწრო ბილიკს გაკიდებული
ვიღაც ჯიქივით მისდევს ციცაბოს...

არი სიგრილე და ყომრალ ხევში
ჩაფიქრებულნი წვანან ლოდები,
და თვალისმომჭრელ კლდის ნაჭრებს ხელში
ატრიალებენ გეოლოგები.

აკვირდებიან მთის ქანებს დინჯად,
სურთ უხილველი რომ არა დარჩეთ.
და მადნეულით ჩემს თვალწინ მშვიდად
ფრთხილად ავსებენ პატარა ჩანთებს.

და მეც ოცნებით ვაფეთქებ გორას,
მინდა მოვშალო მთების სამანი.
მინდა, რომ გულიც გავკვეთო ორად
და გამოვიღო სიტყვის მადანი.

— . —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

★

ინჟინერ-გეოლოგი

მისდევ ბილიკებს ცისმარე დილით,
გულს აბედივით სწვავს შთაგონება...
გზაზე ეცემა ხეების ჩრდილი,
და გინდა მთების წამოჩოქებაც.

შენ არ გჩვევია ბედის ლოდინი,
მთებს შეხიზნიხარ გუდა-ნაბადით.
ცისქვეშ გიგია ხშირად ლოგინი
უსპეტაკესი ღრუბლის საბანით.

სიცივისა და სიცხის ამტანი
თითქოს კვლავ მთებში დაეძებ იღბალს.
გინდა იპოვო კვალი მადანის
ათასწლოვანი ქანების მიღმა.

ძმად შეფიცულხარ მწვერვალებს თითქოს,
ღამის ბინდ-ბუნდშიც სინათლეს ნატრობ,
და მუდამ მხოლოდ იმაზე ფიქრობ,
ჩვენს დიდ ქვეყანას რა მიუმატო.

ვინ იცის მთები რამდენ რას იტევს,
და სად არწივთა გუნდი ნავარდობს,
ფოლადის წვერით ბურღავ სქელ ტინებს,
ნატვრისთვალივით ეძებ საბადოს.

და როცა დაღლილს გწვავს შთაგონება,
დახარჯულ ძალას კვლავ გმატებს მთები.
თვალწინ ურიცხვი განძი გროვდება
და მადნეულის სიუხვით ტკბები.

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

სავანის წყარო

კაკლისხის ჩრდილში ჩუხჩუხებს წყარო,
შიგ ჩახატულა ზეცის თავანი.
შხეფებს ასხურებს და მწვანით ხარობს
ეს მადლიანი მიწა სავანის.

მივაპყრობ წყაროს ოცნებით თვალებს,
ვგრძნობ შთაგონება რომ მემატება.
ნეტავ წყაროში ჩასულა მთვარე,
თუ შიგ აკაკის მოსჩანს ხატება —

მე აღარ ვიცი რა დავიჯერო!
სულში მანათებს დიდი გენია.
ფიქრში ვირწევი, ვით კაკლის ჩერო,
თავზე ნათელი გადამფენია.

მინდა შიგ ჩარჩეს ჩემი სახებაც,
და შთაგონებამ ხალხში იფრინოს...
ეხედავ, ჩუხჩუხა წყარო არ ცხრება,
დე, ოცნებამაც ასე იდინოს!..

ამ წყაროს იგი ახსოვს ყმაწვილი,
მუდამ ნათელი სახის ,ერით.
იგიც ამ მთებში იყო გაჭრილი,
ვით გეოლოგი და ინჟინერი.

იგიც ეძებდა აქ საბადოებს,
პოეტს ქვეყნისთვის სურდა სიმდიდრე,
'შთაგონებული თხრიდა მთაგორებს,
და უმღეროდა ქორბუდა ირმებს...

ეძებდა მადანს... და ამოჰქონდა
სულის სიღრმიდან განძი ნათელი.
მშობელ ერს მისი ცეცხლი ათბობდა,
თვით, კი იწვოდა როგორც სანთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ახლა როცა ჩავყურებ წყაროს,
ვგრძნობ შთაგონება რომ მემატება.
თითქოს წყაროშიც სიცოცხლედ ხარობს
მისი ნათელი სახის ხატება.

მეც სიყრმიდანვე მიტომ ვნატრობდი
მენახა ერთხელ სავანის წყარო,
რომ შიგ მეხილა ზეცის ტატნობი
და პოეზიის დიდი სამყარო.

— . —

★

აქ უთვალავი განძი მეგულვის

ადი, აჰყევი ცად ლურჯ მწვერვალებს,
ქვეყნად მეორედ ხომ არ გაჩნდები:
მთების სიმდიდრე აჩვენე თვალებს
და გულნაკლულად აღარ დარჩები.

უმზირე მთათა ბუმბერაზ სახეს,
და იოცნებე მწვანე გორებთან.
მწვერვალებიდან მოძმეს გასძახე,
ეს ღღე ხვალ აღარ განმეორდება.

ღღეს მოასწარი, მშობელ ქვეყანას
საქმით აჩვენე შენი სათქმელი.
ხედავ, მთებს სხივი გადაეყარა,
თვალწინ გზა გიძევს მუდამ ნათელი.

ადი, იხილე მშვენება მთების,
დიდი სიმაღლის თუ ხარ ნატრული.
გაშალე ცაში ოცნების ფრთები,
და მთებს მოსტაცე განძი ფარული.

შუბლზე ისხურე ჩიხურის წყალი,
ეგებ ამოგყვეს ხელზე მადანი.
და მერე ფრთხილად გასინჯე თვალით
კვერეთის მთების ლურჯი თავანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უთვალავი განძი მეგულვის,
თორემ ვით შობა ესოდენ დიდი
ამ მთებმა ბრძენი აკაკის გული
ისე მდიდარი და ისე მშვიდი.

რომ სიკვდილამდე გაჰყვა სიქველე,
არ დაშრეტია წყარო ოცნების.
იდგა მთასავით, უცქერდა ველებს
და უმღეროდა ხალხს სასოებით.

ადი, იხილე მშვენება მთების,
დიდი სიმაღლის თუ ხარ ნატრული.
გაშალე ცაში ოცნების ფრთები,
და მთებს მოსტაცე განძი ფარული.

გამოიტანე ხალხში მადანი,
დასძლიე სივრცე და ლაჟვარდები.
ფეხით გასთელე მთების თავანი
და გულნაკლულად აღარ დარჩები.

— —

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირთა სისხლით*

★

IX

ვინ მოსთვლის, რა ხერხს არ მიმართავდნენ, რას არ ჩადიოდნენ ჰიტლერელი დამპყრობლები იმ მიზნით, რომ პარტიზანებისათვის სახელი გაეტეხათ! ჰიტლერელებმა თავიდანვე დაინახეს, რომ დროებით ოკუპირებული რაიონების მცხოვრებნი ერთსულოვნად ამხედრებული იყვნენ მათ წინააღმდეგ; მათს მხარეზე იყვნენ მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავენი, გახრწნილი და გადაგვარებული ადამიანები, კლასობრივი მტრის ნარჩენები. ამ ბანდიტებს გერმანელებმა იარაღი დაურიგეს საბჭოთა სამხედრო ფორმა გადააცვეს, გულზე ჩვენი ქვეყნის ორდენები და მედლები ჩამოჰკიდეს და მოსახლეობაში არევ-დარევის შესატანად პარტიზანების იარლიყი მიაკრეს. ძარცვა-გლეჯით განაწამები გლეხები ამგვარ „პარტიზანებს“ წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ. გერმანელების აგენტები მოსახლეობაში დაძრწოდნენ და გლეხებს ეუბნებოდნენ: აი, ესეც თქვენი პარტიზანები, თქვენი თვალით დაინახეთ რას ჩადიანო.

მაგრამ მტერმა ხალხი მაინც ვერ მოატყუა. უკრაინელი მშრომელები პირველივე შეხედვით არჩევდნენ ერთმანეთისაგან ცრუ „პარტიზანსა“ და ნამდვილ პარტიზანს.

გარდა ამისა, ჰიტლერელები ყოველგვარ ბინძურ ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა უკრაიხელები და პოლონელები ერთმანეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ, მათ შორის შუღლი ჩამოეგდოთ. ისინი აქაც ზემოხსენებულ ბანდიტებსა და არამზადებს იყენებდნენ.

მტერი ამ ვერაგულ ხრიკებს განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა დასავლეთ უკრაინაში. ჰიტლერელების ამ მაქინაციებზე ბევრი რამ საინტერესო გვიამბო ჩვენს მეზობლად მომქმედი პარტიზანული შენაერთის მეთაურმა ამხ. ფედოროვმა. ფედოროვს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. ის ჩვენზე ადრე მისულიყო დასავლეთ უკრაინაში და თავისი შენაერთით მტრის ღრმა ზურგში დაბანაკებულიყო. ფედოროვმა მოსახლეობაში დიდი სააგიტაციო მუშაობა ჩაატარა. მისმა მუშაობამ საუკეთესო ნაყოფი გამოიღო, საფუძველი გამოაცალა მტრის პროპაგანდას და გერმანელები პირში ჩალაგამოვლებული დასტოვა. მათ ველარ მოახერხეს შუღლი ჩამოეგდოთ პოლონელებსა და უკრაინელებს შორის.

ამრიგად, წელში გატეხილი, ფრონტმოგვარების საქმეში ჩვენმა შენაერთმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ამრიგადა, წელში გატეხილი, ფრონტზე დამარცხებული მტერი აქაც დამარცხდა. ვერ გასჭრა მისმა პროვოკაციამ. როდესაც ჩვენი შენაერთი სადმე მივიდოდა, გლეხები მაშინვე ამბობდნენ: „ნამდვილი პარტიზანები მოვიდნენო“ და იქვე ირონიული ღიმილით გაიხსენებდნენ ცრუ პარტიზანებს. სად ისინი და სად ესენიო—ამბობდნენ უკრაინელი და პოლონელი გლეხები. სოფლელები ჩვენთვის არაფერს არ იშურებდნენ, პარტიზანებს გულუხვად

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიმასპინძლდებოდნენ, გლეხის ოჯახის კარები ჩვენთვის მუდამ ღია იყო.

არც ამ დროებითი შესვენების, არც ბრძოლის დროს ჩვენ არ შეგვინელებია ბოლშევიკური პროპაგანდა და აგიტაცია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ხალხთა მასების გათვითცნობიერების, მტრის წინააღმდეგ მათი დარაზმვის საქმეში. აქ მოწინავენი, ცხადია, პარტიის წევრები და პოლიტხელები იყვნენ. ამ სააგიტაციო მუშაობას ყოველი მებრძოლი ატარებდა, მაგრამ ჩვენ ეს მაინც არ ვიკმარეთ. შენაერთის ხელმძღვანელობამ სპეციალურად გამოჰყო მოწინავე და პოლიტიკურად გამობრძმედილი ამხანაგები, რომლებიც მოედვნენ სოფლებს, მოიწვიეს კრებები და გულდასმით განუმარტეს მოსახლეობას საქმის ვითარება. მათ აუხსნეს როგორც უკრაინელ, ისე პოლონელ მოქალაქეებს, თუ რა მიზნით ცდილობდა მტერი მათ შორის შუღლის ჩამოგდებას, უფსკრულის გაღრმავებას.

კრებებზე დამსწრე ხალხი აგიტატორებს სულგანაბული უსმენდა, საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

სოფლებიდან დაბრუნებულმა აგიტატორებმა აღმაშფოთებელი ამბები გადმოგვცეს: „გერმანელთა მიერ გაპარტახებულ სოფლებში, — სთქვეს მათ, — ხალხს არ გააჩნიათ არც საპონი, არც მარილი და არც სხვა პირველი საჭიროების საგნები, ყველგან წარმოუდგენელი ანტისანიტარული მდგომარეობაა; ამ უსუფთაობამ ათასგვარი სენი გამოიწვია, ეპიდემია მძვინვარებს სოფლებში, მოსახლეობა მოკლებულია სამკურნალო დახმარებას“.

პარტიზანული შენაერთის ხელმძღვანელებს, ცხადია, არ შეეძლოთ გულგრილად ეცქირნათ ამ შემზარავი მდგომარეობისათვის. ვერშიგორამ სახელდახელოდ გამოჰყო ექიმები, საჭირო რაოდენობის მედიკამენტები და აგიტატორ-პროპაგანდისტებთან ერთად დაგზავნა ისინი სოფლებში.

კალამიც კი ვერ ასწერს ამ აღფრთოვანებას, იმ სიხარულს, რომლითაც შეხვდა მოსახლეობა ჩვენს მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს. გაიგო თუ არა ხალხმა, საბჭოთა პარტიზანებმა ექიმები და წამალი გამოგვიგზავნესო, ჩვენს ბანაკს აუარებელი ხალხი მოაწყდა, გრძელი რიგები გაჩნდა შენაერთის საექიმო პუნქტის წინ. ხალხი ჩვენი მოსვლის დღეს ლოცავდა, აღარ იცოდა რითი და როგორ გადაეხადნა მადლობა.

სწორედ ამ ხანებში დაზვერვაზე გაგზავნილი ჩვენი მებრძოლებიც დაბრუნდნენ. მათ ამბავი მოიტანეს, რომ მახლობელ სოფელში მტრის სამი ტანკი უგზოუკვლოდ დაეხეტება, სოფლელები ქოხებში ჩაკეტილან, შიშით გარეთ ვერ გამოსულან, მტრის ტანკები კი უშიშრად თელავენ აღმა-დაღმა სოფლის ვიწრო ქუჩებსო. ჩანდა, რომ ეს ნაწილს ჩაშორჩენილი ტანკები იყო, რომლებიც თავისიანებთან შეერთებას ცდილობდნენ.

საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება.

ტანკების გასანადგურებლად შენაერთიდან სასწრაფოდ გაიგზავნა არტილერია და ქვეითი ნაწილი. ჩვენი მებრძოლები სოფლის გამოსასვლელში ჩაუსაფრდნენ მტრის ტანკებს. დიდი ლოდინი არ დასჭირვებიათ. ტანკები მალე გამოჩნდა. სამივე მანქანა ჩვენმა ბიჭებმა ქვემეხების სწორი დამიზნებით ძწყობრიდან გამოიყვანეს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ კვლავ მტრის ზურგში მოვექეცით, მართალია დიდი მუშაობა ჩავატარეთ, მაგრამ სრულ კმაყოფილებას მაინც ვერა ვგრძნობდით. ჩვენი მთავარი ამოცანები ისევ შეუსრულებელი გვრჩებოდა. საჭირო იყო ფართო მასშტაბით მოგვეწყო დივერსიები, ეშელონების ლიანდაგიდან გადაგდება, მოწინააღმდეგის ცოცხალ-

ძალისა და მატერიალური დოვლათის განადგურება. 23.VII

და, აი, 1944 წლის ჩვიდმეტ იანვარს გზის გასაწმენდად წინ გაიგზავნა დამკვრელი ჯგუფი — ცხენოსანთა ესკადრონი და მეხუთე ასეული. ესკადრონს ლენკინი მეთაურობდა, ხოლო ქვეითს ნაწილს — ეფრემოვი.

ეს უკვე აქტიური ბრძოლების დასაწყისი იყო.

როცა წინ გაგზავნილი ჩვენი მებრძოლები სოფელ ლინჩში შევიდნენ და დაბა მელცს მიუახლოვდნენ, მტრის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ; ნაცადი და გამობრძმედილი ხელმძღვანელები — ლენკინი და ეფრემოვი არ დაიბნენ, ლინჩში თვეობით გამაგრებულ მტერს ეკვეთნენ და სწრაფად გაფანტეს. დაბა მელცის მცხოვრებლებს ლოდინი არ დაუწყიათ: როგორც კი გაიგეს ლინჩში პარტიზანები მოდიანო, შესახვედრად მოემზადნენ. მცხოვრებლებმა ცოტა დახმარება როდი გაუწიეს ლენკინსა და ეფრემოვს. გერმანელებს ვერ მოესწროთ საწყობებისათვის ხელის ხლება, დიდძალი მედიკამენტები, სამხედრო ქონება და სურსათ-სანოვაგე ჩაიგდო ხელში ჩვენმა შენაერთმა.

ერთი რამ მაინც გვიკვირდა: ამ ბოლო დროს ვრცელი გზა გამოიარა შენაერთმა და არსად მტერს სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევია. ახლა უკვე გერმანელები ბრძოლას გაურბოდნენ და, თუ მაინცადამაინც მას ბრძოლაში ჩავითრევდით, აქტიურობას არ იჩენდნენ, პირველი შებმისთანავე უკან იხევდნენ და თავს შველოდნენ.

ლენკინის ცხენოსანი ესკადრონი კვლავ შეუჩერებლად წინ მიიწევდა, გზას სწმენდდა; ამ ავანგარდს კვალდაკვალ მთელი შენაერთი მისდევდა. ესკადრონი მალე სოფელ სინოვოში შეიჭრა. ისეთი სწრაფი და მოულოდნელი აღმოჩნდა ეს იერიში, რომ გერმანელთა გარნიზონის თითქმის მთელი შემადგენლობა სოფელში ჩარჩა და ტყვედ ჩაგვბარდა.

ამგვარად, თითქმის [illegible] ლად და შეუჩერებლად მივაღწიეთ სარხი-კოველის რკინიგზის ხაზს. მიუვალი და წარმოუდგენლად გამაგრებული აღმოჩნდა რკინიგზა. მას ეკლიანი მავთული ორ წყებად ჰქონდა შემოვლებული, ირგვლივ მცველთა ძლიერი რაზმები იყო ჩასაფრებული.

მტრისაგან ლიახდაგის გაწმენდა მეცხრე ასეულისა და მეოთხე ბატალიონის უფროსებს — მე და კაპიტან ტოკარს მოგვანდეს.

ჩვენ დაუყოვნებლივ შევუდექით საძზადისს ხაზის გასაწმენდად. იმავე ღამეს, ოცდაორ საათზე იერიში მივიტანეთ მტრის სიმაგრეებზე, მოვსპეთ მცველები, გავკაფეთ მავთული, არტილერიის ცეცხლით გავანადგურეთ რკინა-ბეტონის ნაგებობანი, გავწმინდეთ და უშიშარი გავხადეთ გზა. ამის შემდეგ ბატალიონისა და ასეულის მებრძოლები შერჩეულ პუნქტებში ჩავასაფრეთ გზის დასაცავად. მერე შენაერთმა უშიშრად იწყო გაწმენდილ გზაზე გადასვლა. ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო გზაზე გადასვლა, როცა დასავლეთიდან მომავალი მატარებელიც გამოჩნდა. ორთქლმავალი ნაღმს წააწყდა, ამავე დროს მას ჩვენმა მებრძოლებმა ჯავშანმხვრეტი იარაღით სროლა აუტეხეს და ორთქლმავალი თავდაყირა გადატრიალდა. მატარებლის ბრიგადამ და მცველებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, მცველების ერთი ნაწილი იძულებული გავხადეთ დაგვმორჩილებოდა, მეორე ნაწილმა კი გაქცევით თავს უშველა.

მატარებლის შემადგენლობა დატვირთული იყო შესანიშნავი ახალი ტანსაცმლით. აქ იყო თეთრი შარვლები, კიტელები და თოვლიან ამინდში შესანიღბავად განკუთვნილი მოსასხამები. ამას გარდა, ბლომად იყო მწვანე ფე-

რის, გაზაფხულ-ზაფხულის ბუნებასთან ფერშეხამებული ტანსაცმელი. ამ ტანსაცმლით შევმოსეთ შენაერთის მთელი შემადგენლობა.

როგორც კი მატარებელი განვტვირთეთ, ტყვეების დაკითხვა დავიწყეთ:

— საიდან მოდიხართ? — შევეკითხეთ ერთ მათგანს.

— გერმანიიდან.

— როდის გამოემგზავრეთ?

— სამი-ოთხი დღის წინათ.

— სად მიდიოდით?

— ფრონტზე.

— იცით კი სად არის ამჟამად ფრონტი?

— არა, არ ვიცით... დღეს აქ არის და ხვალ შესაძლებელია ოცი-ოცდაათი კილომეტრით გადმოინაცვლოს... და ასე ყოველდღიურად. ჩვენები უკან იხევენ...

— გერმანიაში იციან ეს ამბავი?

— სამწუხაროდ, ახლა ყველამ იცის. დღემდე კი ხალხს არ უმხელდნენ. ჩვენი რადიო მხოლოდ იმას გადმოგვცემს, რომ ჩვენები ფრონტის მიხვეულ-მოხვეულ, გამრუდებულ ხაზს ასწორებენო. საქმე რომ ნამდვილად წაგებულია, ამას მოქალაქენი ერთმანეთს მხოლოდ ჩურჩულით ეუბნებიან. გერმანიაში დიდმა და პატარამაც უკვე იცის ეს ამბავი.

— თქვენ პირადად როგორ უცქერით საქმეს?

— დაღუპულია ჩვენი საქმე, ომი წაგებულია!

ომი წაგებულიაო, პირველად გავიგონეთ გერმანელების პირიდან, ამ სიტყვას უკვე უყოყმანოდ წარმოსთქვამდნენ ჰიტლერის ჯარისკაცები. სადღა იყო მათი მედიდურობა, მათი სიკერპე და სიჯიუტე! მაგრამ, განა მხოლოდ უკანასკნელ დღეებში დარწმუნდნენ გერმანელები, რომ ომი უკვე წაგებული ჰქონდათ? არა, ამას დიდი ხანია გრძნობდნენ და ხედავდნენ, მაგრამ არ ტყდებოდნენ, სინამდვილისათვის თვალებში ცქერა უჭირდათ, თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა [illegible] უკან დახევაზე, დამარცხებაზე.

ცხრამეტ იანვარს, ღამით, კოველ-ბრესტ-ლიტოვსკის რკინიგზის ხაზს მივადექით, სათანადო თადარიგიანობის შემდეგ ხაზზე უკნებლად გადავედით; შენაერთს წინ კვლავ ლენკინის ესკადრონი მიუძღოდა. მალე სოფელ კრიმნოში შევიჭერით და იქ მცირე შესვენება მოვაწყეთ. კრიმნოში გლეხებმა გვითხრეს, მახლობელ სოფელ კუკურეკაში მტრის დიდი გარნიზონი დგასო.

კრიმნოში ჩვენი შენაერთის შტაბმა კუკურეკის გარნიზონის განადგურების მიზნით სპეციალური გეგმა შეიმუშავა, გამოჰყო დამკვრელი ჯგუფი და ტემპის შეუნელებლად კუკურეკის მიმართულებით გზა განაგრძო. დამკვრელი ჯგუფი დილის ექვს საათზე, ორი მხრიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, კუკურეკაში შეიჭრა. მოულოდნელი აღმოჩნდა გერმანელებისათვის ეს თავდასხმა. მტრის გარნიზონმა ადგილზე ოცამდე დახოცილი ჯარისკაცი დასტოვა და სასწრაფოდ ტყეს თავი შეაფარა.

გარნიზონის შტაბი გერმანელებს ადგილობრივი სკოლის შენობაში მოეთავსებინათ. მოწინააღმდეგემ გაქცევის წინ ვერ მოასწრო სკოლის შენობაში მოთავსებული დიდძალი სურსათ-სანოვაგის, სამხედრო მასალისა და ტელეფონის აპარატების წაღება. შემდეგში მტერმა კუკურეკაში უკან დაბრუნება სცადა, მაგრამ დიდი ზარალით უკუგდებულ იქნა.

კუკურეკის აღების შემდეგ შენაერთი მტერს კვლავ ღრმა ზურგში მოექცა, ამ დროიდან შესაძლო იყო მტრის შემავიწროებელი და გამანადგურებელი დივერსიები გაგვეახლებინა, ამ დღიდან ჩვენ კვლავ განუწყვეტელ ცხარე ბრძოლებში ჩავებით

იანვრის ბოლო რიცხვებში შენაერთი კოველ-ხოლმის რკინიგზის ხაზს მი-

ადგა. ამ გზაზე მტრის ეშელონი ეშელონს კუდში მისდევდა, ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ იქნებოდა დაცული მტრის მიერ ასეთი მნიშვნელოვანი რკინიგზა.

ღამე იყო, როცა რკინიგზის ხაზს მივუახლოვდით. პარტიზანები გარიხდებული იდგნენ ღამის წყვდიადში და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მატარებლების დაუსრულებელ მოძრაობას. შენაერთის შტაბმა სახიფათოდ სცნო ლიანდაგზე გადასვლა, მაგრამ გადაუსვლელობაც არ შეიძლებოდა. ვერშიგორამ განკარგულება გასცა საფარი რაზმების გამოყოფის შესახებ. ლიანდაგზე უხიფათო გადასვლის უზრუნველსაყოფად გამოიყო მესამე და მეოთხე ბატალიონები და მენაღმეთა გაძლიერებული ჯგუფი.

ოპერაციის მონაწილე ბატალიონების მეთაურებს წინადადება მიეცათ ღამის წყვდიადში ფეხაკრეფით მიჰპაროდნენ ლიანდაგს, სწრაფად დაეხოცხათ მცველები, გაეწმინდათ ხაზი და თვითონ ჩასაფრებულიყვნენ ისე, რომ მტერს ხელახლა ვეღარ მოეხერხებინა შემოტევა. დანარჩენ მეთაურებს ებრძანათ, თავიანთი ნაწილები რაც შეიძლება დაჩქარებით გადაეყვანათ გადასასვლელზე.

ეს ამოცანა მესამე და მეოთხე ბატალიონებმა ბრწყინვალედ გადასჭრეს. რკინიგზის მცველები მოუმზადებელი იყვნენ, არ ელოდნენ ჩვენს შეტევას. ამასობაში მენაღმეებმაც სწრაფად დაალმეს ხაზი. ლიანდაგზე გადასასვლელად ფრიად ხელსაყრელი მომეხტი დადგა. შენაერთის კოლონებმა სწრაფად და უშიშრად იწყეს ხაზის გადასასვლელზე გადარბენა.

ცხენების ფრუტუნის, მარხილების სრიალისა და ქვემეხების გრუხუნისაგან ყურთა სმენა არ იყო.

ღამის პირველ საათზე დანაღმულ ლიანდაგს აღმოსავლეთის მხრიდან მატარებელი მოადგა. ეს მატარებელი მეტად ორიგინალური შემადგენლობის აღმოჩნდა: ორთქლმავლის წინ ქვეშით დატვირთული ექვსი ვაგონ-ბაქნები უკან სახალხო ვაგონები ება, ორთქლმავალი ვაგონებს შუა იყო მოქცეული. ქვიშიანი დატვირთული ვაგონ-ბაქნები პარტიზანთა მიერ ჩაწყობილ ნაღმებით აფეთქდა, ორთქლმავალი კი უვნებლად გადარჩა. ამასობაში გადასასვლელ ადგილს დასავლეთის მხრიდანაც მოადგა მატარებელი. ორცეცხლს შუა მოექცა ჩვენი შენაერთი. პარტიზანები ჯერ ისევ რკინიგზის ხაზზე იყვნენ, მოწინააღმდეგემ კი ორთავე მხრიდან ცეცხლის წვიმა დაგვაყარა. აუცილებელი იყო ბრძოლაში ჩავბმულიყავით. პირველ რიგში ჩვენებმა ჯავშანმხვრეტი იარაღით დაცხრილეს და მწყობრიდან გამოიყვანეს დასავლეთიდან მომდგარი მატარებლის ორთქლმავალი. ეს მატარებელი რეგულარული ჯარის ხაწილებით იყო დატვირთული. გერმანელებმა ძირს გადმოიღეს ტყვიამფრქვევები და ცეცხლი დაუშინეს ჩვენს კოლონებს. მოღუშულ-მოკუპრული ღამე მაშხალებით იყო გაჩირაღდნებული.

რკინიგზის ხაზზე ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა, გადარბენა ალარ ხერხდებოდა, არა და — იქ დარჩენაც შეუძლებელი იყო. მაგრამ პარტიზანთა სიმამაცემ მაინც თავისი გაიტანა. ჩვენი მებრძოლები ტყვიამფრქვევთა ჯერებს შუა დროს იხელთებდნენ, გადასასვლელზე სასწრაფოდ გადარბოდნენ და, განკარგულების თანახმად, მტერს იქვე, მახლობლად უსაფრთხებოდნენ. მხედველობაში ვიღებდით იმასაც, რომ საჭირო იყო საქმე სასწრაფოდ დაგვემთავრებინა, მოსალოდნელი იყო ბრძოლის გართულება, მტერს შეეძლო დამხმარე ძალები გამოეწვია, რკინიგზის ხაზზე ეს ადვილი შესაძლებელი იყო.

სიჩუმის წუთები, ინტერვალები ტყვიამფრქვევთა ჯერებს შორის ძალიან ხანმოკლე იყო. რკინიგზის ხაზზე გადასვლისას ერთხანს ყველა ცეცხლის

არეში მოხვდებოდა. ადამიანებიცა და ცხენებიც მოწყვეტილივით ცვივოდნენ მიწაზე. ირგვლივ ადამიანთა კვნესა და დაჭრილ ცხენთა ჭიხვინი ისმოდა, მაინც მიხოხავდნენ ბუ[illegible]ლით გაბედული მებრძოლები, გამოჰყავდათ დაჭრილი პარტიზანები, კუდით დაითრევდნენ ხოლმე დახოცილ ცხენებს და ასე წმენდდნენ გზას. აგერ ჩემი ასეულის გადასვლის რიგიც მოვიდა. ჩემი თეთრი ცხენით, საყვარელი „ბელჩუკით", ასეულის წინ დავდექი.

ძნელია იმ წუთების გადმოცემა, რასაც მაშინ განვიცდიდი. თუმცა სიკვდილის პირისპირ ვიდექი, მაინც ვცდილობდი სულიერი სიმშვიდე შემენარჩუნებინა, მებრძოლთათვის მაგალითი მეჩვენებინა.

გონიერი ცხოველი, ჩემი „ბელჩუკი" ძალიან შეშინებული იყო. ცხენის ფერდებზე შემოჭერილი მუხლებით ვგრძნობდი, როგორ ცახცახებდა მისი სხეული. „ბელჩუკი" დაცქვეტილ ყურებს ხან დაბლა დახრიდა, ხან ცალ ყურს ისევ ზევით ასწევდა, გაგანიერებული თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა, დროგამოშვებით მოკლედ დაიფრუტუნებდა. მახსოვს, ტყვიამფრქვევის რაკრაკის დროს „ბელჩუკს" განგებ ვკარი ქუსლი ფერდებში, ცხენი მხოლოდ ერთ ადგილზე სცემდა ტორებს, ნაბიჯს წინ აღარ დგამდა, ტყვიამფრქვევის ჯერის შეჩერებას უცდიდა. სროლა შეწყდა და „ბელჩუკიც" წინ გაქანდა. შუა გადასარბენს მიაღწია თუ არა რკინიგზის ლიანდაგზე, ტყვიამფრქვევებმა კვლავ გააბა ყეფა. სულ ახლოს იწყო ზუზუნი ტყვიებმა. მე უვნებლად გადავრჩი, მხოლოდ „ბელჩუკისათვის" ეს გადარბენა საბედისწერო გახდა. ცხენი დაბარბაცდა და წინა ფეხებით ჩაიჩოქა, მისი მკერდიდან შადრევანივით გადმოხეთქა სისხლმა. ჩაჩოქებულ ცხენს თავზე გადავევლე და ლიანდაგის მეორე მხარეს გადავხტი. სულ პატარა მანძილი გავირბინე და თხრილში ჩაწოლილ ვერშიგორას წავაწყდი. უკუნეთი ღამე იყო. პეტრო ძლივს ვიცანი. ასეულს წინ წაწევა და [illegible] საფრება ვუბრძანე, მე [illegible] თან თხრილში ჩავჯექი.

— დავითი ხარ? — შემეკითხა ვერშიგორა, — ხედავ რა მაგარი ბრძოლაა; არა და ამ ბრძოლის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, გაქცევა გაუმართლებელი იქნებოდა. ეშელონები უსათუოდ უნდა გავანადგუროთ, ერთადერთი გამოსავალი უსაშიშრო გადასვლისათვის ახლა ეს არის.

უეცრად შევამჩნიე, რომ დაჭრილი „ბელჩუკი" ცეცხლის არედან საშშვიდობოზე გამოსულიყო.

ჩემი მეკავშირე ვასია მიროშკინი „ბელჩუკთან" მიხოხდა, უნაგირი მოხადა, ასეულისაკენ ლამობდა პირუტყვის წამოყვანას, მაგრამ ცხენმა სიარული ვეღარ შეძლო.

სროლა უფრო გაძლიერდა. არე-მარე კვლავ მაშხალების შუქით იყო გახათებული. მეკავშირეებმა ქშენით მოირბინეს და ვერშიგორას მოახსენეს:

— ლიანდაგის ვადასასვლელთან და მის ახლო-მახლო შეუპოვარი და საშიხელი ბრძოლაა გაშლილი. მტერმა უკვე იცის, რომ შენაეროი გადმოსასვლელზე გადადის და ამიტომ ჩვენების გასანადგურებლად არაფერს არ ზოგავს. ჩვენები კარგად იცავენ თავს, ვაგონებს ძლიერი ცეცხლი დავუშინეთ. ვაგონებიდან პირუტყვის გულშემზარავი ბღავილი ისმის...

თხრილში პირალმა ჩაწოლილი ვერშიგორა გვერდზე გადმობრუნდა და გაოცებულმა იკითხა:

— პირუტყვის ბღავილი?! რა ვაგონებია?

— ჩვეულებრივი სახალხო ვაგონებია, — უპასუხა მეკავშირემ.

— სახალხო ვაგონებში პირუტყვს რა უნდა? — კვლავ გაიოცა პეტრომ.

— მეც არ ვიცი, მაგრამ ეს კი ასეა.

— შენ თვითონ გაიგონე პირუტყვის ბღავილი?

— დიახ, გავიგონე; ჩვენი მებრძოლების მიერ ტყვიის დაშენას — პირუტყვის ბღავილი მოჰყვა.

ვერშიგორამ წვერზე ხელი მოიკლო. მცირე ხნის შემდეგ იკითხა: შუმეიკო სად არის, მისმა ბატალიონმა თუ გადმოირბინა?

— დიახ, ესეც არის აქეთა მხარეს გადმოვიდნენ მისი მებრძოლები.

— დაუძახეთ საჩქაროდ შუმეიკოს!

შუმეიკო უმალვე თხრილთან გაჩნდა.

— ამხანაგო შუმეიკო, სად არის შენი ბატალიონი? — შეეკითხა ვერშიგორა.

— მხოლოდ ამ წუთში დავამთავრეთ ლიანდაგზე გადმორბენა, ტყეში არიან ახლა მეომრები გაფანტული.

— შეკრიბე და ვაგონებში ჩასაფრებულ მტერს შეუტიე, უნდა გაანადგურო მოწინააღმდეგე, პირუტყვი ვაგონებიდან გადმოსხი.

— მესმის! — უპასუხა შუმეიკომ ვერშიგორას და ღამის წყვდიადში გაჭრა.

შუმეიკო დაფაცურდა, მაგრამ თავისი ბატალიონის მთლიანად შეკრება ვერ შესძლო და შეტევაზე ველარ გადაიყვანა. ვერშიგორამ ეს რომ დაინახა, ახლა კულბაკა იხმო.

— საჩქაროდ გაემზადე და დაუყოვნებლივ მტერს შეუტიე, უკან არ გამობრუნდე, სანამ მატარებელს არ გაანადგურებ! — უბრძანა კულბაკას ვერშიგორამ.

კულბაკამ ორ ჯგუფად გაჰყო ბატალიონი და ერთი ჯგუფის თანხლებით მისთვის ჩვეული გამბედაობით მიიჭრა მატარებელზე, მეორე ნაწილმა ტყის ნაპირად ჩასაფრებულ მტერს შეუტია. ბრძოლამ დილამდე გასტანა. კულბაკამ შესძლო მტრის ძირითადი ძალის განადგურება. ვაგონები ხანძარში გაახვია, ცოცხლად გადარჩენილი ჰიტლერელები ტყეში გაიფანტნენ.

მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ვაგონებში ჩვეულებრივი, რქოსანი და ოთხფეხა პირუტყვები კი არ აღმოჩნდნენ, არამედ ურქო და ორფეხა ჰიტლერული პირუტყვები. ბრძოლებივით ბღავილიც იმატომ დაიწყეს, რომ ჩვენი მებრძოლები შეცდომაში შეეყვანათ.

ის იყო დასრულდა ბრძოლა, როცა აღმოსავლეთის მხრიდან დანაღმულ გზას სამხედრო მატარებელი მოადგა. ამ მეორე მატარებელთან ბრძოლას აზრი აღარა ჰქონდა, სამშვიდობოზე გამოსულმა ჩვენმა შენაერთმა გადაწყვიტა გზა განეგრძო. წასვლამდე სახელდახელოდ ტყვეების დაკითხვა მოვასწარით.

— ვინ იყვნენ მატარებელში, ასე თავგამოდებით რომ ჩაგვაბეს ბრძოლაში, ტყუილ-უბრალოდ შეგვაკლეს თავი? — ჰკითხეს ჩვენებმა ტყვეებს.

— ფრონტიდან მოვდივართ, — გვითხრეს ტყვეებმა. — ჩვენი ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძოდა. გადაქანცულები ამჟამად დასასვენებლად გაგვისტუმრეს გერმანიაში.

— წასულიყავით და დაგესვენათ!

— თქვენს დანახვაზე ჩვენმა უფროსმა ბრძანება გასცა: დავასწროთ და გავფანტოთ, სანამდე ცეცხლში გაგვახვევენო!

ჩვენს შენაერთს კვალდაკვალ მოსდევდა პარტიზანთა მეორე რაზმი, ივანოვის ხელმძღვანელობით. გლეხებს ივანოვისთვის ეთქვათ, რომ ლიანდაგის გადასასვლელთან პარტიზანებს და გერმანელებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა, ბრძოლამ მთელი ღამე გასტანა, სასტიკად დამარცხდნენ გერმანელები, მარტო დახოცილთა რიცხვი ხუთასს კაცს აღემატებოდაო.

გლეხებს გადაეჭრბებინათ, სინამდვილეში სამასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს იმ ბრძოლაში გერმანელებმა. ამასთან ერთად ჩვენებმა ორი ორთქლმავალი გაანადგურეს, თექვსმეტი სახალხო, ორმოცი სატვირთო ვაგონი და სამი ბაჭანი. ის-ის იყო წასასვლელად გავემზადეთ, ასეული მწყობრ-

ში დავაყენე და „ბელჩუკიც“ გამოჩნდა. გავოცდი. მოულოდნელი იყო, ვერ წარმომედგინა ცხენის გადარჩენა. საცოდავად მოხტოდა, თითქოს ბორკილი ედო წინა ფეხებზე, სისხლით გათხუპნული ცხენი ასეულს მოუახლოვდა და შეჩერდა. ავღელდი, შემეცოდა საცოდავი პირუტყვი, თითქოს მე მიმიძღოდა მის დაჭრაში ბრალი. მივედი ცხენთან, მოვეალერსე, ფაფარზე გადავუსვი ხელი, წყნარად, ადამიანივით კვნესოდა. არც შემომხედა. სხვა დროს ჩემი მიახლოვებისას თვალს თვალში გამიყრიდა მეთამაშეობდა, როგორც პატარა ბავშვი. ახლა კი იცქირებოდა, გული წყდებოდა ალბათ ჩემზე, განსაცდელის წუთებში მარტო რომ დავტოვე; არა და სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავი: როცა „ბელჩუკი“ ლიანდაგზე წაიქცა, საკმაო იყო რამდენიმე წამით შევჩერებულიყავი და მეც მას გვერდში მოვუწვებოდი. ცხენს კვლავ მოვეალერსე, მაგრამ ამაოდ, ის ისევ განზე იცქირებოდა.

უეცრად „ბელჩუკმა“ კვნესა შეწყვიტა, მიწაზე დაეცა და ფეხები გაჭიმა. საბრალო პირუტყვს გონიერი თვალები ღიად დარჩა.

დაჯავრიანებული დავცილდი ცხენს. შემდეგში მე საჯდომი ცხენი აღარ ამიყვანია.

ფორსირებული მარშით გავცილდით ლიანდაგს და მიმართულება სოფელ მოსურისაკენ ავიღეთ.

როგორც ეს სხვა დროს, ცხენოსანი ესკადრონი, მეკავშირეების თანხლებით ახლაც დაწინაურდა: გზის გაწმენდა იყო საჭირო. მით უმეტეს, რომ იმ მიდამოებში ძაღლი პატრონს ვერ იცნობს, რომ იტყვიან, ისეთი მდგომარეობა იყო. მტრის ნაწილებიდან ჩამორჩენილი ჰიტლერელებთა ჯგუფები ყველგან დაძრწოდნენ. მტრის გარნიზონი თითქმის ყველა სოფელში იდგა. ჩვენი პარტიზანული შენაერთი მეწინავე ესკადრონს კვალდაკვალ მისდევდა.

მივუახლოვდით თუ არა სოფელ მოსურს, მეკავშირეები შემოგვეგებნენ. სოფელში ჩვენი ცხენოსანი ესკადრონი [illegible] და დაიკავესო, გადმოგვცეს ბიჭებმა მტრის მცირე გარნიზონი. რომელიც სოფელში იდგა, სადღაც გაძვრალიყო. ჩვენებს ერთი თოფი არ გაუსროლიათ. ისე დაეკავებინათ სოფელი. გზა უშიშრად განვაგრძეთ და მალე მოსურს მივაღწიეთ. სრული წესრიგის დაცვით შევედით სოფელში. ისეთი მყუდროება დაგვხვდა, ასე გეგონებოდათ ამ სოფელში არასდროს კაცის ფეხი არ დადგმულაო. სდუმდა ღამის წყვდიადში სოფელი. არ გასულა ორი წუთი და ჩემი ასეულის მეკავშირე პატარა მიროშკინი საიდანღაც გამოძვრა და ჩემს წინ დაერჭო.

— ჩვენი ასეულისათვის ბინებია გამოყოფილი ამხანაგო მეთაურო, მე ვიცი სად არის ეს ბინები, შემიძლია ყველა გიჩვენოთ და ჩაგაბაროთ, — მეუბნება ბავშვი.

— ცხენოსნები სად დაბინავდნენ? — ვეკითხები მიროშკინს.

— აქვე, სულ ახლოს. ძალიან კარგი ოთახებია ჩვენთვის გამოყოფილი, ბინების განაწილებაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას — დინჯი გამოძეტყველებით მეუბნება პატარა მეკავშირე.

— გამოდის, რომ შენ არა მარტო მეკავშირე, არამედ საბინაო კომისიის წევრი ყოფილხარ, ჩემო ვასია? — ვეუბნები ხუმრობით.

— მაშ, მაშ, სწორედ რომ აგრეა, — ფეხების ბაკა-ბუკით მიპასუხებს სიცივისაგან ცხვირგაწითლებული ბავშვი.

— მაშ გამიძეხი, მაჩვენე ბინები!

ყველა ასეულმა და ბატალიონმა ჩქარა მოძებნა მისთვის მიჩენილი ბინა. დაღლილ-დაქანცულმა პარტიზანებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. თუთხმეტოცი წუთი გასტანა ხმაურმა და მოძრაობამ, გადი-გამოდიოდნენ კიბეებზე და აივანზე ბიჭები. ყინვამ იმატა. სახლებში შესვლას ჩქარობდნენ პარტიზა-

ნები. გარეთ მეთაურების ხმაც მიწყდა. საერთო სიჩუმე ჩამოვარდა. გარეთ ამ მყუდროებას ძაღლების შორეული ყეფა არღვევდა. 24 VII

გულაღმა ვწევარ დარაბა-ჩაკეტილი ბნელ ოთახში, ფიქრებს ვეძლევი, ძილი არ მეკარება: ომი ითავრდება, პარტიზანული ბრძოლების უკანასკნელი ეტაპიც ახლოვდება. მგლის ხროვასავით დაძრწიან მტრის ნაწილებიდან ჩამორჩენილი ჯგუფები, თუ წინათ სიფრთხილე იყო მათთან ბრძოლის დროს საჭირო, დღეს თადარიგიანობა და სიფრთხილე გაათკეცებით გვმართებს.

პეტრო ვერშიგორა უდაოდ კარგი ხელმძღვანელია, ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, გულისხმიერი ამხანაგი და მეგობარი, მაინც ფიქრში ისევ თვალწინ კოვპაკი და რუდნევი მიდგებიან. ან კი როგორ შეიძლება მათი დავიწყება. შეხაერთის ფუძემდებლები ისინი არიან, პეტროც და ყოველი ჩვენგანიც ხომ მათი აღზრდილია, ისინი ახლაც თითქოს დედაბოძებივით უდგანან ჩვენს შეხაერთს.

ყველას გვწამს და გვიყვარს ისინი. ახლა სიმონ ვასილისძის ჩვენს შორის ერთი წუთით გამოჩენა მთელ შენაერთს შეძრავდა!

— ჩაუწექი, ტყვიამფრქვევს, დაუმიზნე, აბა მალე!.. — მეზობელ ოთახიდან მოისმა პარტიზანის ბოდვა. შარვლის ჯიბეში ხელი ჩავყავი, უკანასკნელი გახვევა წეკო ამოვიღე და სიგარა გავიწყვე. ფოსფორის ციფერბლატიან საათს დავხედე. ღამის ოთხი საათია. რად არ მეძინება?! — ვეკითხები საკუთარ თავს. მინდა ვოვიშორო ეს ფიქრები, ვერ მომიხერხებია. სიგარის წევა დავამთავრე, გადავბრუნდი, თვალებზე ხელისგული მივიფარე. ნეტავ რად არ იწერებიან სახლიდან წერილს? ეხ, კიდევ წამოვიწყე ახალი ფიქრები. შევბრუნდი, გაჯავრებულმა გვერდი ვიცვალე. შორიდან ავტომატების მოკლე ჯერები მოისმა. ალბათ ჩვენი მზვერავები, გავიფიქრე, თუ დალანდეს ვინმე! დიდის-ვაგლახით ჩამეძინა.

დილის შვიდ საათზე გამოვეღვიძა. გახურებული ვარ, ალმური ამდის, თითქოს აბანოდან ახალი გამოსული ვიყო. განსაკუთრებულად სახე მიხურს, თვალები მეწვის. ზეზე ვდგები, დარაბებს ვაღებ. თეთრად გათენებულა. გარეთ პარტიზანები ფუსფუსებენ, მოძრაობაა ქუჩაში.

ჩემი ბინის და მეზობელ ოთახშუა დატანებულ კარებს ვიღაცამ წყნარად დაუკაკუნა:

— შეიძლება?

— გთხოვთ! — ვპასუხობ.

კარები გაიღო. შავწვერა ახმახი მღვდელი შემოვიდა ოთახში.

— მშვიდობა თქვენს მოსვლას! — ძმესალმა მღვდელი. — ზეზე წამოვდექი და მორიდებული სალამი მივეცი. მღვდელმა სკამზე მიმითითა, დაბრძანდითო, მთხოვა. დავსხედით. მან ნელნელა დაიწყო საუბარი.

— მე ამ სახლის პატრონი ვარ, გუშინ სალამოს თქვენები მობრძანდნენ, ბინა მთხოვეს, სიამოვნებით დავუთმე. აბა გერმანელები როდის გვთხოვდნენ ბინას, ჯიქურ შემოიჭრებოდნენ ხოლმე სახლში. მაგ წყეულებმა წარყვნეს ჩვენი მიწა-წყალი, ხალხს ხეებზე აღრჩობენ, რჯული შეგვიგინეს! დიდი უბედურება დაატრიალეს ჩვენს სოფელშიც. სხვებთან ერთად ერთი მღვდელიც ჩამოაღრჩეს.

— მღვდელს რაღას ერჩოდნენ?

— რა ვიცი დააბრალეს ვითომ პარტიზანები გააცილე, გზა ასწავლეო!

— დიდი ხანია რაც თქვენი სოფლიდან გერმანელები გავიდნენ?

— არც მაინცდამაინც დიდი ხანია. ძნელოდ გუშინ გარეკეს თქვენმა ცხენოსნებმა. ჰმ! სავალალო ის არის, რომ ეს ვაჟბატონები ხალხს ყოველდღე უქადაგებდნენ, მოსკოველები უღმერთონი არიან, არ სწამთ ეკლესია და სარწმუ-

ნოებაო და თავად-კი ნაკურთხი მღვდელი ჩამოახრჩეს!

შტაბიდან ახალი განკარგულება მივიღეთ. შენაერთის ხელმძღვანელი ბრძანებას იძლეოდა სოფელ მოსურში რამოდენიმე დღით შევჩერდებით, მებრძოლებს დასვენება სჭირდებათო. ამას გარდა ათასი წვრილმანი იყო მოსაგვარებელი, რომლისთვისაც საჭირო იყო ერთხანს ერთ ადგილზე ყოფნა: საბიჩიხოდან დაწყებული ჩვენ ხომ ფეხი არ შეგვიჩერებია.

მოსურში შენაერთმა კარგად დაისვენა. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო მოსურელმა მოსახლეობამ, პარტიზანებს ცხელი რძით და მაწვნით გვიმასპინძლდებოდნენ. ჩვენი მხრივ მედიკამენტებით, საექიმო დახმარებით სავსებით უზრუნველვყავით დიდი და პატარა.

სოფლიდან გასვლის წინ პარტიზანების საერთო კრება შედგა. კრებაზე ვერშიგორამ ვრცელი მოხსენება წაიკითხა, თანაც კიევიდან გადმოცემული რადიოგრამა გაგვაცნო. რადიოგრამა სტროკაჩის, კოვპაკის და ბაზიმას მიერ იყო გამოგზავნილი. მასში აღნიშნული იყო: „აღტაცებულები ვართ თქვენი მიღწევებით. გადაეცით ჩვენი გულმხურვალე სალამი შენაერთის ყველა რითიგი მებრძოლს, მეთაურს და პოლიტმუშაკს. დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ მტრის ღრმა ზურგში თქვენი რეიდი ჩვენს გმირულ საბჭოთა არმიას დიდ დახმარებას გაუწევს. ჩვენი პარტია და მთავრობა არასდროს არ დაივიწყებენ თქვენს საგმირო საქმეებს. გისურვებთ დიდ წარმატებებს შემდგომ ბრძოლებში. სტროკაჩი, კოვპაკი, ბაზიმა“.

პარტიზანები რადიოგრამას მჭუხარე ტაშითა და ერთსულოვანი ვაშას ძახილით შეხვდნენ. — „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას, გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს“ — ისმოდა ტაშის ქუხილში პარტიზანების ყიჟინი. [illegible] ვერშიგორას ვრცელი [illegible] მოხსენება [illegible] მოუყვა.

ამ მოხსენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი შენაერთის საბრძოლო ცხოვრებაში. აქ დასახული იყო პარტიზანული შენაერთის რეგულარული დივიზიად გარდაქმნის გზა. ეს იყო ახალი ეტაპი ჩვენს ბრძოლაში თვისობრივად ახალი საფეხური, რომელიც მოამზადა პარტიზანთა მეთაურობის ხანგრძლივმა მუშაობამ. თავის მოხსენებაში ვერშიგორამ ამიტომ ესოდენ დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა საველე არმიის წესდებაზე. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ომი მებრძოლის მორალური და ფიზიკური თვისების ყველაზე დიდი გამოცდაა. ყოველივე ეს მეომრისაგან მოითხოვს ნებისყოფის უდიდეს დაძაბულობას, ამასთან ერთად სამხედრო საქმის და დისციპლინის ზედმიწევნით ცოდნას. მებრძოლმა უნდა შესძლოს ომში ყოველგვარ შევიწროების და გასაჭირის ატანა და მასთან გამკლავება. შიში და დაბნევა ბრძოლის მსვლელობის დროს მეომრისათვის დამღუპველია. მებრძოლი დაურიდებულად უნდა შეებას მოწინააღმდეგეს, საბჭოთა არმიის მეომრებმა, ბრძოლის მსვლელობის დროს ამხანაგისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს; ვერშიგორას მოჰყავდა საბჭოთა არმიის საველე წესდების პუნქტები და განიხილავდა მათ ჩვენი საბრძოლო პრაქტიკის მაგალითების მიხედვით.

და ჩვენ, ყოველი მებრძოლი და მეთაური ნათლად ვხედავდით, თუ როგორ ჩვენსავე შეუმჩნევლად ჩვენი პარტიზანული შენაერთი იქცა მტკიცე რეგულარულ საბრძოლო ერთეულად და მაშასადამე, როგორც პეტრო ამბობდა, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა დისციპლინას ჰქონდა. მთავარი იყო მეთაურის ბრძანების ზუსტად და უყოყმანოდ შეს-

რულება. თუ კი მეთაური ბრძოლის რთულ და კრიტიკულ წუთებში დროულად ვერ მიიღებს ზევიდან გახკარგულებას, მან დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს, მაქსიმალურად უნდა გამოამჟღავნოს საკუთარი ინიციატივა. მეთაური თავს ვერ გაიმართლებს იმით, რომ უფროსიდან ბრძანება არ მიმიღიაო. მან გაბედულად უნდა მართოს თავისი ქვეგანაყოფი და ღირსეულად გაუძღვეს მას. მომხსენებელი საბჭოთა არმიის საველე წესდების თვალსაზრისით განიხილავდა ყოველი ჩვენი ბატალიონის, ყოველი ასეულის მოქმედებას.

ვერშიგორამ განსაკუთრებით ვრცლად ილაპარაკა დაზვერვაზე, შემდეგ ილაპარაკა იმაზე, თუ რამდენად დამღუპველია პანიკა. მოსკალენკოს ნაწილის მებრძოლებმა ორჯერ ასტეხეს განგაში, თითქოს რკინიგზის ხაზზე მტრის ჯავშნოსანი მატარებელი მოდისო, სინამდვილეში კი ხაზზე მოჰქროდა საბარგო მატარებელი.

ნაწილების საბრძოლო უნარიანობის ამაღლების მიზნით ვერშიგორამ შენაერთს ამოცანად დაუსახა, რათა ყველა ბატალიონის მეთაურს შეესწავლა 1942 წლის საველე წესდება. ეს ხომ უაღრესად მნიშვნელოვანი საბრძოლო დოკუმენტი იყო, რომელიც დიდი მიწიდან მივიღეთ.

პეტრო ვერშიგორას შინაარსიანმა და საქმიანმა მოხსენებამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დასასრულ ვერშიგორამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის მიხედვით პარტიზანთა შენაერთში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა, კერძოთ ვერშიგორას ბრძანებით საბრძოლო მოქმედების დროს უუნარობის გამოჩენისათვის დაიშალა მეხუთე ბატალიონი. ამ ბატალიონის შემადგენლობა, იარაღი, სამხედრო მასალა და ტრანსპორტი განაწილდა დანარჩენ ბატალიონებს შორის. მეხუთე ბატალიონის მეთაურის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი ამხანაგი შუმეიკო დაინიშნა მეოთხე ბატალიონის კომისრად. მეხუთე ბატალიონი გაითქვიფა სხვა ბატალიონების ასეულებში, ერთდროულად ამასთან ნაწილობრივი გადახალისება-ცვლილებები დანარჩენ ასეულებსა და ბატალიონებშიაც გატარდა. მაგალითად, ჩემი მოადგილე დექტიოვი ცხენოსანთა ესკადრონის ერთ-ერთ ოცეულის უფროსად დაინიშნა. დექტიოვის შემცვლელად შტაბმა სერდიუკი გამოგზავნა.

იმ ხანებში მეცხრე ასეულში ბლომად დაგროვდა პარტიაში მისაღებ პირთა განცხადებები. ასეულის პარტიული კრება მოვიწვიეთ. დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა: პარტიაში მისაღებ პირთა განცხადებების განხილვა და მოსახლეობაში სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაცხოველება. განცხადებების განხილვის შედეგად ოცეულების ძეთაურები — ბოკარევი და დიახოვი, ძეტყვიამფრქვევე გრამოტინი და სხვა რიგითი მებრძოლები პარტიის რიგებში მივიღეთ. მიუხედავად მძიმე პირობებისა, პარტიზანთა შენაერთში პარტიული მუშაობა არას დროს არ შეფერხებულა და არ შენელებულა.

მეორე საკითხის ირგვლივ გაცხოველებული კამათი გაიმართა. კამათის შემდეგ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რათა მოსახლეობაში ჩაგვეტარებინა მოხსენებები ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ფართოდ გაგვეშუქებინა, თუ რა მიზნებს ემსახურება პარტიზანული მოძრაობა, მოხსენებისათვის გამოყოფილი იქნა პარტიის ყველა წევრი და კანდიდატი. ამას გარდა, საჭირო იყო მოსახლეობისათვის გაგვეცნო „პარტიის ისტორიის მოკლე კურსი“. მართალია დიდი მიწიდან მიღებული გვქონდა მოკლე კურსის ეგზემპლიარები, მაგრამ ისინი ხალხში რომ დაგვერიგებინა — ამისათვის არ იკმარებდა. ამიტომ პარტიის ისტორიის წიგნების კითხვა მოვაწყვეთ ცალკე ბინებში. „მოკლე კურსმა“ მოსახლეობაში

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დიდი ინტერესი გამოიწვია და საუკეთესო შედეგი მოგვცა.

ერთ-ერთი ასეთი მეცადინეობის დროს, როცა პარტიზანები სოფლელებს ვესაუბრებოდით, გლეხებმა გვითხრეს, რომ მოსურს ხშირად გადაუფრენენ ხოლმე თავზე მტრის თვითმფრინავები. ეს ორი-სამი დღე კი არსად სჩანან თითქოს თქვენს აქ ყოფნას გრძნობენო!

სიტყვა არ ჰქონდა გლეხს დამთავრებული, როდესაც შორეული ყრუ ზუზუნი მოგვესმა. მოსაუბრე გლეხებმა ყურები ცქვიტეს.

— მტრის თვითმფრინავია! — შესძახა ერთმა.

— აქეთ მოფრინავს ის წყეული — წამოიძახა მეორემ.

— სახლში შესვლა სჯობს!

— გარეთაც შეიძლება დამალვა!

— ტყვიამფრქვევები და თოფები მოიმზადეთ! — გაისმა ვერშიგორას განკარგულება.

იარაღმომარჯვებული მეტყვიამფრქვევეები აქა-იქ ჩასაფრდნენ. შაშხანების და ავტომატების ლულები ცისაკენ აღიმართა. დაცარიელდა ქუჩები, ეზოები, არსად არავინ ჭაჭანებდა, სიჩუმე დამყარდა. თვითმფრინავის ზუზუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, სულ ახლოს ისმოდა. აჰა, სამმა თვითმფრინავმა უკვე ჩვენს მაღლა დაიწყეს ტრიალი.

— ტა-ტა-ტა- ტა-! — გააბეს კაკანი ტყვიამფრქვევებმა. ავტომატებისა და შაშხანების ქუხილმა შესძრა სოფელი. თვითმფრინავებმა წრიალი იწყეს. ორმა სწრაფი ტემპი აიღო. ცის სივრცეში კამარა შეჰკრა და ღრუბლებში შეცურდა. მესამე კი, უფრო დიდი მანქანა ნელნელა ფრენით გზას განაგრძობდა. ეს ვეება მანქანა უცებ შეტორტმანდა, ბოლოზე შავი კვამლის გრძელი ნაკადი ავარდა, განზედ გადაიზნიქა, დაყირავდა და ნაფოტივით ფრიალით ძირს წამოვიდა. საშინელი ხმაურით დავარდა ის მიწაზე. კვამლის ზვირთებში აქა-იქ ალაპლაპდნენ ცეცხლის წითელი ენები.

თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები პარაშუტებით გადმოხტნენ ცეცხლწაკიდებული მანქანიდან. მიწაზე დაშვებისას მათ გაქცევა სცადეს, მაგრამ ყველა შევიპყარით.

— ურა! — დასჭყივლეს ბიჭებმა და ხანძარში გახვეულ მანქანას გარს შემოეხვივნენ. იმავე დროს პარტიზანებმა ოთხი ახალგაზრდა ტყვე შტაბში მოიყვანეს.

"შემოდგეს თუ არა ტყვეებმა შტაბის კარებში ფეხი, ერთხმად დასძახეს: „ჰაილ ჰიტლერ!"... გაგვეცინა. იმჯანად ჰიტლერი უკვე სასოწარკვეთილი საწამლავს ამზადებდა თავის მოსაკლავად, ესენი კი „ჰაილო" იძახოდნენ, ეს უკვე ირონიასავით ისმოდა.

ტყვემფრინავებს თარჯიმანმა ვინაობა გამოჰკითხა. არცერთმა სიტყვა არ დასძრა, თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდათო; გაბრაზდა ვერშიგორა, სწვდა თავის მათრახს და შეატრიალა ხელში: „ამას ხედავთო!" მუქარით მიმართა მან ტყვეებს. ერთმა ტყვეთაგანმა წამოიკნავლა: „ფიურერი შორს არის, მათრახი კი ახლოა, დამორჩილება სჯობსო". და დაიწყო: „აღმოსავლეთის ფრონტზე მივდიოდით საგანგებო დავალებით", სთქვა ეს ორი სიტყვა და კვლავ დამუნჯდა. ტყვეების ჯიბეებში ნაპოვნმა დოკუმენტებმა ოთხივეს პიროვნება ნათელჰყვეს: ერთი მათგანი, ბენიგი, საჰაერო ფლოტის უფროსი ოფიცერი — ნაციონალ-სოციალისტი იყო, ორდენ-მედლებით მრავალჯერ დაჯილდოვებული. მეორე, გვარად შტუმპორი, ბორტის მექანიკოსი, ესეც ნაციონალისტ-სოციალისტური პარტიის წევრი იყო, მესამე იყო ვიტერი, ორდენ-მედლებით და რკინის ჯვრით დაჯილდოვებული, ხოლო მეოთხე — ლენნერი, რადისტი, ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირის წევრი.

თვითმფრინავი ტარნოპოლში მიდიოდა, იგი საომარი მასალით იყო დატვირთული.

მფრინავების დაკითხვის პროცესში ჩვენ ძალიან საინტერესო ცნობები ვიგდეთ ხელთ; ეს ცნობები დაუყოვნებლივ გადავუგზავნეთ საბჭოთა არმიის სარდლობას.

იმავე საღამოს კვლავ ერთი საინტერესო შემთხვევის მოწმენი გავხდით.

ჩხრეკის დროს, საჰაერო გემის უფროსს ბენიგს აღმოაჩნდა პატარა ოვალური ფორმის ლითონის დაჭყლეტილი ფირფიტა. ფირფიტაზე გაურკვეველი სიტყვა იყო ამოჭრილი. მკრთალად ანათებდა საველე ნათურა და ნახევრად ბნელ ოთახში ვერ გავარკვიეთ, თუ რა იყო ფირფიტაზე წარწერილი.

ვერშიგორა ძალიან დააინტერესა ამ ფირფიტამ. ბევრი ატრიალა ხელში, ვერა გაუგო-რა. შემდეგ ჩაფიქრებულმა თარჯიმანს უთხრა: გერმანელების ხელში მე ასეთი ხელთის მნახველი არა ვარ. აბა შეეკითხეთ თუ რას ნიშნავს ეს ფირფიტა, რა აწერია ზედ?

პილოტის გარუჯულ სახეზე ღიმილმა შეითამაშა. ის გაშტერებით დააცქერდა ფირფიტას, ოდნავ შეჩერდა, ირგვლივ თვალი მიმოავლო და ხმამაღლა წარმოსთქვა: „კოვპაკ“.

ჩვენ არ დავუჯერეთ საკუთარ ყურთასმენას. „კოვპაკი“ — ოთახში მსხდომმა პარტიზანებმა რამდენიმეჯერ გაიმეორეს ეს სიტყვა და შემდეგ ისევ ტყვეს შეეკითხნენ: „კოვპაკი?“, დიახ, „კოვპაკი“, გაურკვევლად წარმოსთქვა ტყვემ. ჩვენ ხარბად ვათვალიერებდით ფირფიტას, რომელზედაც რაღაცა წვეტიანი საგნით იყო ამოჭრილი გერმანული ასოებით სიტყვა „კოვპაკ“.

ტყვემ გვიამბო: ათას ცრხაას ორმოცდასამ წლის, აპრილის თვეში, სარდლობიდან დავალება მივიღე დამებომბა კოვპაკის სანაპირო თავდაცვა მდინარე პრიპიატზე. იმ დღეებში კოვპაკის შენაერთმა მდინარე პრიპიატზე გერმანელთა სამდინარო ფლოტილების დიდი ნაწილი გაანადგურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალების შესასრულებლად ბრძოლა გაფრენილა. გათენებისას მიუღწევია ბელორუსიის მოზრდილ სოფელ არევიჩამდე, სადაც იმ ხანად დაბანაკებული იყო ჩვენი შტაბი, მფრინავი პარტიზანთა ცეცხლის არეში მოქცეულა. უეცრად მას მხარში ტყვია მოხვედრია. დაჭრილ ჰიტლერელს აეროდრომამდე ძლივს მიუღწევია, მიწაზე დიდი გაჭირვებით დაშვებულა, ის პირდაპირ ჰოსპიტალში წაუყვანიათ.

საბჭოთა პარტიზანებთან ბრძოლის აღსანიშნავად მას ჭრილობიდან ამოღებულ დაჭყლეტილ ტყვიაზე დანით სიტყვა „კოვპაკ“ წაუწერია.

ჩვენ დიდი ინტერესით ვუსმენდით ტყვე გერმანელის ნაამბობს. ჩვენ წინ „ძველი ნაცნობი“ იდგა: ერთხელ ჩვენს ძიერ უკვე დამარცხებული ფაშისტი, საჰაერო გემის უფროსი ბენიგი.

ბჭობა გაიმართა, იმის გამოსარკვევად, თუ რომელმა ასეულმა ჩამოაგდო თვითმფრინავი. ტყვეების დაწვრილებითი დაკითხვამ გამოამჟღავნა, რომ ტყიამფრქვევის ჯერი თვითმფრინავს ძოხვდა იმ მხრიდან სადაც მთავარი დაზვერვა იყო ჩასაფრებული, ერთი სიტყვით, დადასტურდა, რომ თვითმფრინავი ჩამოაგდო შენაერთის დაზვერვის უფროსის მოადგილემ ლეიტენანტმა სემენჩენკომ.

X

პარტიზანთა შენაერთის შტაბში ყოველდღიურად აუარებელი გლეხები მოდიოდნენ, შველას გვთხოვდნენ — უკანდახეული მტრის ჯარი შეუბრალებლად ჟლეტდა და ანადგურებდა სოფლის მოსახლეობას.

ვერშიგორამ საჭიროდ სცნო გადამწყვეტი ზომები მიგვეღო. ახლა მთავარი იყო პანიკით შეპყრობილ გერმანულ ჯარისათვის გზა გადაგვეჭრა. ამ ამო-

ცანის განხორციელებისათვის ლუცკ-ვლადიმირო-ვოლიხსკის რკინიგზის ხაზზე, სადივერსიო ძიზნით მეხუთე ასეული გაიგზავნა. ამ ასეულს ამხანაგი ლარიონოვი მეთაურობდა. ლარიონოვს მტრის ეშელონის განადგურება დაევალა. ეს ამოცანა ლარიონოვმა ბრწყინვალედ შეასრულა, მან ხელთ იგდო საოძარი მასალით დატვირთული ეშელონი. ასეთივე დავალებით, კოველ-ვლადიმირო-ვოლინსკის რკინიგზის ხაზზე გაიგზავნა ჩემი ასეულიც. შორი გზა მედო წინ, სოფლები — სტავუი, გაიკი, იაგოდნო, სოროდინი და ოხენიჟი უნდა გაძევლო და საბოლოოდ სოფელ ოხენიჟის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა ჩავსაფრებულიყავი.

სხვათაშორის, უხდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში პარტიზანების შიშით მტრის მატარებლები ღამით მოძრაობას ერიდებოდნენ. დღისითაც ეშელონები კუს ნაბიჯით მიბობლავდნენ. რკინიგზის ხაზის მახლობლად უღრან ტყეში სხვადასხვა ადგილას ჩავასაფრე ოცეულები. საშინლად ცივოდა, ძვალ-რბილში იჭრებოდა სიცივე. ღრმა თოვლი იდო. შტაბში ხელცარიელი რომ არ დავბრუნებულიყავი, იძულებული შევიქენი, ჩასაფრება შარაგზაზე მომეწყო. გზაზე მანქანების ნაკვალევი სჩანდა. ძოსალოდნელი იყო დღისით მოძრაობა განახლებულიყო. ბიჭების ერთი წყება იქ ჩავასაფრე, სადაც მდინარე ტურიაზე ხიდი იყო დამწვარი.

სწორედ ამ დროს ასეულის კომისარი ტოუტი მომიახლოვდა და მითხრა:

— ამხანაგო მეთაურო, სანამდე უნდა ვიყოთ აქ, მტერი არ სჩანს, ჩვენს აქ ყოფნას რა აზრი აქვს გაიყინენ მეომრები, მოძრაობა აღარ შეუძლიანთ. ისევ სჯობია დავტოვოთ აქაურობა!

— არა, არც აგრე მსჯელობა ვარგა. მტერი გამოძახილი ხომ არ გვყავს, რომ დანიშნულ დროზე გამოჩნდეს. ამ საათში არ სჩანს, მაგრამ შესაძლოა შემდეგ საათში გამოჩნდეს. მართალია, ძალიან ცივა, ძველია ასეთ სუსხიან ამინდში ჯდომა და ლოდინი, მაგრამ ჩვენ ხომ გასაჭირთან შეზრდილნი ვიყუებული ვართ? სად არის მნე, დამიძახეთ!

ბოგოლიუბოვმა მოირბინა. „რას გვიბრძანებთ ამხანაგო მეთაურო!“ შემეკითხა იგი.

— კოლია, როგორც ხედავ, — ვეუბნები მე, — ძალიან ცივა, გავიყინეთ, ძოძრაობა გვიძნელდება, ამ ძდგომარეობიდან თავდასაღწევი საშუალებაა საჭირო, — ბოგოლიუბოვი მიხვდა რა საშუალებაზედაც იყო ლაპარაკი. სახე გაუბრწყინდა. მაინც კვლავ ვუთხარი:

— მოხადე კასრს თავი და ბიჭებს ასასი გრამით გაუმასპინძლდი, თან ღორის ქონი და პური გაეცი.

— არის ამხანაგო მეთაურო! — წამოიძახა ბოგოლიუბოვმა და განკარგულება ფიცხლავ სისრულეში ძოიყვანა. ბიჭები გათბენ, სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყოთ, ხუმრობაც კი დაიწყეს.

პურის ჭამა კიდევ არ გვქოხდა დამთავრებული, როცა ტოუტის მეკავშირემ მოირბინა:

— ვლადიმერ-ვოლინსკის მიმართულებით მიმავალი ავტომანქანები გამოჩნდნენო, — მომახსენა მეკავშირემ.

გავიდა რამდენიმე წუთი და ორი მსუბუქი და თხუთმეტი საბარგო ავტომანქანა გამოჩნდა.

— ხმა არ გაიღოთ, განკარგულებას დაელოდეთ, — ვაცნობე ოცეულებს. იმჯანად მდინარე ტურიაზე ყველა ხიდი განადგურებული იყო, მანქანები მდინარეს მოადგენ. მსუბუქი მანქანები ადვილად გადავიდნენ მდინარის გაყინულ ზედაპირზე. უვნებლად გადავიდა ათი საბარგო მანქანაც, მეთერთმეტეს ყინული ჩაუტყდა და ნაპრალში ჩავარდა. ამ სურათს ჩასაფრებულები ტყიდან ვადევნებდით თვალყურს, ბიჭები მზად იყვნენ მტრისათვის ცეცხლი დაეშინათ. მე არ ვჩქარობდი, ყველა მანქანის

აქეთა ნაპირზე გადმოსვლას ველოდებოდით. 25.VII

როცა ფაშისტებმა შეატყვეს დანარჩენ მანქანებს გადასვლა გაუჭირდათ, ყინულზე თივის დაგებას შეუდგნენ.

იმ ადგილის მახლობლად, სადაც პარტიზანები ვიყავით ჩასაფრებული, თივის ბულული იდგა. გერმანელმა ჯარისკაცებმა მოირბინეს ბულულის წასაღებად და ამასობაში ჩასაფრებულ პარტიზანებს თვალი მოჰკრეს. ლოდინს აზრი აღარა ჰქონდა. იერიშისათვის განკარგულება გავეცი. ერთდროულად შემოვერტყით ირგვლივ მტრის კოლონას, შუაში მოვიმწყვდიეთ მანქანები. მოწინააღმდეგის ერთი ნაწილი გავწყვიტეთ, ერთი მსუბუქი მანქანა თან წამოვიყვანეთ, დანარჩენები კი ცეცხლის ალში გავხვიეთ. თორმეტი კაცი დაკატყვევეთ და გამარჯვებულები დიდი ნადავლით ბანაკში დავბრუნდით.

არაერთმა პარტიზანმა ისახელა თავი ამ ბრძოლაში, განსაკუთრებულად კი კომისარმა ტოუტმა, ოცეულის მეთაურმა ბოკარევმა და სანიტარმა ქალმა ვერა ბულავამ.

ვერა ბულავა მთელს შენაერთში ცნობილი იყო თავისი სიმამაცით და გამბედაობით. ახლაც მან ორი გერმანელი დაატყვევა, ეს მას შემდეგ, რაც ყველა დაჭრილს სანიტარული მომსახურება გაუწია. ბრძოლის დროს ბულავა მამაკაცის ტანსაცმელს ატარებდა. გმირი ქალი ქორივით დააცხრებოდა ხოლმე მოწინააღმდეგეს, ფეხების წინ ავტომატის ჯერს დაუცლიდა, ხელების ზევით აწევას უბრძანებდა, დააფრთხობდა, დასჯაბნიდა, წინ გამოიგდებდა და შტაბში მოიყვანდა.

როდესაც გონზე მოსული გერმანელი დაინახავდა, რომ იგი ქალმა დაატყვევა — ნაღვლიანად ხელს ჩაიქნევდა.

ვერას მიერ მოყვანილმა ტყვემ ყველას ყურადღება მიიქცია. ის ჩაფიქრებული იდგა ერთ ადგილას, თავს მაღლა არ იღებდა. თარჯიმანმა სხვების დაკითხვა მოათავა და ახლა ის მოიხმო თავისთან.

— რას ჩაფიქრებულხარ, ბიჭო? — ჰკითხა, სჩანს ძალიან დაგადარდიანა ტყვედ ჩავარდნამ.

— ეხ, ბევრი რამ მინდა გითხრათ, მაგრამ ვაი რომ ჩემი გულწრფელობა ვერაფრით დაგიმტკიცეთ?!

თარჯიმანი შედგა და ტყვეს დააცქერდა.

— ვერ მივმხვდარვარ რის თქმა გსურთ? — შეეკითხა ის გერმანელს.

— სიმართლე მინდა, გითხრათ, გთხოვთ დამიჯეროთ!

— ბრძანეთ, გისმენთ!

— თუ გაქვთ ამის საშუალება, და თუ ეს დასაშვებია, მოსკოვში გადამგზავნეთ, იქ გაერკვევიან ჩემს ვიხაობაში, იქ გამომიცნობენ.

— რატომ მოსკოვში, აქაც გავარკვევთ თქვენს ვინაობას, აბა ბრძანეთ რაშია საქმე?!

— მე თქვენი მტერი არა ვარ, — უცებ წამოიძახა ჯარისკაცმა და თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა.

— მტრისა და მოყვარის გამოცნობაში, პარტიზანები კარგად ვერკვევით, ამაში დამერწმუნეთ!

— მოხარული ვიქნები, თუ ჩემს გამოცხობაშიც არ შეცდებით.

— ბრძანეთ რა გაწუხებთ, ყველაფერი გვითხარით.

— ჰიტლერის რეჟიმი თავიდანვე ჭირივით მეჯავრებოდა. არასდროს არ თანავუგრძნობდი მას. თქვენს ქვეყანაზე მე ბევრი წამიკითხავს. მთელი არსებით მწამს თქვენი წესწყობილების სიდიადე. საშუალება არ მომეცა ჰიტლერის წინააღმდეგ იარაღით ხელში მებრძოლა, თორემ სიამოვნებით ვიბრძოლებდი. რეგულიარულ ჯარში რომ მოვხვედრილიყავი, თქვენებთან გადმოსვლას მოვახერხებდი. ზურგში მოვხვდი, აბა აქ რას გავაწყობდი! ამჟამად ტყვედ ჩავვარდი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ტყვედ კი არ ჩავვარდი, ჩემი სურვილით თქვენ-

სკენ გადმოვედი, რომ ეს ასეა ამას ჩემი შაშხანის სუფთა ლულაც დაამტკიცებს, თქვენთან შეტაკების დროს ტყვია ერთხელაც არ გამისროლია. გთხოვდით გაშინჯოთ ჩემი შაშხანა და ჩემს სიმართლეში დარწმუნდეთ. რეგულიარულ ნაწილში მოვხვედრილიყავი ტყვეთ, მეტი კმაყოფილი ვიქნებოდი. ისინი ზურგში გადამგზავნიდნენ და საფუძვლიანად ძეძისწავლიდნენ! — გაიმეორა ისევ ტყვემ.

— შესწავლა ჩვენთანაც არის შესაძლო, განუკითხაობას რათ გვწამებთ?!

— მე განუკითხაობაზე როდი მოგახსენებთ, კიდევ ვიმეორებ: პარტიზანები ხომ მტრის ზურგში იბრძვით, სად გაქვთ თქვენ ტყვეების შესწავლის შესაძლებლობა. არ წარმოიდგინოთ, რომ მე შიშით ვიყო შეპყრობილი, ადამიანი ხომ ერთხელ კვდება? დღეს თუ ხვალ იქნება ეს, ამას მნიშვნელობას არ ვაძლევ, მხოლოდ დიდ კმაყოფილებას ვიგრძნობდი, თუ ჩემს გულწრფელობას ეჭვქვეშ არ დააყენებდით.

— თქვენი გულწრფელობა გვწამს-თქო, ამას ბეჯითად ვერ გეტყვით, შესაძლოა ცამდე მართალიც იყოთ, შენს სიცოცხლეს არავინ ემუქრება, შეგისწავლით, დაგაკვირდებით.

— სხვას მეტს მე არაფერს გთხოვთ.

ტყვე ჩემს ასეულში წამოვიყვანე, მას თავი კარგად ეჭირა: მტერთან შეტაკების დროს ერთ-ერთ ბრძოლაში მან კეტით მოჰკლა გერმანელი ჯარისკაცი. ავტომატი აართვა და ჩემთან მოიტანა. ამის შემდეგ ავტომატი მას ჩავაბარეთ. ტყვე გერმანელის გვარი ვილეტი იყო. პარტიზანული ნაწილის დაშლამდე ის ჩემს ასეულში დარჩა. ბოლო ხანებში ვილეტი კიევის პარტიზანულ შტაბში გადავგზავნეთ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

ჩვენი დედაქალაქი

★

ქალაქი — ასე უწოდა თბილისს ქართველმა ხალხმა. თბილისი იყო ქართველი ერის განათლებისა და კულტურის კერა. მისი ძალა და გული. თბილისი იყო ხალხის დედაქალაქი.

საუკუნიდან საუკუნემდე იზრდებოდა და ძლიერდებოდა იგი. ანგრევდნენ, ცეცხლსა და კვამლში ხვევდნენ მტერთა ურდოები: ბიზანტიელები და ხაზარები, არაბები და მონღოლები, თურქმანები, სპარსელები და თურქოსმალონი. მაგრამ ქალაქი ფენიქსივით დგებოდა ჯართიდან და ფერფლიდან და ყოველთვის მის ქედმოუხრელ იერში, მთელი თავისი შეუპოვარი სიძლიერით ისახებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ძლევამოსილება.

თბილისი დაუმორჩილებელი ქალაქი იყო. ვინც თბილისის ქედის მოხრას ლამობდა, მას ხალხი დასცინოდა, პამპუულად და ბაქიად თვლიდა.

მტერთა ყოველი შემოსევის შემდეგ ხალხი კიდევ უფრო დიდი მონდომებით აშენებდა ქალაქს. აშენებდა უკეთეს სასახლეებს, ტაძრებს, ციხეებს.

ჩვენი ერის ისტორია, მისი მრავალსაუკუნიანი გმირული ბრძოლები გამოხატულია თბილისის სახეში, მის გმირულ და ბრწყინვალე მატიანეში.

თბილისს თავის დასაბამიდან თან დაყვა ერთი ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი და წმინდა თვისება: თბილისი თავისი არსებობის თხუთმეტი საუკუნის ძანძილზე ყოველთვის საქართველოს გაერთიანების ცდაში იყო. თბილისი იყო უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენი, ქართველი ერის თავისუფლების ბაირახტარი. თბილისი ქართული მიწა-წყლის შემაკავშირებელი იყო მაშინაც კი, როცა კახეთს, ტაო კლარჯეთს, აფხაზეთს და იმერეთს, თავისი სამეფოები ჰქონდა, სამეგრელოს და გურიას — თავისი სამთავროები.

თბილისი საქართველოს გული იყო. ეს გული არასოდეს არ გატეხილა. იგი ვერ გატეხა ვერც ხაზართა პირსისხლიანი ხაკანის გამანადგურებელმა შემოსევამ, ვერც ბიზახტიის მრისხანე კეისარის ცეცხლმა და მახვილმა და მრავალათეულმა წლიანმა არაბობამ. ვერ გატეხა საქართველოს გული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ზვიადმა ბრძანებელმა თემურ ლენგმა და კაცთმოძულე საჭურისის აღა-მაჰმად-ხანის საზარელმა დალაშქვრამ.

თბილისი ქართველი ერის ძლიერების სიმბოლო იყო. მტერი თუ აქ ზოგჯერ დროებით გამარჯვებას აღწევდა, ბოლოს თავის სამარეს აქვე ჰპოვებდა. რამდენ მომხდურთა დიდება ჩაიფერფლა თბილისის ცეცხლში და ხანძარში, რამდენ ურდოთა ძლიერება დაიმარხა მისი კედლების ნანგრევებში. თბილისის შეუწყვეტელ თავდაცვით ბრძოლებში იწრთობოდა ქართველი ხალხის საამაყო თვისება — სულიერი სიმტკიცე, შეურყეველი ნებისყოფა და განუხრელი სწრაფვა უდიდესი გამანადგურებელი შემოსევის შემდეგაც კი, სწრაფად აღედგინა თავისი დაუშრეტელი ძალა და უფრო მედგრად აღმდგარიყო სამშობლოს დასაცავად. უფრო ძლიერი, უფრო მიუვალი და ლამაზი აეგო ქალაქი.

ცეცხლსა და სისხლში იწრთობოდა თბილისი.

თბილისი აღვიძებდა ქართველ ხალხში პატრიოტულ გრძნობებს. თბილისის გარშემო ირაზმებოდა საქართველოს ყოველი კუთხე, რადგან თბილისის დაცემა ხალხისათვის საქართველოს დაცემა იყო.

თბილისი უნერგავდა ხალხს ჩვენი ქვეყნის მიწის, ცის, ციხეების, ტაძრების და სასახლეების, ბაღ-ვენახების, ტყეების და ყანების, სიმღერების, ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების სიყვარულს.

თბილისი უყვარდა არა მარტო ქართლელს და კახელს, აფხაზსა და რაჭველს, გურულსა და მესხს, მეგრელსა და სვანს, თბილისი უყვარდა ყველა ერისა და რჯულის პატიოსან ადამიანს, ვისაც კი ფეხი დაუდგამს მის მიწაზე. იშვიათი იყო აღმოსავლეთში სხვა ისეთი ქალაქი, სადაც ასე მრავლად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ხალხთა შვილები.

„...თბილისში უცხოელთათვის უშიშროება და სტუმართმოყვარეობა სუფევს, იქ ყველას, მასთან შემთხვევით მისულს, მეგობრულად ექცევიან, ვისაც კი ოდნავი გამჭრიახობა და დამოკიდებულება აქვს განათლების საქმისადმი“, — სწერდნენ მეათე საუკუნის არაბი გეოგრაფები ისტახრი და იბნ-ჰაუკალი.

თბილისი ყოველ გასაჭირის ჟამს მზად იყო ხელი გაეწვდინა და მიშველებოდა მეზობელ ქვეყანას. ქართველ და სომეხ ხალხთა მრავალსაუკუნიანი მეგობრობის ისტორიაში არასოდეს არ ამოიშლება ერეკლე მეორის 1751 წლის გმირული ლაშქრობა თავრიზის მფლობელის აზატ-ხანის წინააღმდეგ ერევნის დასაცავად.

ერეკლე ფიცხლად შეგროვილ თავისი მცირე ჯარით, სწრაფად გაემართა სომხეთში და ერევნის ახლოს, ყირბულახთან მედგრად ეკვეთა აზატ-ხანის თვრამეტ ათას მეომრისაგან შემდგარ ჯარს. გამარჯვებაში დარწმუნებულმა მტერმა ყოველმხრიდან [illegible] ქართველებს. მაგრამ ერეკლე მეფე თავისი გუნდით ელვის სისწრაფით შეიჭრა ყიზილბაშთა ლაშქრის შუაგულში და ერთი დაკვრით გატეხა ურდო. ქართველებმა ოცდაათი კილომეტრის მანძილზე სდიეს მტერს სომხეთის მიწაზე. აზატ-ხანმა არაქსი გადასცურა და ადარბადაგანს შეეფარა.

თბილისი ეხმარებოდა არა მარტო ერთმორწმუნე ქვეყნებს, იგი მფარველობას უწევდა ყველა მშვიდობისმოყვარე მეზობელ ხალხს.

თბილისიდან მიდიოდნენ კრწანისის ველზე და ასპინძაში ქართველი გმირები. თბილისში ჩამოჰქონდა მტკვარს თურქ-ოსმალთა და სხვა მრავალ მტერთა გვამები. თბილისისათვის ბრძოლაში შექმნა სამასმა არაგველმა ქალაქის უკვდავი დიდება.

თბილისის დიდებას ქმნიდნენ ქართველი ხუროთმოძღვრები, მხატვრები, მწერლები, ხელოსნები. თბილისის დიდებას ჰქმნიდა მთელი ქართველი ხალხი. მაგრამ თბილისის ყველაზე დიდი დიდება მის მომავალში იყო.

ეს დიდება, თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, თბილისის მუშათა გაფიცვებში, ალექსანდრეს სახელობის ბაღის ბარიკადებზე და ავლაბრის არალეგალურ სტამბაში იბადებოდა.

აქ, ხალხი, რომელმაც თავისი სახელი არაერთხელ უკვდავჰყო მრავალ უძლიერეს მტერთან დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლებში, არ ზოგავდა თავის ნიჭსა, ძალასა და უნარს ყველაზე უფრო დიდ და სამართლიან საქმისათვის, ყველაზე უფრო მაღალ და ნათელ დიდებისათვის, თავისუფლების მზიური სამყაროს დამკვიდრებისათვის თავდადებულ ბრძოლაში.

ამ დიდებისათვის ბრძოლა ახალგაზრდა სტალინმა დაიწყო.

აქ, თბილისში, სასულიერო სემინარიაში, პირველმა ახალგაზრდა სტალინმა დაიწყო მარქსიზმის პროპაგანდა და შემდეგ იგი აქედან რკინიგზის სახელოსნოებში, თამბაქოს ფაბრიკებში და სამრეწველო საწარმოებში გადაიტანა.

აქ, თბილისში, ფიზიკური ობსერვატორიის დამკვირვებელ-გამომთვლელმა ახალგაზრდა სტალინმა პირველმა მოაწყო სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის კონსპირაციული ცენტრი. ახალგაზრდა სტალინი ხელმძღვანელობდა თბილისის რკინიგზელთა და „კონკის“ მუშათა პირველ გაფიცვებს.

აქ, თბილისში, ამხანაგმა სტალინმა მოამზადა ის პირველი საპირველმაისო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელმაც უდიდესი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა მთელ ამიერკავკასიის მუშათა მასებზე.

აქ, თბილისში, ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და რევოლუციის უშიშარ რაინდებთან — ლ. კეცხოველთან და ა. წულუკიძესთან ერთად ებრძოდა მენშევიკებს, აქ რაზმავდა იგი მუშათა მასებს ლენინის დროშის გარშემო.

აქ, თბილისში, ამიერკავკასიის ყველა ბოლშევიკური გამოცემის ინიციატორი და ორგანიზატორი ამხანაგი სტალინი იყო.

ამხანაგ სტალინის მიერ მოწყობილ ავლაბრის არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნაწარმოებები. აქ იბეჭდებოდა სახელოვანი გაზეთები „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“.

აქ, თბილისში, „პროლეტარიატის ბრძოლაში“ თავსდებოდა პარტიის ლენინურ ცენტრალურ ორგანოდან „პროლეტარიდან“ გადმობეჭდილი ვ. ი. ლენინის წერილები. ამ გაზეთში სწერდა დიდი სტალინი.

„ამ სტატიებში სტალინი გამოდიოდა, როგორც ნიჭიერი პოლემისტი, როგორც პარტიის უდიდესი ლიტერატურული და თეორიული ძალა, პროლეტარიატის პოლიტიკური ბელადი, ლენინის ერთგული მიმდევარი“. („იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი“. მოკლე ბიოგრაფია).

აქ, თბილისში, ნაძალადევის მოედანზე, 1905 წლის 17 ოქტომბრის მეფის მანიფესტის გამო გამართულ მუშათა გრანდიოზულ მიტინგზე გამოვიდა ამხანაგი სტალინი და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მენშევიკ გამცემლებს. აქ, პირველად ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა თბილისის პროლეტარიატს შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

თბილისში არ არის არც ერთი რაიონი, არც ერთი უბანი, რომელიც ბელადის რევოლუციურ მოღვაწეობასთან არ იყოს დაკავშირებული.

თბილისს რომ არავითარი ისტორია არ ჰქონდეს, ისიც კმარა მისი დიდებისა და სახელისათვის, რომ აქ მიიღო მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხთა საყვარელმა ბელადმა, მამამ და მასწავლებელმა „...თავისი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა“, რომ აქ გაატარა მან თავისი ყრმობა, რომ აქ ცხოვრობდა, იბრძოდა, სწავლობდა და ასწავლიდა სხვებს.

მარტო ეს კმარა იმისათვის, რომ თბილისი უყვარდეს არა მარტო ქართველს, არამედ მთელი ჩვენი პლანეტის პროგრესულ და პატიოსან ადამიანებს. ამიტომაა, რომ თითქმის არც ერთი უცხოელი მუშათა და გლეხთა დელეგაცია არ ჩამოსულა საბჭოთა კავშირში, რომ თბილისს არ სტუმრებოდა, არ ენახა ის ისტორიული ადგილები, რომელთაც ასეთი სიამაყითა და სიყვარულით იკავს და ინახავს თბილისი.

საგულისხმოა ის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატად დღეს ის რაიონი ირჩევს დიდ ბელადს, სადაც მისი ხელმძღვანელო-

ბით ჩატარდა თბილისის მუშათა პირველი რევოლუციური გამოსვლები.

ახლა სტალინის სახელს ატარებს თბილისის რკინიგზის ის სახელოსნო და დეპო, სადაც ამხანაგმა სტალინმა 1900 წელს გრანდიოზული გაფიცვა მოაწყო, რომელმაც მთელი თბილისის პროლეტარიატი ფეხზე დააყენა.

უმაღლეს საბჭოს არჩევნების წინ ამ ისტორიული ქარხნის, თბილისის ლენინის ოლქის ამომრჩევლებმა და გმირი ქალაქის ლენინგრადის კიროვის ოლქის ამომრჩევლებმა კოლექტიური წერილები მისწერეს ერთმანეთს. ამ წერილებში გამოხატულია ის განუზომელი სიხარულის გრძნობა, რომლითაც ისინი მოცული იყვნენ იმ დიდი ნდობისათვის, რაც მათ აღმოუჩინა დიდმა სტალინმა იმით, რომ დათანხმდა კენჭი იყაროს ორივე ოლქში — თბილისსა და ლენინგრადში.

„თქვენ და ჩვენ უდიდესი ბედნიერება გვხვდა წილად, ძვირფასო ამხანაგო ლენინგრადელებო, — წერდნენ ისინი, — დიდმა სტალინმა უდიდესი ნდობა აღმოგვიჩინა, დათანხმდა რა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს კიროვის საარჩევნო ოლქში და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე — ლენინის საარჩევნო ოლქში.

ჩვენს ოლქებთან დაკავშირებულია ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის, ამხანაგ სტალინის, მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის მრავალი ფურცელი, ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის ფურცლები.

ამხანაგმა სტალინმა თბილისში დაიწყო თავისი რევოლუციური გზა. ლენინგრადში ლენინთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა დიდი ოქტომბრის ბრძოლას.

ძველი პუტილოველი მუშა მ. ი. კალინინი ჩვენს ქარხანაში მუშაობდა. იგი თბილისელ მუშებს აცნობდა რევოლუციურ ბრძოლას, რასაც პატარელი მუშები ლენინის ხელმძღვანელობით ეწეოდნენ.

რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი ს. მ. კიროვი საქართველოში და ამიერკავკასიაში მუშაობდა და ამხანაგმა სტალინმა აქედან გაგზავნა ლენინგრადში.

1926 წელს, თბილისში ყოფნის დროს, ამხანაგმა სტალინმა სიტყვა წარმოთქვა ჩვენი ქარხნის მუშათა კრებაზე.

„მაგონდება 1898 წელი, — ამბობდა ბელადი, — როცა პირველად ჩავიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე... აქ, ამ ამხანაგების წრეში, მივიღე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ...“

იმავე სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა მგრძნობიარედ დაახასიათა თავისი რევოლუციური მოღვაწეობის ლენინგრადის პერიოდი.

„...მაგონდება 1917 წელი, როცა მე, საპყრობილეებსა და გადასახლებებში ყოფნის შემდეგ, პარტიის ნებით გავიგზავნე ლენინგრადში. იქ, რუსი მუშების წრეში, ყველა ქვეყნის პროლეტართა დიდ მასწავლებელთან — ამხ. ლენინთან უშუალოდ ახლო მყოფმა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის უდიდეს შეჯახებათა ქარიშხალში, იმპერიალისტური ომის ვითარებაში, მე პირველად ვისწავლე იმის გაგება, თუ რას ნიშნავს იყო მუშათა კლასის დიადი პარტიის ერთერთი ხელმძღვანელი. იქ, რუსეთის მუშათა-ჩაგრულ ხალხების განმათავისუფლებელთა და ყველა ქვეყნის და ხალხის პროლეტარული ბრძოლების მოთავეთა წრეში, მივიღე მე ჩემი მესამე საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. იქ, რუსეთში, ლენინის ხელმძღვანელობით, გავხდი მე რევოლუციის ერთ-ერთი ოსტატი“.

ამხანაგ სტალინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ბედი ლენინის ქალაქისა, გმირი ქალაქისა, რომელიც ორჯერ იხსნა სტალინის გენიამ — 1919 წელს ინტერვენტებისაგან და დიდი სამამულო ომის წლებში — ჰიტლერელთა ურდოებისაგან.

ამხანაგ სტალინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ლენინგრადის ახლანდელი აყვავებაც...“

თბილისელებმა მალე საპასუხო წერილი მიიღეს გმირი ქალაქის, კიროვის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლისაგან.

„ძნელია სიტყვებით გადმოქცეთ ის საზეიმო-სადღესასწაულო აღმავლობა, რომელმაც ახლა ყველა ლენინგრადელი მოიცვა რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს არჩევნების წინ...“ — სწერდნენ კიროვის სახელოვანი რაიონის ამომრჩევლები თბილისელებს.

„კიროველები უსაზღვროდ ამაყობენ იმით, რომ ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგი სტალინის გმირული ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ფურცლები განუყრელად დაკავშირებულია სახელგანთქმული ნარვის უბნის ისტორიასთან.

1912 წელს ამხანაგმა სტალინმა პუტილოველი მუშის ბინაში დაწერა თავისი ისტორიული „პეტერბურგელი მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისადმი“. ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით ნარვის კარს იქით მუშაობდა რსდმპ VI ყრილობა, რომელმაც პარტიასა და ხალხს გეზი მისცა შეიარაღებულ აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ნარვის კარს იქით არალეგალურ შესახვედრ ბინებში ამხანაგი სტალინი ხვდებოდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და ამზადებდა ოქტომბრის იერიშს...

მთელ საბჭოთა ადამიანებთან ერთად ჩვენ ვიზიარებთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენს სიხარულს იმის გამო, რომ დიდი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში. ჩვენ ვიზიარებთ საქართველოს ყველა მშრომელის სიხარულს, საქართველოსი, სადაც დაიბადა, გაიზარდა, და თავისი რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო მშობლიურმა და საყვარელმა სტალინმა.

ურღვევია მეგობრობა ჩვენი ქვეყნის ხალხებისა, რომლებიც დიდი სტალინის გენიამ მჭიდროდ დარაზმა ერთიან ძმურ ოჯახად და რომლებიც მტკიცედ მიდიან კომუნიზმის შემდგომი გამარჯვებისაკენ.

სულით და გულით გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, მოახლოებულ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დღეს და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოახლოებულ 30 წლისთავს. ჩვენ ვამაყობთ ქართველი ხალხის წარმატებებით, რომლებიც მან მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა დახმარებით. საბჭოთა საქართველო ახლა გადაიქცა აყვავებულ ინდუსტრიულ — საკოლმეურნეო სოციალისტურ რესპუბლიკად“...

განა დიდმნიშვნელოვანი არ არის თავისი სტალინური რევოლუციური წარსულით განდიდებული ამ ორი დიდი ქალაქის ასეთი ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა! ჩვენ ქვეყანაში ხომ ყველა ხალხი ერთ მთლიან ოჯახს წარმოადგენს; ძმური, მეგობრული და ურთიერთდახმარების კავშირით შესისხლხორცებულს.

განა დიდმნიშვნელოვანი არ არის, რომ საქართველოს კოლმეურნეები უკრაინისა და ყირიმის კოლმეურნეებს ეხმარებიან სუბტროპიკულ კულტურების გავრცელებაში, მათი ბუნებისა და მშრალი ველების სახის შეცვლაში!

განა დიდმნიშვნელოვანი არ არის, რომ კუიბიშევის, სტალინგრადის, კახოვკის ჰიდროსადგურების, ყარა-ყუმისა და ვოლგა-დონის არხების მშენებლობაზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ათიათასობით მოხალისენი გაეშგზავრნენ!

განა დიდმნიშვნელოვანი არ არის, რომ დონბასისა და სტალინგრადის აღდგენაში, თითქმის ყველა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობენ!

განა დიდმნიშვნელოვანი არ არის, რომ თბილისს სტალინურ ხუთწლედებში შექმნილ ქარხნებისა და წარმოებისათვის ლენინგრადი უგზავნიდა თავის შესანიშნავ მანქანებს და დაზგებს!

განა დიდმნიშვნელოვანი არ არის, რომ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები ვრცლად იყენებენ კიროვის ქარხნის ნოვატორების — გ. ბორტკევიჩის, ა. დუბინინისა და სხვათა სასახელო თაოსნობას. თავის ქარხანაში სულ უფრო და უფრო ნერგავენ ლითონის ჩქაროსნულ ჭრას, ლითონის ნიშვნის ახალ ტექნოლოგიას, ყველა იმ ახალს, რაც ლენინგრადის ქარხნების ნოვატორების შემოქმედების აზრით დაიბადა!

განა დიდმნიშვნელოვანი არ არის ლენინგრადელ და თბილისელ მუშათა ძმური სიყვარულით გამთბარი წერილები, იმ დღეებში, როცა ისინი დიდი ბელადის უზომო სიყვარულით გამსჭვალულნი, დღითი დღე სულ უფრო და უფრო ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, ეწევიან ნედლეულის მომჭირნეობას, ამუშავებენ ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებს, წინ მიყავთ ტექნიკა.

იმაზე ფიქრით, რომ თვრამეტ თებერვალს თავის პირველ დეპუტატად საყვარელ სტალინს აირჩევენ, დიდ შემოქმედებითს შრომას ეწევა არა მარტო მუშა, არამედ ტექნიკისა და მეცნიერების ყველა ადამიანი.

სტალინზე ფიქრით აღფოთოვანებულმა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდა ზეინკალმა გიორგი შათირიშვილმა 27 იანვარს წინასაარჩევნო ვახტზე დადგომისას ასე მიმართა თავის ქარხნის მუშებს:

„ბედნიერებაა მუშაობდე ჩვენს ქარხანაში, სადაც მილიონ ადამიანთა ძალა და ნება ერთი დიდი მიზნისკენაა მიმართული — მშვიდობისა და ხალხის კეთილდღეობისაკენ. ჩვენი ქარხნის, ჩვენი რაიონის მთელი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ბელადის სახელთან. ჩვენი რაიონი, სადაც მხოლოდ სილატაკე და სიმწარე ბატონობდა, ახლა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგი სტალინის მზრუნველობით სრულიად სახეშეცვლილია. ჩვენს ქუჩებზე ჩამწკრივებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ისინი მოპირკეთებულია და მოჩუქურთმებულია ლამაზად და მდიდრულად. ქუჩები, რომლებიც წინათ მოკირწყლულიც არ იყო, ბეტონსა და გრანიტშია ჩამჯდარი. აქ ძველი ცხოვრებიდან მოხუცმა, თუ ახალგაზრდამ, ყველამ იცის, ვინ მისცა მათ ეს, ვინ მოუპოვა მათ ბედნიერება და სიხარული“.

დადგნენ რა პირველ სახალხო დეპუტატის, დიდი სტალინისათვის მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე, ლენინგრადის კიროვის ქარხნის მუშებმა პირობა დადეს პირველ კვარტალში ვადაზე ადრე შეასრულონ საწარმოო გეგმა და გეგმის ზევით რამდენიმე მილიონის პროდუქცია მისცენ ჩვენს ქვეყანას.

ასეთივე ვალდებულება აიღო სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმაც. თბილისელები სწერდნენ! „ჩვენ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ დიდმ

სტალინმა სთქვას: „კარგად მუშაობთ, ამხანაგო თბილისელებო“.

ასე მუშაობას ცდილობენ არა მარტო თბილისელები, ასე მუშაობას ცდილობს ახლა მთელი ჩვენი ქვეყნის საბჭოთა ხალხი. ამას ცდილობს მუშა, კოლმეურნე, მეცნიერი, მაღაროელი, ლიტერატორი, რკინიგზელი... ყველა პროფესიის ადამიანი — ქალი და კაცი, დიდი და პატარა.

ისე, როგორც ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნისა და თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები და მოსამსახურეები, მთელ ჩვენს საბჭოთა ქვეყნის ფაბრიკებში, მაღაროებში, ტრანსპორტზე, თუ მშენებლობაზე, საბჭოთა ქვეყნის სტახანოველები და ნოვატორები ნორმას ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

თბილისში ბევრია ასეთი სახელოვანი ადამიანები. ისინი არა მარტო გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, შემოაქვთ მრავალი რაციონალიზატორული წინადადებები. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებმა აბუაშვილმა და პილიპჩუკმა გამოიმუშავეს ერთდროულად ორი პნევმატიური ჩაქუჩით ორთქლმავლის ქვაბების მოქლონვის ორიგინალური მეთოდი. შ. ზაალიშვილმა მექანიკურ საამქროებში ათამდე რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანა, ყველა ისინი განხორციელებული იქნა და ამით ქარხანამ 35.000 მანეთის ეკონომია მიიღო. ინჟინერმა ლია ზაკსმა ლენინგრადში ყოფნისას ნახა დაზგა, რომლითაც საალე მილების უკანა ბოლოების გაგლინვას აწარმოებდნენ. ლენინგრადელთა მიბაძვით ახლა აქ ისეთივე დაზგები დადგეს. თუ თბილისელების ძველი დაზგა მუშაობის პროცესში ხშირად ტყდებოდა და ძლიერ ხმაურს იწვევდა, ახალ დაზგას ეს ნაკლი არ აქვს.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივს მაღლა უჭირავს ისტორიული ქარხნისა და იმ მუშათა სახელი, რომლებთანაც მუშაობდა დიდი სტალინი, ამ ადამიანთა შესახებ ასეთი სიყვარულით და პატივისცემით ამბობს ბელადი, რომ ისინი მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები ყოველთვის საქართველოს მუშათა ავანგარდში იყვნენ და არიან. ისინი იყვნენ და იქნებიან შრომითი თავდადების, სიმამაცისა და ნოვატორობის მაგალითის მიმცემი მრავალი ქარხნისა და ფაბრიკის მუშათა კოლექტივებისათვის.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა ახლა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი, პირველხარისხოვანი ქარხანაა. აქ ძველთაგან დარჩენილია საყვარელი ბელადის დიდება და თბილისის რკინიგზის მუშების რევოლუციური ტრადიციები.

ახლა ამ ქარხანაში და თბილისის სხვა ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავის საზეიმო და სასიხარულო დღეებში სულ უფრო ფართოვდება თავდადებული ბრძოლა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მრავლდება რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიგები.

დედაქალაქის მშენებლობამ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის დავალებანი 105.6 პროცენტით შეასრულა. ქალაქის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების პროდუქცია 1950 წელს 76.8 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

ამ ბრწყინვალე წარმატებებს დედაქალაქმა მიაღწია არა მარტო პირველხარისხოვან საწარმოთა შექმნის გზით, ამ გამარჯვებათა მთავარი შემოქმედნი

ირიან ის მაღალკვალიფიციური მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები, კონსტრუქტორები და წარმოების ხელმძღვანელები, რომლებიც აღიზარდნენ საბჭოთა ეპოქაში, რომლებიც აღზარდა ლენინ-სტალინის დიდმა პარტიამ.

„ჩვენი საუკეთესო ფაბრიკებისა და ქარხნების კარგ ეკონომიურ და ტექნიკურ მაჩვენებლებს უნდა ვუმადლოდეთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს მოწინავე მუშებს — წარმოების ნოვატორებს, რომლებიც შრომის სოციალისტური მეთოდების გამოყენების გზით ძალნაყოფიერებას აღწევენ. საკმარისია ითქვას, რომ თბილისის საწარმოებში ომის შემდგომი ხუთწლედის მანძილზე 5 ათასზე მეტმა მუშამ შეასრულა 6-დან 10-მდე წლიური ნორმა, ხოლო 892 მუშამ — 11-დან 15-მდე წლიური ნორმა. 1950 წელს 4.920 მუშამ შეასრულა 2-დან 5-მდე და მეტი წლიური ნორმა“. (კ. ნ. ჩარკვიანი).

საბჭოთა თბილისის ოცდაათი წლისთავი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკულისხმო პერიოდია მის ათასხუთასწლიან გმირულ ისტორიაში.

ამ დროის მანძილზე თბილისის განვითარებაში უდიდესი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებები მოხდა. თბილისის უკანასკნელი ოცდაათი წელი შეადგენს ყველაზე უკეთესო სასახელო და გმირულ პერიოდს ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდაათი წლისთავს თბილისი მეოთხე სტალინური ხუთწლედის ბრწყინვალე გამარჯვებით ხვდება. ისე, როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქები, თბილისიც ხარაჩოებსა და ლითონის კონსტრუქციებშია ჩაცმული. იგი იზრდება საათობით, იზრდება ზღაპრული, სასწაულებრივი სისწრაფით.

მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყნის გიგანტურ მრეწველობასთან ერთად უმაგალითო სისწრაფით იზრდება თბილისის მრეწველობაც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თბილისში ორი-სამი ფაბრიკა და რამდენიმე სახელოსნო იყო, თბილისის მრეწველობაში ძირითადი ადგილი საფეიქრო საწარმოებს ეკავა.

ახლა საბჭოთა თბილისი ინდუსტრიალური გიგანტების ქალაქია. იგი რკინის, ფოლადის, მანქანათმშენებლობის, საფეიქრო და სხვა მრავალი მსხვილი და მსუბუქი მრეწველობის ქალაქია.

ოცდაათი წელიწადი არც ისე დიდი დროა ისტორიაში, მაგრამ ამ პატარა ხნის მანძილზე სრულიად შეიცვალა დედაქალაქის სახე. ამ დროის განმავლობაში იმდენი გაკეთდა და აშენდა თბილისში, რაც მისი ისტორიის ასი წლის მონაკვეთზე არ შექმნილა.

ქალაქთა მშენებლობის ისტორიამ არ იცის ისეთი სწრაფი და დიდი მასშტაბის რეკონსტრუქცია, როგორც განხორციელდა თბილისში ბრწყინვალე სტალინური ხუთწლედების მანძილზე.

და მაინც ის, რაც ჯერჯერობით გაკეთებულია, ქალაქის გრანდიოზული რეკონსტრუქციის ნაწილია მხოლოდ, ეს მხოლოდ ცალკეული მიღწევებია, ეს თბილისის რეკონსტრუქციის დიდი გეგმის მხოლოდ პირველი მოხაზულობაა.

ქალაქის ასეთი სწრაფი ტემპით ზრდა, მისი ასეთი სახეცვლა, მისი ვრცელი და გეგმიანი რეკონსტრუქცია მხოლოდ საბჭოთა წყობილებას ძალუძს, ეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი.

სად, რომელ სხვა სახელმწიფოში შეიძლება მოხდეს ეს? კაპიტალისტურ ქვეყანაში ხომ ქალაქები სტიქიურად შენდება და ქალაქთმშენებელთა ყოველგვარი ცდა, დაუმორჩილონ სტიქიური მშენებლობა ქალაქის გეგმიან ზრდასა და განვითარებას, გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ისე როგორც სხვა ბურჟუაზიუ-

ლი ქალაქები, თბილისიც უგეგმოდ და ქაოტიურად შენდებოდა. ქალაქის ბედიღბალს ეგრეთწოდებული „ქალაქის მამები“ განაგებდნენ. ეს ვაჟბატონები ქალაქის კეთილდღეობაზე კი არ ფიქრობდნენ, ცდილობდნენ თავის ბედნიერება ხალხის უბედურებაზე აეგოთ. რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ მშრომელთათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე თბილისის მთელი მეურნეობა ხალხის სამსახურში იქნა ჩაყენებული. ნესტიან სარდაფებიდან და ქოხებიდან მშრომელთა მასების უდიდესი ნაწილი შესახლებული იქნა კაპიტალისტთა და მემამულეთა ბინებსა და სასახლეებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ქალაქისა და სოფლის მშენებლობის უდიდესი სამუშაოებში ყოველდღე სულ უფრო ნათლად ვლინდება სტალინური მზრუნველობა საბჭოთა ადამიანზე.

„დღევანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას, — წერდა ამხანაგი სტალინი, — სურს იცხოვროს ისე, რომ დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება, სასურსათო მოთხოვნილების მხრივაც და ყველა სხვა მოთხოვნილების მხრივაც. მას ამის უფლება აქვს და ჩვენ მოვალენი ვართ უზრუნველვყოთ მისთვის ეს პირობები“.

უდიდესი გარდამქმნელი ძალა სოციალიზმისა საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების სახეცვლაში, მუშათა და კოლმეურნეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში, დიდმა ბელადმა მოსკოვის მაგალითზე დაგვანახვა. საბჭოთა ხალხების საყვარელი დედაქალაქის მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავ მისალმებაში დიდი სტალინი სწერდა:

„მოსკოვი ახლა არის დედაქალაქის მშრომელთა ახალი ყოფა-ცხოვრების მშენებლობის არა მარტო ინიციატორი, ახალი ყოფა-ცხოვრებისა, რომელიც თავისუფალია ბილიონობით უქონელთა და უმუშევართა სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან, ამასთან ერთად, მოსკოვი ამ მხრივ არის ნიმუში მსოფლიოს ყველა დედაქალაქისათვის. ევროპის, აზიის და ამერიკის ქვეყნების დიდი დედაქალაქების ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული იარა არის ჯურღმულების არსებობა, სადაც მილიონობით გაღატაკებული მშრომელი განწირულია გაჩანაგებისა და ნელი, მტანჯველი სიკვდილისათვის. მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ მან საკისებით მოსპო ეს ჯურღმულები და მშრომელებს მისცა შესაძლებლობა სარდაფებიდან და ქოხმახებიდან გადასახლებულიყვნენ ბურჟუაზიის ბინებსა და სახლებში და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აგებულ ახალ კეთილმოწყობილ სახლებში“.

ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის დიადი გეგმით იცვლება თბილისის სახეც. მას ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში დაეტყო შესამჩნევი გარდაქმნა, ამ წლებში, როცა თბილისში მწყობრში დგებოდა მთელი რიგი ახალი ქარხნები და ფაბრიკები, თბილისის ბოლშევიკების მთავარი ყურადღება მუშათა რაიონების კეთილმოწყობისაკენ იყო მიმართული.

ჩვენ თვალწინ შენდებოდა ლენინის რაიონი. ქალაქის ამ ნაწილს წინათ ნაძალადევი ერქვა. ნაძალადევს იმიტომ უწოდებდნენ, რომ აქ ქალაქის ხელისუფალთა ნებადაურთველად ძალად ესახლებოდნენ უმუშევარი, უსახლკარო მუშები და სოფლებიდან სამუშაოს საშოვრად ჩამოსული ღატაკი გლეხობა. ვიწრო, ოკრობოკრო ქუჩებზე მიმოფანტულ ქოხმახებით და ფაცხებით ნაძალადევი არაფრით არ ჰგავდა ქალაქის ნაწილს.

ახლა ეს რაიონი ერთ-ერთი ლამაზი და კეთილმოწყობილი რაიონია თბილისში. გადაიგეგმა, გაფართოვდა, გამწვანდა და ბეტონით დაიფიხა მისი ქუჩები. აშენდა მრავალი ქარხნები და საფეიქრო ფაბრიკები. აშენდა მრავალ-

სართულიანი საცხოვრებელი სახლები, კლუბები, სკოლები და პარკები.

სამეცნიერო დაწესებულებების და ინსტიტუტების მძლავრ კერად იქცა სულ ცოტა ხნის წინათ მიყრუებული და განაპირა ნაწილი — ვაკე. მშრალი ქარების ეს სათარეშო ტიტველი მინდვრები ახლა მჭიდროდაა დასახლებული. ძას შუაზე ჰყოფს ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი მაგისტრალი — უნივერსიტეტის ქუჩა.

ვერ იცნობთ ახლა ვერც დიდუბეს, ავლაბარს, მაიდანს და სოლოლაკს.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წლის 22 სექტემბერს ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ დაუსახა თბილისის მშენებლებს ის გზები, რომლითაც მიმდინარეობს აძჟამად თბილისის გარდაქმნა.

ამ გეგმით თბილისში რეკონსტრუირებულია მრავალი მოედანი და ქუჩა, გაყვანილია მაგისტრალები, შეიქმნა და იქმნება პარკები ქალაქში და ქალაქგარეთ. აგებულია მთელი რიგი დიდი საზოგადოებრივი ნაგებობანი.

რუსთაველის პროსპექტზე დგას — ჩვენი ქალაქის სიამაყე, საბჭოთა ეპოქის ღირსშესანიშნავი ძეგლი — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა. ამავე პროსპექტზე აღმართულია მთავრობის სახლის მონუმენტური კორპუსები. უნივერსიტეტის ქუჩაზე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი, გმირთა მოედანთან—სახელმწიფო ცირკის შენობა და მრავალი სხვა.

ყველა ეს შენობები აგებულია ქართველი ხუროთმოძღვრების პროექტების მიხედვით. თბილისში არც ერთი ქუჩა არ არის ისეთი, სადაც ახალი საცხოვრებელი სახლები არ იყოს აშენებული, არც ერთი უბანი არ არის ისეთი, სადაც ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი შენობა არ იყოს აგებული.

აშენებულია ინსტიტუტები, სამეცნიერო — საკვლევო დაწესებულებები, სკოლები, საავადმყოფოები, სანატორიუმები, ბაღები, კინო-თეატრები. შენდება მთელი რიგი ახალი მაგისტრალები, ქუჩები, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლები.

ახალ სანაპიროზე თბოელექტროცენტრალის გვერდით დაწყებულია 123-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მისი ფასადი მოპირკეთებული იქნება ბაზალტით და ეკლარის თეთრი ქვით. ეს იქნება ერთ-ერთი ულამაზესი სახლი თბილისში. მალე ლენინისა და მელიქიშვილს ქუჩის კუთხეში თბილისში პირველად დაიწყება თექვსმეტსართულიანი სახლის მშენებლობა. 14 — 16 სართულიანი სახლი თბილისში არა ერთი და ორი აშენდება. მომავალში თბილისში ახალი სახლები ამ სახლებს გაუტოლდებიან და ყოველი წელი მეტ სიდიადეს და მეტ მშვენებას მოუტანს ჩვენს საყვარელ დედაქალაქს.

ყველაზე უფრო გრანდიოზული ლამაზი, რაც კი თბილისში ამ ოცდაათი წლის მანძილზე შეიქმნა, ეს სტალინის სახელობის სანაპიროა. იგი კიდევ უფრო წარმტაცი შეიქმნება, როდესაც ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის თორმეტი მეტრის სიმაღლის კაშხალი გადაღობავს მტკვარს სამასი არაგველის ხიდის ქვემოთ და მდინარის დონეს თერთმეტი მეტრით აამაღლებს. ექვსი კილომეტრის მანძილზე მტკვარი გახდება სატრანსპორტო მაგისტრალი. მტკვარზე ივლის ლამაზი, კომფორტაბელური სამდინარო ტრამვაი. მტკვარზე ისრიალებენ სპორტული იალქნიანი ნავები, კატარღები და გლისერები.

მეტეხის ციხესთან მტკვარს დაამშვენებს ახალი ხიდი. ახალი ხიდი შენდება დიდუბეშიც. ხიდი ქალაქს სამხედრო გზასთან დააკავშირებს. ეს ხიდი ქალაქის ხიდებს შორის ყველაზე ლამაზი იქნება.

ომმა შეანელა, მაგრამ ვერ შეაჩერა თბილისის რეკონსტრუქციის სამუშაოები. ომის წლებში აიგო ბარათაშვილის ქუჩაზე შესანიშნავი საცხოვრებელი სახლი. გაფართოვდა და ბეტონით დაიფინა ბარათაშვილის ქუჩა. აიგო საცხოვრებელი სახლები უნივერსიტეტის ქუჩაზე. ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ ქალაქი ხარაჩოებით შეიმოსა.

თბილისის ყოველ უბანს ატყვია ნათელი კვალი იმ მზრუნველობისა, რომელსაც მის მიმართ იჩენს საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი. თავის მოხსენებაში თბილისის ბოლშევიკების მეოცე კონფერენციაზე ამხანაგმა ჩარკვიანმა გადაგვიშალა ჩვენი ქალაქის წინსვლის ბრწყინვალე პერსპექტივები.

ჩვენ თბილისი გვიყვარს მისი აყვავებული, ზოგან მიხდეულ-მოხვეულ, ზოგან ლარივით სწორ და ზოგან მკლავივით მოქნეული ქუჩებით, მისი ძოედნებით და სანაპიროთი, ხეივნებითა და ბაღებით, ახალი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლებით. ჩვენ თბილისი გვიყვარს თავისი მეცნიერებათა აკადემიით, ინსტიტუტებით, კონსერვატორიითა და მუზეუმებით, თეატრებითა და სამხატვრო აკადემიით, თავისი თავისუფალი შემოქმედებით, დაუცხრომელი შრომით. ყველაფერი იმითი, რაც შექმნილია ჩვენი ხელით, რაც უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე გაკეთდა. ეს ყველაფერი უფრო ახლობელი და საყვარელია ჩვენთვის.

მაგრამ ჩვენ არა ნაკლებ გვიყვარს ძველი თბილისის მრავალი რამ. ჩვენ გვიყვარს მისი ძველი ხუროთმოძღვრება, რომლის უცხო გავლენის ელემენტებს შორის მთელი თავისი სილამაზით გამოსახულია წმინდა ქართული და ამასთან თბილისური თავისებურება.

ჩვენ გვიყვარს თბილისის ბებერი სიმაგრეები — უძველესი შურის ციხე, თაბორის მთაზე დარჩენილი „ყოჩი კალას“ (საბრძოლო ციხე), ნანგრევები და სხვა სიმაგრეები. ჩვენ გვიყვარს თბილისი თავისი მთაწმინდით, უნივერსიტეტით, ძველი თეატრებით...

თბილისში ცხოვრობდა და წერდა რუსთაველი, ბესიკი, ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი. დ. გურამიშვილი, საბა-სულხან ორბელიანი ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა. თბილისში უცხოვრიათ და უწერიათ პუშკინს, ლერმონტოვს, გრიბოედოვს, ლ. ტოლსტოის, გორკის, ჩაიკოვსკის.

უფრო მეტად, უფრო ძლიერად ჩვენ გვიყვარს ხვალინდელი თბილისი. სამგორის სარწყავი სისტემა სულ მალე მთლიანად შესცვლის ქალაქის სახეს, მის ბუნებას, ნიადაგს და ჰავას.

გასცდებით აღმოსავლეთით ქალაქის უკანასკნელ სახლებს და თქვენ უდაბნოს წინ აღმოჩნდებით. სამგორის ტიტველი და გადამწვარი ტრამალები გადაიშლება თქვენს წინ. იგი საქართველოს სხეული მიწაა. ძალ-ღონე გამოლეული, ნიაღვრებისაგან გადარეცხილი და გვალვებისაგან გადარუჯული სამგორის მიწა გატეხილი ქოთანივით დევს გამოხუნებულ ცის ქვეშ.

ბუნების ულმობელ სტიქიონთან ბრძოლაში წელში გატეხილი გლეხი საუკუნეების მანძილზე გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა ზეცას და „წმიდა ლაზარეს“ შესთხოვდა წვიმას. „ეცადრეთ უფალს, ჩვენც უერთდებით თქვენს თხოვნას, მხოლოდ უფალს ძალუძს თქვენი ხსნა!“ — გულს უმაგრებდნენ ხალხს „ქალაქის მამები“. მათ არ რცხვენოდათ ლაზარობის რიტუალის, ამ ნახევრად წარმართულ წესჩვეულის, თბილისის კედლებთან რომ ასრულებდა ხალხი.

მაგრამ „დარ-ავდრის მბრძანებელი“ არ იწყნარებდა ხალხის ვედრებას. გვალვა წვავდა, ხორშაკი ძირიანად სთხრიდა პურსა და სიმინდს, სპობდა ბალსა და ვენახს. საუკუნეების მანძილზე

ტოვებდა ხალხი მკვდარ მიწას. აიყრებოდა სოფელი, მიატოვებდა მამაპაპეულს და უგზოუკვლოდ დაეხეტებოდა. ვიდრე, საქართველოს რომელიმე კუთხეში არ დაიდგამდა ბინას.

მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში, როცა ქართველმა ერმა რუსი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების დახმარებით თავისი ნაციონალური სახელმწიფო შექმნა, შესაძლებელი გახდა ქართული ხალხის საუკუნო ოცნების განხორციელება — კოლხეთის ტროპიკული ჭაობების ამოშრობა და მთელი რიგი არხებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის უდიდესი მშენებლობა საქართველოში — სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, არა მარტო სამგორის მრავალ ათეულ ათასს ჰექტარ მიწას მისცემს მუდმივ წყალს, წყალს მიიღებს თბილისის გარშემო მდებარე ტიტველ ველები და მთა-გორებიც. ბაღებით, ვენახებით, პურის ყანებით, ბაღჩა-ბოსტნებით და ტყით შეიმოსება ისინი.

წელს დამთავრდება სამგორის ზემო არხის მშენებლობა და დაიწყება თბილისის წყალსაცავის — მლაშე ტბების აუზის ავსება წყლით.

ეს იქნება პატარა ზღვა.

თბილისს ექნება თავისი ზღვა!

ძომავალი წლიდ გაზაფხულიდან ამ ზღვიდან წამოსული არხებით მოირწყვება თბილისის გარშემო მდებარე თითქმის ყველა მიწა. ქალაქში გაშენებულ შვიდ მილიონ ძირ ხესა და ბუჩქს ოთხიხუთი წლის მანძილზე ქალაქის გარშემო გაშენებული რვა ათასამდე ჰექტარი ხეხილის ბაღები და ტყე შეემატება.

ამ მიწაზე ერთ დროს დიდძალი ხეხილი ხარობდა. მთები და გორაკები ტყით იყო დაბურული, მაგრამ აჩეხეს და გადასწვეს მტერთა ურდოებმა. ახლა ახალი ტყე შენდება, ახალი ბაღები იბადება. ეს კომუნიზმის ბაღები იქნება.

ბაღები შენდება თბილისის ირგვლივ — ფერდობებზე, გორაკებზე, მინდვრებზე. რვა ათას ჰექტარ ნაკვეთებიდან სამი ათასამდე ხეხილის ბაღები იქნება. ნუშის, ატმის, ბლის, მსხლის, ვაშლის, ბროწეულის, თუთის, თუ შინდის ბაღები გაფანტული იქნება აქა-იქ ტყეებში და კაკლის ხეივნებში. უზარმაზარი ქალაქი ტყეში და ბაღებში იქნება ჩამჯდარი.

თბილისელები დასვენების დღეს ნაყოფით დახუნძლული ხეების ჩრდილში, ფიჭვისა და კაკლის ტყეში და თბილისის ზღვაზე გაატარებენ. არ იქნება ქალაქი სიცხით შეხუთული, გრილი ნიავი შემოვა მის ლამაზ და განიერ ქუჩებში, ნაყოფის, ყვავილისა და ივრის ახკარა წყლის სურნელებას შემოიტანს.

ჩვენ ახლავე ვხედავთ ქალაქის ფარგლებში, მთის კალთებზე გაშენებულ 647 ჰექტარ ნორჩ ხეებში დიდი სიცოცხლის გაფურჩქვნას, დიდი ბედნიერების გაშლას, კომუნიზმის დიდ სახეს.

შარშან დარგული ხეები წელს გაზაფხულზე პირველ ყვავილს გამოისხამს, გაისად — პირველ ნაყოფს, და რამდენიმე წლის შემდეგ მათი ტოტები ნაყოფის სიმძიმით დაიხრება მიწისაკენ.

სამი ათასი ჰექტარი ბაღი ქალაქს!

დიახ! ეს იქნება კომუნიზმის ბაღი.

აქ, ამ მიწაზე, მლაშე ტბებთან, რომელსაც ამიერიდან თბილისის ზღვას დაუძახებენ, 50 წლის წინათ, როცა კომუნიზმის შუქი ისე შორს იყო, რომ მისი დანახვა მხოლოდ გენიოსს შეეძლო, 21 წლის ჭაბუკმა სტალინმა მის მიერ მოწყობილ მაისობაზე მგზნებარე სიტყვით დაუსახა ხალხს ეს დღე, ეს ბედნიერება, დაუხატა ეს ბაღები, ეს დიადი მომავალი, და ხალხს სჯეროდა მისი სიტყვა — იგი აღსრულდა. ბაღები, უკვე ჰყვავიან!

ჰყვავიან მთელი საბჭოთა ქვეყნის, მისი უსაზღვრო მიწის ყოველ კუთხეში.

ყველგან, ყველამ, დიდმა და პატარამ იცის, რომ ეს მათ საყვარელმა

სტალინმა მოუტანა. მაგრამ ყველაზე მეტად ახლა ამას განიცდის თბილისი, რომლის მრავალ სახლის კედელზე დიდებით მოსილი მემორიალური დაფაა მიკრული და მოგვაგონებს, რომ აქ ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი სტალინი, რომ საყვარელი ბელადი, საყვარელი მამა და მასწავლებელი აქ იწყებდა ხალხის ბედნიერების სამეს.

ამას ახლა ყველაზე მეტად განიცდის თბილისი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ქართველი ხალხის ბედნიერების 30 წლისთავის დღეს.

როდიონ ქორქია

გმირი ქალი

★

როგორც კი გამოქვეყნდა ცნობა, რომ დარეჯან ტაკიძემ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო, წერილები მერცხლებივით შემოფრინდნენ დარეჯანისას. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან წერდნენ დარეჯანს.

სათუთად, სიყვარულით ინახავს დარეჯანი ამ წერილების კონებს, რადგან ამ წერილებში საბჭოთა ადამიანების სული და გულია გადმოშლილი.

აი ერთი მათგანის შინაარსიც:

„...სალამი სამხრეთ სახალინიდან.

გაზეთებში წავიკითხეთ, რომ თქვენ კარგად გიშრომნიათ და გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი აზრი. არც ჩვენ გვინდა ჩამოვრჩეთ სხვებს და კიდევაც ვშრომობთ ჩვენი ძალღონისა და ცოდნის კვალობაზე.

ჰო-და, გწერთ ამ წერილს იმიტომ, რომ გვინდა ვიცოდეთ, რა ხდება ჩვენი სამშობლოს შორეულ სამხრეთში და გისურვოთ კარგი მიღწევები თქვენს მომავალ მუშაობაშიაც და იგრეთვე პირად ცხოვრებაშიაც.

თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება და დროს დაკარგულად არ ჩათვლით, ჩვენ მებრძოლები, გთხოვთ დაგვითმოთ ცოტაოდენი დრო და აგვიწეროთ, რანაირად მიაღწიეთ თქვენ ასეთ დიდ ვამარჯვებას და როგორ ფიქრობთ იმუშაოთ შემდეგში?

ჩვენ, შორეული აღმოსავლეთის მებრძოლებს, ძალიან გვაინტერესებს ვიცოდეთ, თუ როგორ შრომობს ჩვენი ახალგაზრდობა ვრცელ მინდვრებზე ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისა და აყვავებისათვის.

ჩვენ ვეცდებით კიდევ უფრო ფხიზლად დავიცვათ თქვენი მიღწევები და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

მაგრად გართმევთ ხელს:

მ. ს. პესტრიკი.

ა. ი. პენკოვი.

მე ამ წერილში თითქმის არაფერი შემიცვლია. წერილი გვიჩვენებს, თუ როგორ სცემს პატივს თოფიანი კაცი კოლმეურნის მშვიდობიან შრომას, როგორ ზრუნავს იგი ამ შრომის დაცვაზე და როგორ მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა ადამიანების ინტერესები შორეული სახალინიდან აყვავებულ გურიამდე.

* * *

ქვემო-ნატანების ოთხწლედში მასწავლებელი მარო მექვაბიშვილი ქართული ენის გაკვეთილზე მოწაფეებს დასრულებულ მარტივ წინადადებას უხსნიდა. ბავშვები გულდასმით უსმენდნენ მასწავლებელს, იმეორებდნენ მაგალითებს. როცა მასწავლებელი დარწმუნდა, რომ ბავშვებმა გაკვეთილი

ითვისეს, საუბარი დაიწყო სოციალისტური შრომის გმირებზე. მასწავლებელმა აუხსნა ბავშვებს, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა სახელისა და დიდების საქმეა, რომ მშობლიური კოლმეურნეობის მიღწევა მთელი საბჭოთა ხალხის მიღწევაა, რომ ბავშვებმაც უნდა ჰიჰბაძონ გმირებს სწავლაში, ყოფაქცევაში.

ბოლოს მასწავლებელმა განიზრახა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა, კარგად ითვისეს, თუ არა ბავშვებმა გაკვეთილი?

—აბა, ბავშვებო, თვითონ მოიფიქრეთ დასრულებული მარტივი წინადადების მაგალითი. — მიმართა მან ბავშვებს.

წამოდგა პატარა, 8 წლის, გოგი კალაჯეიშვილი. შავ წარბებს ქვეშ მხიარულად უელავდა შავი თვალები. თეთრი სახე ვარდივით აწითლებოდა. ბავშვს ეტყობოდა ის სიხარული, რომელსაც ახალი აზრის ათვისება იწვევს. პატარა ბიჭუნამ მკაფიოდ, ხმამაღლა, ბულდაჯერებით თქვა:

— დარეჯან ტაკიძე სოციალისტური შრომის გმირია.

გრამატიკულად ეს, რასაკვირველია, მართალია. მაგრამ ჩვენი ბავშვების კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით ეს უფრო მეტია, ვიდრე მარტივი წინადადება...

*

* *

აპრილის ია-კამა დარი იდგა, როგორც გურიაში იტყვიან ხოლმე. ნატანების საშუალო სკოლაში მოწაფეები სოციალისტური შრომის გმირს დარეჯან ტაკიძეს საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ.

სკოლის დირექტორმა, დამსახურებულმა პედაგოგმა აკაკი მოქიამ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა.

— ჩვენი ჰავა რბილია, მიწა ნოყიერი. ჩვენი ხალხი კი ფიცხი, ცოცხალი და შრომისმოყვარე, — ამბობდა აკაკი მოქია. — ლამაზია ჩვენი გურია და თვალწარმტაცია, მაგრამ ჩვენ ლამაზია არა მარტო თავისი ბალებით, ხილეს და ციტრუსების პლანტაციებით. გურიას ამშვენებენ დიდი სტალინის ეპოქის ადამიანებიც, რომელთაც გატაცებით უყვართ სამშობლო. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დარეჯანი ჩვენს სკოლაში სწავლობდა და ჩვენ, საბჭოთა მასწავლებლები, ვეცდებით კვლავაც შთავუნერგოთ ჩვენს მოწაფეებს შრომის სიყვარული. დაე, ამხანაგო დარეჯან, მოგბაძონ თქვენ ჩვენმა მოწაფეებმა სწავლაში, შრომაში, სამშობლოს სიყვარულში...

— ჩვენც ვიშრომებთ დარეჯანივით, — განაცხადა მე-8 კლასის მოწაფემ, 14 წლის ლიდა გუჯაბიძემ. — მე ფრიადოსანი ვარ სკოლაში, ხოლო პლანტაციაში დღეში 25 კილოგრამ ჩაის ვკრეფ.

— ჩვენც ვიშრომებთ დარეჯანივით, — გაიმეორა მე-5 კლასის მოწაფემ, 12 წლის ლამარა ნადირაძემ. — მეც ფრიადოსანი ვარ, სამშობლოს ყოველდღიურად 30 კილოგრამ პირველ ხარისხის ჩაის ფოთოლს ვაძლევ. ხოლო ჩემოდენა რომ იყო დარეჯანი ნაკლებს ჰკრეფდა.

— მართალია—გაეცინა დარეჯანს.

*

* *

დარეჯანი 1919 წელს დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში.

მშობლებს პატარა ქოხი ედგათ და პატარა ცხოვრებით ცხოვრობდნენ, პატარა სიხარულით კმაყოფილდებოდნენ. დარეჯანის მამა, საბა ტაკიძე, დაუცხრომელი ენერგიის კაცი იყო. მუშაობდა წელგაუმართავად, მაგრამ კვირა უქმე დღეებში ჩაქურას ჩაიცვამდა, იარაღს აისხამდა და თავაწეული გამოვიდოდა ხალხში. სიღარიბის სევდა უღრღნიდა გულს, მაგრამ ამაყია

გურული კაცი: თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ქედი მოეხარა მტერ-მოყვარის წინაშე.

დღეს საბა ტაკიძე 78 წლის მოხუცია. მაღალი, ახოვანი, ლამაზი, ჯერ კიდევ ჯანმაგარი კაცი. 60 წელი მძიმე შრომაში გაუტარებია და მხოლოდ 18 წლის საკოლმეურნეო შრომის დროს ამოუსუნთქავს მთელი გულით. საბას უფროს შვილს, გრიგოლს, უმაღლესი განათლება მიუღია. უმცროსს, დარეჯანს, მხოლოდ 2 კლასი აქვს დამთავრებული.

დარეჯანი ადრე შეება შრომის უღელში ხედავდა, თუ როგორ დაუცხრომლად შრომობდნენ მშობლები. ბუნებით ჭკვიანმა, მიხვედრილმა გოგონამ ალღო აუღო მდგომარეობას და დატრიალდა ოჯახში და ოჯახს გარეთ.

1926-1930 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია საქართველოში ჩაის კულტურის მასობრივ დანერგვას. მიწათმოქმედების ორგანოები სესხს აძლევდნენ იმათ, ვისაც ჩაის მოშენება სურდა. დაარსდა ჩაის პლანტაციის მოშენების სასოფლო ამხანაგობანი. მალე ჩაის პლანტაციები 100 ჰექტარზე გაიშალა ნატანებში.

დარეჯანი ხედავდა, თუ რა მიწებს არჩევდნენ ჩაის პლანტაციისათვის, როგორ გეგმავდნენ ნაკვეთებს, როგორ გაჰყავდათ სამელიორაციო ქსელი. თვალყურს ადევნებდა, როგორ იზრდებოდა ჩაი, როგორ სხლავდნენ ბუჩქებს, როგორ აწესრიგებდნენ ჩაის ბუჩქების ზრდას.

ცამეტი წლისა იქნებოდა დარეჯანი, როცა ჩაის საკრეფად გავიდა. იმ ხანებში მოკრეფილი ჩაის ზუსტი აღრიცხვა არც კი წარმოებდა. დარეჯანს, როგორც პატარას, ნახევარ შრომადღეს უწერდნენ. პირველ ხანებში დარეჯანის დღიური გამომუშავება 1 მანეთს უდრიდა.

რა ბედნიერი იყო დარეჯანი, როცა პირველად მიიღო ხელფასი და იცით რამდენი? — 100 მანეთი. ეს ერთ გოგონას არ მიუღია ამდენი ფული.

*
* *

დრო გადიოდა. ჩაის კულტურა ერთ-ერთი მოწინავე კულტურა გახდა კოლმეურნეობაში, დარეჯანი კი ჩაის საუკეთესო მკრეფავი შეიქნა. ის ყველაზე მეტს ჰკრეფდა.

1938 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება გამოიტანა ახალგაზრდობაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის რეკორდის დამყარების შესახებ.

ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 100-მდე ჩაის მკრეფავი გოგონა მუშაობდა. იმ ხანებში დღეში თითოეული ჰკრეფდა 6-10 კილოგრამს. ხოლო დარეჯანი 40-50 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

— უნდა ჩავებათ შეჯიბრებაში. — გადაწყვიტა კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა შალვა სარიშვილმა და რჩევა-დახმარებისათვის კოლმეურნეობის თავჯდომარეს მიმართა.

სწორად ამ დროს გამოქვეყნდა გაზეთებში ცნობა, რომ აფხაზმა ქალიშვილმა — კომკავშირელმა ცაცა ქარდავამ დიდ წარმატებას მიაღწია სოფელ კოხრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

— მინდა წავიდე ცაცა ქარდავასთან და შევისწავლო მისი მუშაობის მეთოდები,—უთხრა თავმჯდომარეს შალვამ.

— მართალია, — დაეთანხმა თავმჯდომარე, — წადი, დააკვირდი, შეისწავლე. ეს საჭირო და კარგი საქმეა. კომკავშირი ჩაის სარეკორდო კრეფის მოთავე უნდა გახდეს...

ბევრი რამ ახალი გაიგო შალვამ ცაცასაგან. თურმე პირადად ცაცაზე გა-

პიროვნებულია 0,4 ჰექტარი პლანტაცია. თურმე ცაცას თავის პლანტაციაში მინერალური და ორგანული სასუქი შეაქვს, კულტივაციასა და გათოხნას უფრო ხშირად აწარმოებს ვიდრე სხვები. ცაცა ფოთლის კრეფას შერჩევით აწარმოებს და ამიტომ მის ბუჩქებზე ყლორტები მუდამ არის. გარდა ამისა, ცაცა ჩაის ფოთოლს ორივე ხელით კრეფდა და წელზე სამგანყოფილებიანი კალათა ეკიდა, რომ ჩაის ფოთოლი კრეფის წუთებშივე დაეხარისხებინა.

ცაცამ გაიგო, რომ დარეჯანი დღეში 40—50 კილოგრამ ჩაის კრეფს და საუკეთესო მკრეფავად ითვლება. მან დარეჯანს წერილი გაუგზავნა, თავისი მუშაობის წესები გააცნო, წარმატება უსურვა და თავისი სამგანყოფილებიანი კალათა აჩუქა.

ცაცას წერილის მიღების შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობამ დარეჯანს ცალკე ნაკვეთი გამოუყო. ახლა დარეჯანი პასუხისმგებელი გახდა თავისი ნაკვეთისათვის. დარეჯანი, ცაცას წესების შესწავლასაც შეუდგა და თავისი ნაკვეთი აგროტექნიკური წესებით დაამუშავა.

1938 წლის 5 ივლისი დარეჯანის ბიოგრაფიაში ისტორიულ დღედ გადაიქცა. მან ამ დღეს სარეკორდო კრეფის დღე უწოდა. სისხამ დილას დარეჯანი პლანტაციაში იყო. აღელვებით შეუდგა კრეფას. ამ დღეს დარეჯანს კომკავშირული ორგანიზაციის ნდობა უნდა გაემართლებინა. გარდა ამისა, დარეჯანი მეორე დიდ საკითხსაც წყვეტდა—თუ რეკორდს დაამყარებდა კომკავშირში განცხადებას შეიტანდა. ქოჩორა თავზე დარეჯანის ხელები მარდად დასრიალებდა. აგროტექნიკოსი ხახუტა ნაკაიძე მალიმალ აპირქვავებდა სავსე კალათს გოდორში. შალვა სარიშვილი საათს დაჰყურებდა. იქვე წონიდნენ მოკრეფილ ჩაის.

შუა დღე იწურებოდა, მაგრამ დარეჯანი არც დაღლას გრძნობდა, არც სიცხეს. დათქმული იყო, რომ 12 საათზე ეტყოდნენ მას დღის პირველი ნაკრეფის შედეგს.

—12 საათია. მოკრეფილია 55 კილოგრამი. — გაისმა შალვა სარიშვილის აღტაცებული ხმა.

ცხადი იყო, დარეჯანი რეკორდს დაამყარებდა. მაგრამ დარეჯანს არ უნდოდა დასვენება. ძლივს დაიყოლიეს. ისვენებდა 2 საათს.

დღის მეორე ნახევარში დარეჯანი ხშირად კითხულობდა: „რამდენია?“ „რამდენია?“ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში.

შებინდებისას დარეჯანს უთხრეს:

— მოკრეფილია 127 კილოგრამი. ჩვენი დღიური ნორმის 2116 პროცენტი. დამყარებულია ჩაის კრეფის რაიონული რეკორდი. გამომუშავებულია 33 შრომადღე...

იქვე, პლანტაციაში დასწერა დარეჯანმა განცხადება კომკავშირში შესვლის შესახებ. 7 ივლისს ტაშის გრიალით მიიღეს დარეჯანი კომკავშირის რიგებში.

კოლმეურნეობის ყველა ბრიგადასა და ,რგოლში დაიწყო მოძრაობა დარეჯანის მეთოდის შესასწავლად. დარეჯანთან მიდიოდნენ, ეკითხებოდნენ, სწავლობდნენ.

— ქალიშვილებო, მიბაძეთ დარეჯანს, — გაისმა კოლმეურნეობაში და ეს ძახილი მთელს რაიონს მოედო.

დარეჯანის მიღწევას პირველი გამოეხმაურა ლიუდი ხურციძე, შემდეგში მთელ საქართველოში ცნობილი ჩაის მკრეფავი. ის მივიდა თავის მეგობარ დარეჯანთან და რამდენიმე დღეს არ მოშორებია მას. თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას, სწავლობდა მისგან.

ერთი შეხედვით ჩაის კრეფა, თითქოს, უბრალო საქმეა და არც თუ ისეთ ოსტატობას მოითხოვს. ნამდვილად კი ჩაის კრეფა დიდი და რთული ხელოვ-

ნებაა. რამდენიმე წამში უნდა შესძლო გაარჩიო ნორმალური და ყრუ ულორტები, ხუთფოთლიანი, ოთხფოთლიანი, სამფოთლიანი და ორფოთლიანი.

ჩაის სწორი კრეფა მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს. არც ერთი წამით არ შეიძლება ყურადღების გაფანტვა ან შენელება. უნდა გამოიმუშაო სათანადო ჩვევები და კრიფო ზუსტად განსაზღვრული სისტემით.

ლიუდი ჰკრეფდა ცალი ხელით, დარეჯანი კი-ორივე ხელით. არ ვარგა ნაადრევი კრეფა, მაგრამ დაგვიანებული კრეფაც აუარესებს ჩაის ფოთლის ხარისხს.

— მაგრამ ეს ყველაფერი როდია, — თქვა დარეჯანმა.—დიდი მნიშვნელობა აქვს კრეფის ტექნიკას, კრეფის წესებს.

—ვიცი, დარეჯან. —უპასუხა ლიუდიმ.—და მე მინდა სწორედ ამ ივლისში შევისწავლო ეს ტექნიკა.

—რატომ? —გაუკვირდა დარეჯანს.

— იმიტომ, რომ ივლისშივე დავამყარო ახალი რეკორდი, — მტკიცედ უპასუხა ლიუდიმ.

ორი კვირის განმავლობაში ლიუდი ფიქრობდა, მუშაობდა, ვარჯიშობდა. ეჩვევოდა ორივე ხელით კრეფას.

ლიუდი ხურციძეს არც სხვა ქალიშვილები ჩამორჩნენ. შურა კვაჭანტირაძემ, ლიზიკო ხურციძემ, ქსენია ღელეყვამ, ნადია მახარაძემ და ბევრმა სხვამ სავალდებულოდ გაიხადეს კომკავშირის მოწოდება:

— ქალიშვილებო, მიბაძეთ დარეჯანს!

ივლისის ბოლოს ლიუდი ხურციძემ ახალი რეკორდი დაამყარა: მან 203 კილოგრამი მოკრიფა ერთ დღეში. იმავ დროს შურა კვაჭანტირაძემ მოკრიფა 200 კილოგრამი. დანარჩენმა ქალიშვილებმა დარეჯანის რეკორდს გადააჭარბეს.

მაშინ დარეჯანმა ახალი, იმ დროისათვის საოცარი რეკორდი დაამყარა: 250 კილოგრამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე იზრდებოდა დარეჯანის საქმე. ასე იზრდებოდნენ დარეჯანის მიმდევრებიც. გაფართოვდა კომკავშირის რიგებიც.

თუ დარეჯანის რეკორდის დამყარებამდე კომკავშირის ორგანიზაციაში მხოლოდ 4 ქალიშვილი ითვლებოდა, აგვისტოს ბოლოს კომკავშირში უკვე 38 ქალიშვილი იყო და ყველა საუკეთესო მკრეფავი.

ახლა კი ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მთელი კომკავშირული ორგანიზაცია შეტანილი იყო „ახალგაზრდა კომუნისტის“ საპატიო დაფაზე.

დარეჯანის სახელი ყველას პირზე ეკერა. დარეჯანი კოლმეურნეობის გმირი, რაიონის გმირი გახდა.

ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დარეჯანს უთხრა:

— დარეჯან, ბოლშევიკური მუშაობის სტილი იმაშია, რომ თუ დღეს კარგად ვმუშაობთ, ხვალ უკეთესად უნდა ვიმუშაოთ. ჩქარა გაიხსნება საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე გაგზავნიან საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს. აბა, შენ იცი...

დარეჯანმა დაიწყო მზადება გამოფენისათვის, ახალი მიღწევებისათვის. იმახსოვრებდა ბუჩქებს, მათს განტოტებას, ყლორტიანობას. უნდა ითქვას, რომ დარეჯანს შესანიშნავი მეხსიერება აქვს. ერთხელ დანახული არასოდეს არ დააკიწყდება. თითებს ავარჯიშებდა დარეჯანი და დროც ზუსტად გაანაწილა: როდის ისაუზმოს, როდის ისადილოს, სადილი თან მოჰქონდა დილასავე და იქვე, პლანტაციაში სადილობდა.

როდესაც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის დღე მოახლოვდა, დარეჯანმა ერთ დღეს 500 კი-

ლოგრამი პირველი ხარისხის ჩაი მოკრიფა.

ეს გასაოცარი მიღწევა იყო და დარეჯანი გამოფენაზე გაგზავნეს. ახლა დარეჯანი არა მარტო ჩაის მოწინავე მკრეფავი იყო, არამედ ოსტატიც, თავისი საქმის მშვენიერი ხელოვანიც. გამოფენაზე დარეჯანმა პირველი პრემია და წარჩინების ნიშანი მიიღო.

საკოლმეურნეო კლუბში არაჩვეულებრივი კრება იყო. ამ დღეს კოლმეურნეები სიტყვას აძლევდნენ ამხანაგ სტალინს, რომ 1947 წელს ჩაის უხვი მოსავალს მოიყვანდნენ.

— 1921 წელს ჩვენი სოფლის გლეხობის 75 პროცენტს თავისი მიწა არ გააჩნდა. 3.600 ჰექტარი საუკეთესო მიწა მემამულეებს ეკუთვნოდათ. საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი ეს მიწა გლეხებს მისცა. ჩვენი სოფლის 500 სახლიდან მხოლოდ 19 იყო კრამიტით დახურული. ეს 19 სახლიც მდიდრებისა და მოხელეების საკუთრებას შეადგენდა. ახლა ჩვენ 800-მდე მოსახლე გვყავს და 737 სახლი ორსართულიანია. წინათ ჩვენში მხოლოდ 20 ჰექტარი ჩაის ფართობი იყო, ხოლო ამჟამად კოლმეურნეობას 294 ჰექტარზე მეტი პლანტაცია აქვს. ჩაის ფოთოლი კოლმეურნეობას წლიურად აძლევს 6.000000 მანეთის შემოსავალს, ხოლო ციტრუსი 4 მილიონ მანეთს. მე არ ვლაპარაკობ შემოსავლის სხვა წყაროებზე, როგორიცაა მესაქონლეობა, სიმინდი, ბრინჯი და სხვ. ჩვენი კოლმეურნეობა უდავოდ შეასრულებს ბელადისათვის მიცემულ სიტყვას. ვალდებულებას ვკისრულობთ მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ამხ. დარეჯან ტაკიძის რგოლმა 4 ჰექტარი ფართობის თვითოეულ ჰექტარზე მიიღოს 15.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი... ნორმა ჰექტარზე, როგორც მოგეხსენებათ, 4.000 კილოგრამია. ჩვენ ვიკალდებულეთ 4.500 კილოგრამი. დარეჯანმა კი უნდა მიიღოს [illegible] ილოგრამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე ამ სიტყვას რომ ამბობდა, დარწმუნებული იყო, რომ სახელოვანი მერგოლური სირცხვილს არ აჭმევდა.

დარეჯანიც დატრიალდა.

ჯერ კიდევ 1943 წელს დანიშნეს დარეჯანი მერგოლურად და მის რგოლს 4 ჰექტარი პლანტაცია მიამაგრეს, ხოლო პირადად დარეჯანმა 0,6 ჰექტარი გაიპიროვნა.

დარეჯანმა შეკრიბა რგოლის წევრები:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ დადებულ პირობას პირნათლად შევასრულებთ. ამისათვის საჭიროა წინასწარ მოვამზადოთ პლანტაცია. ჰექტარზე საშუალოდ 10.000 ბუჩქია. აგროტექნიკური პირობების კარგად დაცვით ერთი ბუჩქი 2 და 2,5 კილოგრამს მოგვცემს.

— ოჰო, შორს მიდიხარ — გაიცინა ვიღაცამ.

— რატომ? — უპასუხა დარეჯანმა. — ამის ნახევარიც რომ ავიღოთ, გეგმას მაშინ შევასრულებთ. მაგრამ საჭიროა და შესაძლებელიცაა მეტის აღება. ამიტომ ახლავე უნდა შეუდგეთ გათოხნას, რომ ნიადაგი გავაფხვიეროთ. მოვსპოთ ყველა სარეველა ბალახი. შევიტანოთ სასუქი. როდის და რამდენი, ამას აგრონომი გვეტყვის. გვახსოვდეს, რაც მეტი პატივისცემით მოვეპყრობით ჩაის ბუჩქს, მით მეტ პატივს გვცემს ისიც. გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ჩვენში ზოგი რგოლი მეტს ჰკრეფს ზოგი ნაკლებს, რატომაა ეს? რით აიხსნება ეს? იმით, რომ ზოგი კარგად უვლის ბუჩქებს, ზოგი ცუდად. ე. ი. მოსავლიანობა ღამოკიდებულია ჩვენზე, ადამიანებზე.

რგოლის ყველა წევრმა თავისი დავალება მიიღო. შესრულებულ იქნა ყველა ღონისძიება, რაც დარეჯანმა დასახა.

ჯერ კიდევ დეკემბერ-იანვარში 20 სანტიმეტრის სიღრმეზე დაბარეს პლანტაცია.

თებერვალსა და მარტში ბუჩქები გასხლეს, რომ ვარჯი გაფართოებულიყო და სწორი ფორმა მიეღო.

მარტში გაწმინდეს პლანტაცია და აზოტოვანი სასუქის პირველი დოზა შეიტანეს.

აპრილში ნიადაგი გათოხნეს, გააფხვიერეს.

მაისში მეორედ გათოხნეს და გააფხვიერეს.

ივნისში აზოტოვანი სასუქის მეორე დოზა შეიტანეს და მესამედ გათოხნეს.

ივნის-ივლისში გვალვიანი ამინდი იყო და წუნწუხი შეიტანეს. ივლისშივე აზოტოვანი სასუქის მესამე დოზა შეიტანეს და თან მეოთხედ გათოხნეს.

აგვისტოს პირველ რიცხვებში სასუქი მეოთხედ შეიტანეს და მეხუთედ გათოხნეს.

აგვისტოს მეორე ნახევარში მეექვსეჯერ გაითოხნა პლანტაცია.

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს 20—30 ურემი ნაკელი შეიტანეს თითოეულ ჰექტარზე...

უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობაში პლანტაციას საერთოდ ორ-სამჯერ აფხვიერებენ და სასუქიც ორჯერ შეაქვთ. როგორც დავინახეთ, დარეჯანმა ექვსჯერ გათოხნა, გააფხვიერა და ოთხჯერ შეიტანა აზოტოვანი სასუქი, რასაც ნაკელიც მიუმატა. აქაც არ დაიშურა შრომა დარეჯანის რგოლმა და ჩვეულებრივი 1700 კილოგრამის ნაცვლად, ჰექტარზე 3.000 კილოგრამი აზოტოვანი სასუქი შეიტანა. გარდა ამისა, ყველა ნაკვეთი ფარიანების საწინააღმდეგო ზეთოვანი ემულსიით შეწამლა:

—ჩაი ბავშვივითაა, — ამბობდა დარეჯანი, — ჩაის ბუჩქი მუდამ წარჩინებული ყოფაქცევისა უნდა იყოს. მან თავი არ უნდა აიშვას, უნდა დაგიჯეროს. ამიტომ მუდამ თვალყური უნდა ადევნო. რაც უფრო კარგად მოუვლი მას და დაიჭერ ხელში, მეტ სიხარულს მოგანიჭებს კრეფის დროს. კრეფის დრო კი ყველაზე საინტერესო, ყველაზე ამაღელვებელია.

დადგა ეს საინტერესო, ამაღელვებელი დღეებიც. დადგა მაისი.

დაინიშნა კრეფის დაწყების დღე. დარეჯანის პლანტაციის ნაკვეთზე თავმჯდომარე მოვიდა, იგი ადრეც სისტემატურად დადიოდა დარეჯანის პლანტაციაში, კარგად იცნობდა მას. ეხმარებოდა დარეჯანს, ხელს უწყობდა. ახლაც, მოვიდა თუ არა, მოაგონა რგოლის წევრებს დარეჯანის პლანტაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა და შეამოწმა, როგორაა განლაგებული რგოლის ძალები, ყველამ იცის, თუ არა თავისი მოვალეობა?

რგოლი კრეფას შეუდგა. მაისმა მშვენიერი შედეგები მოიტანა...

ივნისში, ჩვეულებრივ, სუსტად მიმდინარეობს ჩაის ვეგეტაცია. ამიტომ ივნისში სხვა წესით კრეფენ. დარეჯანმაც თავისი რგოლის წევრებს ივნისის კრეფის წესები მოაგონა:

—ივნისში ჩაის კრეფა სამ და ოთხფოთლიან ნორმალურ ყლორტებზე უნდა ვაწარმოოთ, აგრეთვე სამ და ორფოთლიან ყრუ ყლორტებზე. ორივე შემთხვევაში ნეკზე უნდა დავტოვოთ ერთი ნორმალური და თევზა ფოთოლი.

ივლისიდან ჩაის კრეფა ისევ გაცხოველდა. ახლა უკვე კრეფა სამფოთლიანსა და ორფოთლიან ნორმალურ ყლორტებზე წარმოებდა. ჰკრეფდნენ ორ, ან სამფოთლიან დუყს კვირტიანად. ორივე შემთხვევაში ნეკზე რჩებოდა მხოლოდ თევზა ფოთოლი.

აგვისტოდან სეზონის დამლევამდე კრეფას აწარმოებდნენ თევზა ფოთლამდე...

დარეჯანის რგოლი ზუსტად ასრულებდა ამ წესებს.

კრეფა სექტემბრის ბოლომდე გრძელდებოდა.

მოკრეფილი ფოთოლი დაუყოვნებლივ მიჰქონდათ მიმღებ პუნქტზე. დარეჯანს წინასწარ ჰქონდა განაწილებული, თუ ვის უნდა ეკრიფა და ვის გაეზიდნა დაკრეფილი ფოთოლი. ჰკრეფდა 9 ქალი, ხოლო დაკრეფილ ფოთოლს ეზიდებოდნენ მამაკაცები...

კრეფის უკანასკნელ დღეს დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. დარეჯანის რგოლის მკრეფავები თეო მიმინოშვილი, ლეო ნიკოლაიშვილი, გუგული ნიკოლაიშვილი, ჟუჟუნა ნიკოლაიშვილი, ნატაშა დარჩია, ლეო მიმინოშვილი, კატო მიმინოშვილი, შუშანა ჩხარტიშვილი, და თვითონ დარეჯანი, — მუსაიფით მიდიოდნენ მიმღები პუნქტისაკენ და თავში ყველას ერთი აზრი უტრიალებდა: „რას გვეტყვიან?“ სჯეროდათ, რომ გაიმარჯვეს, მაგრამ იქ მიმღებ პუნქტზე უნდა გაეგოთ მათ ის სიტყვა, რომლისთვისაც მთელი 5 თვის განმავლობაში შრომობდნენ ასე თავგამოდებით, ასე გმირულად.

აი, აწონეს უკანასკნელი კილოგრამი. დაწერეს უკანასკნელი ციფრი, ჩოთქში ჩაიჩხრიალა უკანასკნელმა კენჭმა.

ოქტომბრის ქარი შეყვითლებულ ფოთლებს ჰაერში ათამაშებდა. თბილი დღე იყო. ცისფერთვალება დარეჯანი ჩუმად იდგა და ხელში კალათს ატრიალებდა. გულს დაგა-დუგი გაჰქონდა. ღელავდა, ხშირად კალათს მიიკრავდა გულ-მკერდზე, ვიწრო ნიკაპით ეყრდნობოდა, ვერ ფარავდა მღელვარებას.

და როცა თავმჯდომარე მოადგა კარებს, ყველამ თვალი მას მიანათა. იგი თავისი კეთილი ღიმილით მიესალმა მათ და გამარჯვება მიულოცა.

1948 წლის 21 თებერვალს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დარეჯან ტაკიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

დარეჯანმა თავის რგოლს 4-ჰექტარი პლანტაციის თავისუფლ-ჰექტარზე 15.720 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო...

საქართველოს კ. პ. /ბ/ XIV პარტიული ყრილობა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს არჩევდა. დიდი სიხარული განიცადა დარეჯანმა, როცა ქართველი ხალხის ხელმძღვანელმა ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანმა ჩაის მეურნეობის მოწინავე კოლმეურნეობათა შორის მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა დაასახელა. ამ კოლმეურნეობის მიღწევაში ხომ დარეჯანის ხელიც ურევია? თითქოს გაიწია კედლები და აშრიალდა დარბაზში დარეჯანის ჩაის ბუჩქები. თბილისიდან ნატანებამდე დაეკიდა სიხარულის ცისარტყელა და გაიელვეს დარეჯანის თვალწინ მშობლებმა, მეგობრებმა, ამხანაგებმა, მისი რგოლის წევრებმა. ყველამ, ყველამ გაიგონა ქართველი ხალხის ხელმძღვანელის სიტყვები

დარეჯანი ბედნიერი იყო. ასე ბედნიერი შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილი, რომელიც ფართოდ მიაბიჯებს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე თავის ხალხთან და ამ გამარჯვებათა სულისჩამდგელ ლენინ-სტალინის პარტიასთან ერთად. ყრილობის დღეები დაუვიწყარი დღეებია დარეჯანისათვის.

არ დაივიწყებს ამ დღეებს დარეჯანი იმიტომ, რომ აქ თავის მასწავლებელს ცაცა ქარდავას შეხვდა. გაიხსენეს წერილი და კალათა. გაიხსენეს, თუ როგორ სწავლობდა დარეჯანი ცაცასგან და როგორ მიაღწია გამარჯვებას. ყოფილმა მასწავლებელმა და ყოფილმა მოწაფემ ერთმანეთი გადაკოცნეს. ყრილობამ მეგობრები უფრო დაუახლოვა ერთმანეთს. მათ სიტყვა მისცეს ერთმანეთს კვლავ გაუზიარონ ურთი-

ერთს გამოცდილება და სამშობლოს ჩაის კრეფის ოსტატები აღუზარდონ.

დარეჯანის მიღწევამ დიდი მოძრაობა გამოიწვია კოლმეურნეობაში. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა პარტიული ორგანიზაცია. პარტბიუროს მდივანმა შალვა სარიშვილმა /სწორედ იმან, დარეჯანი რომ ცაცას დაუკავშირა, ბიუროს სხდომა მოიწვია. სხდომაზე დარეჯანის მუშაობის მეთოდები განიხილეს. გადაწყვიტეს საერთო კრებაზე მოესმინათ დარეჯანის ლექცია და მოეხდინათ მის მიღწევათა პოპულარიზაცია. კოლმეურნეობაში 47 აგიტატორია და 26 საველე კედლის გაზეთი. პირველად პარტორგანიზაციაში 164 კომუნისტია. ეს დიდი ძალაა. ამ დიდმა ძალამ დარეჯანის მეთოდები ხალხში გაიტანა.

მოდიოდნენ დარეჯანთან პლანტაციაში, აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ. ხელითაც კი სინჯავდნენ დარეჯანის ბუჩქებს. იმახსოვრებდნენ, როგორ უვლიდა და კვებავდა მათ დარეჯანი, როგორ აწესრიგებდა იგი შრომას.

გულდასმით სწავლობდნენ, როგორ დგას დარეჯანი კრეფის დროს, როგორ იხრება ბუჩქებზე, როგორ უჭირავს მოკრეფილი დუყები. ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს.

იწერდნენ, იმახსოვრებდნენ, იმეორებდნენ.

დარეჯანმა პირველმა შემოიღო წუნწუხის გამოყენება. მან თხოვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იქვე, ნაკვეთშივე, გაეკეთებინა წუნწუხის დასამზადებელი აუზი. მალე ასეთივე აუზები სხვა ნაკვეთებზედაც გაჩნდა.

დარეჯანის ნაკვეთზე ვერ ნახავთ ვერც ერთ სარეველას. სარეველა ბალახები ფართოდაა გავრცელებული გურიის რაიონებში, მაგრამ დარეჯანმა გაანადგურა ისინი ხშირი გამოთოხნით.

ახლა, თუ კოლმეურნეობაში სურთ ვინმე შეაქონ, ამბობენ:

—დარეჯანივით მუშაობს.

—დარეჯანივით ჰკრეფს.

—დარეჯანის მოწაფეა...

გავეცნოთ დარეჯანის რამდენიმე მოწაფეს.

დარეჯანს რგოლის ყველა წევრი ჩაის ფოთლის კრეფის ჩინებული ოსტატია. მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევიან ნატო დარჩია, თეო ბიმინოშვილი, ლეო ნიკოლაიშვილი, გუგული ნიკოლაიშვილი. ყოველდღიურ გეგმებს ყველანი 150—200%-ით ასრულებენ.

დარეჯანის შემდეგ ყველაზე შესანიშნავია ლიუდი ხურციძე, დარეჯანის საუკეთესო მეგობარი და თანატოლი, პატარა ტანისა, ცოცხალი, ენერგიული და საქმის ერთგული.

— გაბედული მკრეფავია, — ასე დაახასიათა იგი კოლმეურნეობის თავჯდომარემ.

—გამბედაობა რა შუაშია? — გამიკვირდა მე.

— ყოველ ამინდში კრეფს, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ჩაის არ ეშინია წვიმისა. წვიმა გავლენას ვერ ახდენს ჩაის ხარისხზე. მაშასადამე, ჩაის ფოთლის მკრეფავი ავდარშიც უნდა კრეფდეს...

მე დარეჯანთან ერთად ვიყავი ხურციძის პლანტაციაში. ვუყურებდი, თუ როგორ კრეფდა ლიუდი ხურციძე. ის კრეფდა ორივე ხელით, რვა თითით, დარეჯანივით. მისი თითები ელვის სისწრაფით დასრიალებდა ბუჩქებზე. დუყები თითქოს თვითონ მიფრინავდნენ მის თითებში.

დარეჯანმა ერთ ხანს უყურა ლიუდის. შემდეგ ვერ მოითმინა და ბუჩქთან მივიდა. მისი თითები ვარჯზე ათამაშდა. ვერ მოვასწარი დაკვირვებოდი დარეჯანის თითების მოძრაობას, ორივე ხელისგული სავსე ჰქონდა დუყებით. ჩაის ბუჩქებს პეპელამ გადაუქროლა, მას მერცხალი გამოეკიდა, მაგრამ მერცხალმა ვერც კი მოასწრო

პეპელის დაჭერა, რომ დარეჯანმა უკვე მეორედ გაივსო ხელისგული.

წელს ლიუდი ხურციძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდებ მიენიჭა.

გოლია თოიძე 12 წლის ასაკიდან მუშაობს ჩაის პლანტაციაში. ამჟამად ის 26 წლის ქალია, დიდი გამოცდილება აქვს და კარგად იცნობს ჩაის ბუჩქის ცხოვრებას. გოლიამ ბევრი რამ შეისწავლა დარეჯანისაგან, შეითვისა მისი მეთოდები და თანდათანობით მიაღწია კრეფის ოსტატობას. როცა დარწმუნდა თავის ძალაში, დარეჯანი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია.

1948 წელს მასზე გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარ ნაკვეთზე გოლიამ 6.200 კილოგრამი ჩაი მოკრიფა. ეს მიღწევა სისტემატიური, თავდადებული შრომის შედეგი იყო. მე გამოვიანგარიშე, რომ დარეჯანის წაბაძვით გოლიამ თავის ნაკვეთზე 23 სხვადასხვა ოპერაცია ჩაატარა. 1948 წლის მაჩვენებლების მიხედვით გოლია თოიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

აი, როგორ იზრდებიან ადამიანები დარეჯანის მაგალითითა და მისი გავლენით. ასეთი მაგალითები ბევრია. დარეჯანს მარტო დიდები როდი ბაძავენ. მოზარდ მკრეფავთა მთელი პლეადა იზრდება დარეჯანის მაგალითით.

IX კლასის მოწაფემ, 17 წლის კომკავშირელმა გოგონამ, დარეჯან ღლეყვამ 3.000 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა და დღეში 80-90 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს.

VIII კლასის მოწაფემ, 16 წლის მაყვალა რუსიშვილმა 2.500 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა და დღეში 45 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს.

VIII კლასის მოწაფე, პიონერი გოგონა, 15 წლის შურა ცერცვაძე დედას ეხმარება და 50 კილოგრამამდე ფოთოლს ჰკრეფს დღეში.

ბავშვები ყოველთვის ეხმარებოდნენ მშობლებს. ახალი აქ არაფერია თითქოს. მაგრამ ახალი მაინც არის, რადგან დღეს ბავშვებმა უკვე იციან, რომ შრომა დიდებისა და სახელის წყაროა.

არასოდეს არ დამავიწყდება ერთი პატარა გოგონა, — 11 წლის შურა ნიკოლაიშვილი. საღამოჟამს მან მიმღებ პუნქტზე ჩაის ფოთოლით სავსე კალათა მოიტანა. გულდასმით უყურებდა, თუ როგორ წონიდნენ ჩაის ფოთოლს, თუ როგორ ადგენდნენ მის ხარისხიანობას. ამ დროს ერთი ქალიც აბარებდა ჩაის ფოთოლს. პატარა გოგონამ დახედა ფოთოლს, ამოიღო რამდენიმე დუყი და თქვა:

—ეს ჩაი მეორე ხარისხისაა, დეიდა.

—ერთი უყურეთ ამ ბეღურას, — შეიკრა წარბი „დეიდამ".

„ამ ბეღურას" მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, „გახდეს ისეთი, როგორიც ჩვენი დარეჯანია".

— დარეჯანი ჩემი მეგობლურია, — ამაყად თქვა ამ პატარამ. — მე მისგან ვისწავლე, თუ როგორ გამოვიცნო ჩაის ფოთლის ხარისხი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ პატარა „ბეღურამ" ამ ზაფხულის არდადეგებზე თავისი დედის საკარმიდამო ნაკვეთზე 350 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა...

ასე იზრდებიან დიდები და პატარები გმირის გვერდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ დავითაშვილი

ახალი სოფელი, ახალი ადამიანები

★

... ჩემთან ერთად კუპეში ორი კოლმეურნე ქალი მოდიოდა. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს თბილისზე. ერთი მათგანი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მთავრობის ჯილდოს მისაღებად ყოფილიყო გამოძახებული, მეორე კი პირადი საქმეებისათვის ჩასულიყო ჩვენს დედაქალაქში.

— მაშასადამე, თბილისი ძლიერ მოგეწონათ? — კითხა დაბალი ტანის, ხანშიშესულმა, თითქმის სრულიად ჭაღარა ქალმა, რომელსაც გულმკერდზე ახლახანმიღებული ორდენი „გმირი დედა“ უბრწყინავდა.

მისმა შედარებით ახალგაზრდა თანამოსაუბრემ, ლამაზი სახის ქალმა, რომელიც ფანჯარაში იცქირებოდა, თავი დაუქნია.

— დიახ, ძლიერ მომეწონა. თითქმის ყველა მთავარი ქუჩა მოვიარე. არც კი მინდოდა წამოვსულიყავი, მაგრამ რას იზამ, ჩაის ფოთოლი უკვე შემოსულია და ვშიშობდი, არ დამგვიანებოდა.

— დიახ, თბილისი ლამაზი ქალაქია. პირველად თბილისში ყოფნა ჯერ კიდევ პირველი ომის დროს მომიხდა, დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის წინათ... ქმარს ვაცილებდი ფრონტზე, და უნდა მოგახსენოთ, რომ ახლა, პირდაპირ სახტად დავრჩი. ვეკითხები ჩემს თავს: — ნუთუ მე თბილისში ვარ? ვეღარც კი ვიცანი: რამდენი ახალი სახლია, რა განიერი და ლამაზი ქუჩებია... ამბობენ, რომ ყველაფერი ეს სულ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში გაკეთებულა... დიახ, ბევრი დიდი ცვლილება მოხდა ჩვენს ქვეყანაში. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ახალსოფელი...

— გამიგონია... ძლიერ აქებენ. ამბობენ, მალე ქალაქი გახდებაო.

— ქალაქამდე, რა თქმა უნდა, შორსა ვართ, მაგრამ ჩვენში მაინც ბევრრამ ქალაქურიც არის. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ანთიმოზს, — იქნებ თქვენც იცნობთ, — სურს, ჩვენში ადამიანები ქალაქურად ცხოვრობდნენ. ხალხიც ეშხრობა მას. ძალიან ბევრს მუშაობენ და, მაშასადამე, კიდევაც მიაღწევენ, რაც სურთ...

საუბარი შეაწყვეტინა კონდუქტორმა. მან გამოაცხადა, მატარებელი ინგირს უახლოვდებაო. მე სწორედ ამ სადგურზე უნდა ჩამოვიდე. მეც ხომ ახალსოფელში მივდივარ.

ახალსოფლელმა ქალმა თავი ფანჯარაში გაჰყო და თვალი მიმოავლო ბაქანს:

— იონა, იონა...

ჩვენს ეაგონს მოუახლოვდა გახუნებულ გიმნასტურაში გამოწყობილი მაღალი, მხარბეჭიანი მამაკაცი. როდესაც ის ჩვენთან უფრო ახლო მოვიდა, ვიცანი, იგი ჩემი ფრონტელი მეგობარი, იონა ყუფუნია იყო. იგი ახლა კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელი ყოფილა. იონა სადგურში ჩამოვიდა, როგორც ცოლის შესახვედრად, ისე იმისთვისაც, რომ გაეგო — მოვიდა თუ არა ვაგონი მშენებლობისათვის საჭირო თიხით.

გმირ დედასთან გამოთხოვებისას იონას მეუღლემ მას უთხრა: როდესაც ჩვენს მხარეში, ზუგდიდში, მოგიწევთ

ყოფნა, აუცილებლად შემოგვიარეთ. ჩვენი სოფელი ძლიერ კარგია, თქვენთვის საინტერესო იქნებაო...

— რას აქებ ამ შენს სოფელს? — დაცინვის კილოთი უთხრა ცოლს ითნამ. — სხვა სოფლები ნაკლებია?

— სხვა სოფლებისა არა ვიცი რა და ჩვენი სოფელი კი ძლიერ კარგია...

ცოლ-ქმარი ყუფუნიები და მე ახალსოფლისაკენ გავემართეთ. დილის ნისლი ნელ-ნელა იწევდა მაღლა და ჰაერში დნებოდა. ბრწყინვალე მზე თავის სხივებს აფენდა მთებსა და დაბლობებს. ჩაის პლანტაციების ხავერდოვან ხალიჩებზე გადაშლილიყო ჩაისმკრეფავ ქალთა განიერფარფლებიანი ქუდები.

გზაში ცოლ-ქმარმა გვიამბო, თუ რა დიდი შრომა დახარჯეს ადამიანებმა, რომ ეს სიმდიდრე შეექმნათ საუკუნეობით უნაყოფო მიწებზე.

მანქანა სოფლის შუაგულში გაჩერდა, კოლმეურნეობის გამგეობის კანტორასთან. პირველი შთაბეჭდილებით თითქოს სოფელში კი არა, სადღაც დიდ, ვრცელ მშენებლობაზე ვიყავით, ყველგან მუშაობა დუღდა. რახრახი გაჰქონდა ქვის სამტვრევებს, გრიალებდნენ ცულები და ჩაქუჩები, წიოდნენ ხერხები, მავთულის ცხრილში შრიალი გაჰქონდა ქვიშას, ყველგან ეწყო აგური, თირი, ფიცარი და კრამიტი.

აი ჩვენს პირდაპირ მუშებს უკვე ჭერამდე აჰყავთ თირის ორსართულიანი ლამაზი სახლი — სკოლის შენობა. უფრო ქვემოთ, ფერდობზე, უკვე აგებულია ორი ბეღელი. მის გვერდით შენდება აბანო; საძირკველი ეყრება სასტუმროს, საავადმყოფოს...

ახალსოფლის ქუჩებსა და მოედნებზე რადიო გადმოგვცემს უკანასკნელ ცნობებს. სოფლის ცენტრში, მშენებლებსა და პატარა ბიჭუნებს გარდა, ადამიანის ჭაჭანება არაა. მთელი სოფელი პლანტაციებსა და მინდვრებზეა გამოფენილი.

ჩვენ წინ შეგვეგება კოლმეურნეობის გამგეობის კანტორიდან გამოსული საშუალო ტანის მამაკაცი. ეს გახლდათ კოლმეურნეობის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი, ინჟინერი ვლადიმერ ბეჭვაია. მან გვაცნობა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მინდორშია და მალე დაბრუნდებაო.

თავმჯდომარის დაბრუნებამდე გავეცანით სოფლის სტატისტიკას. კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ლევან მიქავა ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც დღეს კოლმეურნეობის კანტორაში აღმოჩნდა. (მას სასწრაფოდ უნდა მოემზადებინა რაიონის ცენტრში წასაღები ცნობა) და დაგვეხმარა გავრკვეულიყავით სტატისტიკურ მასალებში.

ბუხჰალტერის ახსნა-განმარტებით, სხვადასხვა წლების ცნობათა დაპირისპირებით ჩვენ ვგრძნობთ, თუ როგორ ცოცხლდება ციფრები:

ახალსოფლის ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი დიდი, მრავალდარგოვანი მეურნეობაა. 1938 წელს კოლმეურნეობამ თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა 1160 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1939 წელს — 2300 კილოგრამი, 1946 წელს — 3400, 1947 წელს — 5840 კილოგრამი.

1940 წელს თითოეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 8,4 ცენტნერი სიმინდი. პირველ ომისშემდგომი წელს მოსავალი ერთიორად გადიდდა, ხოლო შარშან აღებულ იქნა 40 ცენტნერზე მეტი მოსავალი.

1949 წელს არტელის ფულადი შემოსავალი 7.000.000 მანეთს შეადგენდა. მიმდინარე წელს არტელმა 10.000.000 მანეთამდე მიიღო. ეს რვაჯერ აღემატება ომამდელ, 1940 წელს მიღებულ შემოსავალს და ოთხჯერ — 1946 წლის შემოსავალს. წელს თი-

თითოეულ შრომადღეზე განზრახულია გაიცეს სულ ცოტა 30 მანეთი — ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1949 წელს.

ბუხჰალტერმა გამაცნო კოლმეურნეთა გრძელი სია, რომელთა შემოსავალი უკვე ათიათასი მანეთობით იანგარიშება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მარცვლეულს, რძის პროდუქტებს, ღვინოსა და ბოსტნეულს.

საკოლმეურნეო სტატისტიკაში განსაკუთრებით გამოიყოფა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სოფლისა და მისი მოსახლეობის კულტურულ სახეს. არტელის 390 შრომის უნარიანი წევრიდან 280 კაცს საშუალო და შვიდწლიანი განათლება აქვს მიღებული, 35 — უმაღლესი, 23 ახალსოფლელი სხვადასხვა ინსტიტუტში სწავლობს. 200-ზე მეტი კოლმეურნე ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველია, 60 ოჯახს პირადი ბიბლიოთეკა აქვს, 237 კაცი ჟურნალ-გაზეთებს იწერს. გარდა აგრონომებისა, პედაგოგებისა, ექიმებისა და ზოოტექნიკოსებისა, სოფლად გაჩნდნენ ინჟინრებიც, მექანიკოსებიც, მელიორატორებიც, რადისტებიც...

ეი ციფრები, რომლებიც მოწმობენ მადალ საწარმოო კულტურას, ადამიანთა შეგნებულობას, მტკიცედ დარაზმულობას, შრომისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას.

156 კოლმეურნე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 40 კოლმეურნეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, სამი გმირი დაჯილდოებულია ლენინის მეორე ორდენით და ისინი ორგზის სოციალისტურ შრომის გმირის წოდების მიღების კანდიდატები არიან:

როგავასთან ერთად ჩვენ შემოვიარეთ ჩაის პლანტაციები, ჩაი კოლმეურნეობის მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენს. ყველაფერს ბეჯითი, უნარიანი შრომის ბეჭედი [illegible] ბუჩქები წესიერადაა შეკრეჭილი — [illegible] ამ გარშემო გულდასმითაა გაფხვიერებული. სწორ, მუქმწვანე მწკრივებად ასდევს ბორცვების უამრავი ჩაის ბუჩქი.

— აბა, შეხედეთ, რა მოსავალია! — თქვა ანთიმოზმა და ჩაის ხშირ ბუჩქებზე მიგვითითა. — შეგიძლიათ ჩაიწეროთ — სულ ცოტა 6000 კილოგრამი საშუალოდ ჰექტარიდან და თქვენ გგონიათ ეს ზღვარია! არა, მომეცით ვადა და ჩვენ თითოეულ ჰექტარზე 10.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს მოვკრეფთ.

ადვილად როდი შეუძენიათ ახალსოფლელებს წარჩინებულ მეჩაიეთა სახელი და დიდება. შეუპოვარი შრომითა და საქმის ცოდნით მოიპოვეს მათ ეს სახელწოდება. წინათ აქ მხოლოდ სიმინდი მოჰყავდათ. 7-8 ცენტნერ მოსავალს იღებდნენ ჰექტარზე და ისიც დიდ წარმატებად ითვლებოდა. როდესაც საქართველოს წინაშე დაისვა საკითხი ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ახალი რაიონების გამოძებნის შესახებ, აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, სამეგრელოს ეწეროვან ნიადაგზე ჩაი ვერ იხარებსო.

მაგრამ კოლმეურნეებმა აიძულეს ამ სითბოსმოყვარულ ტროპიკულ კულტურას არა მარტო ჩვენს სუბტროპიკულ ზონაში გაეხარები, არამედ ამ ზონის ჩრდილო რაიონებშიაც მოეკიდებია ფეხი.

სამეგრელოში ჩაის გასაშენებლად საჭირო იყო ჭაობების ამოშრობა, მთიანი უბნების გაწმენდა ჯაგებისა და შამბნარებისაგან, რამაც უდიდესი შრომა მოითხოვა. საჭირო იყო არტელის ყოველი წევრის ხელმისაწვდომად გაეხადნათ ჩაის აგროტექნიკის წესები, გამოეზარდათ უნარიანი მეჩა-

ეები, კოლმეურნეთათვის შთაენერგათ ახალი კულტურის სიყვარული. ამ ძნელ გზაზე კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ეყრდნობოდნენ პარტიის დახმარებას, მეცნიერების ადამიანთა მხარდაჭერას.

ყოველთვის, როდესაც ახალსოფლელები თავიანთ წარმატებებზე ლაპარაკობენ, ისინი გაიხსენებენ ხოლმე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის მუშაკებისა და განსაკუთრებით კი მისი უფროსი მეცნიერ-მუშაკის ნინო დგებუაძის დამსახურებას. აი ამჟამადაც ანთიმოზი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა დიდი სამსახური გაუწია ჩვენს კოლმეურნეობას და სამეგრელოს ყველა კოლმეურნეობას დგებუაძის დიდმნიშვნელოვანმა აღმოჩენამ. მან დაამტკიცა, რომ ეწეროვან ნიადაგებზე შეიძლება და მიზანშეწონილიცაა გამოყენებულ იქნას კალიუმოვანი სასუქები.

— ეს ხომ ხუმრობა არ არის, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — დგებუაძის მიერ გამომუშავებული საშუალებით ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა 20 პროცენტით გაიზარდა...

პლანტაციაში გავეცანით ნინო დგებუაძეს, კოლმეურნეობაში მას საცდელი ნაკვეთი აქვს, და მოსავლის აღების ამ გახურებულ დროს აქ თითქმის ყოველდღე დადის.

— ღილა მშვიდობისა, ანთიმოზ, — უპასუხა თავმჯდომარის მისალმებაზე პატარა, ლამაზმა ქალმა და თავზემოხვეული ხილაბანდი გაისწორა, — თუმცა არა ერთხელ მითქვამს თქვენთვის, მაგრამ, ნება მიბოძეთ, კიდევ გაგიმეოროთ: ძალიან კარგი პლანტაციები გაქვთ — მართლა კარგი. გულმოდგინედ მუშაობენ თქვენი კოლმეურნეები.

— ნაკლები ადგილი აქ არც თქვენს შრომას უკავია, ნინო, — უპასუხა თავმჯდომარემ — თქვენ [illegible] მა მიგიძღვით ამ პლანტაციებში. მაგრამ ურთიერთშექება-თავაზიანობით შორს ვერ წავალთ, — ღიმილით წარმოთქვა ანთიმოზმა. — ახალი ამბავი უნდა გახაროთ: ჩვენმა აგრონომმა კედიამ თბილისიდან მიკროსკოპი ჩამოგვიტანა. ახლა ჩვენი აგროლაბორატორია კიდევ უკეთ იმუშავებს.

ამ ამბავმა ნინო გულწრფელად გაახარა.

— გახსოვდეთ, — შენიშნა მან, — ხვალ მორიგი ლექციაა, ხომ ყველანი მოვლენ?

— როგორ არა, ყველამ იცის და ყველანი მოვლენ.

ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ მიმდინარეობს ნიადაგის განოყიერება ჩაის პლანტაციებში. ნინო გვიამბობს ამას და ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებად ილაპარაკოს თავის დამსახურებაზე.

— რა ნაყოფიერიც არ უნდა იყოს პირველი ცდა, — ამბობს ნინო, — არ შეიძლება მთლიანად მიღწეულ იქნას მიზანი, თუ ლაბორატორული ცნობები არ იქნება შემოწმებული პრაქტიკულად. მაშინ როდესაც ბევრი კოლმეურნეობა კალიუმის გამოყენებას უფრთხოდა, ამხანაგმა როგავამ შესაძლებლობა მომცა ფართოდ შემემოწმებინა პლანტაციებში ფილიალის საცდელ ნაკვეთებზე მიღებული დასკვნები. ჩვენთვის, მეცნიერ-მუშაკთათვის არანაკლებ საჭიროა საკოლმეურნეო პრაქტიკა, ვიდრე მეჩაიე კოლმეურნეთათვის ჩვენი მეცნიერული მუშაობა. — წამით გაჩუმდა და შემდეგ განაგრძო:

— ოცდაათიან წლებში ჩვენი ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობები, სადაც მაშინ ის-ის იყო გაჩნდა ჩაის პირველი პლანტაციები, ინახულა ინგლისიდან აქ ჩამოსულმა უცხოელ მეც-

ნიერ-ექსპერტთა კომისიამ. სპეციალისტებს უნდა გამოერკვიათ, შეიძლებოდა თუ არა ჩაის კულტურის გაშენება დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ რაიონებში. მათ ყურადღებით გამოიკვლიეს ნიადაგი, დიდხანს იარეს პლანტაციებში.

— არაფერი არ გამოვაო. — დაასკვნეს ბოლოს. დოქტორმა მანმა, რომელიც განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ინგლისური ამპარტავნობითა და ქედმაღლობით, განაცხადა: — ნიადაგი, სადაც ზუგდიდის საცდელი სადგურია, დაბალი ხარისხისაა. მისი ნაკლოვანებანი იმდენად ძლიერადაა გამოხატული, რომ მე საზარალოდ მივიჩნევდი ამგვარი ტიპის ნიადაგის დიდ ფართობებზე ჩაის გაშენებას.

უცხოელები წავიყვანეთ სადგურ ინგირის მიდამოებში და ვუთხარით, რომ იქ განზრახულია მოეწყოს ჩაის საბჭოთა მეურნეობა. დოქტორმა მანმა უფრო ცუდად შეგვიფასა ამ უბნის ნიადაგი და გვირჩია თავი შეგვეკავებინა ჩვენი „განზრახვისაგან“.

— ახლა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ხომ ერთ-ერთი საუკეთესო მეურნეობაა მოსავლიანობის მხრივ, რომლის კოლექტივსაც რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშა ხელთ უპყრია. — შეაწყვეტინა ანთიმოზ როგავამ ნინოს.

— დიახაც ასეა, — განაგრძო ნინომ. — მაშინ უცხოელებს ქსენია სარსანიას პლანტაციები უჩვენეს მეზობლად მდებარე კოლმეურნეობა „ინგირში“, სადაც ქსენია ჯერ კიდევ მაშინ ჰკრეფდა თითოეულ ჰექტარზე 3000—4000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

უცხოელები აშკარად შეშფოთდნენ, მაგრამ არ სურდათ ეღიარებინათ თავიანთი მარცხი.

— ეს სანიმუშო არ არის, დამარწმუნებელი არ არის, — ლუღლუღებდნენ ისინი. — საერთო დასკვნების გაკეთება ამ ფაქტიდან არ შეიძლება. ახლა უკვე ყველამ იცის, თუ რა სამარცხვინო მარცხი განიცადეს უცხოელმა მეცნიერებმა. — განა ცოტა-რამეს ნიშნავს ის ფაქტი, რომ სწორედ აქ, უცხოელთა მიერ უვარგისად მიჩნეულ, ეწეროვან ნიადაგებზე ქსენია სარსანიამ ჩაის კრეფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა? იგი ყოველწლიურად ჰკრეფს მისდამი მიმაგრებულ 0,8 ჰექტარ ნაკვეთზე სულ ცოტა 20.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. ამნაირად, რიგითმა კოლმეურნე ქალმა გზა გაუხსნა უმაგალითოდ მაღალ, საზღვარგარეთ ჯერ არსად-ნახულ მოსავალს. ჩვენმა მთავრობამ დამსახურებულად მიანიჭა მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება და სტალინური პრემიის ლაურეატობა.

ქსენია სარსანია მარტო როდია. მას ბევრი მიმდევარი ჰყავს. მისგან მაგალითს იღებენ არა მარტო მეჩაიეები, არამედ ის კოლმეურნეებიც, რომელთაც სხვა კულტურები მოჰყავთ.

მერგოლურმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა, გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ჩოქოლი ქვაჩახიამ მცენარეთა გამოყვანის უახლესი მეთოდები დანერგა საკოლმეურნეო წარმოებაში და იწყო სიმინდის სარეკორდო მოსავლის მიღება. მალე მას წინ გაუსწრო კოლმეურნეობის ბრიგადირმა ძუკუ რიგვავამ, რომელმაც სიმინდის სარეკორდო მოსავალი — 1200 ფუთი მიიღო ჰექტარზე! მაგრამ ზღვრული არც ეს ციფრი ყოფილა. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნე თარბამ 1949 წელს აიღო მსოფლიოში ჯერ არნახული სიმინდის მოსავალი — ჰექტარზე 1291 ფუთი. მიმდინარე წელს იგი მოელის სულ ცოტა 1600 ფუთს. ზუგდიდის, გალისა და ოჩამჩირის რაიონებშიაც ათობით მოიპოვებიან კოლმეურნეები, რომლებიც ოდნავ თუ ჩამორჩებიან ძუკუ რიგვავასა და თარბას.

— მიწაც, საბჭოთა ადამიანების ხელმძღვანელობით, კომუნიზმისათვის მუშაობს! — თქვა გულმხურვალედ ანთიმოზმა.

ნინო წასასვლელად მოემზადა.

— ლაპარაკში გავერთე... კინაღამ დამავიწყდა, რომ ორ საათზე ფილიალში სხდომაა.

დგებუაძე გამოგვეთხოვა და ავტომანქანისაკენ გაეშურა.

როდესაც ვენახებს ვათვალიერებდით ჩვენთან აგრონომი იონა კედია მოვიდა. იგი მეციტრუსეებისაკენ მიეშურებოდა.

— მალე მთელი რესპუბლიკა გაიგებს, — თქვა მან, — ჩვენი ვენახების შესახებ. გასულ წელს ჰექტარზე 85 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფეთ.

— ადრეა კვეხნა, იონა, — უკმაყოფილოდ უთხრა თავმჯდომარემ, — ჯერ მოვაწყოთ ისეთივე მევენახეობის მეურნეობა, როგორიც კახეთშია, და მერე ვილაპარაკოთ.

—: : —

საკოლმეურნეო მინდვრებიდან გადავედით ზუგდიდში, ამ საუცხოო ქალაქ-ბაღის განაპირა ადგილებში. აქ სუბტროპიკულ მცენარეთა სიმწვანეში აღმართულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის ფილიალის ლამაზი ორსართულიანი ქვის შენობა. თითქმის ოცი წელიწადია დაუღალავ მეცნიერულ შრომას ეწევა აქ ნინო დგებუაძე.

ამ ფილიალში მისი დირექტორის ვლადიმერ იოსავასაგან მოვისმინეთ დაწვრილებითი ცნობები ნინო დგებუაძის მიერ დამუშავებული ჩაის პლანტაციების განოყიერების მეთოდის შესახებ.

... ჩაის რაიონებში დიდხანს იყენებდნენ უმთავრესად ისეთ მინერალურ სასუქებს, როგორიც აზოტი და ფოსფორია. კალიუმმა საზღვარგარეთ და აგრეთვე ჩვენში გაკეთებული მთელი რიგი ცდების საფუძველზე, ვერ ჰპოვა გამოყენება ფოთოლსაკრეფ პლანტაციებში. ბევრი სპეციალისტი საერთოდ იმ აზრის იყო, რომ ჩვენი ნიადაგი მდიდარია კალიუმით და სავსებით აკმაყოფილებს ამ მხრივ ჩაის ბუჩქის მოთხოვნილებას. ცდები — შეესწავლათ კალიუმის გავლენა მოსავალზე — თავისთავად შეწყდა.

ოცდაათიან წლებში — ჩაის კულტურის მოყვანა საქართველოში ახალი საქმე იყო. მეცნიერების მუშაკთა წინაშე დიდი ამოცანები იდგა. ბევრი რამ უნდა გამოეკვლიათ, ბევრი რამ შეესწავლათ. კერძოდ, საჭირო იყო გარკვეულიყვნენ ეწეროვან ნიადაგზე ჩაის ფოთლის მოყვანის საკითხში. სწორედ ეს ნიადაგი იტაცებდა და იტაცებს ამჟამადაც ნინო დგებუაძის ყურადღებას.

სპეციალისტთა პატარა ჯგუფი არ ეთანხმებოდა იმ დროს გაბატონებულ აზრს, რომ კალიუმოვანი სასუქები არ წარმოადგენენ ჩაის მცენარეთა კვებისათვის საჭირო ელემენტს. ამ ჯგუფში იყო ნ. დგებუაძეც. მან მტკიცედ გამოიკვლია კალიუმის გავლენა ჩაის მოსავალზე და განსაკუთრებით კი ეწეროვან ნიადაგზე გაშენებულ ჩაის მოსავალზე. მას არ შეუწყვეტნია მუშაობა, მიუხედავად ყოველგვარი რჩევისა „თავი მიენებებინა უსარგებლო საქმისათვის". უცხოელ მეცნიერთა აზრით, ეწეროვან ნიადაგზე ჩაის მოყვანის ცდა უნაყოფო იყო. მაგრამ ნინომ იცოდა, თუ რით დამთავრდა ეს წინასწარმეტყველებანი. მას სურდა განემტკიცებინა პრაქტიკა მეცნიერული ცნობებით, ეჩვენებინა, რომ უცხოელები, მათი ვითომდა უდავო თეორიებით, სცდებიან, რომ აქაური ნიადაგებზე შეიძლება არა მარტო გაშენდეს ჩაის ბუჩქი, არამედ მოყვანილ იქნას დიდი მოსავალიც.

კალიუმის პირველივე დოზის შემდეგ ისახება მოსავლის ზრდის ტენდენცია. შემდგომი ორი წლის განმავლობაში ნიადაგი არ იღებს ამ სასუქს და მოსავლიანობაც კლებულობს; ამასთან ჩაის ფოთოლსაც სიყვითლე ემჩნევა — იწყება კალიუმის შიმშილობა. მაგრამ შემდგომ წელს კვლავ უმატებენ კალიუმს და ისევ იწყება ვეგეტაციის აფეთქება.

მთელი რიგი ხანგრძლივი ცდებით დამტკიცებულ იქნა განსაკუთრებით ძლიერი გავლენა კალიუმოვანი სასუქებისა ეწეროვან ნიადაგზე. ყველაფერი უეჭველი იყო. ჩაის პლანტაციების განოყიერება დგებუაძის მეთოდით შეტანილ იქნა აგროწესებში და სავალდებულო გახდა ეწეროვან ნიადაგზე გამოსაყენებლად.

ასე იყო 1938 წელს. მას შემდეგ მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ახლა მეცნიერი ცდილობს დააზუსტოს სასუქის შეტანის დრო და ხერხი. და ამ საკითხებს იგი წარმატებით წყვეტს. მაგალითად, ზუსტად დაყენებული ცდებით მან დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ერთდროულად შეტანილ იქნას აზოტოვანი და კალიუმოვანი სასუქები, რომლებიც წინათ ცალცალკე შეჰქონდათ.

დგებუაძის წარმატება შემთხვევითი როდი იყო, იგი სერიოზულ აღმოჩენას წარმოადგენდა, იგი გაბედული მეცნიერული მოქმედების შედეგი იყო, მისი მრავალწლოვანი მუშაობა დაგვირგვინდა დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვით მეცნიერული ხარისხის მოპოვებისათვის. დგებუაძის დასკვნები საფუძვლად დაედო ახალ აღმოჩენებს. დგებუაძის პირველი სერიოზული სამეცნიერო წარმატების 10 წლის შემდეგ სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის მეორე მუშაკი — გ. გოძიაშვილი ახერხებს დაამტკიცოს კალიუმოვანი სასუქის ეფექტიანობა წითელ მიწიან ნიადაგზე.

—: :—

...დღეს გორის ქუჩები გაბედული იყო ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან — ბავშვები ათასობით ადამიანით. აქ ჩამოვიდა უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაცია, გორის პატარა სახლის კედელთან, სადაც დაიბადა და თავისი ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა. უკრაინელმა კოლმეურნეებმა თავისი დელეგაცია გამოგზავნეს საქართველოს სოფელ შრომაში, რათა დიდი დღესასწაულის წინადღით შეეჯამებინათ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და კოლმეურნე გლეხობის საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის პატივსაცემად ეკისრნათ ახალი ვალდებულებანი. და აი ამ ორი არტელის დელეგატები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს გორში.

ადამიანთა ნაკადი განუწყვეტლივ იზრდება... აი ფინიშს აღწევენ ბაქო-გორის მოტოგარბენის მონაწილენი ესენი არიან აზერბაიჯანის მენავთეები. ნატანების მეჩაიეები ხვდებიან აქ მათთან შეჯიბრებულ სომხეთის ოქტომბერიანის რაიონის სოფელ ფოქრ შაგრიარის კოლმეურნეებს. აქ არის თბილისი-გორის გადასვლის მონაწილე ფიზკულტურელთა დიდი კოლონა. საერთო ყურადღებას იპყრობს კოშფორტაბელურად მორთული „პობედას“ მარკის ავტომობილები, რომლებიც ერთრიგად ჩამწკრივებულან.

ეს ზუგდიდელი კოლმეურნეები ჩამოვიდნენ საკუთარი ავტომობილებით. სამასკილომეტრიანი გზა გამოიარეს მათ, რათა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ამ საყვარელ მიწა-წყალზე ედღესასწაულნათ ღირსშესანიშნავი დღე.

ჩვენმა თანამოსაუბრემ სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა მიხაკო ორაგველიძემ ზუგდიდელებში ბევრი ნაცნობი ნახა. მათ არა ერთხელ შეხვედრია სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირებზე.

— გამარჯობათ, ამხანაგო, თამარ— ესაუბრა მიხაკომ თამარ ყუფუნიას.

მალე ჩვენ სხვა ზუგდიდელებიც მოგვიახლოვდნენ. თამარ ყუფუნიამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გააცნო თავისი მეგობარი ქსენია სარსანია, მიხაკო ორაგველიძემ თავის მხრივ უკრაინიდან ჩამოსული თავისი სტუმრები წარუდგინა ზუგდიდელ კოლმეურნე ქალებს. მათ მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და გაიმართა საუბარი. ზუგდიდელმა კოლმეურნე ქალებმა უამბეს მათ, რომ ი. ბ. სტალინის დაბადების სახელოვანი დღისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს პლანტაციებში საშემოდგომოსაზამთრო სამუშაოები. თავიანთი წარმატებები გაუზიარეს მათ სტუმრებმაც. ქართველები მღელვარებით ისმენენ უკრაინელთა საუბარს მომავალი აგროქალაქის შესახებ, რომელსაც ამ დღეს საზეიმო ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი მათს კოლმეურნეობაში...

ადამიანთა ნაკადი გორის ციხის კალთებთან მდებარე სახლისკენ მიდის. აქ დაიბადა სამოცდაათი წლის წინათ დიდი სტალინი.

დიდ ხანს მოკრძალებული დუმილით თვალმოუშორებლივ ათვალიერებენ უკრაინელი და ქართველი კოლმეურნეები ამ საყვარელ სახლს, მის მოწყობილობას. შთაბეჭდილებებით აღელვებულნი ისინი გადადიან ამ პატარა სახლის გვერდით მდებარე შენობაში. იქ მოთავსებულია ამხანაგ სტალინის ცხოვრებასთან დაკავშირებული ისტორიული მასალებისა და დოკუმენტების გამოფენა. ისინი მიდიან მაგიდასთან, რომელზედაც დიდტანიანი წიგნებია დაწყობილი, მნახველების შთაბეჭდილებათა ჩანაწერებით. მოკლე, მაგრამ მკაფიო, ამაღელვებელი, გულისამჩქროლებელი სტრიქონებით გადმოგვცემენ ისინი კეთილშობილურ, ამაღლებულ გრძნობებს ამ დაუვიწყარ წუთებში.

„საბჭოთა ხელისუფლებას, ამხანაგ სტალინს ვუმადლი მე, ყველაზე მეტი ქალი იმას, რომ ბოლოვალიანური შრომის გმირი, სტალინური პრემიის ლაურიატი გავხდი“. — ჩაწერა ქსენია სარსანიამ.

ვლადიმერ რადჩენკომ უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაციის სახელით ალბეჭდა წიგნში გულმხურვალე მადლიერების სიტყვები ბელადისა და მასწავლებლისადმი:

„იცოცხლე დიდ ხანს, ჩვენო ბელადო და მამავ, მშობლიურო და საყვარელო ამხანაგო სტალინ, დიდ ხანს იცოცხლე. შენი სახელი, შენი საქმეები ჩვენთვის მარად იქნება გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომელიც წარმართავს ჩვენს მოძრაობას კომუნიზმისაკენ. გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!“

ზედიზედ მიდიოდნენ უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა დელეგაციის წევრები მაგიდასთან.

სწრაფად ვფურცლავ დიდრონ კრიალა ფურცლებს. მთელი მსოფლიოსათვის რამდენი ცნობილი სახელია აქ: ესპანეთის ხალხის გმირი ქალი დოლორეს იბარური, სახალხო მომღერალი მგოსანი ჯამბული, ალექსი სტახანოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ბრაზილიის პროგრესული მწერალი ჟორჟი ამადუ, კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი, უკრაინელი დრამატურგი ალექსანდრე კორნეიჩუკი, სცენის გამოჩენილი ოსტატი ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო და მრავალი სხვა.

დღეს შეივსო იმ ადამიანების შთაბეჭდილებათა ჩასაწერი წიგნის მეთოთხმეტე ტომი, რომელთაც ინახულეს სტალინის სამშობლო.

ვრცელი მოედანი ისტორიული პატარა სახლის წინ და მის მახლობლად მდებარე ქუჩები, მიტინგის მონაწილეებით გაიჭედა. მიტინგს ათიათასობით ადამიანი ესწრება. საზეიმო მიტინგის ტრიბუნიდან ადამიანები ლაპარაკობ-

ნენ უბრალო, ღრმა და გულში ჩამწვდომი სიტყვებით ყველაზე დიდი და მშრომელთათვის ყველაზე ახლობელი ადამიანის, ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის, ამხანაგ სტალინის შესახებ.

უსაზღვროდ მხურვალე გრძნობით აჩქროლდა ადამიანთა გული, როდესაც ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა უკრაინელი პოეტის მიკოლა ბაჟანის ლექსის გულში ჩამწვდომი სიტყვები.

რბილ, კეთილხმოვან უკრაინელ ენას ცვლის სწრაფი, ტემპერამენტიანი სიტყვა: ეს ბაქოელი ალი ჯაფაროვი გვიამბობს აზერბაიჯანელ მენავთეთა წარმატების შესახებ ი. ბ. სტალინის 70 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ზედიზედ იცვლებიან ორატორები. მხურვალე გრძნობით აღსავსე სიტყვებით ადიდებენ ბელადს მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და სტუდენტები, მწერლები და მხატვრები.

თამარ ყუფუნია თავის მეგობართა წრეში დგას. იგი მდუმარედ გასცქერის ბიდამოს.

თამარ ყუფუნიას ბავშვობისას ერთი კარგი დღე არ უნახავს.

გლეხის ქალიშვილი წარჩინებული, ყველას მიერ პატივსაცემი ადამიანი, სოციალისტური შრომის გმირი გახდა; იგი ი. ბ. სტალინის სამშობლოში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს ბელადის საპატივცემლო დღესასწაულში, სახალხო ლხინსა და ზეიმში.

... ადრიანი ბინდბუნდი დაეშვა დედამიწაზე. იფეთქა პროჟექტორებმა. ელნათურების ფერადნაყშოვანი შუქი აენთო და ციალი იწყო სახლების აივნებზე, ჭადრის ტოტებზე. ქალაქის თავზე აღმართულ ძველი ციხის კედლებზე აინთო ვეებერთელა წითელი ვარსკვლავი, ზედიზედ იფეთქა 70 კოცონმა.

ამ ღამით ეს საღღესასწაულო შუქნათურები დაინახეს მომჯადოებელი ქართლის შორეულმა სოფლებმა, კავკასიის მთების ცადაწვდილმა მწვერვალებმა. ეს შუქნათურები უნათებდნენ გზას სახალხო დღესასწაულის მონაწილეებს უკან დაბრუნებისას.

ღამის სიჩუმეში მიცურავდა, ჟღერდა ახალგაზრდათა სიმღერები ბელადის სამშობლოზე.

ელიზბარ უბილავა

სიცოცხლის სიყვარული

★

ბურეთის მთა ჯანღმა დაფარა. ქართლის ზეგნებზე გაზაფხულის პირველი წვიმა წამოვიდა. ბურუსში გაეხვია თეთრად გადაფეთქილ მინდორ-ველები და ბაღ-ვენახები... ახლადწამოშლილ მწვანე ჯეჯილზე წვიმის წვეთები აციმციმდა.

ავდარმა მოულოდნელად მოუსწრო ახალხიზის საკოლმეურნეო მინდვრებზე გასულ გლეხებს. ისინი მაინც ხელს არ იღებდნენ მუშაობაზე. ვინ სარწყავ არხს წმენდდა, ვინ ბაღს დასტრიალებდა, ველზე ტრაქტორები ბუხუნებდა, საბარგო მანქანები მიმოქროდა.

— წავიდეთ, მეზობლებო, — გასძახა მუშაობაში გართულ კოლმეურ-

ნეებს ბრიგადირმა, — წავიდეთ, თორემ შესაძლოა ამინდი უფრო გაავდეს და დასველებულები კრებაზედაც ვერ დავესწრებით.

ბრიგადირს არავინ გამოეხმაურა. მან თავისი წინადადება უფრო ხმამაღლა განიმეორა.

— შენგან მიკვირს სწორედ, იაკობ, — მიუგო ბრიგადირს მისმა მერგოლურმა, შუახნის გლეხმა გიორგი ბალიაშვილმა, — იქნებ, ხვალაც იწვიმოს, ზეგაც. ამინდს რომ ვუცადოთ, როდისღა მოვრჩებით სიმინდის თესვას, ბაღის სამუშაოებს, შაქრის ჭარხლის გამარგვლას.

— ჩვენც აგრე გვგონია, იაკობ, თესვა თესვაა და გარდა ამისა, არხი ჩქარა თუ არ ამოვწმინდეთ, შესაძლოა წყალი ჯეჯილში გადავიდეს და სულ ერთიანად წალეკოს პურეული დატოტვილ-მახობელიანად, — ისმოდა არხიდან გლეხის ხმა.

— ეგ ტიალი ბურეთი, როცა ნისლს მოიგდებს, მერე დიდხანს არ გამოჩნდება მზე, უმჯობესია — როგორმე ჩავთავოთ ეს სამუშაო, თორემ ადვილი შესაძლებელია სარჩო - საბადებელი ნიაღვარმა გაგვიჩანაგოს, — ერთპირად მოითხოვდნენ მუშაობაში გართული კოლმეურნეები.

— მაშ, ეს ყანა თქვენ ჩემზე მეტად გყვარებიათ, — შეეხუმრა იაკობი მეზობლებს და მარჯვენა ხელი წინ გადაშლილ ჯეჯილისაკენ გაიშვირა.

უცებ ველს გადაღმა ძახილი მოისმა. ეს აგრონომ გიორგი კალმახელიძის ხმა იყო. ცოტახნის შემდეგ ისიც გამოჩნდა. თავითფეხებამდე დასველებული აგრონომი ყანებში ჩარიგებულ ელექტრონისა და ტელეფონის მავთულის ბოძთა მწკრივებს მოჰყვებოდა გზადაგზა თვალს აყოლებდა ნათესებში გაბნეულ სანიშნო ქვებს, რომლებიც თესლბრუნვის მაჩვენებლებად ჰქონდათ კოლმეურნეებს.

აგრონომი ბაღისაკენ მოდიოდა, გადახურულ ფარდულში თავი რომ შეეფარებინა; მინდვრად ... მეურნეებსაც მისკენ ეძახოდა.

— წავიდეთ, თორემ, როგორც ჩანს, კარგახანს არ გამოიდარებს, დავსველდებით, კრება ჩაგვეშლება; დღევანდელი კრების გადადება კი შეუძლებელია, — კვლავ დარიგებით ეუბნებოდა მეზობლებს ბრიგადირი.

კოლმეურნენიც თანდათანობით თავს ანებებდნენ მუშაობას და ფარდულში იკრიბებოდნენ...

— ქიტას გაუმარჯოს!.. ქიტას სიცოცხლე და დღეგრძელობა! — ესალმებოდნენ ყანიდან მოსული კოლმეურნეები ხანშიშესულ მებაღეს, რომელიც თავის პატარა ფარდულში დიასახლისივით ფუსფუსებდა.

— სიცოცხლე და დღეგრძელობა ნუ მოგიშალოთ... მაგრამ ჩემი სიცოცხლე რაღა ოხრად მინდა, შიშით აღარა ვარ კაცი, ვაი თუ ყინვამ დამიზრო ბალი. — ჩიფჩიფებდა ჩია ტანის მოხუცი და ხან ცეცხლს აჩაღებდა, ხანაც ფეხზე მდგომთ დასაჯდომს სთავაზობდა.

— დარდი ნუ გაქვს, ჩემო ქიტა, ბესტაშვილის ატამს ვერას დააკლებს ყინვა. შარშანწინ ხომ წლევანდელზე მწვავე ყინვები იყო, მაგრამ ატმებს ერთი ტოტიც არ შელახვია, ხომ გახსოვს, რა ხვავიანი ნაყოფი მოისხა, — ამშვიდებდა ქიტას აგრონომი, რომელიც მოგიზგიზე ცეცხლისპირას თბებოდა.

— ატამი ... ატამია, მას ვთქვათ ბესტაშვილი გახდომია ჭირისუფლად, მაგრამ ავდარმა თუ კვლავ იძალა, ნათესები ხომ გაჩანაგდა. უატმოდ შეიძლება გავძლოთ ეუბნებოდა აგრონომს გიორგი ბალიაშვილი.

— პურეულის სიცოცხლე კი მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული, ჩემო ძმაო, — ჩაერია ბრიგადირი, — ახლა რომ არხს ვწმენდდით, განა ხელი გვექავებოდა; ეს ხომ პურეულის სიცოცხლეზე ზრუნვაა — ავდარში ნიაღვარს

ვარიდებთ, გვალვისას მოწყურებულ მცენარეს წყალს ვასმევთ.

აგრონომს ბრიგადირის ნათქვამი მოეწონა და ღიმილით შეხედა. გლეხებმაც ძალაუნებურად იაკობისაკენ მიიხედეს. იაკობის მარცხენა ხელის სახელოს სამხედრო ქამარში ჰქონდა ჩატანებული. იქ მოგროვილმა კოლმეურნეებმა თითქოს ახლა პირველად შენიშნეს, რომ იაკობი ხეიბარი იყო. მით უფრო შვენოდა ომგადახდილ ვაჟკაცს სიცოცხლეზე ლაპარაკი.

გარეთ წვიმდა, ხანდახან თოვლს ურევდა. სუსხიან ქარს ზუზუნი გაჰქონდა ბაღებსა და ჯეჯილებში.

აგრონომმა საათს დახედა. ოთხს უჩვენებდა ისარი, სრულ ხუთზე კოლმეურნეთა საერთო კრება უნდა დაწყებულიყო.

რამდენიმე წუთში კოლმეურნეები ფარდულიდან გაიკრიფნენ. მათ მხოლოდ მოხუცი ქიტა ჩამორჩა. მანაც სახელდახელოდ მიალაგა ფარდული, ცეცხლი წყლით ჩააქრო, კარი დაკეტა და დიდი მანძილით დაშორებულ კოლმეურნეებს უკან გამოუდგა. ისინი უკვე უახლოვდებოდნენ კოლმეურნეობის კანტორის ქვის შენობას, რომელიც თუთისა და ბლის ხეივნებში თეთრად გამოკრთოდა.

ქიტა სულ მალე კოლმეურნეობის კანტორასთან გაჩნდა. თეთრად გადაფიფქულ ველზე ნასიარულევს თვალი მოსჭრა კანტორის მოლაპლაპე აბრამ, რომელზედაც წითლად ეწერა: „ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობა“. მიხა ჩოდრიშვილის მოგონება ერუანტელს გვრიდა ქიტას. ახალგაზრდობისას მასთან რამდენიმე წლის რევოლუციური მუშაობა აკავშირებდა. გარდა ამისა, მან პირველად თბილისში, ჩოდრიშვილის სახელოსნოში ნახა ახალგაზრდა სტალინი. ეს დაუვიწყარ მოგონებად დარჩა ქიტას, მაგრამ ჰა, სიბერემ უწია და მერე ვერსად შეხვდა დიდ ბელადს.

თავმჯდომარის ოთახის კარი შეაღო. კარის მოპირდაპირე კედელზე გამოჩნდა ბელადის მოღიმარი სახე. [illegible] ნივ და მარცხნივ წითელი დროშებით დამშვენებული...

კოლმეურნეთა საერთო კრება დაწყებულიყო. სიტყვას ამბობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ახალგაზრდა ქალი, თამარ რთველიაშვილი.

— როგორც იცით, ქართველმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს, — ამბობდა იგი, — წერილით მიმართონ ამხანაგ სტალინს. ამ წერილში კოლმეურნეები ვალდებულებას იღებენ გაადიდონ პურეულის, შაქრის ჭარხლის და ხილის მოსავლიანობა, გაადიდონ საკოლმეურნეო დოვლათი, შექმნან პროდუქტების სიუხვე. ამ წერილს ჩვენც უნდა გამოვეხმაუროთ. ეჭვი არ არის, ბელადისადმი მიცემულ პირობას, როგორც წინათ, მომავალშიც ერთსულოვნად შეეასრულებთ!

ამ სიტყვებით გამოწვეული მქუხარე ტაში დიდხანს არ დაცხრებოდა, მოულოდნელად ქიტას რომ არ ეთხოვა სიტყვა.

— სტალინი პირველად ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ვნახე. მერე მე მას სად შევხვდებოდი, მაგრამ მუდამ თვალწინ მიდგას. სანამ ძალღონე მერჩის მისი ერთგული მებაღე ვიქნები. ისევე ვიზრუნებ ხეხილზე, როგორც ის ადამიანზე ზრუნავს. ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს იმისთანა ბაღს დაეუტოვებ, რომ იქ სიცოცხლე არასოდეს არ დაჭკნეს.

— როდესაც ფრონტზე ვიბრძოდი მოსკოვთან და სტალინგრადთან, — დაიწყო იაკობმა, ქიტას სიტყვის შემდეგ, — ჩემი ქართული მაგონდებოდა; თვალწინ მედგა გორისციხე, ჩემი მიწამამული, ჩემი ფუძე მომიწოდებდა მილიონების სიცოცხლის დასაცავად...

იაკობს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, როდესაც დარბაზში თეთრხალათიანმა ქალმა შემოირბინა. იაკობმ-

რალაც ცუდად იგრძნო თავი, სიტყვა უცებ დაამთავრა, შეჯგუფებული ხალხი გაარღვია და უმალ კართან გაჩნდა.

— საჩქაროდ უნდა წამოხვიდე სახლში, საჭირო ხარ! — ცივად შეაგება ექიმის თანაშემწემ იაკობს და წინ გაუძღვა. იაკობიც უსიტყვოდ მიჰყვა უკან. თოვლჭყაპს გადაეღო. სუსხიანი ქარი მაინც სისინებდა.

დარბაზი უცებ გაირინდა.

— რა უნდა მომხდარიყო, ისეთი, რომ კრებიდან ასე ფიცხლად წაიყვანეს. — გაიფიქრა თამარმა და იაკობის მშობიარე ცოლი მოაგონდა.

კრება გრძელდებოდა. სიტყვას ამბობდა აგრონომი კალმახელიძე. იგი ლაპარაკობდა ხეხილის ახალი ყინვაგამძლე ჯიშებზე, მცენარის მოვლაზე, მის სიცოცხლეზე. თამარი ყურს უგდებდა აგრონომის სიტყვებს, მაგრამ ფიქრით იაკობის ოჯახს დასტრიალებდა თავს. ვერ მოითმინა და ბოლოს ამბულატორიაში დარეკა. მორიგემ უპასუხა — ექიმიც და ექიმის თანაშემწეებიც მელოგინესთან არიანო.

კრების დასასრულს, როდესაც კოლმეურნეები სტალინისადმი გასაგზავნ წერილს ხელს აწერდნენ, ექიმის თანაშემწემ შემოირბინა ისევ.

— გვიშველეთ, ქეთევანი გვეღუპება! — შესძახა სირბილით გულამომჯდარმა.

— ნუ თუ ვერაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინეთ?! — შეეკითხა თამარი.

— ქეთევანს კი აღმოვუჩენთ დახმარებას, მაგრამ ბავშვი იღუპება, საჭიროა ქირურგი, ახლავე უნდა ვაფრინოთ კაცი გორში!..

თამარმა აგრონომ კალმახელიძეს დაავალა გორში წასვლა. კალმახელიძეს შოფერის ძებნა არ დასჭირებია. მაშინვე კოლმეურნეობის „პობედას“ მიუჯდა...

— ახალხიზას კიდევ ერთი სიცოცხლე შეემატა, დედაც და ბავშვიც გადარჩა! — ერთი საათის შემდეგ ტელეფონით ეუბნებოდა ქირურგი გორის საქალაქო კომიტეტის მდივანს.

გორსა და ახალხიზას შორის გაბმული ტელეფონის მავთულები, თითქოს სიცოცხლის სიმღერას ღუღუნებდნენ!..

მრ. ბერძენიშვილი

ქედა

★

ვის არ უთქვამს, ვის არ უწერია, დიდ ქართველ გეოგრაფს ვახუშტის, თუ ფრანგ მოგზაურ შარდენს, რომ საქართველო ვაზის ქვეყანა იყო, რომ მის ერთ-ერთ მტკიცე დასაყრდენს ძველად მეღვინეობა-მევენახეობა წარმოადგენდა. ისიც უთქვამთ და უწერიათ, თუ რა აოხრება და ნგრევა განუცდია საქართველოს კულტურას. არა ერთხელ აუჩეხიათ ბაღები და ვენახები, გადაუწვავთ ყანები და ტყეები.

ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ თურქთა და ირანელთა ურდოები ქართულ სიმღერას, ქართულ ლექსს, ქართულ ლხინსა და ქართულ ღვინოს. თურქებმა, ქართული ვაზის წინააღმდეგ, ცეცხლისა და მახვილის გარდა, თავიანთი წინასწარმეტყველი მაჰმადიც მოიშველიეს, ძალით გაათათრეს მთე-

ლი ლაზეთი და მაჰმადის წესით აკრძალეს, როგორც ღვინო, ისე პური.

ჭოროხისა და აჭარის წყლის ხეობები, განსაკუთრებით ქედის მიდამოები, ძველად განთქმული ყოფილა საუკეთესო ვაზის ჯიშებით და ღვინით. ქედის რაიონში რომ განსაკუთრებით მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას, ამას უტყუარად მოწმობს სოფელ ვაიოში, ზვარეში, სოფელ ქედაში და მრავალ ადგილს ნაპოვნი ძველის-ძველი მარნები, თავის ვეება ქვევრებითა და საწნახლებით, სოფელ ვაიოში — კოლმეურნეები ახლაც კი იყენებენ ხუთასი თუ ექვსასი წლის წინანდელ ქვევრებს.

სოფელ ვაიოში, განთქმულ მევენახეს შუქრი ჩიკვაიძეს ძველის-ძველი ქვევრი ეზოში გადმოუტანია და შიგ საარაყე ჭაჭას ინახავს.

რამდენ საუკუნეს ელოდა ასჩაფიანი ქვევრები ადამიანს. პირდაღებული, ღვინის ნაცვლად მიწითა და ღვარით ივსებოდა. ტყეში გახიზნული დაბალი ვენახი, თითქოს თავის გადარჩენის მიზნით მაღალ ხეზე გასულიყო და იქიდან გასცქეროდა ქვეყანას, ეძებდა შშველელს. მაღალ წიფლებს და თხმელებს, თითქოს შავი ნაბადი მოუხურავსო, ისე იყო დახუნძული მწიფე მტევნებით. მაგრამ ხის ძირას თურქი იდგა და არ უშვებდა ქართველ გლეხს, გაველურებული ვაზი მაინც გაეკრიფა.

თურქთა ურდოების შემოსევის შედეგად ამ რაიონში, სადაც ოდესღაც მევენახეობა-მეღვინეობის ცენტრი ყოფილა, ვაზის ბევრი ჯიშები მოსპობილა.

ტყიდან ჩამოიტანეს ახლა აქ მეკრინჩხი, ჩაუში, უსახელაურო (პოვნილი) და სხვ. 1934 წელს, ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მითითებით, სოფელ ქედაში პირველი საცდელი ნაკვეთი გაშენდა. დარგეს დაბლარი, ჩხავერი და საწურავი. ისინი ახლა უკვე დამკვიდრებულ ჯიშებად ითვლება.

სოფლის მოსახლეობა, რომელსაც მუსულმანური წესი უკრძალავს ღვინის მეურნეობის ამ სანუკვარ სასოფლო-სატურის მოშენებას, ახლა დიდის გულისხმიერებით ეკიდება ამ საქმეს. ყოველ კოლმეურნეს აქვს მოშენებული თავის საკარმიდამო ნაკვეთზე ვაზი და მისი მოვლა-პატრონობაც იცის. ახლა მევენახეობა ამ რაიონში წამყვანი კულტურის ადგილს იკავებს. და შეიძლება სულ მალე თამბაქოსა და ვაზს შორის, უთანხმოება ჩამოვარდეს, — მეუბნება აგრონომი დავით ბრეგაძე ყოველგვარ იუმორის გარეშე. — მე მგონი ვაზი გაიმარჯვებს, თუთუნი თავის ადგილს სხვაგანაც იშოვის.

აქ ხშირად ჩამოდიან მეცნიერი მუშაკები, სპეციალისტები, როგორც ბათუმიდან ისე თბილისიდან. პროფესორი მაქსიმე რამიშვილი 15 წლის განმავლობაში ყოველ გაზაფხულზე, ზაფხულში, თუ შემოდგომისას ჩამოდის აქ და სწავლობს ადგილობრივი ჯიშების მდგომარეობას, თვალყურს ადევნებს მის განვითარებას. მაქსიმე რამიშვილმა აღმოაჩინა ძველი ვაზის, თეთრი ყურძნის ჯიში, რომელიც დღემდე არ იყო ცნობილი და მას უსახელაურო, ან პოვნილი დაერქვა.

ამ საუბარში გართულები ერთ-ერთ საუკეთესო მოვლილ ზვარს მივადექით. ლარივით გაჭიმულ ვაზის რიგებმა მომხიბლა და ძველი ხალხური ლექსი გამახსენდა: „სიდედრო შავგრემანობით, არ დაიწუნო სიძეა, სოფელში მოდი იკითხე, გრძელი ვენახი ვისია“. მისი გაცნობა არ არის ძნელი. აი, ისიც უხვმოსავალიანი ნაკვეთის მერგოლური, ხასან დიასამიძე, — მიმართა დავითმა ზვარში მდგარ ლურჯხალათიან კაცზე, რომელიც ერთ-ერთ ვაზს ჩასცქეროდა.

— გამარჯობა, ხასან.

— დავითი ხარ? გაგიმარჯოს.

— რამ ჩაგაფიქრა? გაიცანი ამხანაგი.

ხასანი გამეცნო.

— რაზედ ჩაფიქრებულხართ? — მიკმართე, ხასანს.

— ახლა აღარაფერზე, უკვე გადარჩენილია ჩემი ვაზი. შრომამ უშედეგოდ არ ჩამიარა. ვენახი საფრთხეში იყო. წელს დიდი ტენიანობაა და შავი სიდამპლისა მეშინოდა, მაგრამ დროზე ვუშველე. აი, ამ კვლებმა მიხსნა, — წყლის საწრეტ კვლებზე მიმითითა. — ახლა აღარ მეშინია, ხედავთ რა ჯანსაღი მარცვლები აქვს, რამ სიგრძე მტევნები, აწი ამას ვეღარეფერი გააფუჭებს. დიასამიძე ისე სათუთად შეეხო მტევნებს, როგორც დედა შვილს. საყვარელია მისთვის ეს ვაზი. — შარშან საშუალოდ თითო მტევანი ნახევარ კილოგრამს იწონიდა. საწურავი ამ მხრივ ყველა ჯიშებს სჯობნის. უხვი მოსავალი და წვნიანობა ახასიათებს. შეხედეთ, მას საშუალო ზრდის, რგვალი მარცვლები აქვს.

გრძელი მჭიდროდ ასხმული მტევანი დანაკვთული ფოთოლი. ეს გახლავთ ჩვენი სანაქებო საწურავი.

თვალწარმტაც ზვრებიდან, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობისაკენ გავსწიეთ. კოლმეურნეობის კანტორაში. თავმჯდომარე ამხანაგი რ. პაპუნაძე დაგვიხვდა.

— ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას სოფელ აქუცის კოლმეურნეობა შემოუერთდა. — გვეუბნება თავმჯდომარე, — გაერთიანებამდე მართალი გითხრათ, გეგმის შესრულებას ძლივს ვახერხებდით, მუშა-ხელი არ გვყოფნიდა, საშუალებაც ნაკლები იყო, 1950 წლის 14 ივნისს გაერთიანდა ეს ორი კოლმეურნეობა, დრო არც ისე დიდია და უკვე დაგვეტყო ერთიანობის ძალა, ეს საუკეთესო ღონისძიებაა, ჩვენი კოლმეურნეობების განმტკიცება და გაძლიერებისათვის.

თავმჯდომარე კოლმეურნეობის მარანისაკენ გაგვიძღვა. აქ ვეება მექანიკური საწნახელი ვნახეთ. იქვე პატარა ოთახში ლაბორატორიაც ... ლი

— ახლა ცალკე შენობა ... ლაბორატორიისათვის. იგი მომსახურებას არამარტო ჩვენს კოლმეურნეობას გაუწევს, არამედ მთელ რაიონს. გახედეთ ძველ აჭარელ სოფლებს, მთებზეა გაფანტული სახლები, მეზობელი მეზობელს ხმას ვერ მიაწვდიდა... ეს ძველი ხელისუფლების, აღაბეგებისა და ფაშების ოინები იყო, რათა დაეფანტა მოსახლეობა, რომ კაცი კაცს არ მიშველებოდა გაჭირვებაში, რომ არ ჰქონოდა ერთი გული და ერთი სიტყვა.

— ვენაცვალე დიდ სტალინს, — თქვა მოხუცმა კოლმეურნემ, შუქრი ჩიკვაიძემ, — მშრომელები, სიახლოვის, სიმჭიდროვის და მეგობრობის. გზისაკენ მიჰყავს. შეხედეთ, გადარჯულებული ვენახი ტყიდან ბაღში გადმოვიყვანეთ. საცალფეხო ბილიკების მაგივრად, შარაგზები გვაქვს. ხარები მანქანებმა შესცვალეს. ეს ყველაფერი ჩვენია. დიდი სტალინის ხელმძღვანელობითაა მოპოებული. დღეგრძელობა ჩვენს მანათობელს, — დაასრულა სიტყვა მოხუცმა ჩიკვაიძემ.

— გამსხვილების შედეგად საშუალება გვეძლევა — განაგრძობს თავმჯდომარე, — ახალი და ახალი ფართობები შემოვიმატოთ, ავითვისოთ და დავამუშაოთ. გამსხვილებამდე გეგმით სამი ფარდული უნდა აგვეშენებინა თამბაქოს საშრობად. გამსხვილების შემდეგ ეს საკმარისი აღარ დარჩა და რადგან მუშახელიცა და სპეციალისტებიც მოგვემატა, სამის ნაცვლად თამბაქოს 11 საშრობი ფარდული ავაშენეთ.

—::—

დღე-ღამეს ასწორებდა ახალგაზრდა კოლმეურნე აბდულ ბერიძე, რათა გულისნადები შეესრულებინა. დღენიადაგ ზვარში ტრიალებდა, ყოველდღიურად ამოწმებდა ნაშრომს. რჩევისათვის ხში-

რად მიმართავდა გამოცდილ ამხანაგებს. ამხანაგები კი ხშირად ჩამოდიოდნენ მევენახეობის რაიონებიდან — იმერეთიდან, ქართლიდან, თუ კახეთიდან. ყველანი მხარს უჭერდნენ მევენახე პატრიოტს. და აი 1948 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის, მან სამი ჰექტარის თვითოეულ ჰექტარზე 101 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ამისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. წელს უფრო დიდ მოსავალს მოელის ამხანაგი ბერიძე. მან ვალდებულება აიღო სამი ჰექტარის ყოველ ჰექტარზე 200 ცენტნერი ყურძენი მიიღოს.

— ყველა პირობა მაქვს იმისათვის, რომ ვალდებულება შევასრულო პარტიისა და ხელისუფლების წინაშე, დედა-სამშობლოს წინაშე, რომელმაც შრომა სახელისა და დიდების საქმედ აქცია. — ამბობს ბერიძე.

— ამხანაგო ბერიძე, თქვენი ვენახი ფერდობზეა გაშენებული. ნიადვრებისა, ან გვალვისა არ გეშინიათ? — შევეკითხე გმირს.

— ყოველ ათ მეტრზე ნაკვეთში წყლის საწრეტია გაკეთებული ღვარისაგან თავდასაცავად, გვალვისაც არ გვეშინია. მექანიზირებული სარწყავებითა ვართ უზრუნველყოფილი.

— სოციალისტურ შეჯიბრებაში თუ გყავთ ვინმე გამოწვეული?

— აბა ისე როგორ იქნება. სოციალისტური შეჯიბრება აუცილებელია, ამით მივდივართ წინ. მე სოციალისტური შრომის გმირი — მეთამბაქოე ახმედ ნაკაშიძე მყავს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული. ახმედი უფროსი ამხანაგია, უპარტიო, მას მე შრომაში ხშირად ავყოლივარ. წელს გავბედე და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიე. იმასაც კარგი მოსავალი აქვს. ვნახოთ, ვინ აჯობებს. მგონი ერთმანეთს არ ჩამოვრჩებით. მეც ეს მახარებს. — წამით გაჩუმდა და მერე. თითქო რაღაცას ინანიებსო, დინჯად განაგრძო: — ყველაფერი გამოსწორდა, გაჯანსაღდა და წინ მიდის ჩვენს ცხოვრებაში, ერთი რამ ვერ გამოვასწორე აქამდე: ქართველი კაცი ვარ, ქართული გვარი მაქვს, სახელი კი თათრული — აბდული, აბა, რისთვის?! ამირანი უნდა დავირქვა.

—::—

აჭარისწყლის ხეობის მაღლა, სოფელ ზვარეს პირდაპირ, დაკიდული ხიდი აკავშირებს მთავარ გზას და სოფელ ვაიოში ასავალ გზას. უწინ, უხსოვარ დროს აქ ბილიკიც არ ყოფილა, მერე გაჩნდა ბილიკი, ხიდი, ახალი საძანქანო გზა. მთავარი გზიდან სოფელი არ მოჩანს, თითქოს იმალებაო. გამყოლს ვთხოვე, მიუხედავად შხაპუნა წვიმისა, ფეხით გაგვევლო. ავედით მაღლა.

კარგა მოზრდილი ვაკე ადგილი მთებს შუაა მოქცეული, მშვენიერი რბილი მიწა, ახალი ორსართულიანი შენობა. ეს არის სოფელ ვაიოს დაწყებითი სკოლა. მოსახლეობა არც ისე ხშირია, მაგრამ მთელი მიდამო დაფარულია ბაღებით და ვენახებით. უხვად არის წაბლი და კაკალი. აგერ საუკეთესოდ მოვლილი ვენახი, საიდანაც ხარისთვალას მტევნები თავისი ვეება მარცვლებით ამაყად დასცქერის სხვა უფრო მომცრო მარცვლოვან მტევნებს.

— ეს შუქრი ჩიკვაიძის ნაკვეთია, — ამიხსნა გამყოლმა.

ჭიშკართან მასპინძელს შევძახეთ, ბავშვები გამოგვეგებენ.

— შუქრის შვილიშვილები არიან.

— ბაბუ არაყსა ხდის, — მოგვახსენა გოგონამ.

აი, ისიც, სათნო სახის მოხუცი. პატარა ფარდულიდან გამოვიდა. ხელები თიხით ჰქონდა შესვრილი. ალბათ, საარაყე ქვაბს თუ გლინავდა. დიდი სიხარულით მიგვიღო. თუმცა, როგორც გამოირკვა, სტუმრიანობას ნატრული

არ ყოფილა, შორიდან მოდიან მასთან მისი გამოცდილების გასაზიარებლად მოხუცები თუ ახალგაზრდები.

— წელს მაქსიმე უნდა ჩამოსულიყო. რა მოუვიდა, არა ჩანს. — თქვა მოხუცმა.

მაქსიმე რამიშვილი, როგორც მოგახსენეთ, პროფესორი, ამ რაიონის ხშირი სტუმარი ყოფილა.

— მე თორმეტი წლის ვიყავი, როცა გავიგე, ყურძენი რა ხილი იყო, ღვინის კი არაფერი ვიცოდი. გლეხები საჭმელად ჰკრეფდნენ ყურძენს, ან ტკბილს ამზადებდნენ, მოსავალი დარზე, თუ ავდარზე იყო დამოკიდებული. აბა, ვინ იცოდა ვაზის მოვლაპატრონობა, რასაც ხედავთ, ეს ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლების დროს გაშენდა, ახლა ღვინოცა მაქვს და არაყსაც ვხდი. 78 წლის მოხუცი ვარ, ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით ეს ოცდაათი წელია, რაც ვცხოვრობ. ოცნება შევისრულე, ბედნიერი მოხუცი ვარ, ყველანი პატივისცემით მეპყრობიან და მერე რისთვის? შრომა მიყვარს. 1931 წელს კახეთიდან ჩამოვიტანე დაბალი ვაზი, კარგად იხარა, მინდოდა მისი გაშენება, მაგრამ აღა-ბეგების დამქაშებმა ხელი შემიშალეს. მათ დროზე გაუგო ჩვენმა პარტიამ და მომაშორა. 1934 წლიდან იწყება ჩვენს რაიონში მევენახეობის აღორძინება. ახლა ჩემი ეზოს გარდა, ალბათ ნახავდით, მთელ ქედის რაიონს ამშვენებს საუკეთესოდ მოვლილი ზვრები. მომავალში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ვაზის ფართობი. მუშაკაცის საბედნიეროდ, ახლა [illegible] ძველი ხოჯებისა და ბეგების სიტყვებზე — ღვინო ცოდვილი სასმელია, ბევრი პურის ჭამაც ცოდვაა. განა თითონ კი არ სჭამდნენ და სვამდნენ? მაგრამ ჩვენი დაბეჩავება უნდოდათ. წავიდა ის დრო, აღარ დაბრუნდება. წინათ ამ სოფელს, რომელიღაც ფაშა დასხმია და აუწიოკებია, მთელ კვირას ისმოდაო აქ „ვაის“ ძახილი, დაჭრილთა კვნესა. ამიტომ ამ ადგილს „ვაიო“ უწოდეს. ასე იყო, თუ ისე, ვაისა და უის დროებაში, ამ სოფელს სალხინოს ვინ უწოდებდა.

დაასრულა შუქრიმ სიტყვა.

— მიირთვით!

მოხუცმა ხარისთვალას ვეება მტევანი შემოგვთავაზა, მისი ქარვისფერი მარცვალი, მართლაც ხარისთვალივით გვიცქეროდა. მაგრამ უფრო ფართო და სიკეთით სავსე თვალებით დასცქეროდა თავის ნაშრომს 78 წლის მოხუცი ჩიკვაიძე.

ვაიოდან ისევ ქედაში გადმოვედი. ახლა უფრო მაღალი მეჩვენა ქედა, ვიდრე მოსვლისას. ისევე მაღალი და ქედმოუხრელი, როგორც სოციალისტური შრომით გულუხვი და ამაყი ადამიანები. ადამიანები, რომლებიც მედგრად მიიწევენ წინ უკეთესი და ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნაგროშვილი

ოცდაათი წლის მანძილზე

★

თავისი არსებობის ოცდაათი წლისთავს საბჭოთა საქართველო შეხვდა ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში. განვლილი წლების მანძილზე საქართველო გადაიქცა სოციალისტური ინდუსტრიისა, მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მოწინავე კულტურის ქვეყნად. ლენინ-სტალინის პარტიის მუდმივი და განუწყვეტელი მზრუნველობის შედეგად შეიქმნა, განმტკიცდა და გაიფურჩქნა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც წარმოადგენს ქართველი საბჭოთა ხალხის მამაცური ბრძოლისა და შრომის მხატვრულ მატიანეს. საბჭოთა ლიტერატურა — ოქტომბრის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების წარუკვეთელი ნაწილია. ყველა წარმატება ჩვენი მწერლობისა, ყველა გამარჯვება ჩვენი პოეტებისა, პროზაიკოსებისა და დრამატურგებისა — დიდი ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის წიაღიდან მომდინარეობს.

დიდი ოქტომბრის ცხოველმყოფელმა მზემ, რომელიც საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს ამობრწყინდა, ბორკილები ახსნა ხალხის შემოქმედებითს ძალებს, უზრუნველჰყო ამ ძალების თავისუფალი განვითარება. დიდი ლენინი წერილში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება“ აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის დროს მშრომელი ადამიანები გამოვიდნენ შემოქმედებითი მუშაობის ისეთ თვალუწვდენელ ასპარეზზე, „სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი ნიჭი, გამოააშკარაონ ტალანტი, რომლის წყარო ხალხში ხელუხლებელი და დაუშრეტელია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით სთელავდა და ახშობდა“. (ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 267, მე-4 გამოცემა).

და მართლაც სოციალისტური წყობილების პირობებში ლაღად გაშალა ფრთა ქართველი ხალხის შემოქმედებითმა ნიჭიერებამ, მშრომელთა წრიდან დაწინაურდნენ ბრწყინვალე ტალანტები, რომელთაც არა ერთი კარგი ნაწარმოებით დაამშვენეს ქართული ლიტერატურის ისტორია.

ქართულ საბჭოთა მწერლობას შესანიშნავი ტრადიცია შეუქმნეს ქართულმა არალეგალურმა და ლეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთებმა, რომლებიც ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით გამოდიოდნენ. პირველი სტალინური გაზეთების — „ბრძოლის“ (1901 — 1902 წ.) „პროლეტარიატის ბრძოლის“ (1903 — 1905 წ.), „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის“ (1903 — 1905 წ.) „ახალი დროების“ (1906 — 1907 წ.)„დროს“ (1907 წ.). „ახალი ცხოვრების“ (1906 წ.), „ჩვენი ცხოვრების“ (1907 წ.) ფურცლებზე ჩაისახა ქართული მებრძოლი რევოლუციური პოეზია, რომელიც შთაგონებული იყო ბოლშევიზმის დიადი იდეებით. ეს იყო ჯანსაღი ლიტერატურა, თავისუფალი ლიტერატურა, რომელსაც ახალ საფეხურზე აჰყავდა მე-19 საუკუნის რუსული და ქართული კლასიკური ლიტე-

რატურის ჰუმანისტური და დემოკრატიული ტრადიციები. მიუხედავად აკრძალვისა და მკაცრი ცენზურული რეჟიმისა, იგი მაინც ცოცხლობდა, იზრდებოდა, იკრებდა ძალებს. ზემოხსენებული გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა ბოლშევიკური იატაკქვეშეთის მოხაწილეთა, რევოლუციის გმირ მებრძოლთა ლექსები. ეს ლექსები იძლევიან წარმოდგენას სოციალისტური პოეზიის მაღალ იდეურობაზე, პოლიტიკურ სიმახვილეზე, ხალხურობაზე, ფართო დემოკრატიზმზე. ამ პოეტური ძალებით შთამაგონებელ, დამრაზმელ ძალად გამოდიოდა ბოლშევიკური პუბლიცისტიკა, კერძოდ ამხანაგ სტალინის გენიალური წერილები, რომელნიც ერთი მხრივ ანადგურებდნენ და ამხელდნენ ბურჟუაზიულ მიმართულებებს იდეოლოგიურ ფრონტზე, მეორეს მხრივ ხელს უწყობდნენ მოწინავე რევოლუციური და სოციალისტური მწერლობის აღორძინებას.

ამრიგად, ამიერკავკასიის 1901 — 1907 წლების არალეგალური და ლეგალური ბოლშევიკური პრესა — ეს ის აკვანია, ის მშობლიური წიაღია, რომელშიაც იზრდებოდა და ძალღონეს იკრებდა რევოლუციური მწერლობა. სწორედ ამიტომ ახალი ქართული რევოლუციური ლიტერატურის ისტორია იწყება ამ თარიღიდან. სტალინური გაზეთები, რაზმავდნენ რა საბრძოლველად მუშათა კლასს, იმავე დროს გზას უნათებდნენ ახალ რევოლუციურ მწერლობას. ეს გასაგებიც არის: მხატვრული ლიტერატურა მუდამ, ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ყველა ეტაპზე, დგას ლენინისა და სტალინის მზრუნველი ყურადღების ცენტრში, მხატვრული ლიტერატურა მუდამ ბასრი იარაღი იყო და არის პარტიის ხელში. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ გვერდებში, რომელიც შედგენილია ამხანაგ ი. სტალინის მიერ, ყოველი ნომრის შინაარსში შეტანილია საკითხი „ცხოვრება და მწერლობა“. ესაა შესანიშნავი ტრადიცია ბოლშევიკური პრესისა, ტრადიცია, რომელიც [illegible] სტალინმა დანერგეს. ბოლშევიკური პარტია მხატვრულ ლიტერატურას რევოლუციური მოძრაობის განუყოფელ ნაწილად სთვლიდა და სთვლის.

როგორც ცნობილია, რეაქციის ბნელ წლებში კონტრრევოლუციამ შეტევა დაიწყო იდეოლოგიურ ფრონტზეც. „გაჩნდა მთელი ხროვა მოდური მწერლებისა, რომლებიც „აკრიტიკებდნენ“ და აცამტვერებდნენ მარქსიზმს, ტალახში სვრიდნენ რევოლუციას, დასცინოდნენ მას, ხოტბას ასხამდნენ გამცემლობას, ხოტბას ასხამდნენ სქესობრივ გარყვნილებას ვითომდა „პიროვნების კულტისათვის“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1948 წ. გვ. 130).

ბოლშევიკურმა პრესამ, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ამ დეკადენტურ ჭაობს, რომელიც სწამლავდა იმდროის ლიტერატურულ ატმოსფეროს.

ლიტერატურული დეკადანსი, ყველა თავისი განშტოებით, ის ბინძური და შხამიანი ბალახ-ბულახი იყო, რომელიც იზრდებოდა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წიაღში, ლიბერალური ბურჟუაზიის წიაღში.

ამ დეკადენტური რეაქციული ლიტერატურის შემოტევის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ქართველი სიმბოლისტების ე. წ. „ცისფერყანწელების“ გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე. „ცისფერი ყანწები“ — ეს იყო უაღრესად რეაქციული მოვლენა. ამ ჯგუფმა ქართულ მწერლობაში ძალზე უარყოფითი როლი ითამაშა. „ცისფერ ყანწელებმა“ სცადეს მიეჩქმალათ ქართული კლასიკური რეალიზმის ღირსშესანიშნავი ტრადიციები. ქართველი სიმბოლისტები ხოტბას უძღვნიდნენ გარყვნილებას ვითომდა „პიროვნების კულ-

ტისათვის“, ლიტერატურა მათს ხელში დაკნინდა, დაეცა, დაქვეითდა.

ლიტერატურის რღვევამ და დაცემამ კიდევ უფრო აშკარა სახე მიიღო დასავლეთის იმპერიალისტების ლაქიების — ქართველი მენშევიკების უდღეური ბატონობის წლებში. მენშევიკების ბატონობის წლებში (1917 — 1921 წლის თებერვალი) ქართული ლიტერატურის ასპარეზზე თავისუფლად თარეშობდნენ „ცისფერყანწელები“ და სხვა ბურჟუაზიულ დაჯგუფებათა მწერლები, რომელთა ანტიხალხურ რეაქციულ ნაწარმოებებს არავითარი რეზონანსი არა ჰქონდა. „რეაქციისა და მენშევიკების დიქტატურის პერიოდში, — ამბობდა ამხანაგი კ. ჩარკვიანი სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე,—ქართული პროზა გადაგვარდა და დეგრადაციას განიცდიდა. იდეურ-მხატვრული მნიშვნელობის დიდი ნაწარმოებების ადგილი დაიჭირეს უბადრუკმა ნოველებმა, ესკიზებმა, ეროტიკული და ხშირად პორნოგრაფიული შინაარსის მინიატურებმა“. მენშევიკების ბატონობის წლებში ქართულ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გაბატონებული იყო მონური, ლაქიური ქედისმოხრა გახრწნილი ბურჟუაზიული კულტურის წინაშე. ეს გასაგებიც არის: რღვევას, დაშლას, უკიდურეს კრიზისს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების სფეროში, ცხადია, ბუნებრივად თან სდევდა ლიტერატურული აზროვნების, ლიტერატურული ცხოვრების საშინელი სიღატაკე და უმწეობა. იმდროის ბურჟუაზიული მწერლები — სიმბოლისტები და მოდერნისტები სავსებით მოწყვეტილნი იყვნენ ქართველი ხალხისაგან, რომელიც თავდადებით იბრძოდა მჩაგვრელთა უღლის გადასაგდებად, ბორკილების დასალეწად. ამ ბრძოლაში ხალხთან ერთად იყვნენ ქართველი მწერლობის მოწინავე ძალები, რომელნიც არ უფრთხოდნენ დევნას და თავიანთ ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ არალეგალური ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე. ბიბლიოთეკა

და აი, საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღიდან ახალი ეპოქა იწყება ქართული რევოლუციური და სოციალისტური მწერლობის ისტორიაში. ამიერიდან მას თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა მიეცა, ფართო ასპარეზზე გამოვიდა. ამიერიდან ქართული ლიტერატურის ისტორია — ეს ნათელი სარკეა საბჭოთა საქართველოს განვითარებისა, სარკე, რომელიც წარმოგვიდგენს ჩვენი ქვეყნის ზეადმავალი წინსვლის პროცესს ჯერ აღდგენითი პერიოდში ხოლო შემდეგ სტალინური ხუთწლედების ეპოქაში.

რევოლუციის პირველი წლების მანძილზე აღდგენითი პერიოდში მიმდინარეობდა უდიდესი იდეური გარდატეხის პროცესი ძველი ინტელიგენციის იმ ფენებში, რომელთაც მძიმე ტვირთად აწვათ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ნაშთები. ცხადია, ეს დიდი იდეური გადამიჯვნა უეცრად არ მომხდარა: საჭირო გახდა ბოლშევიკური პარტიის ხანგრძლივი მუშაობა, რათა ძველი მწერლობის კადრები იდეურად გარდაქმნილიყვნენ, განთავისუფლებულიყვნენ დეკადენტური მსოფლმხედველობის ზეგავლენისაგან, ორგანიულად დაკავშირებოდნენ და შესისხლხორცებოდნენ საბჭოთა ხალხს. საბჭოთა საქართველოს წინმსვლელობამ, ქართველი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებებმა ნათლად დაანახვა ძველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხალხია ნამდვილი მემკვიდრე ქართული კულტურის მდიდარი წარსულისა, რომ სიმართლე მხოლოდ სოციალისტური წყობილების მხარეზეა. ამ ისტორიული პერსპექტივის, ამ ჭეშმარიტების შეცნობამ დააჩქარა ძველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის გარდაქმნა და მი-

ხი დარაზმვა საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ.

ამრიგად, მთელი წლების განმავლობაში ბოლშევიკური პარტია მზრუნველობით ზრდიდა საბჭოთა ლიტერატურის ახალ კადრებს და იმავე დროს გრანდიოზულ მუშაობას აწარმოებდა ძველი მხატვრული ინტელიგენციის ჯანსაღი ფენების მისაზიდად და ქვეყნის გარდაქმნისათვის დაწყებულ გრანდიოზულ მუშაობაში ჩასაბმელად. ამასთან ერთად მიმდინარეობდა მძაფრი იდეური ბრძოლა მტრული გამოსვლების წინააღმდეგ. საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში განუზომელი როლი შეასრულა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციამ „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში". ეს რეზოლუცია მოგვიწოდებდა გვებრძოლა ანტიპროლეტარული და ანტიხალხური, „სმენავეხური" განწყობილებების წინააღმდეგ, არცერთი წუთით არ დაგვეთმო კომუნიზმის პოზიცია იდეოლოგიურ ფრონტზე და ამავე დროს გამოგვეჩინა უდიდესი ტაქტი, სიფრთხილე მწერლობის იმ ჯანსაღი ფენების მიმართ, რომლებიც მიისწრაფოდნენ დამდგარიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების პოზიციაზე.

1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლამ უდიდესი ძვრები მოახდინა მთელს საბჭოთა ლიტერატურასა და კერძოდ ქართულ საბჭოთა მწერლობაში. ამ დიდი და დაძაბული მუშაობის შედეგები ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამა პირველი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელში ძლევამოსილად დამთავრების წელს — 1932 წლის 23 აპრილს, როცა გამოტანილი იქნა ისტორიული დადგენილება „რაპის" გაუქმებისა და ერთიანი მწერალთა კავშირის ჩამოყალიბების შესახებ. ამ დროისათვის დამთავრდა მწერლობის ყველა სიცოცხლისუნარიანი და მომქმედი ძალების კონსოლიდაცია ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ. ამიერიდან სოციალიზმის იდეამ თავისკენ მიიზიდა ერთიანი ქართული მწერლობის როგორც უფროსი, ისე მომდევნო თაობების მწერლები.

1934 წელს მოწვეული იქნა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ეს ყრილობა კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურება იყო იმ მშობლიური მზრუნველობისა, იმ დაუღალავი ყურადღებისა და ხელისშეწყობისა, რომელსაც მხატვრული სიტყვის ოსტატობის მიმართ მუდამ იჩენს ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა. სწორედ ამ ხანებში ამხანაგმა სტალინმა მწერლებს „ადამიანის სულის ინჟინრები" უწოდა. ბრძენმა ბელადმა ამ ფორმულით მიგვითითა მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, მის ქმედითს ფუნქციაზე. საბჭოთა მწერლობა არა მარტო გამოხატავს ცხოვრებას, გამოხატავს ადამიანის სულს, არამედ იმავე დროს აწრთობს, ზრდის მის შეგნებას, აზრსა და გრძნობებს. არსად, არასოდეს ასე დიდად დაფასებული არა ყოფილა მწერლის შრომა. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა სოციალისტური რეალიზმის გენიალური ფორმულა, რომელიც ამომწურავად აშუქებს საბჭოთა მწერლობის წინსვლის გზას. პირველ საკავშირო ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხანაგი ა. ჟდანოვი, რომელმაც აღიარა, რომ საბჭოთა ლიტერატურის ზრდა არის გამოხატულება ჩვენი სოციალისტური წყობილების მიღწევებისა და წარმატებებისა, ჩვენი ლიტერატურა არის ყველაზე უფრო ახალგაზრდა და ძლიერი ყველა ქვეყნისა და ხალხის ლიტერატურათა შორის. ამასთან ის არის ყველაზე იდეური, ყველაზე მოწინავე და რევოლუციური ლიტერატურა. ყრილობამ მიიღო მწერალთა კავშირის

წესდება და მოუწოდა მწერლებს სრულ-ყოფილად ასახონ საბჭოთა ადამიანების დაძაბული შემოქმედებითი შრომა, რომელშიც გამოხატულია და განხორციელებულია საბჭოთა ხალხის ნათელი გონება და ფოლადისებური ნებისყოფა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა შეუჩერებლად და მიდის წინ და იზრდება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენს რესპუბლიკას სათავეში ჩაუდგა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია. ყველაფერი ის, რაც საუკეთესო შეიქმნა იმ წლების ქართულ მწერლობაში, ყველა საუკეთესო ნაწარმოები, რომლებმაც არა მარტო ქართველი, არამედ საკავშირო მკითხველის მოწონება დაიმსახურა, შექმნილია ამხანაგ ბერიას უშუალო, განუწყვეტელი მხარდაჭერის, დაუღალავი ყურადღების, შემოქმედებითი წახალისების შედეგად.

1937 წლის მაისში, საქართველოს კ. პ. (ბ) მეათე ყრილობაზე ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავის საანგარიშო მოხსენებაში ამომწურავად აღნუსხა ის უდიდესი წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა საქართველომ მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, გაიფურჩქნა მისი შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული კულტურა. ამხანაგმა ლ. ბერიამ მოგვცა ზუსტი ანალიზი ქართული ლიტერატურის იმდროინდელი ვითარებისა, თვალწინ გადაგვიშალა და დაახასიათა არა მარტო ქართულ მწერლობაში მომხდარი ისტორიული ძვრები, არამედ დაახასიათა ყველა თვალსაჩინო მწერლის შემოქმედებითი მუშაობა და ის წვლილი, რომელიც მათ შეიტანეს საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების საგანძურში. იმავე დროს თავის მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ბერიამ დასახა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების უფრესად ხათელი პერსპექტივები. ამხანაგ ბერია აღნიშნავდა, რომ „[illegible] წლის მანძილზე ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიჭირა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა შორის“. ამხანაგ ბერიამ გვიჩვენა, რომ ეს უდიდესი გამარჯვება იყო უშუალო ძედეგი 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების პრაქტიკული განხორციელებისა. ამ გზით აღმოიფხვრა ჩვენს ლიტერატურაში რაპული ჯგუფობრიობა, რომელიც „ხრწნიდა მწერალთა კადრებს და აფერხებდა ქართული ლიტერატურის განვითარებას“. ამასთან ერთად მოხსენებაში ნათლად იყო ნაჩვენები როგორ დაიშალა ძველი რეაქციული ლიტერატურული დაჯგუფებანი („ცისფერი ყანწები“, „არიფიონი“, აკადემიური ჯგუფი, „ლეფელთა ჯგუფი“), როგორ გაემიჯნენ ამ დაჯგუფებებს სიცოცხლის უნარიანი და ჯანსაღი ძალები, რომლებიც საბჭოთა მწერლობის რიგებში ჩადგნენ. ამ მწერლებმა, გასწყვიტეს რა კავშირი აღნიშნულ ჯგუფებთან, რომლებსაც ადრე ეკუთვნოდნენ, შეჰქმნეს არა ერთი ღირსეული ნაწარმოები საბჭოთა სინამდვილის თემატიკაზე.

საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს იმ მოწინავე მწერალთა სახელებს, რომელნიც განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე იბრძოდნენ დაუღალავად ქართული საბჭოთა ლიტერატურის აყვავებისათვის. როგორც აღდგენითი პერიოდის, ისე სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. მას ძალზე საინტერესო პოეტური ბიოგრაფია აქვს: იგი იყო პირველი ქართველი პოეტი, რომელიც აღფრთოვანებით მიესალმა სოციალისტურ რევოლუციას. რევოლუციამდე, თავისი შემოქმედების ადრინდელ წლებში გ. ტაბიძემ საკმაო ხარკი გადა-

უხადა დეკადენტურ განწყობილებებს, მაგრამ სწორი არ იქნებოდა გ. ტაბიძის შემოქმედების პირველ პერიოდშივე არ დაგვენახა ის ჯანსაღი საწყისი, რომელმაც შემდეგში პოეტი რევოლუციასთან მიიყვანა. გ. ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში, მართალია ხანგამოშვებით, მაგრამ მაინც ძლიერად ისმოდა მოტივები, რომლებიც გვაგრძნობინებდნენ, რომ პოეტი არ იყო მოწყვეტილი ძველი ქართული ლიტერატურის ჯანსაღ ტრადიციებს; ამან მისცა ძალა პოეტს მგზნებარე სიტყვით მისალმებოდა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის დაწყებას. ოქტომბრის დღეებში პოეტი რევოლუციის ცენტრში — პეტროგრადში იმყოფებოდა, და როგორც კი დაიგრიალა ოქტომბრის ქარიშხალმა, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში შესანიშნავი მხატვრული ფერებით აისახა ცხრაასჩვიდმეტის ბარიკადები და წითელმა დროშამ თვალისმომჭრელი პრწყინვალებით გაიელვა. იმ დღეებში დაწერილ ლექსებში პოეტმა უმღერა დიდ ლენინს, თავისი ლექსების გმირებად აჯანყებული ჯარისკაცები, მუშები და მეზღვაურები აქცია, ის ადამიანები, რომელთა გმირულმა იერიშმა ზამთრის სასახლეზე კაცობრიობის ისტორიის ახალი ფურცელი გადაშალა. „გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, დროშები ჩქარა", — წერდა იმ დღეებში პოეტი და თავის ლექსებით გამოხატავდა რევოლუციური მასების ოპტიმიზმსა და სიმხნევეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებში პოეტის ლექსების თემად გახდა მოწინავე მუშებისა და კოლმეურნე გლეხების ცხოვრება; ის იქცა ახალი ადამიანის სულისკვეთების გამომხატველ პოეტად. მთელი თავისი პოეტური ძლიერებით უმღერა გალაკტიონ ტაბიძემ ახალ ქვეყანას, ახალი ეპოქის გენიალურ შემოქმედებს — ლენინსა და სტალინს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვრცელი ლირიკული წიგნები: „ეპოქა", „პაციფიზმი", „რევოლუციური საქართველო", „პრესა" და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური ხუთწლედების [illegible] ში სოციალისტური მწერლობის მოწინავე რიგებში ჩადგნენ რევოლუციამდელი ქართული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლები: იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ალექსანდრე აბაშელი და სხვ. საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდნენ როგორც თვალსაჩინო პოეტები გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და სხვები. პროზის დარგში მათ მხარში ამოუდგნენ მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატები ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, ალექსანდრე ქუთათელი, დემნა შენგელაია, რაჟდენ გვეტაძე და სხვები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ათეულ წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა საბჭოთა მწერლებისა: ალიო მირცხულავა, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ირაკლი აბაშიძე, გრ. აბაშიძე და სხვ. რომელთაც ახალი თემა მოიტანეს ლიტერატურაში. მათი უმრავლესობა პარტიისა და კომკავშირის რიგებში აღიზარდა. თავის ლექსებში ისინი აგრძელებდნენ იმ მებრძოლი, პოლიტიკურად მახვილი პოეზიის ტრადიციას, რომელსაც ნერგავდა სტალინური პრესა პირველი რევოლუციის წლებში. ალიო მირცხულავას ერთ-ერთი ადრინდელი ლექსის სტრიქონები: „ეი, თქვენ ცაში ბევრს ნუ დაეძებთ, ძირს სიყვარულით დაჰხედეთ მიწას", — იყო მძლავრი მოწოდება რეალიზმისაკენ, ცხოვრების სიყვარულისაკენ. ახალგაზრდა პოეტის ეს ლექსი მიმართული იყო იმ დეკადენტური პოეზიის წინააღმდეგ, რომელიც არსებულ სინამდვილეს ზურგს აქცევდა, ან განყენებულ თემებს ამუშავებდა, ან წარსულს უბრუნდებოდა. ალიო მირცხულავას ლექსების წარმატების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ იგი გამოხატავდა

* ერეკლეანული
* * ბიბლიოთეკა

რევოლუციური მასების მღელვარე, დაუდგრომელ მისწრაფებას წინსვლისაკენ, ძველის ნგრევისა და ახალის შენებისაკენ. ლექსში „პოეტი კაპიტანი“ ალიო მირცხულავა, გამოსთქვამდა რა თავის პოეტურ მრწამსს, გადაჭრით მოითხოვდა, რომ ახალი ტიპის პოეტი უნდა იყოს იმავე დროს მოწინავე მოქალაქე. ამავე ხანებში გამოდის სამწერლო ასპარეზზე კარლო კალაძე. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ის უშუალო კავშირი, რომელიც არსებობს ერთის მხრივ პირველი რევოლუციის ეპოქის სტალინური გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებებსა და მეორეს მხრივ საბჭოთა ლიტერატურას შორის. ეს ნათლად გამოჩნდა კარლო კალაძის პოეზიის მაგალითზეც. პოეტმა თავის პირველი ლექსების თემად, რომლებიც 1924 წელს გამოქვეყნდა („პირვანდელი“, „ოცდაორ აპრილს“, „ზეიმი სამაისო“ და სხვ.) აირჩია 1901 წლის ისტორიული საპირველმაისო დემონსტრაცია რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი და რომელსაც გაზეთ „ბრძოლის“ პირველ ნომერში მიეძღვნა შესანიშნავი ლექსი „ოცდაორ აპრილს“. აქ მარტო თემატიკური მსგავსება რომდია: ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ნათელჰყოფს, რომ საბჭოთა პოეზია უშუალოდ აგრძელებდა სტალინური პრესის ფურცლებზე აღზრდილი პოეტების გზას. ამ პოეტების ლექსებში გამოჩნდა საბჭოთა პირველი მშენებლობის ობიექტები, მათ გატაცებით უმღერეს ჩვენს განახლებულ დედაქალაქს — ახალ თბილისს, საბჭოთა საქართველოს პირმშოს — ზაჰესს — პირველ სასახელო გამარჯვებას ელექტროფიკაციის სფეროში.

ამავე წლებში აქტიურად მუშაობდნენ პოეზიის სფეროში უფროსი თაობის მწერლები სანდრო ეული-ქურიძე, იონა ვაკელი და ი. ლისაშვილი.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენებაში დახასიათებული იყო ის თვალსაჩინო ნაწარმოებები, რომელთაც ქართული მწერლობას საკავშირო რეზონანსი მოუპოვეს. ამხანაგმა ბერიამ ქართული მწერლობის ყველაზე დიდ გამარჯვებად მიიჩნია პირველი კრებული დიდი სტალინის შესახებ. „პირველ რიგში, — განაცხადა მან, — საჭიროა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები. ჩვენი პოეტები უმღერიან ბელადის სახეს, როგორც ჩვენი გამარჯვების სიმბოლოს“.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ფასდაუდებელ ღვაწლსა და ამაგს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია: ესაა ტრადიცია იმ კრებულების გამოცემისა, რომლებიც მიძღვნილია დიდი სტალინისადმი. ეს კრებულები დროდადრო აჯამებენ ქართველი პოეტების ნაყოფიერ მუშაობას, წარმოგვიდგენენ რა იმ ქმნილებებს, რომლებიც მიეძღვნა ყველაზე უფრო წარმტაც, ყველაზე დიადსა და შთამაგონებელ თემას — დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამ კრებულების გამოცემის ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა ჯერ ისევ 1935 წელს, როცა გამოქვეყნდა ლავრენტი ბერიას ისტორიული შრომა: „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ამ ნაშრომმა, რომელიც თავიდანვე შეფასებული იქნა, როგორც ძვირფასი განძი ბოლშევიზმის მატიანეში, უდიდესი შემოქმედებითი სტიმული მისცა ქართულ პოეზიასა და პროზას, მუსიკასა და სახვითი ხელოვნებას. ამ წიგნმა შთააგონა ქართული მწერლობის ყველა მომქმედი და სასიცოცხლო ძალა, მიანიჭა მხატვრულ სიტყვას მაღალი იდეურობა, პოეტის

ფანტაზიას — მეტი სილაღე და გაქანება. იმ დღიდან დიდი ბელადისადმი მიძღვნილი კრებულების გამოცემა ტრადიციად იქცა და ყოველი ახალი კრებული გამოხატავს ქართული მწერლობის ახალ ნაბიჯს წინ, გვიჩვენებს იმ ზრდის, განვითარების ტემპს, რომელსაც ჩვენი მწერლობა განიცდის. ამ ხასიათის ყოველი კრებული, რომლებიც სისტემატურად გამოდის ზემოხსენებული თარიღის შემდეგ, ის ახალი სიტყვაა, ის ღირსეული წვლილია, რომელიც შეაქვს ქართულ საბჭოთა მწერლობას ყველაზე მოწინავე, ყველაზე მაღალიდეური საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში. ყველა თაობის ქართველი პოეტებისა და მწერლების, თავისებური ინდივიდუალობის მქონე შემოქმედთა ქმნილებანი ამ კრებულებში ჰქმნიან ერთ დიად სიმფონიას — მასში ისმის დიდება იმ ადამიანისა, რომელმაც დიდ ლენინთან ერთად შეჰქმნა ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, რომლის ცხოვრება ორასიმილიონიანი საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ცოცხალი მატიანეა. ამ კრებულებში, ყოველ ლექსში და ყოველ სტრიქონში სჩქეფს დიდი სახალხო სიყვარული ბელადისადმი, იმ ადამიანისადმი, რომლის ცხოვრება აღბეჭდილია საკაცობრიო საქმეებით, რომლის გენიალური აზრი რაზმავს მილიონებს დაუცხრომელი ბრძოლისა და შრომისათვის კომუნიზმის ასაშენებლად.

სტალინი და სამშობლო—განუყრელი ცნებებია. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა ამ კრებულში ნათელი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი სამშობლოს როგორც წარსულმა, ისე აწმყომ. ეს კრებულები ნათლად გვიჩვენებენ საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას სტალინური ხუთწლედების ხარაჩოებზე, მის საბრძოლო მზადყოფნას დედა-სამშობლოს დასაცავად.

ყველაზე დიდი ნაწარმოები ამხანაგი სტალინისადმი მიძღვნილ ქმნილებათა ციკლში — ეს არის გიორგი ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“, რომელსაც სტალინური პრემია მიენიჭა. პოეტმა გამოიყენა მთელი თავისი დიდი ოსტატობა, რათა ჩვენს წინაშე ცოცხლად გამოეხატა საყვარელი ბელადის ბავშვობისა და ყრმობის წლები. სტალინის დაბადება მას ასახული აქვს როგორც დაბადება თავისუფლებისა, როგორც მაუწყებელი და მანიშნებელი ახალი ეპოქის დაბადებისა კაცობრიობის ისტორიაში. თავისი ეპოპეის პირველ თავებში პოეტი გვიჩვენებს იმ პატარა გმირულ ქვეყანას, სადაც დაიბადა მთელი კაცობრიობის იმედი და ნუგეში. ეპოპეაში მოსჩანს ფხიზელი რეალისტის თვალით დანახული და გამოხატული მე-19 საუკუნის ბოლო წლების საქართველო თავისი ჩვევებით, ტრადიციებით, სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით და ყოფაცხოვრებით. აქაც ნათლად სჩანს ამხანაგ ბერიას ღირსშესანიშნავი წიგნის კეთილისმყოფელი ზეგავლენა პოეტის აზროვნებასა და შემეცნებაზე. ეპოპეის ფურცლებზე ჩვენ ვხედავთ ქართველ ხალხს — გუთნის დედას, მეტივეს, მოხუც გლეხს, რკინიგზელ მუშას, რომელთა სიტყვებში ისმის მრისხანე განაჩენი ძველი ქვეყნის მიმართ და იმავე დროს პოეტი გვიჩვენებს იმედის ნაპერწკალსაც, რომელიც ამ ადამიანთა გულებში ანთია. ისინი სწყევლიან თავიანთ მწარე ცხოვრებას და შთამომავლობისათვის უკეთეს ხვედრსა ნატრობენ. შემდეგ ეპოპეაში ასახულია მთელი სილამაზე იმ მიდამოებისა, სადაც გაატარა თავისი ადრინდელი წლები ყრმა სოსო ჯუღაშვილმა. პოეტი გვიჩვენებს თუ როგორ ეცნობა ის თავისი ხალხის ყოფას, მის სულიერ ტკივილებს, მის სათაყვანო გმირებს. ვკითხულობთ ან ნაწარმოებს და გონების თვალით ვხედავთ როგორ იზრდება ეს დიდი ადამიანი, როგორ ფოლადდება და მტკიცდება მისი ხასიათი. ჩვენს წინაშე ნათელი სურათია გენიალური

ადამიანის ცხოვრებისა იმ ასაკში, როცა ის პირველად იღებს ხელში „დედაენას“ და პირველად აღებს სკოლის კარებს. საუცხოოდ არის აქ დაცული ეპოქის კოლორიტი. პოეტს მოცემული აქვს მთელი გარემოცვა, რომელშიაც ახალგაზრდა სტალინი ცხოვრობდა და იზრდებოდა.

სწორედ ამის გამო მოხდა, რომ გიორგი ლეონიძის ამ ღირსშესანიშნავმა ნაწარმოებმა მოიპოვა მკითხველის სიყვარული არა მარტო საქართველოში, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მისი რეზონანსი გასცდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს იქითაც. ამ წიგნს სიყვარულითა და გატაცებით კითხულობენ ახალი დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, კითხულობენ კაპიტალისტური ქვეყნების დაჩაგრული მშრომელები, რომელნიც დიდი სტალინის სახით ჰხედავენ თავის სანუკვარ იმედსა და ნუგეშს, მამასა და მასწავლებელს,

წრფელი და უშუალო ლირიზმით, მართალი და დამაჯერებელი რეალისტური სახეებით, პოეტური მგზნებარების დიდი ძალით თავიდანვე მკითხველის ყურადღება მიიპყრო ირაკლი აბაშიძის პოემამ „წულუკიძის სიკვდილი“. ამ ნაწარმოებში ასახული არიან ადამიანები, რომელნიც პირველი რევოლუციის ეპოქაში მჭიდროდ ირაზმებოდნენ დიდი სტალინის დროშის ქვეშ და ძველ სამყაროს წინააღმდეგ საიერიშოდ ემზადებოდნენ.

ბოლშევიზმის გმირული ისტორიის ერთ-ერთ ეპიზოდს — ჭიათურის დისკუსიებში ბოლშევიკების მიერ მენშევიკების სრულ დამარცხებას — ეხება გრიგოლ აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“. აქ გადმოცემულია პირველი რევოლუციის ეპოქა, როცა ამხანაგი სტალინი ფოლადის ხელით რაზმავდა და განამტკიცებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ეპოქის გადმოსაცემად პოეტს შერჩეული აქვს ორიგინალური, ცოცხალი, ახალი სახეები, რომელიც ღრმად ჩაჰბეჭდავენ მკითხველის მეხსიერებაში [illegible] ბოლშევიკური იატაკქვეშა [illegible] ბებას, გრ. აბაშიძე გვიხატავს სტალინის ცეცხლოვანი მოწოდებისა და მგზნებარე პროკლამაციების ბუმბერაზ ძალას. პოეტი ცდილობს გამოხატოს ორატორული გამჭრიახობა და სიმახვილე ახალგაზრდა სტალინისა, რომლის ყოველი სიტყვა მენშევიკებთან და საერთოდ ხალხის ყველა მტერთან ბრძოლაში — გატყორცნილი ისარია, რომელიც აუცდენლად ხვდება მიზანს. ყოველი წინადადება — ფაქტებით გასალკლდევებული ბრალდებაა მტრის წინააღმდეგ, უძლეველი სიმართლეა. პოემის ეპილოგში ასახულია დღევანდელი განახლებული ჭიათურა. ამ ნაწარმოების მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში ნაჩვენებია ბელადისა და ხალხის განუყოფელი მთლიანობა.

ამ ციკლის ნაწარმოებთაგან უნდა აღინიშნოს ალ. გომიაშვილის „ბაზალეთის ტბა“ და „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“, რომლებშიაც დახატულია ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური წარსულის სურათები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“; ამ პიესამ ჩვენს წინაშე აღადგინა ის დღეები, როცა ამხანაგი სტალინი მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე იწყებდა თავის რევოლუციურ მოღვაწეობას და რაზმავდა მშრომელებს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დასამხობად.

მკითხველის მოწონება და სიყვარული დაიმსახურა ი. ლისაშვილის რომანმა სტალინის ერთგული თანამებრძოლის ლადო კეცხოველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ქართველმა პოეტებმა არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნეს ლენინისა და სტალინის დიადი თანამეგობრობის თემას. ჯერ ისევ ადრე გამოჩენილი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუ-

სი ამბობდა, რომ „სტალინი — ეს არის ლენინი დღეს“. ეს განუყოფელობა ლენინისა და სტალინისა, ეს დიადი ისტორიული თანამეგობრობა — ღრმაა ზროვანი, მომხიბვლელი სახეებით გადმოგვცეს ქართველმა პოეტებმა. იოსებ გრიშაშვილი თავის ლექსში „იქ სადაც ახლა ტრიბუნა არი“ გვიხატავს ამხანაგ სტალინს სიყრმის ასაკში, როცა მას „ნორჩ ახალგაზრდა სემინარიელს ენატრებოდა ლენინის ნახვა“.

ლენინისა და სტალინის დიადი ისტორიული მეგობრობის თემას ეხება ნიკოლოზ ნადირაძის ლექსი—„სტალინი“. როგორც პოეტი ამბობს, სტალინს მთელ თავის გრანდიოზულ სახელმწიფოებრივ მუშაობაში თვალწინ უდგას დიდი ლენინის სახე.

შთაგონებით უმღერეს ქართველმა პოეტებმა დიად სტალინურ კონსტიტუციას, რომელმაც საკანონმდებლო გზით განამტკიცა ის მსოფლიო ისტორიული ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი განვითარების ახალ ხანაში სოციალიზმის დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში. ამ ციკლის ლექსებიდან აღსანიშნავია ალექსანდრე აბაშელის „ბრწყინვალე თარიღი“, იოსებ გრიშაშვილის „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“, გიორგი ლეონიძის „საბჭოების მერვე ყრილობის დელეგატის მოგონება“ რ. გვეტაძის „პირველი დეპუტატი“, კ. ბობოხიძის „კონსტიტუციის შემოქმედს“ და მრავალი სხვა.

საბჭოთა ხალხის ყოველი გამარჯვება დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან, ამიტომ არის, რომ ჩვენი პოეტები სტალინს უმღერიან, როცა სწერენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევ მეგობრობაზე, დიდ რუს ხალხზე და ძლევამოსილ მოსკოვზე, ჩვენი ქვეყნის მძლავრ ინდუსტრიალიზაციაზე, აყვავებულ საკოლმეურნეო მინდვრებზე, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტურ კულტურაზე, თავისუფალ შრომაზე. სწორედ ამ მხრივ არის აღსანიშნავი ალიო მირცხულავა „ბალადა ბელადისა“, კარლო ჯალაბაძის „შეძღამება მთაწმინდაზე“, ვ. გაბესკირიას, შ. აფხაიძის, ალ. ქუთათელის, კ. ჭიჭინაძის და სხვათა ლექსები.

ბელადის ცხოვრების თემას მიეძღვნა მრავალი პროზაული ნაწარმოები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დემნა შეხგელაიას „ყრმობა“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მოგზაური“. აქვე აღსანიშნავია გიორგი ნახუცრიშვილის პიესა „სიჭაბუკე ბელადისა“, რომელმაც საბჭოთა მაყურებლის სიყვარული და მოწონება დაიმსახურა.

ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცებას ლიტერატურაში თან მოჰყვა ის, რომ ქართველმა მწერლებმა სიყვარულითა და გატაცებით დაიწყეს წერა მოძმე ხალხთა ცხოვრების თემებზე. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ილო მოსაშვილის ლექსები უკრაინისა და ბელორუსიის ცხოვრებაზე, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და რაჟდენ გვეტაძის მოთხრობები ბელორუსიის მშრომელთა გმირულ ბრძოლაზე.

ამავე წლებში ქართველმა საბჭოთა მწერლებმა შექმნეს არა ერთი ნაწარმოები, რომლებშიც ასახულია საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული ქალაქებისა და განახლებული საკოლმეურნეო სოფლების ცხოვრება. ამ ციკლის ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია დემნა შენგელაიას რომანი „შთაგონება“. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ლიტერატურაში არავის ისე მკაფიოდ და ნათლად არ აუსახავს საბჭოთა საქართველოს განახლებული, გარდაქმნილი და გამშვენიერებული დედაქალაქი, როგორც ამ რომანშია მოცემული. დემნა შენგელაიას ნაწარმოების წაკითხვისას ჩვენს თვალწინ ნათლად დგება პეიზაჟი ახალი თბილისისა, სოციალისტური ქალაქისა — ვრცელი მოედნებით, ფართო ქუჩებით, ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით და, რაც ყველაზე

მთავარია, ახალი საბჭოთა ადამიანებით, რომელთა უმდიდრესი სულიერი სამყარო აქვთ. მთელ რომანში გესმით რიტმი და მძლავრი მაჯისცემა ახალი თბილისისა, გესმით სუნთქვა სოციალისტური ქალაქისა, სადაც ყველაფერს, ყველა უბანსა და კუთხეს ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობის შუქი დაჰნათის.

მაგრამ არა მარტო ახალი პეიზაჟის ჩვენებით დახატა მწერალმა სოციალისტური თბილისი. მან ახალი ადამიანის სულიც გვიჩვენა: დაგვიხატა ის საქმიანი და ხალისიანი, მხნე და შეუდრეკელი თაობა, რომელიც ჰქმნის ამ ახალ ქვეყანას, რომლისთვისაც შრომა და შემოქმედება, შრომა და სიხარული — განუყოფელი ცნებებია. ეს არის შთაშომავლობა იმ მებრძოლებისა, რომლებმაც ამ საუკუნის პირველ წლებში ახალგაზრდა სტალინის მეთაურობით დაიწყეს გმირული ბრძოლა თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური წყობილების დასამხობად. რომანში რეტროსპექტიულად ამ დაუვიწყარი წარსულის სურათებიც არის მოცემული. რომანის მესამე და მერვე თავებში აწერილია 1905 წლის 18 დეკემბრის ღამე, როცა თბილისელი პროლეტარები იარაღით ხელში წინ აღუდგნენ და გმირულად შეებრძოლნენ თვითმპყრობელობის შეიარაღებულ ძალებს. რომანში სჩანს მებრძოლ მუშათა მკაფიოდ გამოკვეთილი პორტრეტები, სახეები იმ ადამიანებისა, რომელთაც უყოყმახოდ გასწირეს თავისი სიცოცხლე სამშობლოსა და ხალხის ნათელი მომავლისათვის. გმირული წარსულის ეს რომანტიკა ნათელ შუქსა ჰფენს რომანში ასახულ დღევანდელობას. გმირული წარსული და გმირული აწმყო აქ ორგანიულადაა დაკავშირებული ერთი მეორესთან, ნაჩვენებია ერთის მხრით თაობათა ოცნება და მეორეს მხრივ ამ ოცნების ბრწყინვალე განხორციელება.

საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „იმერეთი“ (ომის შემდგომ წლებში ავტორმა ეს რომანი ხელახლა გადაამუშავა და გამოსცა „იმერეთის ცისკრის“ სახელწოდებით). ეს მხატვრული მატიანეა არა-მარტო იმერეთის კი არა, მთელი საქართველოს გლეხკაცობის ცხოვრების იმ პერიოდისა, როცა საკოლმეურნეო წყობილების ცხოველმყოფელმა მზემ პირველი სხივები მიმოჰფინა, როცა კოლექტიურმა მეურნეობამ პირველად გაიდგა მძლავრი ფესვები. აქ აღწერილია დაუვიწყარი წლები, ის წლები, როცა საკოლმეურნეო მოძრაობის ყველაზე ადრინდელ ენთუზიასტებს პირველი კვალი გაჰქონდათ ძველი სოფლის ყამირზე, როცა იფურჩქნებოდა პირველი ჯეჯილი საკოლმეურნეო მინდვრებზე. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დახატა ჩვენი ეპოქის დადებითი გმირი, ნამდვილი ნოვატორი, რომელსაც სოფელი მიჰყავს სოციალიზმის მზით განათებულ, მანამდე უვალ გზაზე. ეს ბოლშევიკი ტარასი ხაზარაძეა, ის განასახიერებს პარტიის ნებას. პარტიამ მისცა მას ძალა გამხდარიყო მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უნარიანი და მარჯვე ხელმძღვანელი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რომანში სახე პირველი ტრაქტორისტის მექი ვაშაკიძისა. რომანში ნაჩვენებია მთელი გალერეა სახეებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან გიორგი ჯიშკარიანი, კირილე მიქაძე, ბეჟან უშვერიძე. ესენი არიან გლეხკაცობის ძირითადი მასის წარმომადგენელნი, რომელნიც ნელნელა მიიკვლევენ გზას წინ, ნათელი საკოლმეურნეო ცხოვრებისაკენ, თავს აღწევენ სიღარიბისა და კულაკურ კაბალას. კონსტანტინე ლორთქიფანიძის ეს რომანი ნათლად ხატავს დიადი გარდატეხის წინა პერიოდის სურათს. აქ მკვეთრი საღებავებით მო-

ცემულია წინადღე და დასაწყისი იმ ძირფესვიანი გარდატეხისა, რომელიც მიმდინარეობდა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის გადამწყვეტი შეტევის ნიშნით და რომლის დროსაც პარტიამ შესძლო მოებრუნებინა გლეხობის ძირითადი მასები განვითარების ძველი, კაპიტალისტური გზიდან ახალი, სოციალისტური გზისაკენ.

თუ კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანში დახატულია საკოლმეურნეო წყობილების პირველი ნაბიჯები, სამაგიეროდ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა" გვიხატავს უკვე გახმტკიცებულ კოლმეურნეობას, რომელსაც მაგრად გაუდგამს ფესვები ჩვენი ცხოვრების წიალში. „გვადი ბიგვა" — მაღალმხატვრული ქმნილებაა, დაწერილი იმ მაღალი ოსტატობით, რომელიც მუდამ ახასიათებდა ლეო ქიაჩელს. მისმა რეალიზმმა აქ კიდევ მძაფრად იჩინა თავი. მწერალმა ძალზე საინტერესო საკითხის გაშუქებას ძიჭიდა ხელი: მან გვიჩვენა როგორ მიმდინარეობს კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრა ადამიანთა შეგნებიდან. აქ გადამწყვეტი როლი ენიჭება სოციალისტური საზოგადოების, ახალ ადამიანთა კოლექტივის კეთილისმყოფელ გავლენას; სწორედ ახალ ადამიანთა ზეგავლენით დასძლევს გვადი ძველი ჩვეულებების, ძველი ცრურწმენების, ძველი შეგნების გადანაშთებს და კეთილშობილური მისწრაფებებით განიმსჭვალება. მწერალმა კარგად იცის, რომ ადამიანი ბედნიერებისათვისაა დაბადებული და ამ ბედნიერ ცხოვრებას გვადი ბიგვას მხოლოდ საკოლმეურნეო ცხოვრება მიანიჭებს. „ბედნიერება მინდა... სიყვარული და სიცოცხლე მინდა, მარიამ", — გაიძახის გვადი და მწერალიც მისი სულიერი სამყაროს ამ ჯანსაღ საწყისებს მთელი თავისი მაღალი ოსტატობით გადმოგვცემს. რომანში მოთხრობილი ამბავი ხდება სულ რაღაც ორ დღე-ღამეში, ამ მოკლე ხნის მანძილზე გვადი მთლიანად გამოიცვლება და ამ გარდატეხას მწერალი მეტად პრინციპიულად, დამაჯერებლად გვიჩვენებს. მწერალმა მაღალი ოსტატობით დაგვიხატა, რომ გვადის სულიერი გარდატეხა, სულიერი ამაღლება შინაგანად მზადდებოდა მთელი წლების მანძილზე.

ომის წინა წლებში, 1939 წელს გამოქვეყნდა ალ. ჭეიშვილის „ლელო". ამ რომანში ავტორმა შესძლო დაენახა და გამოეხატა ის ახალი თვისებები, რაც საკოლმეურნეო წყობილებამ შეიტანა ადამიანის ფსიქოლოგიაში. რომანი გვიჩვენებს ჩვენი სოციალისტური მინდვრების, კერძოდ ჩაის პლანტაციების სტახანოველებს, ახალგაზრდა ქართველ ქალიშვილებს, მათი ბარაქიანი შრომის რიტმს. წიგნი მთლიანად გამსჭვალულია სოციალისტურის შრომის რომანტიკით.

ნაწარმოებთა მდიდარი ციკლი მიუძღვნეს ქართველმა პოეტებმა განახლებულ კოლხიდას. იგი იქცა საბჭოთა პოეტების შთაგონების წყაროდ. ქართველმა პოეტებმა გამოსცეს ვრცელი კრებული კოლხიდის მშენებლობათა თემაზე. ამ კრებულიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ქუჩიშვილის „კოლხეთი", ირ. აბაშიძის „კოლხეთის საგანძური", ალ. აბაშელის „ოქროს საწმისი", ვ. გაფრინდაშვილის „ინათი და ყორათი", ი. მოსაშვილის „კოლხეთის დილა", ს. ჩიქოვანის „შემოდგომის საღამოები კოლხიდაში", ვ. გაბესკირიას „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები", გ. კაჭახიძის „წურბლის გამყიდველი", ი. გრიშაშვილის „ნარინჯიანი", ი. ლისაშვილის „კოლხეთის მიწა", ვ. გორგაძის „კოშკი რიონის შესართავთან", ნ. ნადირაძის „ორფეოსის სიმღერა". ს. ეული ქურიძის „ჭალადიდი", რ. გვეტაძის „წალკოტი". ქართველმა პოეტებმა დახატეს საქართველოს ეს წინათ მივიწყებული, დაჭაობებული მხარე, რომელიც ბოლშევიკების მზრუნველმა ხელმა წარმტაც ბაღნარად აქ-

ცია, მხარე, სადაც ახლა შეერთებულია შრომა და სილამაზე.

ომის წინა პერიოდის ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ აქ არ მოვიხსენიეთ ალექსანდრე ჭუთათელის შესანიშნავი რომანი „პირისპირ“. ეს არის ვრცელი ეპიკური ტილო, რომლის ორი ტომი დიდი სამამულო ომის წინ გამოქვეყნდა, ხოლო მესამე ტომი სამამულო ომის წლებში. ამ რომანმა თავიდანვე მძაფრი ინტერესი აღძრა იმიტომ, რომ მასში ავტორმა სისრულით ასახა ახლო წარსული ჩვენი ქვეყნისა, გვიჩვენა საქართველოს ისტორიის ის მძიმე და სუსხიანი წლები, როცა ჩვენს ქვეყანაში კონტრევოლუციური მენშევიზმი ბატონობდა, ამ ფონზე ავტორმა გულწრფელად სთქვა სიმართლე იმ შინაგანი სულიერი ბრძოლის შესახებ, რომელსაც განიცდიდა ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი, აზნაურთა ბუდეების შთამომავალი, როცა ის სცილდებოდა თავის კლასს, თავისი წრის ტრადიციებს და რევოლუციური შემობრუნებისა და გარდატეხის წლებში ეძებდა ახალ გზას. იგი წარმომადგენელია ქართველი ინტელიგენციის ერთი განსაზღვრული ფენისა, იმ ფენისა, რომელიც გარდატეხის წლებში ფხიზლდებოდა, პირისპირ დგებოდა რევოლუციის, ეპოქის, სამშობლოს წინაშე და მართალ გზას ეძებდა. როგორ დადგა ის თავისი კლასის ინტერესებზე მაღლა, როგორ იპოვნა მან ეს სიმართლე, რა სულიერი ტანჯვა განიცადა მის ძებნაში, როგორ დაბრუნდა იგი ხალხის წიაღში, როგორი რთული და ძნელი იყო მისი განწმენდის, მისი იდეური და მორალური გადადუღების პროცესი — აი ამაზე მოგვითხრობს ალ. ჭუთათელის ვრცელი ეპოპეა.

რომანის ლეიტმოტივს შეადგენს გმირის კონფლიქტი სინამდვილესთან. ეს კონფლიქტი არის საფუძველი მისი სულიერი დრამისა, რომანის მთავარი გმირის კორნელის აღშფოთებას იწვევს ის, რომ მის ირგვლივ პირიქით [illegible] ბადაა მიჩნეული, სამშობლო [illegible] გათელილი ძეხშევიკი ავანტიურისტებისა და უცხოელი იმპერიალისტების მიერ. კორნელი ცხოვრობს მოწამლულ წლებში, მოწამლულ ატმოსფეროში და მისი ჯანსაღი ბუნება ვერ ურიგდება ამას. და აი კორნელის თვითშეგნების გამოფხიზლების პირველი სიმპტომი — იგი სიძულვილით ზურგს აქცევს ქვეყნის გამყიდველებს, უახლოვდება მშრომელთა ფენებს და ცდილობს მათთან ერთად შეებრძოლოს საძულველ მენშევიკურ წყობილებას.

ომის წინა წლებში გამოქვეყნდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ქმნილებანი — ს. კლდიაშვილის „ფერფლი“ „პროვინციის მთვარე“ და „სვანური ნოველები“ რ. გვეტაძის „თეო“ და „ჭიაკოკონა“, გრ. ჩიქოვანის „ყარამან ხვინგია“ და „დათვია არაბული“, ა. ბელიაშვილის, ბ. ჩხეიძის და სხვათა მოთხრობები.

* * *

ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების შემდგომი ეტაპი დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებს ემთხვევა. თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობაზე ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა ამომწურავად დაახასიათა ის დიდი მუშაობა, რომელიც ქართველმა მწერლებმა გასწიეს დიდი სამამულო ომის წლებში. „დიდი სამამულო ომის მოვლენებმა, — გახაცხადა ამხანაგა კ. ჩარკვიანმა, — ახალი შინაარსით გაამდიდრეს ქართული საბჭოთა ლიტერატურა და უფრო დაუახლოვეს იგი ხალხის მოთხოვნილებასა და მისწრაფებას. ომის წლებში ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებში უფრო ძლიერად

გაისმა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივები. ამ პერიოდის ლექსები, პროზა და ნარკვევები მთელ ხალხს მოუწოდებდნენ ვერაგი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ ფრონტის მებრძოლებსა და ზურგის მშრომელებს, ეხმარებოდნენ მათ მამაცურად გადაეტანათ ომის მკაცრი გამოცდა".

სამამულო ომის წლებში ჩვენი ხალხის უმაგალითო ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად ჩვენი ხალხის სულიერი იარაღთა შორის უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საბჭოთა პოეზიამ. უსაზღვროდ გაიზარდა პოლიტიკური როლი, საბრძოლო მნიშვნელობა მხატვრული სიტყვისა. ქართველმა პოეტებმა — გიორგი ლეონიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, ირაკლი აბაშიძემ, ალიო მირცხულავამ, სიმონ ჩიქოვანმა, ალექსანდრე აბაშელმა, გალაკტიონ ტაბიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, კარლო კალაძემ, ალექსანდრე გომიაშვილმა, გ. კაჭახიძემ, ა. თევზაძემ, კ. ბობოხიძემ და სხვებმა შეჰქმნეს მთელი ციკლი ნაწარმოებებისა, რომლებშიაც აისახა საბჭოთა ხალხის დიადი ბრძოლა თავისუფლებისათვის. ვის დაავიწყდება პოეტ გიორგი ლეონიძის ლექსი „არ დაიდარდო დედაო", ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე", სიმონ ჩიქოვანის „საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას", ალიო მირცხულავას „მყინვარი", გრიგოლ აბაშიძის „დროშები", ილო მოსაშვილის „მისი ბარათი", კარლო კალაძის „საფრონტო ბალადები", კ. ჭიჭინაძის „გმირი" და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით ფართოდ აისახა ქართულ მწერლობაში კავკასიის გმირული დაცვის ეპოპეა. ქართველმა მწერლებმა თავის ქმნილებებში გვიჩვენეს ,ქართველი ხალხის სულიერი სიდიადე, მისი სიმტკიცე, ქედუხრელობა, პატრიოტული მგზნებარება, ყველა ის თვისება, რომლებსაც წლების მანძილზე ზრდიდა ლენინ-სტალინის პარტია და რომლებიც განსაკუთრებული სიცხადით და სიძლიერით გამოვლინდა საძამულო ომის წლებში. ჩვენმა მწერლებმა ნათელი მხატვრული სახეებით დაგვიხატეს ის მძიმე დღეები, როცა გერმანელ ფაშისტთა დაჯავშნული ურდოები კავკასიონის მთებს მოუახლოვდნენ, მაგრამ კარზე მომდგარმა საშიშროებამ ოდნავადაც ვერ მოადუნა ქართველი ხალხის საბრძოლო ნებისყოფა, ოდნავადაც ვერ დააეჭვა იგი საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში; პირიქით, ამ საშინელებამ უფრო გაასალკლდევა და გააკაჟა იგი. ამ მძიმე და მძაფრ დღეებში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — რუს, უკრაინელ, სომეხ და სხვა მოძმე ერის მეომრებთან ერთად — ვაჟკაცურად იბრძოდნენ კავკასიის მისადგომებზე, ისევე როგორც სამამულო ომის ყველა უბანზე, გზას უღობავდნენ მტრის ურდოებს. ქართველი სტახანოველები აათკეცებდნენ მუშაობას, რომ ოდნავადაც არ შეფერხებულიყო ფრონტისათვის იარაღ-საჭურველისა და სურსათის მიწოდება. იმ მძიმე დღეებში ქართველ ხალხს მხნეობას და სიმტკიცეს მატებდა, შთააგონებდა ის ფაქტი, რომ კავკასიის დაცვის სტალინური გეგმის განხორციელებას, უშუალოდ ხელმძღვანელობდა შეუდრეკელი სტალინელი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია.

ამ ფონზე გაშალა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ თავისი პოემის „ძლევის ქედის" სიუჟეტი. აქ ასახულია ის დღეები, როცა ამხანაგი ლავრენტი ბერია, როგორც ყოველთვის, განუხრელად ასრულებდა რა დიდი სტალინის ნებასურვილს, რაზმავდა კავკასიის ხალხთა ძალებს მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. პოეტმა ღრმა გრძნობით სავსე სტრიქონები მიუძღვნა ქართველი ხალხის საყვარელ შვილს — ლავრენტი ბერიას. ამასთან ერთად პოეტმა გვიჩვენა სახეები ახალგაზრდა ადამიანებისა,

რომელთაც გზა გადაუღობეს გერმანულ დივიზიებს და არ გამოუშვეს ისინი იმ ძიწაზე, სადაც ბელადის აკვანი დარწეულა. პოეტმა გვიჩვენა საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობა: საბჭოთა სოციალისტური ერები, ახალი ფორმაციის ერები, რომელნიც ომის წინ მშვიდობის წლებში ერთად იყვნენ, განსაცდელში კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ და ფოლადის კედლად აღიმართნენ, გადაულახავ ზღუდედ დადგხენ ფაშიზმის მღვრიე, ბინძური ტალღის წინაშე.

ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ქალმა დიდი სამამულო ომის წლებში. ქართველი ქალები მხარში ედგნენ ვაჟკაცებს და მათთან ერთად იზიარებდნენ ომის წლების მთელ სიმძიმეს. საბჭოთა ქალის ეს ფასდაუდებელი პატრიოტული ღვაწლი ასახეს ილო მოსაშვილმა („ძისი ბარათი") და მაყვალა მრევლიშვილმა („ჭირნახული").

სამამულო ომის წლებში გამოქვეყნდა კარლო კალაძის საინტერესო ბალადები „შეხვედრები ბრძოლის ველზე". ამ ბალადებში ცხოველმყოფელი ფერადებით არის ასახული დიდი სახელმწიფო მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი ბერიას დაუღალავი ზრუნვა საქართველოს აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის. ფრონტზე მყოფი ჯარისკაცები, რომელთა მკაფიო და ხათელი პორტრეტები თითო-ოროლა კალმის მოსმით არის დახატული, ჰყვებიან ამბებს ბერიაზე, რომელიც შთააგონებდა მათს მადლიან შრომას ომამდე და შემდეგაც, ომშიც, ახხორციელებდა რა კავკასიის დაცვის სტალინურ გეგმას, რაზმავდა მათ გადამწყვეტი გამარჯვების მოსაპოვებლად.

ფრონტის ცოცხალი სურათები აღბეჭდა თავის ლექსებში ირაკლი აბაშიძემ. მის ომისდროინდელ ლექსებში მთელი ძლიერებით ისმის საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე გულისცემა. ამას მოწმობს წრფელი და უშუალო მხატვრული სახეები პოეტისა, ამაზე მეტყველებენ თვით ის ძუნწი წარწერანი, ყოველი ლექსის ბოლოს, რომლებიც გვაცნობენ სად და როდის დაიწერა ეს ლექსები: „ყირიმი, აკ-მონაი". „1942. III. ყირიმი", „1942 წელი, მოსკოვთან", 1942. III, ქერჩი", „1942. შემოდგომა. ნალჩიკი", „ვლადიკავკაკი"—აი მინაწერები ამ ლექსებზე. ეს წარწერანი მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ საბჭოთა პოეზია იბრძოდა თავის ხალხთან ერთად. ამიტომ ასე ხამდვილი, ასე წრფელი, სადა და მიმზიდველია ირ. აბაშიძის ლექსების სახეები. ამ ლექსებში შემოქმედებითად განცდილი და განხორციელებულია ის, რაც საკუთარი თვალით უნახავს პოეტს ცხარე ბრძოლების დღეებში, სამამულო ომის ფრონტზე.

მაქსიმ გორკი ამბობდა: „... უნდა სწეროთ სადად, თითქოს გულწრფელად ესაუბრებით საყვარელ მეგობარს, რომელსაც არაფერი არ გინდათ დაუმალოთ, რომელიც თქვენს ნათქვამში ყველაფერს გაიგებს, ყველაფერს დააფასებს — ნახევარი სიტყვითაც რომ იყოს ნათქვამი. სიტყვის სისადავეში — ყველაზე დიდი სიბრძნეა. ანდაზები და სიმღერები — მუდამ მოკლეა და სხარტი, მაგრამ მათში იმდენი ჭკუა და გრძნობაა, რომ მთელ წიგნებს ეყოფა". გორკის ეს სიტყვები კარგად ხსნის ირ. აბაშიძის ზემოდდასახელებული, ფართოდ გახმაურებული პატარა ლექსის „კაპიტანი ბუხაიძის" წარმატებების მიზეზებს. ამ ლექსში გადმოცემულია საშობლოს უკვდავი სიყვარულის გრძნობაც, სიჭაბუკის ენთუზიაზმიც, თავგანწირულებაც, არის გულისშემძვრელი ტკივილიც, — ნახევარი სიტყვით, ნიუანსით, სადღაც სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა ნათქვამი „მე სიცოცხლეს ხელმეორედ შევწირავდი მშობელ მხარეს. შევწირავდი იმავ მიწას, დღეს რომ გულზე დამაყარეს".

სამამულო ომის მძაფრ დღეებს ასახავენ ი. მოსაშვილის პიესა „სადგურის

უფროსი“, დ. შენგელაიას მოთხრობა „მერხეული“ რ. გვეტაძის „მართალი ნოველები“, გრ. ჩიქოვანის „დაბრუნება“, ბ. ჩხეიძის „ომგადახდილი“.

ქართული მწერლობის ახალგაზრდა კადრებს შორის, რომელნიც დიდი სამამულო ომის წლებში გამოვიდნენ შემოქმედებითს ასპარეზზე, განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს იოსებ ნონეშვილმა და რევაზ მარგიანმა. იოსებ ნონეშვილის ლექსები „საზეიმოდ თქმული“, „მაისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვახარა“, „ოთხი ძმა ლესელიძე“, „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“ და მრავალი სხვა, რომლებიც სამამულო ომის წლებში იწერებოდა, უშუალოდ, წრფელად გამოხატავენ საბჭოთა ხალხის გამარჯვების უღრმეს რწმენას. პოეტმა ამავე დროს მოგვცა ჯანსაღი ინტიმური ლირიკის მეტად კარგი ნიმუშები. სამამულო ომს არა ერთი მგზნებარე ლექსი მიუძღვნა რევაზ მარგიანმა. ომის წლებშივე ჩვენს ლიტერატურას შეემატნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები, რომელთა შორის აღსანიშნავი არიან მ. ლებანიძე, ო. ჭელიძე, შ. ფორჩხიძე თ. ჯანგულაშვილი, ხ. ბერულავა, მ. ქვლივიძე, ვ. გორგანელი და სხვები.

სამამულო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა ხალხი შეუდგა დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობას სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სტალინური ხუთწლედის შესასრულებლად. ამ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ ქართველი საბჭოთა მწერლები. მართალია ომის დამთავრების შემდეგ პირველ ხანს ჩვენს მწერლობაში თავი იჩინა ზოგიერთმა არაჯანსაღმა ტენდენციამ, როცა ცალკეულმა პოეტებმა გამოაქვეყნეს უიდეო და აპოლიტიკური ნაწარმოებები, მაგრამ ეს ავადმყოფური მოვლენები ჩქარა იქნა დაძლეული. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ — გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა დეკადენტურ განწყობილებათა ნაშთებსა და გავლენებს — უიდეობას, ესთეტობას, ფორმალიზმს. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საბჭოთა პროზას, დრამატურგიას და ლირიკას დაუსახა ისტორიული ამოცანა — უფრო მეტი სიმართლით ასახონ ჩვენი ადამიანების გმირული ბრძოლა, თავდადებული შრომა, მრავალფეროვანი ყოფა-ცხოვრება, საბჭოთა ადამიანის განწყობილება, მისწრაფება და იდეალები.

ომის შემდეგ გამოქვეყნებულ მნიშვნელოვან პროზაულ ქმნილებათა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლეონ ქიაჩელის „მთის კაცი“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მწვანე ღილი“ და დემნა შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“. ქართული პროზის ამ სამი თვალსაჩინო ოსტატის ქმნილებანი მართალი და დამაჯერებელი ფერადებით გადმოგვცემენ რუსი და ქართველი ხალხების დიად სტალინურ მეგობრობას, მათს საერთო გმირულ ბრძოლას შემოსეული ფაშისტური ურდოების შესამუსრავად. ხსენებული პროზაული ქმნილებების პერსონაჟები საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებებს განასახიერებენ — ეს თვისებებია მაღალი მორალური სიწმინდე, პრინციპულობა, განუხრელობა მტერთან ბრძოლაში, სიცოცხლის არად ჩაგდება, როცა საშშობლოს განსაცდელი მოელის, მუდმივი მზადყოფნა თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ომის შემდგომ წლებში გამოაქვეყნა აკაკი ბელიაშვილმა ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“. ამ რომანს მძაფრი პოლიტიკური სიმახვილე აქვს. ავტორმა მასში დახატა მე-18 საუკუნის საქართველო, ნათლად გვიჩვენა, რომ მისთვის ხსნის ერთადერთი გზა — რუსეთთან შეერთება იყო.

—::—

ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სრულყოფილი ასახვა საბჭოთა ადამიანების გმირულმა შრომამ მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესასრულებლად. მაგრამ ამ ჩამორჩენილობის დასაძლევად უკვე დაწყებულია სათანადო მუშაობა.

პირველი ვრცელი მოთხრობა, რომელიც ომის შემდეგ გამოქვეყნდა და რომელიც ასახავდა საკოლმეურნეო სოფლის აღმავლობას — ეს იყო მიხ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა". მოთხრობის მთავარი გმირია ქართველი კოლმეურნე ქალი ნატო ხარატელი, რომელსაც ომის წლებში დიდი პირადი მწუხარება შეემთხვევა: მისი ქმრის გიორგისაგან აღარავითარი ცნობა აღარ მოდის, ის დაღუპული ჰგონიათ, ამავე დროს ნატოს გარდაეცვლება ერთადერთი პატარა ბიჭი გიგლა. ქალი უსაზღვრო მწუხარებას ეძლევა და ავტორი უაღრესად დამაჯერებელი ფერადებით გვიჩვენებს, თუ როგორ სძლევს საბჭოთა ადამიანის კეთილშობილური შრომა ყოველგვარ დარდსა და განსაცდელს, როგორ ასპეტაკებს და ამაღლებს იგი ადამიანის სულს. ეს შრომა აძლევს ნატოს ძალას, რათა ამაღლდეს პირად უბედურებაზე, დასძლიოს იგი. შრომა აქცევს ამ ახალგაზრდა ქალს მთელი სოფლის, მთელი რაიონის სიამაყედ და მშვენებად. ეს მნიშვნელობა სოციალისტური შრომისა, როგორც ჩვენს ქვეყანაში სახელისა და დიდების საქმედ იქცა — მოთხრობის ავტორმა მიხ. მრევლიშვილმა უაღრესად დამაჯერებელი რეალისტური საღებავებით დაგვიხატა და ღრმა ემოციური ზემოქმედების მქონე კოლორიტულ სურათებში გადმოგვცა.

საბჭოთა ხალხის ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის მხატვრული ასახვის თვალსაზრისით უაღრესად თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს კარლო კალაძის ლექსების ციკლი „ისევ მშობლიურ სოფელში". ამ ლექსებში ჩვენი ახალი, ომისშემდგომი სოფელია ნაჩვენები თავისი ქარგალ-ფერადოვანებით, ტრადიციული სიმხნევით, სილაღით და იმ ახალი სილამაზით, სულიერი და მატერიალური კულტურის სიუხვით, რომელიც მას სოციალიზმის დიდებულმა სინამდვილემ მიანიჭა. აქვეა ლექსები სოციალისტური შრომის გმირებზე, მათ შორის იოსებ გვალიაზე („გმირის ვარსკვლავი"). ასევე საინტერესოა მეორე ლექსი „სტუმრად გმირებთან", რომელშიც გამოკვეთილია მეოთხე ხუთწლედის ადამიანების სახეები.

უკანასკნელ ხანებში ქართულ პოეზიასა და პროზაში გამოჩნდა ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ნათლად ასახავენ ქართველი ხალხის შთაგონებულ შრომას ომის შემდგომ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ირ. აბაშიძის „ჰყვავის გურია" და გრ. აბაშიძის „ლენინი სამგორში". ლექსთა ამ ციკლებში მთელი ძალით იგრძნობა თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ბუმბერაზული ძალა. ქართული საბჭოთა პროზის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს სერგო კლდიაშვილის „რთველი". ესაა ვრცელი მოთხრობა ახალი სოფლის ადამიანებზე — ავტორმა დაგვიხატა პორტრეტების მთელი გალერეა, გვიჩვენა ახალი ადამიანების მდიდარი შინაგანი სამყარო.

ქართული საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო გამარჯვებას წარმოადგენს დიდი ბელადისადმი მიძღვნილი კრებული, რომელიც ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავზე გამოვიდა. ბუნებრივია, რომ ქართველი პოეტების ახლანდელ ლექსებში წინ წამოწეულია თემა — სტალინი, როგორც მშვიდობის დიდი მედროშე, როგორც მშვიდობის ფრონტის გენიალური წინამძღოლი. ამ კრებულიდან ნათლად დგება სახე დიდი ბელადისა, რომელიც მთელი კაცობრიობის მომავლისათვის ბრძოლის, კაპიტა-

ლისტური მონობის წინააღმდეგ, ახალი ომის ინგლის-ამერიკელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის დროშაა.

ამ კრებულით ქართული მწერლობა თავის ხმას უერთებს მშვიდობისათვის მებრძოლ მოწინავე კაცობრიობას, მშვიდობის უძლეველ ფრონტს, რომელსაც სათავეში დიდი საბჭოთა კავშირი უდგას. ქართველი პოეტები გამოდიან როგორც მგზნებარე მქადაგებელნი საქვეყნო მშვიდობისა, უმღერიან დიდების ჰიმნს ჩვენი ბედნიერებისა და მშვიდობის დიდ ხუროთმოძღვარს ამხანაგ სტალინს.

საბჭოთა პოეტის სიმღერა მშვიდობაზე — ეს მრისხანე გაფრთხილებაა გაცოფებული მტრისადმი, ახალი ომის ინგლის-ამერიკელი გამჩაღებლებისადმი, რომელნიც ამაოდ ცდილობენ სიცოცხლე გაუხანგრძლივონ ისტორიის მიერ სასიკვდილოდ განწირულ, მიხრწნილ კაპიტალისტურ სისტემას.

საქვეყნო მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრ. აბაშიძის ლექსების ციკლი „სამხრეთ საზღვრებზე". ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა ომის შემდგომი წლების ჩვენს პოეზიაში და ამიტომაც ამ ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა არა მარტო ქართველმა, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მკითხველმა. პოეტმა ამ ლექსებში ნიღაბი ჩამოჰგლიჯა უოლსტრიტულ მტაცებლებს და მათს თურქ და ირანელ ლაქიებს, რომელნიც გააფთრებით ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს.

მშვიდობისათვის ბრძოლის თემას ეხება ი. მოსაშვილის შესანიშნავი პიესა „ჩაძირული ქვები" და გრ. ბერძენიშვილის „მშვიდობის მტრედები".

მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთაგან უნდა აღინიშნოს გ. ლეონიძის ლექსების ციკლი უნგრეთზე, რ. მარგიანის „კომუნიზმის სიმღერა", ი. ნონეშვილის „მშვიდობისათვის", ალ. აბაშელის „მზის დღე" და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—::—

განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე იზრდებოდა ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა, რომელიც დღეისათვის უკვე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს. ქართული საბავშვო ლიტერატურის ისეთ დამსახურებულ პროფესიონალებთან ერთად, როგორიც არიან ნინო ნაკაშიძე, ილია სიხარულიძე, ლ. მეგრელიძე, მარიჯანი და ა. ხახუტაშვილი, რომლებმაც თითქმის მთელი თავიანთი შემოქმედება ბავშვებისა და ახალგაზრდობის იდეურ-მხატვრული აღზრდის საქმეს მიუძღვნეს, ამ დარგში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ს. კლდიაშვილი, ირ. აბაშიძე, ი. მოსაშვილი, გრ. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, გ. შატბერაშვილი, გ. ნახუცრიშვილი, რ. მარგიანი, მაყვალა მრევლიშვილი, მ.მიქელაძე, ნ. ჩაჩავა, ა. ონელი და სხვები. ქართულ საბავშვო მწერლობაში მუშაობა დაიწყეს ახალგაზრდა ძალებმა, რომელთაგან აღსანიშნავი არიან მ. ლებანიძე, ქ. ელისაბედაშვილი, კ. გოგიაშვილი, რ. ელანიძე, ვ. გორგანელი, ო. ჭელიძე და სხვები.

იმ ნაწარმოებთა ძირითადი ღირებულება, რომლებმაც ქართულ საბავშვო ლიტერატურაში მოწონება დაიმსახურეს, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ნაწარმოებთა ავტორებმა მონახეს მკვეთრი, მკაფიო და ახალი თვისებები ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი მოზარდების შრომაში საკოლმეურნეო მინდვრებზე და სოციალისტურ საწარმოებში, მონახეს ახალი თვისებები ჩვენს სკოლებში წარმოშობილ ურთიერთობაში, შრომისადმი, მეგობრებისადმი ახალ დამოკიდებულებაში. აი ეს არის ის ღირსებანი, რომლებიც ჩვენს საბავშვო წიგნებს მოეპოვებათ.

ქართული საბჭოთა მწერლობა დაუღალავად ემსახურებოდა და ემსახურება მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის ამოცანას. ის შთაგონებულია ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეებით, ეს აძლევს მას ძალას ასახოს არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ ხვალინდელ დღეშიც ჩაგვახედოს, გვიჩვენოს ჩვენი ხალხის ცხოვრების ნათელი პერსპექტივა, მისი განუხრელი წინსვლა კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

ომისშემდგომი პერიოდის ქართული საბჭოთა პოეზია

★

დიდი სამამულო ომის შემდგომი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით ხასიათდება. სამამულო ომში გამარჯვებული საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას შეუდგა. სტალინური ხუთწლედის გრანდიოზულ გეგმათა შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენმა ხალხმა ახალ ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია.

სოციალისტური შრომის პათოსით არის გამსჭვალული მთელი საბჭოთა ხალხი. კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი — მუშა, კოლმეურნე თუ ინტელიგენტი თანაბარის დაძაბულობით მუშაობს კომუნიზმის განსახორციელებლად. კომუნიზმის საქმისადმი საბჭოთა ხალხის განუსაზღვრელი ერთგულებისა და მისი პოლიტიკურ-მორალური ერთიანობის ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენენ სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ჩატარებული 1946 წელს და 1949 წელს, ადგილობრივი საბჭოებისა — 1950 წელს, და მოკავშირე რესპუბლიკებისა — 1951 წელს.

დიდმა სამამულო ომმა გამოავლინა საბჭოთა ქვეყნის ძლიერება, საბჭოთა წყობილების, საბჭოთა საზოგადოებრივი სისტემის უპირატესობა ბურჟუაზიული სისტემის წინაშე. უმაგალითოდ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი. საბჭოთა კავშირის დიდი ისტორიული როლი ამიერიდან არა მარტო იმაში გამოიხატა, რომ პირველმა ააშენა სოციალიზმი, რომ მან გაკაფა ნათელი გზა კომუნიზმისაკენ, არამედ იმაშიაც, რომ მან იხსნა კაცობრიობის ცივილიზაცია ფაშისტი ბარბაროსებისაგან. ამიტომ არის, რომ მთელი მსოფლიოს პროგრესიული ძალები იმედის თვალით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირს. მაგრამ საბჭოთა ქვეყნის წარმატებები მოსვენებას უკარგავს მსოფლიო რეაქციის მთავარ ბანაკს—ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტებს. ისინი აკოწიწებენ ახალ-ახალ სამხედრო კავშირებს, ჰქმნიან ფაშისტურ ორგანიზაციებს და აჩაღებენ ომის ისტერიას. ყოველივე ეს მიმართულია საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ. იმპერიალისტური აგრესიის აშკარა ფაქტს წარმოადგენს ამერიკელთა ყაჩაღური ომი კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს იმპერიალისტების გაცოფება, მათ ბნელ ზრახვებს განხორციელება არ უწერია, რადგან იზრდება და ვითარდება ძმვიდობის უძლეველი ძალები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

დიდი სტალინის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1946 წელს მიიღო სამი ისტორიული დადგენილება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე: 14 აგვისტოს ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, 12 სექტემბერს დრამატიული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ და

სექტემბერშივე — კინოფილმის „დიდი ცხოვრების“ შესახებ. ამას მოყვა დადგენილება — 1947 წ. მოსკოვის დიდ თეატრში დადგმულ ივ. მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის“ შესახებ.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენება ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ წარმოადგენს მთელი ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მუშაობის პროგრამას. ამ დოკუმენტებში არა მარტო მხილებული იყო ის სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი ჰქონდა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, არამედ ამავე დროს მოცემული იყო მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერული დასაბუთება ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ. პარტიამ საბჭოთა მწერლობის წინაშე დააყენა მხატვრული ლიტერატურის იდეურობის ამაღლების ამოცანა, დაჰგმო უიდეობის, აპოლიტიკურობის თანამედროვეობისაგან გამოთიშვის ის ტენდენციები, რომლებიც აღმოაჩნდა საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგიერთ მუშაკს.

ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულმა დადგენილებებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი გაჯანსაღების საქმეში.

როგორც ცნობილია, დიდი სამამულო ომის დამთავრების პირველ წლებში ქართულ საბჭოთა ლიტერატურაშიც იჩინა თავი ზოგიერთმა არაჯანსაღმა ტენდენციამ, რაც შეუთავსებელი იყო სოციალისტური რეალიზმის პრინციპებთან, საბჭოთა ხელოვნების პრინციპებთან. ასეთი არაჯანსაღი ტენდენციების მატარებელ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებოდა კ. ნადირაძის ლექსების კრებული „დიდ გზასთან“, რომელშიაც შეტანილი იყო ომის შემდგომ წლებში დაწერილი, ასევე უიდეო ლექსები, როგორიცაა „ბავშვობა — ბიბილეარსკვლავი“, „ღიმილი“, „დავიწყება“. აქვე უნდა დავასახელოთ კონსტანტინე ჭიჭინაძის ლექსები: „ლხინი“, „ძველი რვეული“, ა. მირცხულავას „გრიგალი“, „ჩემი წარსული“, გრიგოლ აბაშიძის „ატენური ლექსების ციკლი“ და სხვ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. დადგენილებანი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენება ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საქართველოს საბჭოთა მწერლებმა, ისევ როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მწერლებმა, მიიღეს როგორც შემოქმედებითი შრომის პროგრამა. ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მხილებულ და გაკრიტიკებულ იქნა უიდეობისა და აპოლიტიკურობის რეციდივები. ყოველივე ამის შედეგად დაიწყო ქართული საბჭოთა მწერლობის ახალი აღმავლობა.

ჩვენს იდეოლოგიურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის შრომების გამოქვეყნება. ამ შრომებით საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი — ენათმეცნიერების სტალინური ეტაპი. ამ შრომების მნიშვნელობა სცილდება ენათმეცნიერების ფარგლებს. ისინი წარმოადგენენ შემოქმედებითი მარქსიზმის ბრწყინვალე ნიმუშებს.

„ამხანაგ სტალინის ახალმა შრომებმა ცხადყო ბევრი ნაკლი ჩვენი მუშაობისა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების საქმისადმი ხელმძღვანელობაში. ეს პირველ რიგში ეხება ქართული ლიტერატურული ენის განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს“ (კ. ჩარკვიანი). ამხანაგ სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომების საფუძველზე გამახვილდა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის ამოცანა.

ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისათვის განსაკუთრებით ძვირფასია ის მკაცრი, მაგრამ სავსებით ობიექტური და სამართლიანი შეფასება, რომელიც ამხ. კ. ჩარკვიანმა თბილისის კომიტეტის XX პარტკონფერენციაზე მისცა ამ დარგის ზოგიერთ მუშაკთა შემოქმედებას. ამხ. კ. ჩარკვიანმა მეცნიერების კორიფეის — სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომებში მოცემულ სახელმძღვანელო მითითებათა საფუძველზე დაახასიათა ქართული სამწერლო ენის ისტორია და გაარკვია ლიტერატურული ენის დღევანდელი მდგომარეობა. ამხ. კ. ჩარკვიანმა გააკრიტიკა რა ზოგიერთი საბჭოთა მწერლის ენობრივი დაუდევრობანი და დამახინჯებანი, ქართული საბჭოთა მწერლობის ყურადღების ცენტრში დააყენა ბრძოლა ენის სიწმინდისათვის. მან ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყურადღება გაამახვილა „წარსულის ზოგიერთი დიდი მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების საქმეში“ და ვაჟა-ფშაველას შეფასების მაგალითზე გვიჩვენა ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისების ჭეშმარიტი ბოლშევიკური ხაზი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ქართულ მწერლობას არ აკლებს ამხანაგ ლ. ბერიას მიერ დანერგილ სტალინურ მზრუნველობასა და დახმარებას.

ამხ. კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამომწურავი შეფასება მისცა ომისა და ომისშემდგომი პერიოდის ქართულ ლიტერატურას და დაუსახა მას მორიგი ამოცანები. ეს ამოცანები ჩვენი მწერლობისაგან მოითხოვს კიდევ მეტ დაახლოებას ჩვენს სოციალისტურ სინამდვილესთან, ჩვენს მღელვარე ცხოვრებასთან. მხოლოდ ასეთი დაახლოებით შესძლებს მწერალი კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანების მართალი და დამაჯერებელი სახეების შექმნას. არ [illegible] — ქართულ ლიტერატურა ისე [illegible] კავშირებული ხალხთან, როგორც საბჭოთა ეპოქაში, არც ერთ სხვა ქვეყანაში არა აქვს ისეთი ღრმა, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი ინტერესები დაკისრებული ლიტერატურას და ხელოვნებას, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

ომისშემდგომი ქართული საბჭოთა ლიტერატურა კვლავ გამდიდრდა ახალი, მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით, განსაკუთრებით თვალსაჩინოა უკანასკნელ ხანს ქართული საბჭოთა პოეზიის წარმატებები. ქართული საბჭოთა პოეზიის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქართველი პოეტების ლექსების ორი წიგნი, მიძღვნილი დიდი სტალინისადმი. ერთი მათგანი გამოიცა 1946 წელს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის თავთან დაკავშირებით, ხოლო მეორე — 1949 წელს — დიდი ბელადის დაბადებიდან 70 წელთან დაკავშირებით.

ამ წიგნში თავმოყრილია ყველა ის საუკეთესო პოეტური ქმნილება, რაც ჩვენს პოეტებს შეუქმნიათ სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლისა და კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვარის—სტალინის შესახებ. სტალინისადმი მიძღვნილი ლექსების კრებულების გამოცემა ტრადიციად დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში. ეს კარგი ტრადიცია მოდის 1936 წლიდან. მისი ინიციატივა ეკუთვნის ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლ. ბერიას.

1949 წელს გამოცემული კრებული— „დიდ სტალინს“ — იხსნება ალექსანდრე აბაშელის ლექსით „მზის დღეს“. ეს სიუჟეტიანი ლირიკული ლექსი მოგვითხრობს სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის მღელვარე ამბებს. ლექსში ლირიკული განცდით და ოსტატურად არის აღწერილი ბელადის დაბადება, ბავშვობის დღეების

მოგონება, მისი პირველი შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან, ბათუმის 9 თებერვლის ამბები, სტალინისა და ლენინის თანამეგობრობა, მათი გენიის ნაყოფი — პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა — და ომის დღეების მოგონება, როცა ჩვენს „ხალხს წინ გაუძღვა სტალინი, სარდალი მძლეთა-მძლეველი“ და საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის წარმმართველი „გულდინჯი და ბრძენი და შორს გამჭვრეტელი“. პოეტმა იცის, თუ რა ღრმა პოეტურ შთაგონებას და შემოქმედებითი დაძაბულობას მოითხოვს იმ ადამიანის მხატვრული სახის შექმნა,

„ვინც ჩვენი დიდი მომავლის
წარმტაცი სახე დახატა
და ჩვენი დედა-სამშობლო
ძლევამოსილი გახადა.“

გულწრფელად ამბობს პოეტი: „წვეთში მზე როგორ მოთავსდეს, ლექსში სტალინის დიდება“. მაგრამ, რაც უფრო ძნელია ამოცანა, მით უფრო დიდია პასუხისმგებლობა ჩვენი პოეტებისა; ისინი უდიდესი სიყვარულითა და მონდომებით ცდილობენ დახატონ ბრძენი ბელადის სახე. ამ კრებულში ბევრია მაღალი პოეტური გზნებით შესრულებული ლექსი. მათ შორის უნდა დავასახელოთ ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ვ. გაბისკირიას, რ. გვეტაძის, ალ. გომიაშვილის, ი. გრიშაშვილის, კ. კალაძის, გ. ლეონიძის, ა. მირცხულავას, ი. მოსაშვილის, გ. კაჭახიძის, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილის, ს. ჩიქოვანის, ალ. ქუთათელის, ს. შანშიაშვილის, კ. ბობოხიძის, ს. ეულის, ალ. ადამიას ლექსები.

საქართველოს სახალხო პოეტი გ. ტაბიძე თავის ლექსში — „სტალინს“ — მიმართავს რა ბელადს „გმირული ხალხის, საყვარელი ხალხის“ სახელით, უსურვებს მას — პროგრესიული კაცობრიობის იმედს — დიდხანს სიცოცხლეს. სტალინმა კაცობრიობას პირველად აჩვენა საქმით „ერთა ძმობის ძალა“. სტალინი — შემოქმედებითი შრომის, ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორობის დიდი მედროშეა. პოეტი წერს:

„აჰა გაისმა ასეთ დღისათვის
სიტყვა სიმართლის სივრცედ შემდგარი:
მშვიდობისათვის, მშვიდობისათვის,
მშვიდობისათვის ბრძოლა მედგარი“.

გ. ლეონიძემ 1946 წელს დაამთავრა ახალი პოემა სტალინზე „ბერშოულა“. ამ პოემაში ცხოვრების ღრმა სიმართლეა ასახული. ბერშოულა პოეტის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ის მართალი, განზოგადოებული სახეა, რადგან ბერშოულასავით ყოველი საბჭოთა ადამიანი ოცნებობს შეხვდეს „იმ დიდ კაცს, რომელიც თანამედროვე ჩვენს ცხოვრებას სათავეში უდგას“. ცხრა ვაჟისა და ორი ქალის მამის, მხცოვანი პატრიოტის, 80 წლის მეწისქვილის — ბერშოულას გულისწადილი დიდი პოეტური გზნებით არის დახატული. ასევე ნაჩვენებია მისი თავდადება და სიყვარული დიდი ბელადისადმი.

სტალინის თემაზე დაწერილ ლექსებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ს. შანშიაშვილის ლექსი „შენ გულმართალო, ხელმართალო ადამიანო“. ენერგიული პოეტური ფრაზისა და ხატოვანი სიტყვების საშუალებით ს. შანშიაშვილი ქმნის უდიდესი გენიოსის მართალ და დიდებულ სახეს. ბელადის სიბრძნემ „აგვიცხადა საოცნებო და უნახავი“ იგი „მუდამ ჩვენთვის ზრუნვაშია“. ამ დიდი თემით შთაგონებული პოეტი პოულობს მოხდენილ შედარებებს, ეპითეტებს, ნათელ პოეტურ საღებავებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთი ძირითადი თემა იყო და არის ხალხთა სტალინური მეგობრობის თემა. ამ თემაზე ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნა. ქართველი საბჭოთა პოეტები გატაცებით უმღერიან საბჭოთა ხალხ-

ბის სტალინურ მეგობრობას, უმღერიან დიდ რუს ხალხს, მოძმე რესპუბლიკების ხალხებს. ხალხთა ძმობის თემაზე უკანასკნელ წლებში დაწერილ ლექსებს შორის აღსანიშნავია ჩვენი კარის მეზობლების სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხებისადმი მიძღვნილი ლექსები. მათ შორის უნდა დავასახელოთ, ალ. აბაშელის „სომეხ ხალხს“, ი. გრიშაშვილის „საბჭოთა სომხეთს“ „ავეტიკ ისააკიანს“ და სხვ.

„ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა, რასაც ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ საფუძველი ჩაუყარა ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც შექმნა და გამოაწრთო ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციები; მეგობრობა, განმტკიცებული, ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, რუსი, სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი მუშებისა და გლეხების სისხლით; მეგობრობა გასხივოსნებული ცარიზმის წინააღმდეგ, მემამულეთა და ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა გმირული ბრძოლის ტრადიციებით — ეს მეგობრობა მტკიცეა და ურყევი“ (ლ. პ. ბერია).

ქართველი მწერლების წმინდა პატრიოტული ვალია უფრო მეტი ენერგიით და მონდომებით იმუშაონ ხალხთა სტალინური მეგობრობის თემაზე და ახალ-ახალი ნაწარმოებებით ხელი შეუწყონ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უდიდესი მამოძრავებელი ძალის — ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებასა და გაღრმავებას.

— : : —

ქართული საბჭოთა ლიტერატურა, ისე როგორც მთელი საბჭოთა მწერლობა, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის უშუალო მონაწილეა.

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში უდიდესი გარდაქმნები ხდება. ქართველი პოეტები თავიანთ ლექსებში უმღერიან ჩვენი გრანდიოზული მშენებლობების მოწინავე ადამიანებს, ასახავენ მათს შემოქმედებითს პათოსსა და მათს ახალ გრძნობებს. ამ მხრივ, უმჯობესია სახელოთ პოეტების: გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, ა. აბაშელის, ა. მირცხულავას, გ. აბაშიძის, გ. ტაბიძის, ი. მოსაშვილის, რ. გვეტაძის, გ. კაჭახიძის, ი. ნონეშვილის, რ. მარგიანის, ვ. ჟურულის და სხვათა ახალი პოეტური ნაწარმოებები თანამედროვეობის თემებზე.

პოეტმა გ. ლეონიძემ ომისშემდგომ პერიოდში გამოაქვეყნა რამდენიმე ლირიკული ლექსი, რომლებშიაც იგი უმღერის გამარჯვებულ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, კომუნიზმის მშენებელ ძარღვმაგარ მუშებსა და კოლმეურნეებს. ეს ლექსებია: „რაიკომის მდივანს“ „კომუნიზმის ხარაჩოები“ და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ. გ. ლეონიძის ახლახან დაბეჭდილი ლექსების ციკლი დემოკრატიული უნგრეთის შესახებ, პოეტი აქ დემოკრატიული უნგრეთის თანამედროვეობის სიდიადის გამოსახატავად მიმართავს ერთგვარ კონტრასტის ხერხს, აცოცხლებს ამ ხალხის გმირულ და დუხჭირ წარსულს და შემდეგ ამას უპირისპირებს შესანიშნავი აწმყოს ნათელ სურათებს.

პოეტმა ს. ჩიქოვანმა ომისშემდგომ პერიოდში რამდენიმე ლირიკული ლექსი გამოაქვეყნა. მათ შორის უნდა აღინიშნოს ლექსების ის ციკლი, რომელშიაც მან გამოხატა დემოკრატიულ გერმანიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. მათ შორის კარგია ლექსი „პოტსდამისადმი“, პოეტმა აქ „მოგონების თვალით“ განსჭვრიტა სამამულო ომის დღეები, საბჭოთა ჯარის გამარჯვება, მტრის განადგურება მისივე ბუნაგში. პოეტს თვალწინ უდგას დიდი სტალინის — გამარჯვების დიდი სარდალის სახე, მშვიდობის დიდი მედროშის სახე. თუ პოეტი, ერთის მხრით, ხედავს, რომ „შრომა ნერგავდა სიცოცხლის ხალისს და მზეც ჰგავდა **საყვა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელ სტალინს“, მეორეს მხრივ, იგი გრძნობს, რომ ამერიკელ თვითმფრინავს მოაქვს ომის ყრუ ხმები პოტსდამის ცაზე. მაგრამ პოეტის ღრმა რწმენით, ხალხი წინ აღუდგება იმპერიალისტების ზრახვებს, რადგან სტალინის მიერ პოტსდამში თქმული „დღეს ხალხებს დაუქვს მქუხარე გულით“ და „ხალხი დაახშობს მთელის ხმის ძალით“ ომის გამჩაღებელთა ბოროტ გეგმებს.

ს. ჩიქოვანმა თავის შემდგომ მუშაობაში უნდა იბრძოლოს იმ ნაკლოვანებათა (ენობრივი დამახინჯებანი, ბუნდოვანი სახეები) აღმოფხვრისათვის, რაზედაც მას სავსებით სამართლიანად მიუთითა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა და ასევე ჩვენმა პრესამ.

თანამედროვეობის თემა, ჩვენი ეპოქის აქტუალური მოვლენები გამოხატულებას პოულობენ ჩვენი ნიჭიერი პოეტის ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში. ი. გრიშაშვილმა რამდენიმე საინტერესო ლექსი გამოაქვეყნა ამ უკანასკნელ დროს. მათ შორის უნდა დავასახელოთ დიდი ლირიკული მგზნებარებით დაწერილი ლექსი „თბილისის სიხარული“. ამ ლექსში გრიშაშვილმა გამოხატა ქართველი ხალხისა და მთელი ამიერკავკასიის ხალხების მადლიერების გრძნობა დიდი ბელადის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი, რომელმაც განახორციელა სტალინური სტრატეგია კავკასიის მისადგომებთან და უკუაგდო ფაშისტთა ურდოები. გამოხატავდა რა მთელი ჩვენი ხალხის ამ მადლიერების გრძნობას ი. გრიშაშვილი წინა საარჩევნო კრებაზე ასე მიმართავდა ამხანაგ ლ. ბერიას:

„სიმებს ცეცხლი ეკიდება,
ამ სიხარულს ნეტა რა სჯობს,
შენ სალამი, შენ დიდება,
შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს“.

ი. გრიშაშვილი თავისი პოეტური სიტყვით გვერდში უდგას საბჭოთა ადამიანებს თავიანთ შრომასა და ბრძოლაში. პოეტი უმღერის სოციალისტური მშენებლობის ობიექტებსა — რკინიგზას („სინათლე“), ქუთაისის ავტოქარხანას („მოდის ქართული ავტომობილი“), საკოლმეურნეო მინდვრებს („ქართული ციტრუსები უკრაინაში“), ფეროქარხანას; („ფეროქარხანა“); — პოეტი დიდი გრძნობითა და სიყვარულით ხატავს საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომასა და ბრძოლას.

პოეტი ხედავს, რომ იმპერიალისტი ყაჩაღები კვლავ იარაღს აჟღარუნებენ და ომისთვის ემზადებიან, მაგრამ მას სწამს, რომ სტალინის დროშა უძლეველია:

„არ დაირღვევა მამული ძველი,
აყვავებული ქართლის ბუნება,
ქარი, ავი და განუკითხველი,
ჩვენს კარს ამაოდ ეჯახუნება.
ჩვენი რწმენა და ჩვენი დიდება
კვლავ წინ მიგვიძღვის ალისფერ დროშით,
ქართველი ერის გაბედითება
ეს არ მოხდება სტალინის დროში“.

უკანასკნელ დროს რამდენიმე საინტერესო ლექსი გამოაქვეყნა კ. კალაძემ. ეს ლექსები შევიდა მის ახალ წიგნში — „ისევ მშობლიურ სოფელში“. ეს წიგნი უმთავრესად მიზნად ისახავს სოციალისტური სოფლის ომისშემდგომი პერიოდის მხატვრულ ასახვას. პოეტი ცდილობს დაგვიხატოს ომისშემდგომი საკოლმეურნეო სოფლის მართალი სახე. პოეტური უშუალობით, ნათელი მხატვრული სახეებით და რომანტიკული ფერებით იგი ხშირად აღწევს შექმნას ღრმად ემოციური ლექსი, განსაკუთრებით კარგია ლექსები: „გმირის ვარსკვლავი“, „მედოქეები“, „რუსთაველისაკენ“ და სხვა.

ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა პოეტი ალიო მირცხულავა. მან გამოაქვეყნა ახალი ლექსების ციკლი, რომელშიაც უმღერის ომგადახდილ საბჭოთა ხალხს, მის შრომასა და ბრძოლას. გასულ წელს მან გამოსცა ახალი ლექსების წიგნი, რომელშიაც ჩანს მაღალი

პოეტური კულტურა, წერის ორიგინალური მანერა და თანამედროვეობის ღრმა განცდა.

პოეტი ი. აბაშიძე კვლავ აგრძელებს საბჭოთა პატრიოტული ლირიკის იმ ტრადიციას, რომელიც მან „კაპიტან ბუხაიძით“ დაიწყო. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ლექსები: „რა დაგავიწყებს“ „ქართველო სანამ გაქვია ქართვლი“ პოეტი იგონებს საქართველოს ძველი კულტურის აკვანს — თურქ დამპყრობლების მიერ მიტაცებულ მიწა-წყალს და წერს:

„რა დაგავიწყებს შენს ძველ ნაკვნარს,
რა დაგავიწყებს იმ ძველ საბუდრებს,
ზედ რომ წინაპრის სუნთქვა დააკვდა
და მტრებმა ცეცხლით დაისაკუთრეს.“

პოეტის აზრით, ყოველ ჭეშმარიტ ქართველს ახლაც ესმის ოშკის ზარების რეკვა, თვალწინ უდგას ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლი — ხახული; ქართველი ხალხი მათ ვერასოდეს ვერ დაივიწყებს, როგორც მისი კულტურის, მისი მიწა-წყლის ნაწილს.

უკანასკნელ დროს ი. აბაშიძემ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „ჰყვავის გურია“. ეს ლექსები არა მარტო ირაკლი აბაშიძის, არამედ მთელი ჩვენი პოეტური კულტურის მაღალ დონეს მოწმობენ. აქ შესანიშნავად არის დახატული აღორძინებული და განახლებული საბჭოთა გურია. ლურჯად მოლივლივე პლანტაციებისა, ამღერებული მთა-ბარისა და კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომის ფონზე დახატულ ამ სურათს დიდ პოეტურ ძალას აძლევს ლექსის მდიდარი პოეტური საღებავები.

ლექსების ამ ციკლში განსაკუთრებით ძლიერია ლექსი „ამიერიდან აქ დავსახლდები“. აქ თქვენ გესმით შორეული ხმები ჩვენი კლასიკური პოეზიისა, ოცნება ჩვენი კლასიკოსებისა ერთიანი მთლიანი, თავისუფალი საქართველოს შესახებ. პოეტი ქართველი საბჭოთა ადამიანის პატრიოტული აზრისა და ფიქრის გამოხატვას აღწევს ნათელი შედარებების გზით.

ლექსში „ხიდისთავი“ პოეტი ხატავს გურიის რევოლუციური წარსულის სურათს და ჩვენს შეგნებაში ცოცხლდება ის მღელვარე დღეები,

„როცა გადასცა ხალხს ჯუღაშვილმა
სიტყვა, ფოლადში გამოკვეთილი.“

წარსულის ამ რომანტიკულ მოგონებას სცვლის ჩვენი დიდებული აწმყოს განცდა, სტალინური მზით განათებული ქვეყნის სურათი:

„გადასცურდები წლებში ერთხანად,
ფიქრებს წარსული შეერკინება...
თვალს გადაავლებ უცებ ქვეყანას
და გულს სიამე მოეფინება.“

ირაკლი აბაშიძე პოეტური კონტრასტების საშუალებით ახერხებს მიაღწიოს თანამედროვე საბჭოთა სინამდვილის ნათელი და მართალი სურათის დახატვას. ასე იქცევა ის მაშინაც, როდესაც გურიის წარსულის ფრიად დამახასიათებელ და ტიპიურ სურათებს ხატავს. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსები: „სისონა დარჩია“, „ნინოშვილის ჩანჩეთი“.

ლექსების ამ ციკლის ღირსება ისიც არის, რომ პოეტი ეძებს ყოველთვის დამახასიათებელს, ტიპიურს, შემდეგ მის განზოგადოებას, პოეტურ დახასიათებას გვაძლევს და ამის მიხედვით იქმნება ძველისა და ახალი ცხოვრების დამახასიათებელი დეტალებისა და ეპიზოდების ძლიერი მხატვრული სურათი.

ირაკლი აბაშიძის ეს ლექსები ღრმად წვდება ჩვენი ადამიანების გულს.

ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ უკანასკნელ წლებში ნიჭიერი საბჭოთა პოეტი გრიგოლ აბაშიძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა პოეზიის ეპიურ ჟანრში. სამამულო

ომის შემდეგ გრიგოლ აბაშიძემ გამოაქვეყნა რამდენიმე პოემა. მათ შორის უნდა დავასახელოთ პოემები: „ზარზმის ზმანება“, „ფოლადის აკვანი“, ლექსების ციკლი „სამხრეთ საზღვარზე“ და „სამგორის ველზე“.

„ზარზმის ზმანება“ ეხება სამამულო ომის თემას. პოემა ყურადღებას იპყრობს საინტერესო, ორიგინალური სიუჟეტური კომპოზიციით. ამ პოემაში ნათლად ჩანს საბჭოთა ადამიანების მორალური თვისებები, მათი ჰუმანიზმი.

გ. აბაშიძის მეორე პოემა დაწერილია ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის თემაზე. პოემაში დახატულია მშენებლობის ცოცხალი სურათები. მშენებლობის სურათებს სცვლის ახალი ქალაქის კონტურები, მისი ლამაზი შენობები. კარგად არის ნაჩვენები ახალ ქალაქში ქართველთა დასახლება. პოემის მთავარი გმირის არჩილის მშობლები რუსთავში მიდიან და შვილისშვილისათვის აკვანი მიაქვთ. სამამულო ომში დაღუპული მამის პირმშო ახალი ქალაქის პირმშო ხდება. პოეტი სიმბოლიურად აზოგადოებს ახალი ქალაქის სახეს: „რუსთავი თავად აკვანი არის, რკინის აკვანი უზარმაზარი, შუქი ჩაწვება ამ დიდ აკვანში, ელვა გაჩნდება ცაში კაშკაშით“.

გრიგოლ აბაშიძე მეტად ცხოვლად ეხმაურება ჩვენი ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. აღსანიშნავია მისი ლექსების ციკლი „სამხრეთ საზღვარზე“. პოეტმა ჩვეული ოსტატობითა და სიმახვილით გვიჩვენა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი შრომის გამომხატველი სურათები. შემდეგ პოეტი გვიხატავს თურქ დამპყრობთა მიერ მიტაცებულ მიწა-წყალზე მონობაში მყოფ ქართველთა უნუგეშო ყოფას. პოეტი იცავს თურქ დამპყრობლების მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს — ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურის კერის — საქართველოსთვის დაბრუნების იდეას. ამით ის გამოხატავს ქართველი ხალხის საუკუნეობრივ ოცნებასა და განწყობილებას.

პოეტმა და დრამატურგმა ი. მოსაშვილმა სამამულო ომის შემდეგ დასწერა რამდენიმე საინტერესო პოეტური ნაწარმოები. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ: „იყოს სამშობლო სიმღერით სავსე“, „სამგორის ქარი“ და „აი, ქართველო, შენი სამშობლო“.

პოეტი უმღერის სამგორის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს, რომელთაც დამწვარ მიწას სიცოცხლე უნდა ჩაუდგან, უმღერის რუსთავის ფოლადს, პირველ ქართულ საბჭოთა ფოლადს, ქართულ ავტომობილს, „ჩითახევიდან წამოსულ ელვას“. პოეტს სწამს, რომ სამამულო ომში გამარჯვებული საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომაშიაც გამარჯვებული გამოვა: — „გამარჯვებული ხუთწლედის თავზეც, კრემლში მივიტანთ სტალინურ დროშას“.

პოეტი ალ. გომიაშვილი იმთავითვე საბჭოთა პოეტის დამახასიათებელ განწყობილებებსა და აზრებს მეტწილად მთის ყოფის მასალაზე შლიდა. ამით იგი ერგვარად ეხმაურებოდა ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის თემატიკურ სამყაროს. მაგრამ პოეტი არ იფარგლებოდა ამ თემატიკით. იგი გატაცებით უმღეროდა სოციალისტურ მშენებლობასა და საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომასა და ბრძოლას. ალ. გომიაშვილმა ომის შემდეგ გამოაქვეყნა საინტერესო ლექსები: „ლავრენტი ბერიას“, „სიმღერა თბილისისა“ და სხვ.

ომისშემდგომ პერიოდში ფრიად ნაყოფიერ შემოქმედებას ეწევიან ომის წლებში დაწინაურებული ნიჭიერი საბჭოთა პოეტები: ი. ნონეშვილი, რ. მარგიანი, ხ. ბერულავა. ი. ნონეშვილმა ამ უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოებები გა-

მოაქვეყნა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ლექსი „ლავრენტი ბერიას“. 1950 წ. ი. ნონეშვილმა გამოაქვეყნა თავისი ლექსების ახალი წიგნი, რომელშიაც ნათლად მოჩანს ამ ნიჭიერი პოეტის იდეური და მხატვრული ზრდა.

აღსანიშნავია რევაზ მარგიანის ლექსების ციკლი: „სიმღერა კომუნიზმისა“, რომელიც მან საქართველოს ბოლშევიკების ყრილობას უძღვნა და რომელშიაც პოეტმა პოეტური უშუალობით გამოხატა საბჭოთა საქართველოს დიდი მიღწევები სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა ხუტა ბერულავამ მიმდინარე წელს გამოაქვეყნა ახალი ლექსები და პოემა „რუსული გული“. ეს პოემა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს არის მგზნებარე სიმღერა დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის თანამეგობრობისა კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე.

უკანასკნელ წლებში საყურადღებო ლექსები გამოაქვეყნეს სამამულო ომის წინა წლებისა და ომის შემდგომ წლებში გამოსულმა ახალგაზრდა პოეტებმა: ან. თევზაძემ, ა. შენგელიამ, ანა კალანდაძემ, ვახტანგ გორგანელმა, მურმან ლებანიძემ, ოთარ ჭელიძემ, მიხ. ქვლივიძემ, შ. ფორჩხიძემ, თეიმურაზ ჯანგულაშვილმა, ა. სულაკაურმა აკ. გეწაძემ და სხვ. უნდა აღინიშნოს რომ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის დადგენილების შემდეგ ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა ძირითადად დაადგა რეალისტური შემოქმედების გზას. თუ ომის პირველ წლებში მათ წრეში საგრძნობი იყო ჩვენი ახალგაზრდობისათვის სრულიად მიუღებელი მისტიკური და სევდიანი მოტივების გავლენა, უკანასკნელ დროს მათი შემოქმედება უფრო მტკიცედ გაიმსჭვალა საბჭოთა ადამიანების მოწინავე იდეებით და ოპტიმისტური განწყობილებით.

ომისშემდგომ გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებთა კრებულებს შორის უნდა აღინიშნოს ქართველი პოეტების ლექსების კრებული მოსკოვზე. მოსკოვი ყველა საბჭოთა ადამიანის საუკეთესო ფიქრისა და ოცნების, სიყვარულისა და თავდადების სიმბოლოა. მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს დიდი სტალინი. მოსკოვი არის გული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსი, მოსკოვს იმედის თვალით შეჰყურებს მთელი მსოფლიოს ჩაგრული ხალხი. მოსკოვი „მსოფლიოს გული მფეთქავი“ — ასე ახასიათებენ ქართველი პოეტები მოსკოვს.

უეჭველად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქართულ საბჭოთა პოეზიაში დამკვიდრდა ლირიკული ლექსების ციკლი. ეს უთუოდ არის თავისებური სახე ახალი პოეტური ეპოსისა. ყოველ შემთხვევაში, ეს ფორმა მნიშვნელოვნად აფართოებს ლირიკული ლექსების ფარგლებს და მათ უახლოვებს ეპიურ ტილოებს. ეს კარგი ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელის ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანის მითითებით დაიწყეს ქართველმა მწერლებმა, და უნდა ითქვას, რომ საგულისხმო შედეგსაც მიაღწიეს.

ასეთია მოკლედ ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების გზა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში.

ამხანაგმა სტალინმა მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრები უწოდა. ქართული საბჭოთა მწერლობა მთელი თავისი ძალებით იბრძოდა ამ მაღალი როლის შესრულებისათვის. მიუხედავად ამისა, ქართული საბჭოთა ლიტერატურა ჯერ კიდევ ვერ უსწორებს მხარს საბჭოთა საზოგადოებრივ

ცხოვრების პროცესებს. მას ჯერ კიდევ არ აუსახავს ძრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა და ფაქტი ჩვენი სოციალისტური სინამდვილისა. ჩვენი ეპოქის ახალი ადამიანები, ამ ადამიანების გმირული შრომა, სოციალისტური წარმოებისა და საკოლმეურნეო შრომის სახელოვანი გმირები, ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები — ჯერ კიდევ ვერ პოულობენ სრულყოფილ მხატვრულ გამოსახვას ჩვენს ლიტერატურაში. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანს, როდესაც იგი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამბობდა: „ომის შემდეგ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი გარდატეხა, ჯერ კიდევ არ გამხდარა მწერლობისათვის შემოქმედებითი წარმოსახვის საგანი. ქართველ მწერალთა საზოგადოებრიობამ, მწერალთა კავშირმა სერიოზულად უნდა იფიქრონ ამ საკითხზე“. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამ მითითების შემდეგ ორმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ერთგვარი გარდატეხა მოხდა ქართულ მწერლობაში. უკანასკნელ წლებში დაიბეჭდა რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსების ციკლი, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციეს ქართველმა პოეტებმა. ყველაფერი ეს ქართული მწერლობის შემდგომ აღმავლობას მოწმობს. მაგრამ თუ ჩვენ ამ აღმავლობას შევაფასებთ იმ დიდი მოთხოვნილებების მიხედვით, რომლებსაც მკითხველები უყენებენ მწერლობას, მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მწერლობა კვლავ ვალში რჩება საბჭოთა მკითხველების წინაშე.

„უეჭველია, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები გამოასწორებენ ჩვენი მხატვრული ლიტერატურის ჩამორჩენილ უბნებს და შექმნიან ნაწარმოებებს, რომლებიც ღირსეულად წარმოსახავენ საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის — კომუნიზმის ამ ერთგული მშენებლების დიად შემოქმედებით შრომას, ცხოვრებას, გრძნობებსა და მისწრაფებას“ (კ. ჩარკვიანი). ახალი ნაწარმოებების შექმნასთან ერთად ჩვენი მწერლობის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ქართული ენის ყოველგვარ დამახინჯებას, პოეტური ენის ბუნდოვანებასა და დანაგვიანებას, ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მიერ თბილისის პარტიულ კონფერენციაზე დასახულ ამოცანების საფუძველზე უნდა მივაღწიოთ ქართული ენის შემდგომ სრულყოფას.

ქართველ საბჭოთა მწერლებს ყველა პირობები აქვთ იმისათვის, რომ შექმნან სტალინური ეპოქის შესაფერი ნაწარმოებები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავრენტი კალანდაძე

ქართული საბჭოთა პროზის გმირი

★

ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ძლიერი და მრავალფეროვანი შინაარსის მხატვრული წარმოსახვის დიდი და მთლიანი ფორმების შექმნისა და განვითარების პროცესი ნათლად მოსჩანს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგში.

ეს პროცესი თვალნათლივია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაშიაც, კერძოდ ქართულ პროზაშიაც. თუმცა პროზა ჯერ კიდევ არ ქცეულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის წამყვან ჟანრად. ეს კი აუცილებელია, რადგან პროზა მხატვრული ლიტერატურის ყველაზე ტევადი ფორმაა; მას ყველაზე მეტად შეუძლია მოიცვას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე, ჩვენი სინამდვილის ყველა სფერო. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა, 1949 წლის იანვარში, საქ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, დასახა გარკვეული ამოცანა, რომ „პროზა ჩვენი ლიტერატურის მთავარი ჟანრი უნდა გახდეს“.

ამ ამოცანის შესასრულებლად ქართულ საბჭოთა მწერლობას გააჩნია ძალებიცა და ყველა საჭირო პირობაც.

თუ ოდესმე რომელიმე ისტორიულ ეპოქაში არსებობდა ხელოვნებისა და ლიტერატურის მონუმენტური, მთლიანი ფორმების წარმოშობისა და განვითარების პირობები, ყველაზე მეტად ეს პირობები არსებობენ ჩვენს დიად სტალინურ ეპოქაში.

სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ვითარებაში, ისე როგორც არასდროს, ხდება ახალი საზოგადოებრივი ფსიქოლოგიისა და ადამიანთა ახალი მორალური ბუნების, მისი ღრმა შინაგანი მთლიანობის გამომუშავება. სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა არა მარტო შეგნებაში, არამედ ემოციებშიაც მკვიდრდებიან ისეთი ამაღლებული სულიერი თვისებები, როგორიცაა სოციალისტური ჰუმანიზმი, კოლექტივიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საზოგადოებრივი შრომის მოთხოვნილება, შემოქმედებითი სიხარული და უანგარობა. და განა ნათელი არ არის, რომ მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია შეიგრძნოს საერთოსახალხო საქმისათვის თავდადების სილამაზე და პოეზია, ვინც გამსჭვალულია კოლექტივისტური შეგნებით და ვინც თავისუფალია ინდივიდუალიზმისაგან; მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია დაინახოს ადამიანის სიდიადე და სილამაზე, ვისაც უყვარს ადამიანი; მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია იგრძნოს ხალხთა მშვიდობის, ბედნიერების და პროგრესის უმაღლესი პოეზია, ვისაც უყვარს ხალხი, სწამს მისი ძალა, სწამს მისი მომავალი. შინაგანად დარღვეულ ადამიანებს—ინდივიდუალისტებს, ეგოისტებს, კაცთმოძულეებს არ აქვთ მომადლობელი ამაღლებული მოქალაქეობრივი იდეალების პოეზიის შეგრძნების ნიჭი. თუ ისინი რაიმე ვითარებაში მაინც ახსენებენ ამ იდეალთაგან რომელიმეს, მათ სიტყვაში იმდენივე გულწრფელობა იქნება რამდენიც ნიანგის ცრემლებშია. განა ადამიანური

სიკეთის, ჭეშმარიტებისა და სილამაზის პოეზია შეუძლია შეიგრძნოს დღეს ამერიკის იმპერიალისტთა ხროვამ, რომლის სულისკვეთება ასე აშკარად გამოხატა ამ ხროვის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბერნარდ ბარუხმა, რომელმაც ჯერ კიდევ 1946 წელს, როდესაც მსოფლიოს სისხლი და ცრემლი არ შეშრობოდა, — სთქვა: „მსოფლიო მშვენიერი გვეჩვენება ომის ველურობათა დროს, მაგრამ იგი თითქმის აუტანელი ხდება, როდესაც ომი დამთავრებულია“. ამასთან დაკავშირებით, სავსებით გასაგებია ცნობილი ამერიკელი პროგრესიული მწერლის ჰოუარდ ფასტის შემდეგი სიტყვები: „იმ საზოგადოებაში, რომელსაც აჩანაგებს წინააღმდეგობანი, რომელიც იხრჩვება თავისი ეკონომიკის ქაოსში და თავის ხსნის საშუალებას ეძებს საზარელ მსოფლიო ომში, — ლიტერატურა — თავის უმეტეს ნაწილში, — ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს ჯანსაღი. ამერიკის მხატვრული და კრიტიკული ლიტერატურა დაავადებულია, მძიმედ დაავადებულია...“

ცნობილია, რომ ლიტერატურის და ხელოვნების მთავარი საგანი ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანი. და იქ სადაც ადამიანი გაუფასურებულია, სადაც მისი გრძნობები და აზრები გაღარიბებული და გამოფიტულია, სადაც მისი მისწრაფებები და ვნებათაღელვანი ბიწიერი და დაკნინებულია, არ შეიძლება არსებობდეს დიდი ფორმისა და ამაღლებული იდეალების ლიტერატურა. ამის ცოცხალ მაგალითს დღეს წარმოადგენს ამერიკის რეაქციული ლიტერატურა, რომლის მთავარი გმირები არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ დაკნინებაში მისულან ყოველივე ადამიანურის უარყოფამდე. ჰოუარდ ფასტი თავის წიგნში „ლიტერატურა და სინამდვილე“ ახასიათებს თანამედროვე ამერიკის რეაქციულ ლიტერატურას და სანიმუშოდ ასახელებს მის ერთ-ერთ ყველაზე [illegible] წარმომადგენელს — ფრანც კაფკას, რომლის წიგნებს ძალიან დიდი გასავალი ჰქონია ამერიკაში. ფრანც კაფკას ყველაზე ცნობილი რომანია „მეტამორფოზები“, რომელშიაც ჯდაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ მივიდა რომანის გმირი იმ დასკვნამდე, რომ ის არის ფურნის ხოჭო. ადამიანი უდრის ჭიას — აი მთელი ფილოსოფია რეაქციული ლიტერატურისა. და აბა, რა პოეზია, რა საკაცობრიო იდეალები და რა გმირი უნდა მოეთხოვოს იმ სოციალურ სინამდვილეს, იმ საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ადამიანთა იმ წრეს, რომელთაც საზოგადოებრივი შეგნება ადამიანისა და ხოჭოს გატოლებამდე მიჰყავთ.

არა, დღეს ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის ნამდვილი განვითარება დაკავშირებულია დიად სოციალურ გარდაქმნათა მატარებელ პროგრესულ ძალებთან, რომელთათვისაც გზის მანათობელ შუქურას წარმოადგენს საბჭოთა კავშირი თავისი საზოგადოებრივი წყობილებით, თავისი იდეოლოგიით, თავისი მეცნიერებით, ხელოვნებითა და ლიტერატურით.

საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა დღეს მსოფლიოში. მისი გმირებია არა უბადრუკი არსებანი, რომელთაც თავი ხოჭოებად წარმოუდგენიათ, არამედ ადამიანი-დევკაცები, რომლებიც ამენებენ უმშვენიერეს ქვეყანას. ესენია კორჩაგინები, კოშევოები, ბატმანოვები და მთელი გალერეა უშესანიშნავესი გმირებისა, რომლებიც ნამდვილად არიან გამომხატველნი გონების, ჭეშმარიტების და სილამაზის უმაღლესი იდეალებისა. და დიადი საბჭოთა ლიტერატურის გმირთა ამ გალერეაში შედიან ქართული საბჭო-

თა ლიტერატურის, კერძოდ ქართული საბჭოთა პროზის საუკეთესო გმირებიც.

ქართული საბჭოთა პროზა დღეს გამოსულია განვითარებისა და აღმავლობის ფართო გზაზე. იგი უკვე ორგანიულად არის დაკავშირებული საბჭოთა სინამდვილესთან და თავისი ძირითადი მხატვრულ-იდეური ტენდენციებით შეესატყვისება და გამოხატავს ჩვენი სოციალისტური ეპოქის ბუნებას.

რასაკვირველია, ქართული პროზის გაძოსვლა ამ ფართო გზაზე არ მომხდარა ერთბაშად და უმტკივნეულოდ.

ახალი სოციალური გარემო, ცხადია, მთავარი საფუძველია მხატვრული შემოქმედების ახალი საფეხურისათვის, მაგრამ მხატვრული შემოქმედებისათვის ასევე აუცილებელია ისტორიული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით წარსულის ის მხატვრული ტრადიციები, რომლებიც ყველაზე მეტად ენათესავებიან ახალი ეტაპის მთავარ მოტივებს.

ქართულ საბჭოთა პროზას ასეთი მემკვიდრეობითი კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ ქართული კლასიკური პროზის, კერძოდ, მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ქართველი მწერლების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, გიორგი წერეთლის, დავით კლდიაშვილის და სხვათა პროზის რეალისტურ ტრადიციებთან, რაც თავის მხრივ განაყოფიერებული იყო მეცხრამეტე საუკუნის დიდი რუსული კლასიკური მწერლობის ცხოველმყოფელი გავლენით.

ქართული კლასიკური პროზის უღრმესი ხალხური საწყისები, დიდი სამოქალაქო და ეროვნული მოტივები, ჰუმანისტური და დემოკრატიული იდეები ჰქმნიდნენ სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის მთლიან რეალისტურ ფორმებს.

მაგრამ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების ნიადაგზე აღმოცენებულმა ქართულმა დეკადანსმა ერთგვარად გზა გადაუღობა ქართული კლასიკური ლიტერატურის ჯანსაღ ტრადიციებს. შემოქმედების ხალხური საწყისების ძომლით და დიდი სამოქალაქო მოტივების უგულვებელყოფით დეკადანსმა დაარღვია და დააკნინა მხატვრული ფორმაც. ქართულ დეკადანსს არ შეუქმნია არც ერთი დასრულებული მხატვრული სახე, არც ერთი მთლიანი გმირი. და ეს გასაგებიც არის, რადგან დარღვეულ ფსიქოლოგიას და მოშლილ ნებისყოფას არ შეუძლია აღიქვას მთლიანი ფორმა, არ შეუძლია დაინახოს გმირი მთლიანობაში და გამოკვეთოს მისი მონუმენტური სახე.

დეკადენტურ მსოფლშეგრძნობას არ შეეძლო დაენახა და შეექმნა ისეთი მთლიანი გმირი, ისეთი დასრულებული სახე, როგორიც არის ლეო ქიაჩელის ტარიელ გოლუა.

სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში იმ თავითვე გაჩაღდა ბრძოლა დეკადანსის საკმაოდ ძლიერი გადმონაშთების წინააღმდეგ ქართული კლასიკური ლიტერატურის რეალისტურ-დემოკრატიული ტრადიციების აღსადგენად და სოციალისტური ლიტერატურის დასამკვიდრებლად. ბრძოლა შეეხო ლიტერატურული პროცესის ყველა მხარეს. მაგრამ მთავარი მაინც მხატვრული შემოქმედების შინაარსის საკითხი იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის რევოლუციური ვითარება ქართულ ლიტერატურას თითქოს პირდაპირ კარნახობდა ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკას, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის თემატიკას. სწორედ ეს იყო ქართული საბჭოთა პროზის განვითარების პირველი ეტაპის ძირითადი ხაზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგშიაც ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის განვითარებაში, ისე როგორც მთელი ქართული საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ლიტერატურის იდეურ გაჯანსაღებაში, უდიდესი როლი შეასრულა ამხანაგ ლავრენტი ბერიას შრომამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ისტორიულ-რევოლუციური მოვლენები და რევოლუციური მოღვაწეები, განსაკუთრებით კი ბრძენი ბელადის — სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოვლეხები და ადამიანები, ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში აქამდე რჩება მხატვრული შთაგონების უდიდეს ობიექტებად.

თუ ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატთა ძველი თაობის საუკეთესო ნაწილი თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში შეგნებულად სძლევდა დეკადენტურ გადმონაშთებს, საბჭოთა მწერლების ახალი თაობა ბრძოლაში იწ ოობოდა, ბრძოლაში სწავლობდა და ისე მიიკვლევდა გზას სოციალისტური რეალიზმისაკენ. ეს იყო ახალი ლიტერატურული პროცესი, რასაც წარმართავდა ლენინ-სტალინის დიადი პარტია და რაც ხასიათდებოდა საბჭოთა სინამდვილესთან ორგანიული დაკავშირების, ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების აღდგენისა და რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ცხოველმყოფელი გავლენის გაძლიერების ტენდენციებით. ეს იყო ლიტერატურული განვითარების კანონზომიერი გზა. ამიტომ უეჭველად შეცდომაა საქმის ისე წარმოდგენა, რომ თითქოს ქართული საბჭოთა პროზის მიბრუნება დიდი და მთლიანი რეალისტური ფორმისაკენ მოხდა რომელიმე ერთი ნაწარმოების ბიძგით. მით უმეტეს, რომ მხატვრული პროზის დიდი მოცულობა ყოველთვის სრულიადაც არ გულისხმობს დიდ რეალისტურ ფორმას.

ქართული პროზის განვითარების შემდეგ ეტაპს ახასიათებს შედარებით დიდი ტილოები კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალიზმის შეტევის საკითხებზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების თემებზე.

ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცება ქართულ პროზაში აღინიშნა მისი შემდგომი მხატვრულ-იდეური ზრდით და თემატიკური მრავალფეროვნებით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივების გაძლიერება. ამ მოტივების უდიდესი ძალით გახმაურება ქართულ საბჭოთა პროზაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა ლიტერატურაში, მოხდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული თემების დამუშავება, რასაც ქართულ საბჭოთა პროზაში საგრძნობი ადგილი ეთმობა, ძირითადად განსაზღვრა მისწრაფება იმისა, რომ ხალხის გმირული ისტორიული ტრადიციების ჩვენებით გაღრმავდეს და განმტკიცდეს საბჭოთა ადამიანების პატრიოტული გრძნობები, გაძლიერდეს საბჭოთა პატრიოტიზმი.

მართალია, ქართული საბჭოთა პროზა ჯერ კიდევ საგრძნობლად შორს არის ჩვენი ცხოვრების მდიდარი და მჩქეფარე შინაარსის სრულყოფილი წარმოსახვისაგან, მაგრამ იგი მაინც წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს ერთგვარ მხატვრულ ბიოგრაფიას.

ქართულმა საბჭოთა პროზამ თავისი განვითარების გზაზე უკვე შექმნა გმირთა მთელი წყება, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად უეჭველად ასახიერებენ ქართველი საბჭოთა ხალხის ხასიათს, მის როლს, მის არსებით ნიშან-თვისებებსა და სულიერ ინტერესებს.

ეს შეეხება ყველა გმირს, რადგან თანამედროვე მწერლობის გმირები, რომელ ეპოქასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, არსებითად გამოხატავენ თანამედროვე მწერლობის თვალსაზ-

რისს და ამდენად ისინი თანამედროვე გმირებიც არიან.

შესაძლოა, ზოგიერთი ამ გმირთაგან იყოს უფერული, სქემატური, მათ, როგორც მხატვრულ სახეებს, აკლდეთ საღებავები, ცოცხალი შტრიხები, კონკრეტულობა და თუ გნებავთ იდეური დახვეწილობაც. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ქართული საბჭოთა პროზის ყველა ძირითადი დადებითი გმირი, ისტორიულია იგი თუ თანამედროვე, უეჭველად არის გამომხატველი ამა თუ იმ ამაღლებული საზოგადოებრივი იდეალისა, ამა თუ იმ პროგრესიული ტენდენციისა.

ქართულ საბჭოთა პროზას ისე როგორც მთელ საბჭოთა ლიტერატურას, ჰყავს ერთი დიდი შთამაგონებელი გმირი. არ არის არც ერთი ქართველი მწერალი, რომელიც უმძაფრესი შემოქმედებითი თრთოლვითა და უღრმესი სიყვარულით არ შეხებოდეს ამ გმირის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, ამა თუ იმ ეპიზოდს.

მისი გონება უდიდეს საკაცობრიო სიბრძნეთა საგანძურია. მისი გული ადამიანურ სიკეთეთა დაულეველი მადანია.

მოვიყვანოთ ორიოდე შტრიხი მისი მხატვრული სახისა.

უბრალო და ღრმად ადამიანურია იგი ლეო ქიაჩელის მთისკაცთან შეხვედრის დროს.

კაცი, წარმოშობილი იმისათვის, რომ სახე უცვალოს ჩვენს პლანეტას და ბედნიერება დაუმკვიდროს მის მშრომელ მოსახლეობას, — აგერ დგას ბათუ ქარდუა მშვენიერ ცხენთან და დაწვრილებით აღწერს მისი აღნაგობის თავისებურებას. მთის კაცს უკვირს, ჩვენებური მთის ცხენის ამბავიც როგორ სცოდნიაო. ნანადირევმა მიიქცია დიდი ადამიანის ყურადღება. თვალს იტაცებს შურთხის მოხატული ბუმბული. ფერთა დიდებული შეხამება, ზომიერება, გემოვნება, სიზუსტე მოუწონა ბუნებას არამც თუ ბუნების, არამედ მთელი ცხოვრების დიდმა გარდამქმნელმა. შემდეგ მისი ფიქრი ბუნებრივად გადაეცა ხალხის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხისაკენ: „ერთი მითხარი, ძმობილო, კოლმეურნეობას თუ ჰყავს ასეთი ცხენები?... კოლმეურნეობას უკეთესი ცხენები უნდა ჰყავდეს. მას მეტი მოეთხოვება“. კოლმეურნეობის საქმიანობა რომ გამოჰკითხა, სიტყვა ფუტკარზე ჩამოვარდა, და დიდმა კაცმა ქართული ჯიშის ფუტკარიც შესანიშნავად დაახასიათა. როცა სიტყვა მთის სოფლის უგზოობას შეეხო, მან მთისკაცს ჩვენი ტექნიკის რწმენაც მოუწონა. ასე გაიბა გულითადი საუბარი ქვეყნის მესაჭესა და უბრალო კოლმეურნეს შორის, და ამაში ნათლად გამოჩნდა ის ცოცხალი, უწყვეტი ძაფები, რომლებიც გაბმულია ბელადსა და მრავალმილიონ უბრალო ადამიანთა შორის. ეს ეპიზოდი საკვირველი ეფექტისათვის არ არის გათვალისწინებული, მაგრამ მკითხველი ნათლად გრძნობს არა მარტო ბელადის დიდ ადამიანურ მასშტაბებს, არამედ იმ უბრალო ადამიანთა უდიდეს ამაღლებას, რომლებიც ბელადის ფიქრთა მოზიარენი ხდებიან.

ქართული საბჭოთა პროზა ბელადის განვლილ გზასაც გვიჩვენებს.

არა, ის პრომეთე არ იყო, ის ათასჯერ პრომეთე იყო. პრომეთე ერთი ჯაჭვით იყო შებორკილი. მას კი ცარიზმის შავი რეაქციის ყველა ჯაჭვი და ბორკილი ედვა: ციხე, ციმბირი, დევნა. მაგრამ ციხის რომელი კედლები დაამწყვდევდა აზრთა ოკეანეს, რომელი გადასახლება გატეხდა რკინისებურ ნებისყოფას, რომელი ქარბუქი დასძლევდა დევკაცურ ენერგიას. შალვა დადიანის პატარა მოთხრობა „ქარბუქი“, რომელშიაც მოთხრობილია სტალინის გამოქცევა გადასახლებიდან, გვიხატავს ბუნების საშინელ სტიქიასთან შეჭიდებულ ტიტანის სახეს. და ეს არა სიმბოლიურად, არამედ პირდა-

პირ მნიშვნელობიოაც რეაქციის ძალებთან შეჭიდება იყო. რატომაც არ უნდა ხარობდეს მკითხველი, რომ თავს ადამიანად გრძნობს და ადამიანის სულის ძალას კი მთების დაძვრაც შეუძლია.

რა ნათელი, რა მზიურია ბელადის ბავშვობა დემნა შენგელაიას „ყრმობაში". მკითხველს თვალწინ უდგას ალსავსე ბავშვი, გულითადი, სულიერად და ფიზიკურად შეკრული, ბავშვურად რაინდი მეგობრობაში, ოცნებაში, მისწრაფებებში, გონიერი და მგრძნობიარე. რა იცოდნენ, ან რას მიხვდებოდნენ მეფის გონებაჩლუნგი სატრაპები, თუ რა დიდი სოციალური შურისგების ქარიშხალს იწვევდნენ გენიოსი ბავშვის სულში, როცა გორში სახრჩობელაზე აჰყავდათ უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანები. მაგრამ ამ ქარიშხლის დაბადებას დღეს ხედავს „ყრმობის" მკითხველი.

აი, სიკეთით სავსე გულის დაძგერება სიკვდილის ძალებთან, მკვირცხლი და გონიერი სახის ბავშვი თავის პატარა მეგობრებთან ერთად გორის ციხის ნანგრევებზე აცოცდა. მას სურდა ეხილა ჯალათების ბნელი საქმიანობა. მაგრამ ადამიანთა ჩამოხრჩობის შემზარავი სურათით შეძრწუნებულმა იქვე მდგომ ცუდად ჩაცმულ, მაგრამ სახეზე მადლმოფენილ ძიას სთხოვა შეშველებოდა დაბლა ჩამოსვლაში. შეზიზღდა სიკვდილის ზეიმი იმ გულს, იმ სულს, რომელშიაც პოტენციონალურად უკვე იზრდებოდა და მწიფდებოდა უმაღლესი ზნეობრივი და ესთეტიკური აღფრთოვანება იმით, რომ „სიყვარული ამარცხებს სიკვდილს". ბავშვი სტალინისა და ჭაბუკი გორკის შეხვედრის ეს სურათი კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მოგზაურიდან", შექმნილია მწერლის ფანტაზიით, მაგრამ აქ არის დიდი სიმართლე მგზნებარე გულის შესახებ.

ქართულ პროზაში ბევრი მოიძებნება ასეთი გულში ჩამწვდომი [illegible]. მაგრამ ბელადის მეტად [illegible] სრულყოფილი მხატვრული სახის შექმნა ქართულ ლიტერატურას მაინც წინ უდევს.

—::—

არ შეგიძლიათ არ უთანაგრძნოთ ამ ჭაბუკს, რომელსაც მთელი თავისი ახალგაზრდული მგზნებარე არსებით სწყურია სამართლიანობა და სიკეთე. მართალია, ის არ არის მტკიცედ გარკვეული რევოლუციონერი, მან ბევრი რამ არ იცის სოციალური უსამართლობათა ნამდვილი მიზეზებისა და მათი მოსპობის ჭეშმარიტი გზების შესახებ. ის თითქოს ჯერ კიდევ ხალხოსნურ-ბუნტარული განწყობილებათა სტიქიაშია. მაგრამ იგი ებრძვის მეფის რუსეთის ბნელეთისმოციქულებს, ებრძვის სემინარიაში გამეფებულ სულშემხუთავ რეჟიმს და სჯერა, რომ კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტი, და ამ ძლევის გზაზე მისი ბრძოლა რაღაც ნაყოფს მაინც მოიტანს. მან არ იცოდა, რომ ინდივიდუალური ტერორი კეთილის გამარჯვების გზა არ იყო, მან არ იცოდა, რომ ერთი მოკვეთილი ჯალათის ნაცვლად თვითმპყრობელობა ზღაპრული დევივით ათასობით ჯალათს ამოიყრიდა. მან მოჰკლა თბილისის სემინარიის რეაქციონერი დირექტორი, ბნელეთის ობერმოციქული ჩუდეცკი.

ჩუდეცკის მკვლელი — იოსებ ლალიაშვილი არის ანა ხახუტაშვილის რომანის „იოსებ ლალიაშვილის" მთავარი გმირი. იგი ერთგვარი წინამორბედია უმაღლესი ტიპის რევოლუციონერთა იმ სტალინური რაზმისა, რომელმაც ერთადერთმა წარმართა სწორი გზით მშრომელი მასების ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბედნიერებისათვის.

და აი ამ რაზმის ერთ-ერთი უშესანიშნავესი წარმომადგენელის — ლადო კეცხოველის მხატვრული სახე უდგება თვალწინ ი. ლისაშვილის რომანის „ლა-

დო კეცხოველის“ მკითხველს. თუ კომპოზიცია მთლიანად ჰქმნის სისხლსავსე და დამაჯერებელ მხატვრულ სახეს, სისუსტე ცალკეული დეტალების შესრულებაში არც თუ ისე ხაზგასასმელია. მწერალმა ამ ბიოგრაფიულ რომანში უეჭველად შესძლო უანგარო ადამიანის, რევოლუციის შესანიშნავი რაინდის წარმტაცი სახის ჩვენება. ვეცნობით ცხოვრებას იმ ადამიანისას, რომლის მთელი არსება გაუთავებელი ამბოხება იყო ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის გული ხალხის სიყვარულის უწყვეტი სიმღერა იყო, და ვხედავთ ზნეობრივი და ესთეტიკური საწყისების დიდებულ მთლიანობას თავიანთ განვითარებაში. ხალხისათვის თავდადება, ზნეობრივი სისპეტაკე ადამიანის სიცოცხლეს აქცევს უმაღლეს ესთეტიკურ ფენომენად. ლადო ვერაგულად მოჰკლეს საკანში ცარიზმის ჯალათებმა, მაგრამ მისი ცხოვრების გზა იმდენად მშვენიერია, რომ ყველა ჭეშმარიტი რევოლუციონერი გაიმეორებდა იმავე გზას უცვლელად. ლადო კეცხოველისებური ადამიანები ასწავლიან კაცობრიობას სიცოცხლის აზრს, სიცოცხლის მშვენიერების საიდუმლოებას. მოიგონეთ ფაშისტების საკანში გამომწყვდეული ფრანგი კომუნისტი „ჰუმანიტეს“ რედაქტორი—გაბრიელ პერი, რომელიც დახვრეტის წინ სწერდა მეგობრებს: „...საპატიმროს მღვდელმა ეს-ეს არის მაცნობა, მე ახლა დამხვრეტენ, როგორც მძევალს... დე, ჩემმა მეგობრებმა იცოდნენ: მე ერთგული დავრჩი იმ იდეალისა, რომელსაც მთელ სიცოცხლეში ვემსახურებოდი... უკანასკნელად შევამოწმე ჩემი თავი. ჩემი სინიდისი დამშვიდებულია! მინდა, თქვენ ყველას გითხრათ: სიცოცხლის თავიდან დაწყება რომ მომიხდეს, მე ისევ ამავე გზას გავყვებოდი“.

განა ასეთივი წყობის არ არის საბჭოთა მებრძოლის ის მშვენიერი მორალური სამყარო, რომელიც ასე ამაღელვებლად არის გამოხატული ი. აბაშიძის ლექსში — „კაპიტანი ბუბაევ“?

„რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევსწირავდი მშობელ მხარეს,
შევსწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ეს ტიტანების ფიქრი და გრძნობაა. და მართლაც, რა მშვენიერი, რა დიდებულია ადამიანი, რომელსაც თავის პატარა სხეულში შეუძლია ჩაიტიოს გოლიათური ძალები დიდი საკაცობრიო მიზნების მისაღწევად. და რა უბადრუკნი არიან ისეთი მწერლები, რომელთაც ადამიანი უსუსურ არსებად წარმოუდგენიათ.

ქართველი მკითხველი იცნობს მებრძოლ რევოლუციონერთა არა ერთსა და ორ საყურადღებო მხატვრულ სახეს, შექმნილს ქართული საბჭოთა პროზის მიერ.

აი ბეგლარ ძიგუა-ლადარია პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯებიდან“. ის გურიის 1903—1905 წლების რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი სტიქიური მეამბოხიდან ამაღლდა თანმიმდევარ ბოლშევიკ-რევოლუციონერამდე. მისი გზა სათავეშივე გაეყარა რეაქციის ბანაკში გადაბარგულ ძმის გზას. და ამ კონტრასტში გახსნილია ერთი შესანიშნავი კანონი ცხოვრებისა: ვაჟკაცობა, სიმამაცე, გმირობა და დიდსულოვნება არასდროს არ შეიძლება იყოს რეაქციის მხარეზე. ეს თვისებები მხოლოდ მათი კუთვნილებაა, ვინც ცხოვრების აღმავალ გზას მიჰყვება, ვინც პროგრესისა და რევოლუციის მხარეზეა. იმისათვის, რომ რეაქციის საქმე აკეთო, საკმაოა იყო ლაჩარი, სულმდაბალი, ეგოისტი და წვრილმანი ინსტინქტებით გამსჭვალული არსება. დიდი ვნებები და დიდი გრძნობები მხოლოდ დიდი პროგრესი-

ული მიზნით აღფრთოვანებულ სულში იბადებიან.

სავსებით ბუნებრივი გრძნობაც კი, გრძნობა მშობელი დედის სიყვარულისა ნამდვილი ადამიანური და წმინდა მხოლოდ ბეგარისათვის — ამ მებრძოლი — რევოლუციონერისათვის არის; რეაქციის დამქაშისათვის — სულმდაბალ ძიკისათვის კი იგი მხოლოდ ველური ინსტინქტია, ზოოლოგიური ეგოიზმის წუმპეში გასვრილი.

თუ პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯების" გმირები დაკავშირებულია გურიის გლეხობის 1903 — 1905 წლების რევოლუციური მოძრაობისა და ნასაკირალის ამბებთან, ლეო ქიაჩელის რომანის „სისხლის" შესანიშნავი გმირი-რევოლუციონერები თვალწინ გვიშლიან საქართველოს რევოლუციური მატიანის ერთ-ერთ საყურადღებო ფურცელს — პატიმარ რევოლუციონერთა გადასარჩენად ქუთაისის ციხიდან საიდუმლო ხვრელის გაყვანის ამბებს. რადგან ეს რომანი საკმაოდ არის დახასიათებული ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში და მკითხველისათვისაც კარგად ცნობილია, ჩვენ მასზე აღარ შევჩერდებით.

ამ წყების გმირთაგან საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ მიხა ჩხეტიანი — 1917 — 1920 წლებში მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ რაჭა-ლეჩხუმის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი — ელიზბარ ზედგინიძის რომანიდან „განთიადის წინ". ამ „ღვირიშელმა გლეხუშამ" ჯერ კიდევ ადრევე გაბედა და მარულაში გაეჯიბრა გადიდგულებულ მეძამულეს. ეს თითქოს პირველი ხმის ამოღება იყო თავის ადამიანურ უფლებებზე დაჩაგრული გლეხისა. მიხას ზნეობრივი მე სუფთა და უშუალო. მან მკაცრად დაუგმო სულმოკლეობა თავის ქვისლს თევდორეს, რომელმაც ჯარისკაცობის თავიდან აცილების მიზნით თითი გადაიკვეთა. პირველი იმპერიალისტური ომიდან სამშობლოში დაბრუნებული, ლენინის აზრებით გამდიდრებული, კლასობრივად გამოფხიზლებული მიხა ჩხეტიანი ნაბავეში უდგება რაჭა-ლეჩხუმის აჯანყებას მენშევიკების წინააღმდეგ. იგი აღთქმასავით დაატარებს გულით შეურიგებლობას რევოლუციის მტრებთან. და მაშინაც კი, როდესაც იგი აჯანყების დამარცხების შემდეგ დასახვრეტად მიჰყავთ, მისი სული უდრეკია, იგი ხედავს უკვდავებას მომავალ გამარჯვებაში.

საქართველოში კლასობრივი ბრძოლის შესანიშნავ ფურცლებს გვიშლიან და ხალხის წიაღიდან გამოსულ შესანიშნავ ადამიანთა სახეებს გვიხატავენ თავიანთ ფართოდ ცნობილ ნაწერებში სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე ბორის ჩხეიძე, დავით სულიაშვილი და სხვები.

ქართულ საბჭოთა პროზაში ასახულ რევოლუციური ბრძოლებისა და რევოლუციურ გმირთა ცხოვრების მაგალითზე მკითხველი ნათლად ხედავს, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი წინსვლის ვითარებაში აწრთობს ადამიანი თავის ნამდვილ ადამიანურ არსებას, რომ „რევოლუცია აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ სხვა არავითარი საშუალებით არ შეიძლება გაბატონებული კლასის დამხობა, არამედ იმიტომაც, რომ მებრძოლ კლასს მხოლოდ რევოლუციაში შეუძლია გაიწმინდოს ძველი საზოგადოების ყოველგვარი სიბინძურისაგან და გახდეს ახალი საზოგადოების შექმნის უნარიანი" (მარქსი და ენგელსი).

*

* *

სცდება, ღრმად სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანის ნიჭი, ადამიანის ესა თუ ის მაღალი სულიერი თვისება მხოლოდ მისი კერძოობითი თვისებაა. ძლიერ შემცდარია ის ვინც ფიქრობს, რომ შოთას, ბარათაშვილის,

ილიას და აკაკის გენია მხოლოდ მათი განსაკუთრებული ინდივიდუალობაა, მათი განსაკუთრებული ბიოლოგიური კონსტიტუციის შედეგია. რომ ეს ასე იყოს, მაშინ არცერთ ერს, არცერთ ხალხს საამაყო არაფერი ექნებოდა თავისი გამოჩენილი ადამიანებით, მაშინ ტალანტი მხოლოდ ბიოლოგიური შემთხვევითობა იქნებოდა. არა, ყოველ გენიაში, ყოველ მაღალ სულიერ თვისებაში დაკრისტალებულია ხალხის, ერის პოტენციონალური ძალა, ხალხის სულიერი ენერგია. ხალხის ეროვნული პოტენციის დაკრისტალების შესანიშნავი პროცესის მონაწილენი არიან შორეული წინაპრებიც. ამიტომაც გვიყვარს და გვხიბლავს ჩვენ ისინი.

მკითხველს თვალწინ უდგას სიმშვენიერითა და სინარნარით აღსავსე, დიდი სახელმწიფოებრივი გონებით დაჯილდოებული ქართველი ქალი, რომელსაც საოცარი შინაგანი ძალით შეუძლია დააცხროს თავისი ადამიანური ვნებები საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. იგი ებრძვის ფეოდალურ პარტიკულარიზმს, როგორც ქვეყნის დაშლისა და დასუსტების დიდ საფრთხეს, იღწვის ქვეყნის აყვავებისათვის, იღწვის ხალხის გამხნევებისა და ამაღლებისათვის. ეს არის თამარი შალვა დადიანის „გიორგი რუსიდან“. რა ვუყოთ, რომ იგი მწერალს რამდენიმედ თეატრალური გამოუვიდა. ჩვენ მაინც ვგრძნობთ ამ რომანში თამარის სიდიადეს, რომლის ეპოქამ შოთას გენიას შთააგონა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, და, რაც მთავარია, ვგრძნობთ ხალხს, როგორც ისტორიის ნამდვილ შემოქმედს, როგორც ისტორიის ცოცხალსა და უკვდავ ძალას.

მრავალ ისტორიულ ქარტეხილებსა და ბედუკუღმართობაში გამოტარებული ქართული ეროვნულობა მეთვრამეტე საუკუნეში საბედისწერო მიჯნას მიადგა. დიდი ექსპანსიური სახელმწიფოების რკალში მოქცეულს ყველა შესაძლებელ ბოროტებათა შორის ერს უნდა აერჩია ნაკლები ბოროტება, და აქ იყო საჭირო შორს გაქანებული ბრძნება, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც თავის მგზნებარე სულისკვეთებას, სოლომონებისა და სოფიოების სულისკვეთებას დაუმორჩილებდა ცივი გონებით მიგნებულ გარდაუვალ ჭეშმარიტებას. თავის ბედის რუსეთთან დაკავშირება საქართველოსთვის იყო ერთადერთი პროგრესიული გზა ყველა გზათა შორის. სწორედ ეს გზა განსჭვრიტა ერეკლე მეორემ. ა. ბელიაშვილის „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალის“ მკითხველი ნათლად ხედავს ამ შესანიშნავი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, ნიჭიერი სარდლისა და დიდი ვნებების ადამიანის დამაჯერებელ სახეს. იგი დაუღალავი მაშვრალია თავის ქვეყნის განმტკიცებისათვის, ფრთხილი და იქვნეულია მტრების მიმართ, თავაზიანი, დინჯი და ტაქტიანი შესაძლებელი მეგობრების მიმართ, სწრაფი, მაგრამ აუჩქარებელი, შემმართებელი და გაბედული ბრძოლებში, ეროვნული კულტურის მოამაგე და გულისხმიერი ადამიანი.

საყურადღებოა რომანში XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტის ბესიკის სახე. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ სახეს დიდი მხატვრულ-იდეური დატვირთვა ჰქონდეს. საჭირო ეთიკურ და ესთეტიკურ სიმაღლეზე ვერ არის აყვანილი მისი სამიჯნურო თავგადასავალი. მაგრამ იგი მაინც გვხიბლავს თავისი ტემპერამენტით, ვაჟკაცობითა და პოეტური ბუნებით.

გმირთა ერთობ მრავალფეროვან გალერეას იძლევა ალ. ჭუთათელი თავის მრავალტომიან ისტორიულ-სოციალურ რომანში „პირისპირ“. რომანის მოქმედება იშლება 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. რომანში ასახულია ამ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ და სახელმწი-

ფოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ ვრცელ ფონზე დახატულია სხვადასხვა კლასებისა და ფენების, კერძოდ კი ქართული ინტელიგენციის სხვადასხვა წრეების წარმომადგენლები; ნაჩვენებია ის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კრიზისი, რასაც იწვევდა ერთმანეთში შექსოვილი მენშევიზმი, ნაციონალიზმი, ლიბერალიზმი და დეკადანსი. რომანის მთავარი გმირის — წარმოშობით არისტოკრატიული წრეების, არსებითად კი წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტის — კორნელი მხეიძის რთული ფსიქო-იდეოლოგიური ევოლუციის ჩვენებით, რაც დაკავშირებულია ტიპიურ საზოგადოებრივ ვითარებებთან, მწერალი მჩატვრულად ასაბუთებს, რომ მხოლოდ რევოლუციურ მუშათა კლასს და მის ავანგარდს — ბოლშევიკურ პარტიას შეეძლო დაეყენებინა საქართველო სოციალ-პოლიტიკური და ეროვნული აღორძინების გზაზე, რომ მხოლოდ მუშათა კლასის რევოლუციური იდეოლოგიის მიღებას შეეძლო ეხსნა ქართველი ინტელიგენცია დაკნინებისა და ინტელექტუალური კრიზისისაგან. კორნელი მხეიძე იმ ძველი ფორმაციის ქართველი ინტელიგენტის სახეა, რომელიც ერთობ რთული და მიკლაკნილ-მოკლაკნილი გზით მიდის სოციალისტური რევოლუციის ძალებთან.

ქართველ მკითხველს კარგად ახსოვს ძველი, რევოლუციამდელი ქართველი გლეხის მეტად კოლორიტული სახე — ბათა ქექია დემნა შენგელაიას ამავე სახელწოდების რომანიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბათა ქექია თავის ინტონაციით ძლიერ ახლოს ენათესავება რომენ როლანის კოლა ბრუნიონს, რაშიაც დასაზრახი არაფერია, — იგი ნამდვილი ქართველი გლეხია ქართული ჰუმორით, ქართული გონებამახვილობით, ქართული ტემპერამენტით. ბათა ქვეყნიერებას, ცხოვრებას განიცდის როგორც უმაღლეს სიკეთეს. თუ შემთხვევა ექნა, იგი თავის ძალებს უკეთესად მოახმარს იმას, რომ ცხოვრება ამ ქვეყნად უკეთესად მოეწყოს. აკი იგი ერთნაირად კიდევაც უკავშირდება თავისი დროის რევოლუციურ მოძრაობას. მიუხედავად მისი დროის ცხოვრების უკეთესმართი პირობებისა, ბათა გაუტეხავი გულის კაცია, იგი უსაშველო ოპტიმისტია. უნდა ვიფიქროთ, რომ ცხოვრების უკეთესმართმა პირობებმა შეიტანეს მის ცხოველმყოფელ ოპტიმიზმში ცოტაოდენი ცინიზმიცა და ეპიკურეიზმიც. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მასში ძლიერ დიდია სიკეთის გრძნობა, მეტად ძლიერია ცხოვრების უკეთ მოწყობის წყურვილი, ბათას შეუძლია გვასწავლოს სიცოცხლის სიყვარული, მაგრამ ჩვენი — საბჭოთა ადამიანების ოპტიმიზმი სულ სხვაა, აქ არ არის წინააღმდეგობა სოციალისტურ სინამდვილის პირობებსა და ადამიანის ნათელ, იმედიან განწყობილებას შორის.

თუ რა დიდი წყარო, რა დიდი სოციალური სიკეთე ასაზრდოებს საბჭოთა ადამიანების ოპტიმიზმს ამას ჩვენ ვხედავთ უკვე საბჭოთა ეპოქის გმირთა მაგალითებზე.

გვადი ბიგვა ლეო ქიაჩელის ამავე სახელწოდების რომანიდან უკვე სხვა ფორმაციის ქართველი გლეხია. იგი არ არის ქართველი გლეხობის პირადი ტიპი, იგი არ არის საბჭოთა სოფლის მთავარი ფიგურა. პირიქით, იგი ერთობ მდარე ადამიანური მასალაა. იგი ძველი სოფლის დუხჭირი პირობებით დამახინჯებული, ძველი სოფლის იდიოტიზმით ხელდაკრული ადამიანია. გვადი ბიგვა პირველად ზარმაციც არის, ცოტათი ხელგამკრავიც და ანტისაზოგადოებრივი განწყობილების კაციც. მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის მისული იმ საზღვრამდე, რომლის იქით უკვე კაცი კაცურ მასალადაც აღარ ვარგა. მასში არის რაღაც სიკეთე, მას უყვარს, ძლიერ უყვარს თავისი ბავშვები და სწყურია,

რომ ისინი კარგი და ბედნიერი ადამიანები გახდნენ. მისი არსების სიღრმეში სთვლემენ კეთილი ადამიანური ძალები. უნდა ვიფიქროთ, რომ ღრმად ჰუმანიურმა საბჭოთა მწერალმა სწორედ იმიტომ ჩაავლო ხელი ამ მდარე ადამიანურ მასალას, რომ ეჩვენებინა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უდიდესი გარდამქმნელი როლი. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ ცხოვრების დიდი სიმართლის მიწვდომით შესრულებულ მხატვრულ სახეს, ვხედავთ ადამიანის დიადი განკაცების პროცესს. საკოლმეურნეო მოძრაობის ცხოველმყოფელმა გავლენამ, საბჭოთა სოფლის ხელმძღვანელთა სწორმა, ბოლშევიკურმა დამოკიდებულებამ რადიკალური გარდატეხა გამოიწვია გვადი ბიგვას შეგნებაში, ახალი საზოგადოებრივი გრძნობები აღძრა მასში. იგი უკვე შეცვლილი ბუნებაა, საკოლმეურნეო სოფლის ახალი ადამიანია. ამ სახის, ამ ხასიათის განვითარებაში მკითხველი ნათლად და დამაჯერებლად ხედავს, თუ როგორ სცვლის და აკეთებს ადამიანის ბუნებას შეცვლილი სოციალური გარემო.

ვინ არ იცის დღეს, თუ როგორ დასძრა, როგორ ამოიყვანა მაღლა, როგორ ამოიყვანა მზის სინათლეზე ხალხის უღრმესი ქვედა ფენები სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა საზოგადოებრივმა სისტემამ. საბჭოთა ლიტერატურა გამსჭვალულია ჩვენი ცხოვრების ამ გრანდიოზული პროცესის მაღალი პოეზიით.

გვადი ბიგვასთან შედარებით მექი ვაშაკიძე — კონსტანტინე ლორთქიფანიძის „იმერეთის ცისკრიდან“ — უფრო ყამირი ბუნებაა. მისი ახალი ხასიათის ფორმირებისათვის არც თუ ისე რთული ძველი ფსიქოლოგიის მსხვრევაა საჭირო. მართალია, ამ ყველასაგან აბუჩად აგდებულ და შეურაცხყოფილ მოჯამაგირეს დაკარგული აქვს საკუთარი ადამიანური ღირსების შეგნება. მაგრამ ეს მისი სულის ატროფიორებული ნაწილი კი არ არის, არამედ ბერვახსნილი და ტკივილებისა — ეროტიზმა. ამიტომ არის რომ მასში საოცარ სიბეჩავის გვერდით ზოგჯერ თითქოს კაცნიერი გულისწადილიც იღვიძებს. მაგრამ საერთოდ იგი ცხოვრების დუხჭირი პირობებით გასრესილი ადამიანია. და აი სწორედ ეს ადამიანი საბჭოთა ხელისუფლებამ, საკოლმეურნეო მოძრაობამ არა მარტო იხსნა სოციალური ჩაგვრისაგან, არა მარტო შეუქმნა მას მატერიალური კეთილდღეობის პირობები, არამედ დაუბრუნა ყველაზე დიდი სულიერი განძიც—პირადი ადამიანური ღირსების შეგნება. მხოლოდ ამ სოციალურ და ფსიქოლოგიურ სარბიელზე შეიძლებოდა ქცეულიყო ის სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანად. შეხედეთ, როგორ გაფართოვდა მისი გონებრივი თვალსაწიერი, როგორ გაიზარდა მისი სულიერი ინტერესები, როგორ ამაღლდა მისი საზოგადოებრივი გრძნობები. იგი ყოველმხრივ გამარჯვებული ადამიანია. მექი ვაშაკიძის ცხოვრების გზა სოფლის უღარიბესი ფენების ტიპიური გზაა საბჭოთა სოფლის განვითარების პირველი ეტაპისათვის.

ტარასი ხაზარაძე კონსტანტინე ლორთქიფანიძის იმავე რომანიდან სოფლის ბოლშევიკ-ხელმძღვანელის ერთი-ერთი ყველაზე შესანიშნავი სახეა მთელს ქართულ ლიტერატურაში. მკითხველს ამ ხასიათში ხიბლავს მტკიცე შინაგანი მთლიანობა, სიმართლისმოყვარეობა, უანგარობა, ადამიანობის ღრმა რწმენა, თვითკონტროლის შესანიშნავი უნარი, სიმხნევე და სიმამაცე. მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი არის აქტიური, გარდამქმნელი, იგი ბუნებით ნოვატორი ადამიანია. ტარასი ხაზარაძე ეკუთვნის საბჭოთა სოფლის იმ ახალ ადამიანთა წყებას, რომლებიც კოლექტიურ შეურნეობათა შესანიშნავი ინიციატო-

რები და ორგანიზატორები იყვნენ. მისი კრისტალური მორალური საძყაროს ძთავარ შინაარს შეადგენს იმის ღრმა რწმენა, რომ საერთო-სახალხო ინტერესები ყოველგვარ პირადულზე ძალლა დგას, რომ პირადი ბედნიერება მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობის გზით მოიპოვება.

მართალია, ქართულმა საბჭოთა პროზამ შექმნა სოციალისტური ქალაქის, სოციალისტური მრეწველობის ადამიანთა მხატვრული სახეებიც (ს. თავაძის „ძაძა", მისივე „ფოლადი" მ. გარიყულის „ანარეკლი" და სხვ.), მაგრამ ქართული პროზის მთავარ ობიექტად დღემდე მაინც სოციალისტური სოფელი რჩება.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომის პერიოდში ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ შექმნა საბჭოთა პატრიოტების, საბჭოთა მებრძოლებისა და ზურგის მუშაკების მრავალი ღირსსახსოვარი მხატვრული სახე.

1949 წლის იანვარში, საქართველოს კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე ამხანაგი კ. ჩარკვიანი ამბობდა: „დიდი სამამულო ომის მოვლენებმა ახალი შინაარსით გაამდიდრეს ქართული საბჭოთა ლიტერატურა და უფრო დაუახლოვეს იგი ხალხის მოთხოვნილებასა და მისწრაფებას.

ომის წლებში ქართველი პოეტების და პროზაიკოსების ნაწარმოებებში უფრო ძლიერად გაისმა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივები. ამ პერიოდის ლექსები, პროზა და ნარკვევები მთელ ხალხს მოუწოდებდნენ ვერაგი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ ფრონტის მებრძოლებსა და ზურგის მშრომელებს, ეხმარებოდნენ მათ მამაცურად გადაეტანათ ომის მკაცრი გამოცდა".

ჩვენი ლიტერატურის მატიანეში უეჭველად საყურადღებო ადგილს დაიკავებენ ქართული საბჭოთა პროზის ისეთი მხატვრული სახეები, თუნდაც არიან ბათაყვა — ლევ ქორნელის „ძაძა" და შვილიდან", მოხუცი მებადური — კ. ლორთქიფანიძის „როგორ დაიღუპა ძოხუცი მებადურიდან", სამსონ ლომთაძე, შალვა ყიფშიძე და კოლია ბარბაქაძე ს. თავაძის რომანიდან „კავკასიონის კარებთან", გმირები რაჟდენ გვეტაძის „მართალი ნოველებისა" დ. შენგელაიას „ოთხი ძმისა", გ. ჩიქოვანის „მეორედ შეხვედრისა" და სხვა.

ძლიერ უბრალო საბჭოთა ადამიანია საკრლმეურნეო სოფლის ფოსტალიონი მუია ბალათურია გრ. ჩიქოვანის მოთხრობიდან „მეორედ შეხვედრა". მაგრამ განა მისი ხალისიანი ჰუმორით შეზავებული ცხოვრება, მისი გულწრფელი სიხარული იმის გამო, რომ მას ფრონტზე საჩუქრების წაღება დაავალეს, და მისი ვაჟკაცური თავდადება არ მეტყველებს სიცოცხლის დამკვიდრების შესანიშნავ გრძნობაზე, საბჭოთა ადამიანის ძლიერ მორალურ ბუნებაზე?

ვის არ ახსოვს უდიდესი სკულპტურული გამომსახველობით შესრულებული სახე დევიეთ ვეება კაცისა, რომელიც თბილისში, თავბრუდამხვევი მოძრაობის ორომტრიალში შუაქუჩაზე ისე მოალაჯებდა, თითქოს ტრიალ მინდორზე ყოფილიყოს. რა ნაღდი და მართალია ბათაყვას უზომო სიხარული და სიამაყე მით, რომ მისმა შვილმა — ჯეგემ სამამულო ომის ფრონტზე გმირობა გამოიჩინა. ამ გმირობაში მასაც უდევს წილი, რადგან მან შვილს თან გააყოლა მართალი საქმისათვის თავდადების, უშიშროებისა და სიმხნევის ის ტრადიცია, რომელიც მას დევკაცური არსებით აქამდე უმწიკვლოდ მოუტანია თავისი რევოლუციური წარსულიდან. მამისა და შვილის ამ შესანიშნავ მთლიანობაში ნათლად სჩანდა საბჭოთა ზურგისა და ფრონტის ურღვევი მთლიანობა.

ქართველი საბჭოთა მეომრების უეჭველად საგულისხმო მხატვრული სახეებია — სამსონ ლომთათაძე, შალვა ყიფშიძე და კოლია ბარბაქაძე — ს. თავაძის რომანიდან. ამ ადამიანებს მთელი თავისი არსება განუყოფელად მიცემული აქვთ სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმისათვის. ისინი შინაგანად ერთობ შემოკრებილნი, მიზანსწრაფული და უანგარო ადამიანებია, მკითხველს ბევრი რამ აღელვებს მათი თავგადასავლიდან. ავტორს გულწრფელად უყვარს ეს ადამიანები, როგორც თავდადებული საბჭოთა პატრიოტები, და ცდილობს შეაყვაროს ისინი მკითხველსაც. უეჭველია, ამ სახეთა გადაჭარბებული მორალიზაცია, მათი ზოგიერთი არაბუნებრივი ფსიქოლოგიური რეფლექსი რამდენიმედ უფერულსა და სქემატიურს ხდის მათ. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ისეთ მიდრეკილებას, როდესაც ლიტერატურული ნაწარმოების ამა თუ იმ მხატვრული ნაკლოვანებების გამო მზად არიან დაივიწყონ მისი დადებითი მხარეებიც. ს. თავაძის რომანი უეჭველად დარჩება იმ ქართველი საბჭოთა მეომრების ერთერთ გულთბილ სამახსოვრო ფურცლად, რომლებმაც თავი დასდვეს სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და დიდების სადარაჯოზე.

რასაკვირველია, ლიტერატურულ ნაწარმოებს მოეთხოვება, რომ, უპირველეს ყოვლისა, იყოს მხატვრული. მხატვრულობის არსებითი მხარე უეჭველად საგნების, მოვლენების და ადამიანების მართლად დანახვაა. მხატვრულ ფაქტში, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ობიექტთან უშუალო დამოკიდებულების სიმართლე, გრძნობის სიმართლე, რადგან სწორედ გრძნობა ანუ გრძნობადობა განსაზღვრავს მხატვრულ ფორმას. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მხოლოდ გრძნობაა მხატვრული ფაქტი. არა, გრძნობა მხოლოდ მაშინ იქცევა მხატვრულ ფაქტად, როდესაც თავის უშუალობაში გამოხატავს მართალ აზრს, მართალ იდეას. ამიტომ თანაბრად სცილდება მხატვრულობას ის ფერადოვანი, რომელსაც, ვთქვათ, მტკიცე ნებისყოფის გამოსახატავად ისე შეჰყავს კაცი ცეცხლში, რომ წარბსაც არ შეაჭმუხნინებს, და ის მწერალიც, რომელიც ცეცხლში ჩავარდნილ კაცის სახეში არავითარ აზრსა და იდეას არ გამოხატავს, გარდა უშუალო ფიზიოლოგიური ფაქტისა.

დავუბრუნდეთ ლიტერატურულ გმირებს.

ლეო ქიაჩელს საერთოდ თავის ნაწარმოებთა მოქმედება არ გააქვს დროისა და სივრცის ფართო არეებზე, იგი თითქოს ზოგავს საღებავებს, რათა ისინი უფრო მეტი სიუხვით მოახმაროს ხასიათების გაღრმავებულ ხატვას.

მკითხველს ალბათ ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ მთისკაცად წოდებულ ბათუ ქარდუას საკმაოდ რთული შინაგანი კონფლიქტებით აღსავსე ცხოვრების გზა აქვს განვლილი. მაგრამ საკოლმეურნეო სოფლის ახალ გარემოს იგი გარდაუქმნია. ამ წარჩინებულ კოლმეურნე მწყემსში დღეს მტკიცედ არის შემონახული ქართველი კაცის საუკეთესო ტრადიციული თვისებები — რაინდული პატიოსნება, ვაჟკაცობა, მხნეობა, სიტყვის კაცობა და დარბაისლური თავაზიანობა. ამ კეთილშობილი თვისებების ნიადაგში კარგად იდგამს ფესვებს საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობები, კოლექტივისტური შეგნების ჯანსაღი მარცვალი. ეს თვისებები ბათუ ქარდუაში განსაკუთრებით იჩენს თავს სამამულო ომის დღეებში. ეს უბრალო საბჭოთა ადამიანი დიდი ინტენსიური სულიერი ცხოვრებით ცოცხლობს. მისი შეხვედრა ბელადთან და ქართველი ხალხის საამაყო შვილთან, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწესთან—ლავრენტი ბერიასთან—მწერალს ისეთ განათებაში აქვს მოცემული, რომ მკითხველი ნათლად გრძნობს

საბჭოთა ხალხისა და მისი მეთაურების მონოლიტურ ერთიანობას.

შესანიშნავია ვერაგ მტერთან ბრძოლაში გმირულად დაცემულ ბათუ ქარდუას უკანასკნელი წუთები, როდესაც მას ეჩვენება, რომ თითქოს მის საშველად მოფრინდა მისი საყვარელი ვაჟი, საბჭოთა კავშირის გმირი — ჯოტო. იმდენად ძლიერია ამ უბრალო საბჭოთა ადამიანის მორალური ბუნება, იმდენად ძლიერია მასში სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, მისი გამარჯვების, მისი დიადი მომავლის რწმენა, მოძმეთა სიყვარული, რომ სულთმობრძავს მხოლოდ ის-და შერჩენია ფიქრად და ზრუნვად, რომ შვილს სთხოვოს — პირველად მიხედოს სხვებს, რომლებმაც თავი დასდვეს სამშობლოსათვის. თითქოს სიკვდილიც კი ვერ ერევა ამ ძალოვან ბუნებას; სიკვდილითაც კი იგი სიცოცხლეს ამკვიდრებს.

საყურადღებოა ამავე ნაწარმოებში დიდი რუსი ხალხის წარმომადგენელის, ყოფილი პარტიზანის, თავდადებული საბჭოთა პატრიოტის, მტკიცე ბოლშევიკის, გულისხმიერი ადამიანის, გონიერი და მამაცი კირილე გორაკოვის სახე. ამ სახის შექმნით მწერალმა ხაზი გაუსვა დიდი რუსი ხალხის განსაკუთრებულ როლს დიდ სამამულო ომში.

თუ ბათუ ქარდუას როგორც საბჭოთა ადამიანების ძველი თაობის წარმომადგენელს ასე თუ ისე მაინც ახასიათებს რაღაც შინაგანი კონფლიქტი, გარდაქმნის ერთგვარი ტკივილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობის „მწვანე ღილის“ გმირებს — ლადო ვაშალომიძეს და მშვენიერ რუს ქალიშვილს — სვეტლანას არავითარი შინაგანი ბზარი არ გააჩნიათ. ისინი სავსებით ახალი ფორმაციის ადამიანებია. ისინი სოციალისტური სამშობლოს სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არიან. დიად სტალინურ ეპოქაშია ფორმირებული მათი უწმინდესი მორალური ბუნება. შესაძლოა, ვინმეს პოზად მოეჩვენოს ის, რომ სანახევროდ პირმოუპარსავი ვაშალომიძე ომის დროს არ გარბის თავშესაფარის მოსაძებნად. არა, ეს პოზა არ არის. მას სურს იყოს შინაგანადაც და გარეგნულადაც ვაჟკაცური, სურს ყოველი მისი საქციელი შეესაბამებოდეს მის რწმენას, მის მიზანს, მის ბუნებას. როდესაც ადამიანის საქციელი არ შეესაბამება მის რწმენასა და მის ბუნებას, მაშინ იგი სასაცილო ხდება. ვაშალომიძეს კი არ სურს ოდნავადაც მიაყენოს ჩრდილი თავის კაცობას. განა ასეთი შინაგანი მორალური მთლიანობით არ არის ნაკარნახევი სვეტლანას თავგანწირულებაც? იგი არ ირჩევს პირადი ბედნიერების გზას, არ მიჰყვება საყვარელ ადამიანს, მან მტერზე უნდა იძიოს შური, მან უნდა გამოასწოროს თავისი უნებლიე შეცდომა.

ასეთი ნათელი და შინაარსიანი ხასიათები, ასეთი მზიური ახალგაზრდობა შეიძლება აღიზარდოს მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომლის მთელი ძალები ჩაყენებულია ადამიანობის მაღალი იდეალების სამსახურში.

უთანასწორო ბრძოლაში მებრძოლთა მცირე ჯგუფი შემოეცალა, მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრილი ვაშალომიძე მაინც იცავს უსახელო მაღლობს. სიკვდილის წუთებში მისი ყველაზე დიდი დარდია, რომ ბელადმა, რომელსაც მის წარმოსახვაში ფანქარი უპყრია ხელთ და რუკას დაჰყურებს, ლურჯი ხაზი არ შემოავლოს რუკაზე აღნიშნულ უსახელო მაღლობს იმის ნიშნად, რომ იგი უკვე მტრის ხელშია; ყველაზე დიდი შიში კი ამ მომაკვდავი ვეფხვისა ის არის, რომ მტერმა ტყვედ არ ჩაიგდოს მისი სულთმობრძავი სხეული. ტყვედ ჩავარდნა საბჭოთა მებრძოლისათვის სიკვდილზე უარესია. იგი სამარცხვინო ლაქაა.

დემნა შენგელაიას რომანის „წითელი ყაყაჩოს“ გმირთა შორის მხატვრული სავსეობით გამოირჩევიან რუსი ქა-

ლიშვილი მაშენკა და ქართველი ლეიტენანტი ასტამურ მატახერია. ასტამურ მატახერია — ეს საბჭოთა ბეომრად გადაქცეული საბჭოთა ინტელიგენტი გვხიბლავს არა მარტო თავისი მგზნებარე პატრიოტიზმით, ვაჟკაცობითა და შემმართებლობით, არამედ თავისი ნათელი ინტელექტითაც. მას ეჯავრება სიბნელის, ჯურღმულების და შავი ლაქების მოტრფიალეთა ფსიქოლოგია, იგი ნათელი თვალებით უყურებს ქვეყანას, მას სწამს გონებისა და ჭეშმარიტების უდიდესი ძალა. იგი უმაღლეს კულტურას ხედავს არა ტექნიკურ მიღწევებში, არამედ ადამიანის—ამ უმშვენიერესი და უძლიერესი არსების რწმენაში. ასტამურ მატახერია თავისი ნათელი ინტენსიური სულიერი ცხოვრებით ასახიერებს საბჭოთა ინტელიგენციის ტიპიურ თვისებას, საბჭოთა ინტელიგენციისა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მაღალი სულიერი კულტურის მატარებელია. საბჭოთა ქალიშვილის ღირსახსოვარი სახეა მაშენკა. მაშენკას ღრმად სწამს თავისი ადამიანური სრულფასოვნება როგორც მოაზროვნე, მომქმედ, მებრძოლ და ცხოვრების მშენებელ ადამიანს. ეს სიკეთით სავსე ქალიშვილი უაღრესად მგრძნობიარეა ადამიანთა ტკივილების მიმართ. იგი თვალისჩინივით უყვარს დაჭრილ საბჭოთა მებრძოლებს, საკუთარ სისხლსაც კი არ იშურებს მათთვის.

თუ მთლიანობაში წარნოვიდგენთ ახალგაზრდა საბჭოთა ექიმის — ბაკა მინდელის ცხოვრების გზას, როგორც არის ის გამოხატული რაჟდენ გვეტაძის მოთხრობაში „ცხოვრება იწყება თავიდან" — თვალწინ დაგვიდგება სიყვარულით და გულწრფელად შესრულებული მხატვრული სახე თავდადებული საბჭოთა პატრიოტისა, რომელსაც ომმა ბევრი ჭირი და განსაცდელი დაატეხა თავს, მაგრამ საბჭოთა საზოგადოებრივმა გარემომ, ადამიანზე ზრუნვის ატმოსფერომ მას აღუდგინა საკმაოდ შერყეული ძალები და [illegible] შრომის დიად ფერხულში [illegible] ამ მხატვრული სახის შესრულებაში ერთი „საბედისწერო" ხარვეზი. ბაკა დოსტაქარ ექიმად მუშაობს ფრონტზე, იგი მონაწილეობას იღებს ქერჩის ბრძოლებში, მაგრამ მისი ნაწილი მტრის გარემოცვაში ექცევა. გარემოცვის გარღვევის თავგანწირული ცდა უშედეგოდ მთავრდება და სხვებთან ერთად ბაკა ტყვედ ვარდება. ეს ადამიანები გაქანებული ვაგონების იატაკის ფიცრებს ჰყრიან და რელსებს შუა ვარდებიან, რომ თავი დააღწიონ ტყვეობას. ბაკა მინდელიც სიცოცხლის განწირვის რისკით თავს აღწევს ტყვეობას და პარტიზანებთან ერთად თავდადებით ებრძვის მტერს. მაგრამ ბაკა მაინც ტყვედყოფილი კაცია. გმირები კი, როგორც წესი, ტყვედ არ ვარდებიან. ცხადია, ისე როგორც ყოველ წესს ამ წესსაც აქვს გამონაკლისი. მაგრამ გამონაკლისობა და შემთხვევითობა საბჭოთა ლიტერატურაში არ შეიძლება აყვანილ იქნას ტიპიურობამდე. ამ მოთხრობის ყველაზე სრულყოფილი მხატვრული სახეა — საბჭოთა ოჯახის ფუძის ერთგული მცველის, მხნე, კაცთმოყვარე, კეთილი, მაგრამ საბჭოთა სამშობლოს მტრების მიმართ უსაზღვრო სიძულვილით აღსავსე ქართველი დედის — ეკას სახე.

ქვეყნად არაფერი ისე არ ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანის სულს როგორც თავისუფალი, სოციალისტური შრომა. როგორც მზე სიბნელეს ისე ერეკება შრომის ხალისი ადამიანის სულში დაბუდებულ მანკიერ განწყობილებებს. აკმია ხუცურაულს მიხეილ მრევლიშვილის „ხარატაანთ კერიდან" კარგად ესმის კოლექტიური შრომის ეს შესანიშნავი ძალა. აბა, ეს რომ არ ესმოდეს როგორ იქნებოდა იგი საკოლმეურნეო სოფლის კარგი და გულისხმიერი ხელმძღვანელი? ხომ მისი შთაგო-

ნებით მოხდა ის, რომ პატრიარქალური ტრადიციით შეპყრობილი მამამთილის დამოკიდებულებით, ერთადერთი შვილის სიკვდილით და ომში წასული ქმრის უგზო-უკვლოდ დაკარგვით თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული ნატო სულიერად გამხნევდა და გაჯანსაღდა საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმით. თვითონ აკმიას მორალური ბუნებაც ხომ ამ ქურაშია გამოწრთობილი. იგი იმდენად არის გამსჭვალული საზოგადოებრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით, მეგობრობისა და სოციალისტური თანაცხოვრების გრძნობით, რომ შეუძლია თავისთავში რაინდულად დასძლიოს ყოველივე პირადი ვნებათაღელვა, თუ ის ოდნავ მაინც ჩრდილს მიაყენებს მის საზოგადოებრივ მოწოდებას,

ქართული საბჭოთა პროზის გმირთა დასახელებულ წყებას უეჭველად შეავსებდნენ და გაამდიდრებდნენ იმ მწერალთა და იმ ნაწარმოებთა გმირები, რომლებიც ჩვენ აქ არ მოგვიხსენებია. იგივე ითქმის უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შესახებ, კერძოდ, ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსების ნაწარმოებთა შესახებ. მაგრამ ჩვენს მიზანს სრულიადაც არ შეადგენდა ქართული საბჭოთა პროზის ყველა გმირის დასახელება. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ქართული საბჭოთა პროზის გმირი, ისტორიულია იგი თუ თანამედროვე, ნამდვილად არის გამომხატველი მაღალი პროგრესული იდეალებისა, რადგან მის ნიადაგს შეადგენს ყველაზე წარმტაცი სინამდვილე — სოციალისტური საზოგადოების სინამდვილე. ეს გმირი ამკვიდრებს სიცოცხლეს, დიდ და ლამაზ სიცოცხლეს. ეს გმირი უკვე შესულია ქართველი საბჭოთა მკითხველის სულიერ ბიოგრაფიაში. მაგრამ მკითხველი მეტად მომთხოვნია. იგი ხედავს, რომ ეპოქის დიდი გმირი — სამყაროს გარდამქმნელი, კომუნიზმის მშენებელი — ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად წარმოსახული ქართულ საბჭოთა პროზაში.

ამ მხრივ ქართული საბჭოთა პროზა სერიოზულად ჩამორჩება.

ეპოქის ამ დიდ გმირს ლიტერატურაში ეძახის ხალხიც, ეძახის უკვე შექმნილი გმირიც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ყურაშვილი

საბჭოთა არმიის XXXIII წლისთავი

★

ოცდაცამეტი წელია, რაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა სადარაჯოზე, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა და სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე.

საბჭოთა არმია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხის პირმშოა.

საბჭოთა არმია შექმნეს და გამოაწრთეს ბოლშევიკურმა პარტიამ, პროგრესიული კაცობრიობის დიდმა ბელადებმა ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა. საბჭოთა სახელმწიფოს არმიის შექმნით გადაწყვეტილ იქნა გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა. თავის დროზე ლენინი მიუთითებდა, რომ წითელი არმიის მშენებლობის საკითხი ჩვენი პარტიისათვის ნამდვილად იყო ახალი საკითხი, რომელიც აქამდე თეორიულადაც არ ყოფილა დასმულიო.

წითელი არმია იქმნებოდა და ვითარდებოდა, როგორც ახალი ტიპის არმია, ჭეშმარიტად მუშურ-გლეხური არმია, ჯერ კიდევ პარტიის VIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„... ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი რესპუბლიკის დაცვას, თუ არ შევქმნით სხვა არმიას, რეგულარულ არმიას, დისციპლინის სულისკვეთებით გამსჭვალულს, კარგად დაყენებული პოლიტიკური განყოფილების მქონე არმიას, რომელსაც უნარი ექნება და შეეძლება პირველი ბრძანებისთანავე ფეხზე დადგეს და მტრის წინააღმდეგ გაილაშქროს.

... ან შევქმნით ნამდვილ მუშურ-გლეხურ, მკაცრად დისციპლინირებულ რეგულარულ არმიას და დავიცავთ რესპუბლიკას, ან ამას არ გავაკეთებთ და მაშინ საქმე დაიღუპება“ (ი. სტალინი, თხზ. ტ. 4. გვ. 273 — 274).

ბოლშევიკური პარტიის, ლენინისა და სტალინის დაუღალავი ზრუნვით შექმნილ იქნა ასეთი არმია, რომელმაც ბრძოლებისა და გამარჯვების სახელოვანი გზა განვლო.

*
* *

საბჭოთა არმია წარმოადგენს ახალი ტიპის არმიას, ნამდვილად სახალხო არმიას, რომელიც „ემსახურება არა ბატონებს, არამედ ყოფილ მონებს, ამჟამად განთავისუფლებულ მუშებსა და გლეხებს“ (სტალინი). თავისი წარმოშობის დღიდანვე საბჭოთა არმია განუყრელად არის დაკავშირებული ხალხის განთავისუფლების, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არმიამ პირნათლად გაამართლა თავისი ისტორიული მისია. იგი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის დიად ბრძოლებში.

პირველი მტერი, რომელსაც შეეჯახა საბჭოთა არმია, იყო გერმანიის პირსისხლიანი იმპერიალიზმი. 1918 წლის თებერვალს გერმანელ იმპერიალისტთა ჯარები, რომლებმაც გამოიყენეს ტროცკისა და მისი ბუხარინელი დამქაშების გამცემლობა ბრესტის საზავო მოლაპარაკების პერიოდში, შემოიჭრნენ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმაგრებელი საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში.

გერმანიის მტაცებლურმა იმპერიალიზმმა მიზნად დაისახა დაემხო პროლეტარიატის დიქტატურა და თავის კოლონიად გადაექცია ჩვენი სამშობლო. მეფის ძველმა, დარღვეულმა არმიამ ვერ შეძლო გამკვლავებოდა გერმანიის იმპერიალიზმის შეიარაღებულ ურდოებს. მაგრამ გერმანელი იმპერიალისტების შეიარაღებულმა ინტერვენციამ მძლავრი საწინააღმდეგო მოძრაობა გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგს: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“ — მუშათა კლასმა უპასუხა საბჭოთა არმიის ნაწილების გაძლიერებული შექმნით. ახალი არმიის — რევოლუციური ხალხის არმიის — ახალგაზრდა რაზმები გმირულად იგერიებდნენ გერმანელი მტაცებლების შემოტევას — ნარვასთან და პსკოვთან. და ამ რაზმებმა გადამჭრელი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელ ოკუპანტებს. მტრის წინსვლა რევოლუციური პეტროგრადისაკენ შეჩერებულ იქნა. გერმანიის იმპერიალიზმის ჯარების უკუგდების დღე — 23 თებერვალი გახდა ახალგაზრდა საბჭოთა არმიის დაბადების დღედ.

საბჭოთა არმია იზრდებოდა და მტკიცდებოდა კალედინის, კრასნოვის, კორნილოვის თეთრგვარდიულ არმიებთან ბრძოლებში. მან შინაურ და საერთაშორისო კონტრრევოლუციას უჩვენა, რომ შესწევს უნარი შეიარაღებული ძალით დაიცვას რევოლუციის მონაპოვარი. პროლეტარული რევოლუციით და საბჭოთა ხელისუფლების პირველი წარმატებებით დაშინებულმა მსოფლიო ბურჟუაზიამ დარაზმა რუსეთის კონტრრევოლუციური ძალები, შეაიარაღა ისინი და გადმოისროლა მათი არმიები საბჭოთა რესპუბლიკის ჩასახშობად. საერთაშორისო იმპერიალიზმმა დაიწყო სამხედრო შემოსევა, სამხედრო ინტერვენცია საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ, ხელთ იგდო მურმანსკი, გადმოსხა იაპონიის ჯარები ვლადივოსტოკში, მოამზადა ჩეხოსლოვაკთა ამბოხება.

იმისათვის, რომ გაეადვილებინათ თავისი გამარჯვება და შიგნიდან აეფეთქებინათ საბჭოთა არმიის ზურგი, იმპერიალისტებმა ჩვენს ქვეყანაში შემოგზავნეს ჯაშუშები, დივერსანტები, ტერორისტები.

საბჭოთა რუსეთის ირგვლივ იკვრებოდა მტრების რკალი.

რევოლუციამ საბჭოთა არმიას დააკისრა უძნელესი ამოცანა — დაეცვა საბჭოთა რუსეთი უცხოელ დამპყრობთა და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალებისაგან, შეენარჩუნებინა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა, შეენარჩუნებინა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი.

1918 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიამ ცარიცინის გმირული დაცვით დაამსხვრია გერმანიის იმპერიალიზმის დაქირავებულ თეთრგვარდიელთა შემოტევა დონზე. თეთრგვარდიელები მოისწრაფოდნენ მოეწყვიტათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სასურსათო რესურსებისაგან და გაეერთიანებინათ სამხრეთისა და აღმოსავლეთის კონტრრევოლუცია იმისათვის, რომ საერთო ფრონტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოსულიყვნენ მოსკოვზე. მაგრამ თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა გეგმები გაცამტვერებულ იქნა ახალგაზრდა საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლა ცარიცინთან.

მაგრამ ინტერვენტები მაინც განაგრძობდნენ თავიანთ შავ საქმეს. საბჭოთა ქვეყანას გარსერტყმოდა ფრონტების რკალი. ინგლისელი იმპერიალისტების ჯარები ჩრდილოეთით არხანგელსკთან, ფრანგი ინტერვენტები სამხრეთით ოდესის რაიონში, იაპონელ დამპყრობთა არმია შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირის კონტრრევოლუცია და ჩეხოსლოვაკთა ჯარები უტევდნენ საბჭოთა რესპუბლიკას.

ამ მრისხანე დღეებში ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გადამწყვეტი ზომები მიიღეს საბჭოთა არმიის გასაძლიერებლად.

1918 წლის 20 ნოემბერს შეიქმნა თავდაცვის საბჭო ლენინის მეთაურობით ქვეყნის თავდაცვის მთელი მუშაობის ხელმძღვანელობისა და მტრის მოსაგერიებლად მთელი რესურსების მობილიზაციისათვის.

1919 წლის გაზაფხულზე დაიწყო ანტანტის პირველი ლაშქრობა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირული ბრძოლით ანტანტის პირველი ლაშქრობა დამარცხდა.

შემდეგ საბჭოთა არმიამ გაანადგურა ანტანტის მეორე ლაშქრობა, რომელსაც ამ ლაშქრობის სულისჩამდგმელი ჩერჩილი 14 სახელმწიფოს ლაშქრობას უწოდებდა.

თავისი ბატონ-პატრონების — უცხოელი იმპერიალისტების მიერ ფულით უხვად მომარაგებულმა და შეიარაღებულმა თეთრგვარდიულმა გენერალმა დენიკინმა დაიკავა დონბასი, ფართო ფრონტით შეიჭრა უკრაინაში და 1919 წლის შემოდგომაზე დაიკავა კურსკი, ორიოლი, — მიუახლოვდა ტულას. ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა მტერი ასე ახლო საბჭოთა ქვეყნის გულთან — მოსკოვთან. ამ მრისხანე მომენტში მთელი ჩვენი ქვეყანა დაეხმარა თავის არმიას.

„საბჭოთა რესპუბლიკა გარშემორტყმულია მტრით, — წერდა მაშინ ლენინი, — იგი უნდა იყოს ერთიანი სამხედრო ბანაკი არა სიტყვით, არამედ საქმით“.

ლენინის მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მშრომელ მასებში. სამხრეთის ფრონტის საბჭოთა არმიები შევსებულ იქნა 20 ათასი კომუნისტით, 10 ათასი კომკავშირელით, პროფკავშირების მიერ გაგზავნილი 36 ათასი მუშით. გამოცხადებული იყო პარტიული კვირეული. საუკეთესო მუშები, მოწინავე გლეხები, წითელარმიელები, მეთაურები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმენ საბჭოთა ხალხების გარშემო. საბჭოთა არმიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა დენიკინს ორიოლთან და ვორონეჟთან. მან დაიბრუნა ორიოლი, ვორონეჟი, კურსკი, ხარკოვი.

სამხრეთის ფრონტის საბჭოთა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლებით განვლეს ორიოლიდან აზოვის ზღვამდე, სასტიკად დაამარცხეს დენიკინის არმია. დენიკინის დამარცხებულმა არმიამ დაიხია ჩრდილო კავკასიაში, სადაც იგი ლიკვიდირებულ იქნა პირველი ცხენოსანი არმიისა და კავკასიის ფრონტის ჯარების მიერ.

საბჭოთა არმიის ნაწილები, რომლებმაც ასტრახანთან გასტეხეს თეთრგვარდიელთა წინააღმდეგობა, დაიძრნენ ჩრდილო-კავკასიის მშრომელ ხალხთა გასანთავისუფლებლად.

საბჭოთა არმია დაეხმარა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებს, რათა ბოლო მოეღოთ მოღალატე — მუსავატელების, დაშნაკებისა და მენშევიკებისათვის.

1920 წლის იანვარში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს თეთრგვარდიელები და ინგლისელები იმიერკასპიის მხარეში.

საბჭოთა არმიამ მძლავრი დარტყმებით ბოლო მოუღო იუდენიჩის თეთრგვარდიული ჯარების ახალ ცდას შეჭრილიყვნენ პეტროგრადში. იუდენიჩის ჯარები საბოლოოდ იქნენ განადგურებული.

1920 წლის დამდეგისათვის ლიკვიდირებულ იქნა ჩრდილოეთის ფრონტიც. საბჭოთა ჯარებმა ინგლისის ოკუპაციისაგან გაანთავისუფლეს მურმანსკი და არხანგელსკი.

ანტანტის მეორე ლაშქრობა — 14 სახელმწიფოს ლაშქრობა — დამარცხებულ იქნა.

საბჭოთა არმიამ, გაანადგურა რა კოლჩაკი, დენიკინი და იუდენიჩი, და მოახდინა რა ჩრდილოეთის ფრონტის ლიკვიდაცია, ის-ის იყო მოუპოვა საბჭოთა ქვეყანას შესვენება, რომ ამ დროს უცხოელმა იმპერიალისტებმა ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ გადმოისროლეს პოლონეთის პანების არმია და ჩაშალეს ეს შესვენება.

ეს იყო ანტანტის მესამე ლაშქრობა.

ანტანტის მესამე ლაშქრობის დამარცხების შემდეგ საბჭოთა არმია მიუბრუნდა ვრანგელს, რომელმაც ინტერვენტთა დახმარებით შექმნა უზარმაზარი არმია და რომელიც გამოვიდა ყირიმიდან თეთრპოლონელებთან შესაერთებლად. საბჭოთა არმიამ საბოლოოდ გაანადგურა ვრანგელის არმია და გადაყარა ზღვაში.

1920 წლის 7 ნოემბერს ღამით საბჭოთა ჯარები ფონით გავიდნენ სივაშში, გამაგრდნენ ნაპირზე და დაეძუქრნენ პერეკოპს ზურგიდან დარტყმით. იმავე დღეს საბჭოთა არმიის მამაცმა ნაწილებმა სასტიკი ბრძოლებით იერიში მიიტანეს პერეკოპზე და აიღეს იგი. პანიკით მოცულნი თეთრები გაიქცნენ. მათ კვალდაკვალ მიჰყვა ყირიმში საბჭოთა ცხენოსანი ჯარი. ვრანგელი სავსებით დამარცხდა. პერეკოპისათვის ბრძოლებში საბჭოთა არმიამ უჭკნობი დიდების სახელი მოიხვეჭა.

საბჭოთა არმიამ დაამარცხა და საბჭოთა ქვეყნის ფარგლებიდან განდევნა თეთრგვარდიელები და ოკუპანტები. მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთში გრძელდებოდა იაპონელთა სისხლიანი ოკუპაცია. იაპონელმა დამპყრობლებმა შორეულ აღმოსავლეთში ასიათასიანი არმია გადმოსხეს და ატამანების სემიონოვისა და კალმიკოვის ბანდები შეაიარაღეს. მაგრამ შორეული აღმოსავლეთის ხელში ჩაგდება მათ მაინც ვერ შეძლეს. ბოლშევიკებმა ინტერვენტების წინააღმდეგ ფეხზე დააყენეს მთელი მხარე. პარტიზანები ანგრევდნენ რკინიგზებს, სწვავდნენ ხიდებს, ხელში იგდებდნენ იარაღით დატვირთულ მატარებლებს.

საბჭოთა არმიის მაგალითით აღფრთოვანებულმა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციურმა არმიამ თავს იდო ბრძოლა იაპონელ ინტერვენტებთან და თეთრგვარდიელებთან. სახალხო არმიელებმა დაამარცხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრები ვოლოჩაევკასთან და სპასკთან. 1922 წლის 25 ოქტომბერს ვლადივოსტოკი საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს.

ინტერვენტთა უკანასკნელი ნაშთები განდევნილ იქნენ ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან. მინსკიდან ვლადივოსტოკამდე, მურმანსკიდან საქართველომდე მთელს ჩვენს საბჭოთა მიწა-წყალზე, რომელიც განბანილი იყო მის საუკეთესო შვილთა სისხლით, სამუდამოდ განმტკიცდა სოციალიზმის დროშა, ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა.

*

* *

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში საბჭოთა მეომრების გმირულ ბრძოლას ფრონტზე და მშრომელთა თავდადებულ მუშაობას ზურგში ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია. საბჭოთა არმიის გამარჯვებათა უშუალო სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები იყვნენ ჩვენი პარტიის ბელადები ლენინი და სტალინი. ჯარებში პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: მოლოტოვი, კალინინი, სვერდლოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, კიროვი, კუიბიშევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ანდრეევი და სხვები.

განსაკუთრებით დიდია ამხანაგ სტალინის როლი საბჭოთა არმიის ყველა გამარჯვებათა ორგანიზაციაში. ვლადიმერ ილიჩი მას გზავნიდა იქ, სადაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა, სადაც საჭირო იყო რკინის ხელი და ბრძნული ხელმძღვანელობა. იქ, „სადაც არევ-დარევა და პანიკა შეიძლებოდა ყოველ წუთში გადაქცეულიყო უმწეობად, კატასტროფად, — იქ ჩნდებოდა ამხანაგი სტალინი“ (კ.ვოროშილოვი).

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობის წყალობით და მისი შესანიშნავი ორგანიზატორული მუშაობით საბჭოთა არმიამ მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვებანი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის ჯარებზე ცარიცინთან, აღმოსავლეთის ფრონტზე — კოლჩაკის წინააღმდეგ, პეტროგრადის ფრონტზე — იუდენიჩის წინააღმდეგ, სამხრეთის ფრონტზე — დენიკინის წინააღმდეგ, ბრძოლებში ვრანგელთან და თეთრპოლონელებთან.

საბჭოთა არმიამ შეძლო გაენადგურებინა ინტერვენტები და თეთრგვარდიელები იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ახალი ტიპის არმიას, ნამდვილად სახალხო არმიას, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალისტური სახელმწიფოების არმიებისაგან.

„ჩვენი წითელი არმიის პირველი და ძირითადი თავისებურება, — ამბობდა ამხანაგი სტალინი 1928 წელს, — მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის განთავისუფლებულ მუშათა და გლეხთა არმია, იგი არის ოქტომბრის რევოლუციის არმია, პროლეტარიატის დიქტატურის არმია...

ჩვენი წითელი არმიის მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი, ჩვენი არმია, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობის არმიას, ჩვენი ქვეყნის ნაჩაგრ ხალხთა განთავისუფლების არმიას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის არმიას“.

ამიტომ იყო, რომ ჩვენმა არმიამ, როგორც სამოქალაქო ომის წლებში, ისევე 1941 — 1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს უდიდესი მხარდაჭერა ჰპოვა სსრ კავშირის ყველა ხალხებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არმიის მესამე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი თავის დაბადების პირველი დღიდანვე იზრდება „სხვა ხალხებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ყველა ქვეყნის მუშებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით, ქვეყნებს შორის მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სულისკვეთებით“.

„ამ სამ თავისებურებას უნდა უმადლოდეს ჩვენი არმია იმას, რომ მან იცის, თუ საით ბიდის, — უნდა უმადლოდეს იმას, რომ იგი შესდგება არა კალისაგან გაკეთებულ ტიკინა ჯარისკაცთაგან, არამედ შეგნებულ ადამიანთაგან, რომელთაც ესმით, თუ საით წავიდნენ და რისთვის იბრძოლონ.

ხოლო ის არმია, რომელმაც იცის, თუ რისთვის იბრძვის, უძლეველია. ამხანაგებო.

აი რატომ არის, რომ ჩვენს წითელ არმიას ყველა საფუძველი აქვს იყოს საუკეთესო არმია მსოფლიოში“ (სტალინი).

*

* *

სამოქალაქო ომში საბჭოთა არმიის გამარჯვებებმა ჩვენი ხალხისათვის შექმნეს პირობები მშვიდობიან მშენებლობაზე გადასასვლელად. მაგრამ მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიაც ბოლშევიკური პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი დაუღალავად მუშაობდნენ ჩვენი არმიის განმტკიცებაზე, მისი მებრძოლებისა და მეთაურების აღზრდაზე, ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მომზადების სრულყოფაზე.

სტალინური ხუთწლედების განხორციელებამ შესაძლებელი გახადა საბჭოთა არმიის შეიარაღების ძირფესვიანად გადახალისება. საბჭოთა არმიამ მიიღო პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკა. ამავე დროს სამხედრო სასწავლებლებსა და ნაწილებში მომზადებულ იქნა ტანკისტების, მფრინავების, არტილერისტებისა და სხვა სპეციალობის მეომართა კადრები.

სულ მცირე დრომ განვლო და საბჭოთა არმიამ გვიჩვენა ბრძოლის ველზე მოწინავე ტექნიკის მართვის თავისი ხელოვნება. 1938 წელს იაპონია თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას ხასანის ტბის რაიონში. იაპონელ იმპერიალისტებს ძვირად დაუჯდათ ეს ავანტურა. საბჭოთა არმიამ მედგარი დარტყმებით განდევნა დამპყრობლები საბჭოთა მიწა-წყლიდან. კიდევ უფრო სამარცხვინოდ დამთავრდა იაპონელ ომის მოყვარულთათვის მათი მეორე პროვოკაცია 1939 წელს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაიონში, მდინარე ხალხინ-გოლის მახლობლად. აქ საბჭოთა ჯარებმა ალყა შემოარტყეს და მთლიანად მოსპეს იაპონელთა ჯარები.

1939 წლის შემოდგომაზე ამხანაგ სტალინის ინიციატივით პოლონელი მემამულეების უღლისაგან განთავისუფლებულ იქნენ ჩვენი თვისტომი ძმები — დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხები. ეს ხალხები შეუერთდნენ სსრ კავშირის თავისუფალ ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახს. შემდეგ სსრ კავშირის შემადგენლობაში დაბრუნებულ იქნენ ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკები — ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. საბჭოთა არმიამ, როგორც ყოველთვის ამ პერიოდშიც სახელოვნად შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არმიამ ღირსეულად ჩააბარა ძნელი გამოცდა ფინეთთან ომში 1939 — 1940 წლებში. უზრუნველყოფდა რა სსრ კავშირისა და ქალაქ ლენინგრადის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების უშიშროებას, საბჭოთა არმიამ ჩრდილოეთის სასტიკი ზამთრის პირობებში გაანადგურა თეთრფინელები და აიძულა ფინელი მმართველები მოეთხოვათ ზავი.

*

* *

ყველაზე სერიოზულ გამოცდას საბჭოთა არმიისათვის, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოსათვის, წარმოადგენდა 1941 — 1945 წლების დიდი სამამულო ომი.

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანია მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად, შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის საზღვრებში.

თავისი ისტორიის მთელ მანძილზე ჩვენს სამშობლოს ამ დრომდე მოწინააღმდეგედ არ ჰყოლია ისეთი ძლიერი, საშიში და ვერაგი მტერი, როგორიც იყო ჰიტლერული გერმანია. როგორც ნიურნბერგის პროცესზე გამოირკვა, სსრ კავშირზე ვერაგული თავდასხმის გეგმა ფაშისტთა მოთავეების მიერ შემუშავებული იყო ჯერ კიდევ 1940 წლის დეკემბერში. ჰიტლერელებმა მას უწოდეს „ბარბაროსას გეგმა“ (რომელიც წარმოსდგება შუასაუკუნის გერმანიის ერთ-ერთი იმპერატორის სახელიდან). ეს გეგმა ითვალისწინებდა „ელვისებურ“ განადგურებას ჩვენი შეიარაღებული ძალებისას და გერმანიის არმიის სწრაფად გასვლას არხანგელსკ-ვოლგის ხაზზე. რა მიზანს ისახავდნენ ჰიტლერელები, როდესაც ჩვენს ქვეყანას თავს ესხმოდნენ? ერთ-ერთ თათბირზე ჰიტლერმა თავის გენერლებს განუცხადა: „ჩვენთვის საკმარისი არ არის მხოლოდ რუსეთის არმიის განადგურება და ლენინგრადის, მოსკოვის, კავკასიის ხელში ჩაგდება. ჩვენ უნდა პირისაგან დედამიწისა აღვგავოთ ეს ქვეყანა და მოვსპოთ მისი ხალხი“.

ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა გამოიცნო ჰიტლერელთა ვერაგული გეგმები და ომის დასაწყისშივე ეუბნებოდა საბჭოთა ხალხს, რომ მტერი სასტიკი და ულმობელია, რომ საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს.

ჩვენს ქვეყანაზე თავდასასხმელად ჰიტლერელებმა მოამზადეს უდიდესი ძალები და მთელი ევროპიდან თავი მოუყარეს დიდძალ სამხედრო ტექნიკას. ყველაფერი ეს ადრევე იქნა წამოწეული ჩვენი საზღვრებისაკენ. გერმანელთა არმია ყოველმხრივ მზად იყო საბრძოლო მდგომარეობაში და მხოლოდ ნიშანს ელოდა იერიშის დასაწყებად. ჩვენი ჯარები ამ დროისათვის არ იყო მობილიზებული. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმამდე გერმანელთა არმია თითქმის ორ წელიწადს ომობდა ევროპის ქვეყნებში და თანამედროვე ომის წარმოების გამოცდილება ჰქონდა. ამას გარდა, ომის დასაწყისში ჩვენ ნაკლები ტანკები და თვითმფრინავები გვქონდა, თუმცა ხარისხით ისინი სჯობდნენ გერმანელებისას. საბჭოთა არმიას ერთს მოუხდა ჰიტლერული გერმანიისა და მისი ვასალების გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლა. ევროპაში მეორე ფრონტი მაშინ არ არსებობდა, ამიტომ გერმანელებს არ ეშინოდათ დასავლეთში თავისი ზურგისა და ჩვენს წინააღმდეგ წამოსწიეს მთელი თავიანთი ჯარები და თავიანთ მსახურთა შეიარაღებული ძალები. და ბოლოს, დიდი მნიშვნელობა ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმასაც, რომ ჰიტლერელებმა თავიანთი თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე მოახდინეს მოულოდნელად.

მაგრამ ფაშისტთა მესვეურების გეგმები — რამდენიმე კვირის განმავლობაში ბოლო მოეღოთ საბჭოთა კავშირისათვის, — სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ომი გაჭიანურდა. ძალაში შეევიდნენ ომის მუდმივად მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეარაღება, უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი. აშკარა გახდა, რომ ყველა ამ მაჩვენებლების მიხედვით ჩვენ ბევრად უფრო ძლიერნი ვიყავით გერმანელებზე.

უკვე 1941 წლის ზამთარში ჩვენს ჯარებს მიეცათ შესაძლებლობა აქტიური თავდაცვიდან გადასულიყვნენ შეტევაზე. მოსკოვისათვის ისტორიულ ბრძოლაში და ბრძოლებში როსტოვთან და ტიხვინთან საბჭოთა არმიამ მტერს გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა. მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურება მოასწავებდა „ელვისებურ“ ომზე ჰიტლერელთა ვარაუდის ჩაფუშვას. გაქარწყლებულ იქნა ფაშისტების მიერ შეთითხნილი ზღაპარი გერმანიის იარაღის „უძლეველობის“ შესახებაც. მოსკოვთან გამარჯვებამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა არმია წარმოადგენს მძლავრ ძალას, რომელსაც უნარი აქვს არა მარტო გაუძლოს გერმანელ ფაშისტთა ურდოების დაწოლას, არამედ გაანადგუროს კიდეც ისინი პირისპირ ბრძოლაში. 1941-1942 წლის ზამთრის კამპანიის განმავლობაში საბჭოთა არმიამ გერმანელები უკუაგდო დასავლეთისაკენ ცალკე ადგილებში 400-ზე მეტი კილომეტრით.

1942 წლის ზაფხულში გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა, ისარგებლეს რა ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობით, ჩვენს წინააღმდეგ გადმოისროლეს მთელი თავიანთი თავისუფალი რეზერვები, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით შექმნეს ძალთა დიდი სიჭარბე და მიაღწიეს მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებას. ამ შეტევების მთავარი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ხელთ ეგდოთ სტალინგრადი, შემოევლოთ მოსკოვისათვის აღმოსავლეთიდან, მოეწყვიტათ იგი ვოლგისა და ურალის ზურგისაგან და შემდეგ დაერტყათ ჩვენი დედაქალაქისათვის და 1942 წელს დაემთავრებინათ ომი.

უდიდესი ზარალის ფასად გერმანელებმა მიაღწიეს სტალინგრადამდე და კავკასიამდე. გზები დაფარული იყო გერმანელთა ათასობით დამსხვრეული ტანკებით, ქვემეხებით, ავტომანქანებით, ჰიტლერელი არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ასიათასობით გვამებით. რამდენიმე ვადა დააწესა ჰიტლერმა სტალინგრადის ასაღებად. მაგრამ სტალინგრადი მიუვალ კედლად იყო აღმართული. 1942 წლის 19 ნოემბერს ჩვენი ჯარები, ასრულებდა რა გენიალურ სტალინურ გეგმას, გადავიდნენ შეტევაზე, რომელიც დაგვირგვინდა გერმანელთა ორი რჩეული არმიის გარშემორტყმით და მტრის 330 ათას კაცამდე განადგურებით.

ომების ისტორიაში უდიდესი ბრძოლა სტალინგრადთან გადამწყვეტი აღმოჩნდა ომის მსვლელობაში. „სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადში მომხდარი ხოკვა-ჟლეტის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ვეღარ შესძლეს წელში გამართულიყვნენ“ (სტალინი). საბჭოთა არმიამ განავითარა დიადი შეტევა დასავლეთისაკენ. დაიწყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მასობრივი განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

1943 წლის ზაფხულში ჩვენმა ჯარებმა მტერს მიაყენეს გამანადგურებელი ღარტყმა კურსკთან გამართულ ბრძოლებში. კურსკთან ჩვენი გამარჯვების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. „თუ სტალინგრადთან ბრძოლაში ფაშისტურ ჯარებს ჩვენ ... ხელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“ (სტალინი).

1944 წელს საბჭოთა არმიამ გერმანელ ფაშისტთა არმიას მიაყენა ათი ისტორიული დარტყმა, განდევნა გერმანელები ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან და საომარი მოქმედება გადაიტანა მტრის მიწა-წყალზე.

1945 წლის დასაწყისში საბჭოთა არმია არნახული ძალით დაატყდა თავს გერმანელ ფაშისტთა არმიას და გაშალა შეტევა 1.200 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე ბალტიკიდან კარპატებამდე. საბჭოთა არმიის ამ გამანადგურებელი დარტყმების შემდეგ გერმანელები უძლურნი აღმოჩნდნენ დაეცვათ თავიანთი მიწა-წყალი.

1945 წლის გაზაფხულზე საბჭოთა არმიამ ოდერზე განავითარა შეტევა, რომელიც ჩვენი საბოლოო გამარჯვებით დამთავრდა. საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ბერლინი. საბჭოთა იარაღის ძალით დაჩოქებული ფაშისტური გერმანია იძულებული გახდა 1945 წლის 8 მაისს უსიტყვო კაპიტულაცია მოეხდინა.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებით საბჭოთა არმიამ არამარტო ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა დაიცვა, არამედ ჰიტლერული ჩაგვრისაგან გაათავისუფლა ევროპის ხალხები, დაიმსახურა მთელი მოწინავე კაცობრიობის სიყვარული და პატივისცემა.

1945 წლის შემოდგომაზე საბჭოთა არმიამ მოკლე დროში შორეულ აღმოსავლეთში გაანადგურა იაპონიის კვანტუნის არმია და იმპერიალისტური იაპონია აიძულა კაპიტულაცია მოეხდინა.

*
* *

საბჭოთა კავშირის გამარჯვება დიდ სამამულო ომში იყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების გამარჯვება.

ომმა დაგვანახვა, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმას, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება აღმოჩნდა მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუში.

ჩვენი არმიის გამარჯვება — მთელი საბჭოთა ხალხის გამარჯვებაა. ხალხის ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარების გარეშე საბჭოთა ჯარებს არ ექნებოდათ მაღალი ტექნიკური აღჭურვილობა, რის შედეგადაც დაძლეული და განადგურებული იქნა მტერი. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი სატანკო მრეწველობა ომის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ამზადებდა საშუალოდ 30 ათასზე მეტ ტანკს, თვითმავალ ქვემეხს და ჯავშნიან მანქანას, საავიაციო მრეწველობა 40 ათასამდე თვითმფრინავს, საარტილერიო მრეწველობა ყველა ყალიბის 120 ათასამდე ქვემეხს, 450 ათასამდე ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევს, 3 მილიონზე მეტ შაშხანას და სხვ. ეს იყო საბჭოთა ხალხის დაძაბული შრომის შედეგი. ომის მსვლელობაში საბჭოთა არმიის ტექნიკამ რაოდენობითა და ხარისხით გადააჭარბა მტრის ტექნიკას. საბჭოთა ხალხი მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა მტერზე გამარჯვების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო და არის ლენინ-სტალინის დიადი პარტია.

კომუნისტურმა პარტიამ შეამჭიდროვა და ერთ მთლიან ძალად გააერთიანა საბჭოთა ადამიანები და მთელი მათი ძალღონე მიმართა საერთო მიზნისაკენ — მტრის გასანადგურებლად.

ბოლშევიკურმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ლენინ-სტალინის პარტიის შვილები ფრონტზე ყოველთვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა არმიის მეომრებს საგმირო საქმეებისათვის.

ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა არმია აქცია ყველაზე ძლავრ და ყველაზე მოწინავე არმიად მთელ მსოფლიოში. ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა ახალი, საბჭოთა სამხედრო მეცნიერება.

ბოლშევიკურმა პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა სამამულო ომის დროის განძავლობაში აღზარდეს და პასუხსაგებ პოსტებზე წამოსწიეს ახალი ხელმძღვანელი სამხედრო კადრები, რომელთაც საკვლევით გაამართლეს სოციალისტური ქვეყნის ნდობა და დავალება.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, საბჭოთა არმია კიდევ უფრო მტკიცე და გამოწრთობილი გახდა. ომმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა არმია „ჩვენი დროის პირველხარისხოვანი არმიაა, რომელსაც საკვლევით თანამედროვე შეიარაღება აქვს, უაღრესად გამოცდილი მეთაურთა შემადგენლობა ჰყავს და მაღალი მორალური საბრძოლო თვისებანი აქვს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წითელი არმია სწორედ ის არმიაა, რომელმაც სასტიკად დაამარცხა გერმანიის არმია, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ შიშის ზარს სცემდა ევროპის სახელმწიფოთა არმიებს“ (სტალინი).

*

* *

საბჭოთა არმიამ მტრებზე ძლევამოსილი გამარჯვებით დაამთავრა დიდი სამამულო ომი. ამით იგი განცხრომას არ მისცემია. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე ახალი ამოცანები დაისახა — ფხიზლად დაიცვას საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, მიუვალი გახადოს მტრებისათვის სსრ კავშირის საზღვრები; ღრმად შეისწავლოს დიდი სამამულო ომის საბრძოლო გამოცდილებანი და შეუნელებლივ ზარდოს საბჭოთა სამხედრო ტექნიკა.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებულად შრომობს კომუნიზმის მშენებლობის ფრონტზე.

მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებს საერთაშორისო რეაქციის ბნელ ზრახვებს.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შედეგად ძალთა საერთო თანაფარდობა კაპიტალიზმის სამყაროსა და სოციალიზმის სამყაროს შორის შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ.

ამჟამად ნათელია, რომ ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნები — ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, რომლებიც ისტორიის მსვლელობაში მეორე მსოფლიო ომის დროს ანტიჰიტლერული კოალიციის ბანაკში აღმოჩნდნენ,

ბრძოლას ეწეოდნენ თავიანთი ეგოისტური მიზნისათვის, იმისათვის რათა თავიდან მოეშორებინათ კონკურენტები ბაზრებზე და მთელ მსოფლიოში განმტკიცებინათ თავიანთი განუყოფელი ბატონობა. სულ სხვა მიზნებს ისახავდნენ ამ ომში სსრ კავშირი და ახალი დემოკრატიის ქვეყნები. ისინი იბრძოდნენ იმისათვის, რათა აღედგინათ და განემტკიცებინათ დემოკრატიული წესები ევროპაში, მოეხდინათ ფაშიზმის ლიკვიდაცია, მოესპოთ გერმანიის მხრივ ახალი აგრესიის შესაძლებლობა, შეექმნათ ევროპის ხალხთა ყოველმხრივი და ხანგრძლივი თანამშრომლობა.

ომის მიზნების სხვადასხვაობამ თავი აჩინა ომის შემდგომი მიზნების სხვადასხვაობაშიც. საერთაშორისო არენაზე მოხდა მოქმედი პოლიტიკური ძალების ახალი განლაგება. წარმოიშვა ორი ბანაკი: პირველი ბანაკი — იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული, მეორე ბანაკი — დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური.

იმპერიალისტურ ბანაკს მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ბანაკის დროშას აწერია: ამერიკის ბურჟუაზიის მსოფლიო ბატონობის დამყარება და მსოფლიოს დემოკრატიის განადგურება.

დემოკრატიული ბანაკის მიზანს შეადგენს ბრძოლა ახალი ომების მუქარისა და იმპერიალისტური ექსპანსიის წინააღმდეგ, დემოკრატიის განმტკიცება და ფაშიზმის ნაშთების ლიკვიდაცია.

მსოფლიო ბატონობის მოპოვებისა და დემოკრატიის განადგურების თავისი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში ყველაზე მთავარ ხელისშემშლელად იმპერიალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირს და ახალი დემოკრატიის ქვეყნებს სთვლის. სწორედ ამიტომ იმპერიალისტები თავიანთი ისეთი იდეოლოგების სახით, როგორიც არიან ჩერჩილი, ტრუმენი, აჩესონი, დალესი, ოსტინი და სხვები მოითხოვენ ახალ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ სსრ კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ეს რეაქციული პოლიტიკოსები მოითხოვენ ევროპის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური დამონების გეგმების განხორციელებას.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ მათ ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც ამ მხრივ თავიანთ მიზანს. მაგალითად, კაბალური სესხებით ამერიკის კაპიტალისტებმა დააჩოქეს, მათგან ვასალურად დამოკიდებული გახადეს ინგლისი, საფრანგეთი, საბერძნეთი, თურქეთი და ბევრი სხვა კაპიტალური სახელმწიფო, რომელთაც ეს სესხები მიიღეს. ამერიკელმა იმპერიალისტებმა შეაკოწიწეს სხვადასხვა სახის ბლოკები, დადეს პაქტები, თავისი ვასალი სახელმწიფოების ტერიტორიებზე მოაწყეს სამხედრო-სტრატეგიული ბაზები და გადავიდნენ აშკარა აგრესიულ პოლიტიკაზე.

მაგრამ ახალი ომის გამჩაღებელთა ბანაკს უპირისპირდება მშვიდობისათვის მებრძოლთა მძლავრი ბანაკი, საბჭოთა კავშირის მეთაურობით. დემოკრატიული ბანაკის ძალისა და ძლიერების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა მშვიდობის მომხრეთა სტოკჰოლმის მოწოდება, რომელსაც მსოფლიოს ასობით მილიონმა პროგრესულმა ადამიანმა მოაწერა ხელი. მშვიდობის მომხრეთა ამასწინანდელი მეორე კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენს ყველა მათთვის, რომელნიც კაცობრიობას ახალ ხოცვა-ჟლეტას უმზადებენ.

ევროპისა და აზიის ხალხები აღსდგნენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ამ ბრძოლებში უდიდეს გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის მთელი რიგი ქვეყნების, პირველ რიგში ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და ალბანეთის სახალხო დემოკრატიის რესპუბლიკები, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას. მშვიდობისათვის ბრძოლის გზაზე განსაკუთრებით უდიდესი მოვლენაა მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხის გამარჯვება რეაქციის ძალებზე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

მიუხედავად ამისა, ამერიკელი იმპერიალისტები არაფერს ერიდებიან და ცდილობენ მოიპოვონ მსოფლიო ბატონობა. ამერიკის სისხლიანი იმპერიალიზმი უკვე მერვე თვეა სისხლისმღვრელ ომს ეწევა მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ამერიკელთა აგრესია კორეაში, მათ მიერ ჩინეთის ტერიტორიის — კუნძულ ტაივანის მიტაცება, ინდონეზიაში სახალხო-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში მონაწილეობის მიღება, დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაცია, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში უფრო და უფრო თავხედური ჩარევა, დედამიწის ყველა ნაწილში ახალი სამხედრო-სტრატეგიული ბაზების შექმნა, საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ცილისწამებლური კამპანიის ფართოდ გაშლა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანდათანობით გადაქცევა აგრესიული ომის იარაღად, — ყველა ეს ერთი მთლიანი იმპერიალისტური რეაქციის ჯაჭვის რგოლებია.

იმპერიალისტური რეაქციისა და მშვიდობის ძალებს შორის გაჩაღებული ბრძოლის საკითხები, მშვიდობის დაცვის საკითხები გენიალურად გააშუქა ამხანაგმა სტალინმა თავის პასუხში „პრავდის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე:

„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას. ომი შეიძლება გარდუვალი გახდეს, თუ ომის გამჩაღებლები მოახერხებენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ.

ამიტომ ფართო კამპანიას მშვიდობის დასაცავად, როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მაქინაციების გამოააშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს“.

აქედან ცხადია, რომ თითოეული საბჭოთა ადამიანის რკინის კანონს უნდა წარმოადგენდეს ბოლშევიკური სიფხიზლის ამაღლება და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა. ეს ამოცანა განსაკუთრებული მნიშვნელობით დგას ჩვენი შეიარაღებული ძალების წინაშე. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ საბჭოთა არმია საჭირო მომენტში თავის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

ბორის ჩხეიძე „მოთხრობები". სახელგამი, 1950 წ.

„შრომელი ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში „მხატვრულ პროზას უდიდესი უპირატესობა აქვს ყველა სხვა ლიტერატურულ ჟანრთან შედარებით" (კ. ჩარკვიანი). ამიტომ ბუნებრივია, რომ ყოველ ახალ პროზაულ ნაწარმოებს ცხოველი ინტერესით ხვდება ჩვენი საზოგადოებრიობა.

ამ მხრივ აღსანიშნავია ბორის ჩხეიძის მოთხრობების კრებული, რომელიც გამოსცა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ.

აღნიშნულ კრებულში მოთავსებულ ზოგიერთ მოთხრობის შესახებ („ნამოსახლარზე", „ომგადახდილი" და სხვ.) სათანადო დადებითი შეფასება თავის დროზე გამოითქვა ჩვენს პრესაში.

ბორის ჩხეიძის მოთხრობების გმირები ჩვენი დროის უბრალო ადამიანები არიან. მათი სულიერი სამყარო მეტად მდიდარი და მიმზიდველია. ლევან შილდელი და აბიკა ჩანგარაული, ციცინო და ნიკა მუხლიაშვილები, მელითონე პატარა ქეთო და ტრაქტორისტი ფარჯიქია, ობოლი ხურომანი და ჭაბუკი ზოოტექნიკოსი და სხვა მრავალი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი აღმავალი ცხოვრების შემოქმედი ადამიანები არიან. მათ ამოძრავებთ არა პირადი ინტერესები, ისინი ჩაკეტილნი კი არ არიან ვიწრო ეგოისტურ ნაჭუჭში, არამედ მათი გრძნობისა და აზრის, ხასიათისა და მოქმედების ასპარეზი ფართოა, საზოგადოებრივია. მათთვის ადამიანთა კოლექტივის ინტერესები არიან მთავარნი და მამოძრავებელნი. „ჩემს ქვეყანას რომ თვისტომი კაცი, სანაშენო ოჯახი, სათვალავში ეყოლება, განა ამას რა ფასი სჯობია?" — ეუბნება ცოლს კოლმეურნე ლევან შილდელი უსახლკარო, ძველ ადათებს გამოქცეულ აბიკა ჩანგარაულის შესახებ, რომელსაც თავისი საკარმიდამო ნაკვეთის ნახევარი და პატარა სახლი სრულიად უსასყიდლოდ დაუთმო.

ბ. ჩხეიძის მოთხრობების გმირები სოციალისტური სამშობლოს მხურვალე პატრიოტები არიან და მტკიცედ დარწმუნებულნი ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს გამარჯვებაში. „გაიმარჯვებენ ჩვენები? — ეკითხება ცოლს სამამულო ომის დროს იგივე ლევან შილდელი და პასუხსაც თვითვე იძლევა, — ჰო, გაიმარჯვებენ... მე მწამს გავიმარჯვებთ... ჩვენ მართალი ხალხი ვართ, ქეთევან, აკი ბელადსაც ასე უთქვამს, ჩვენი საქმე მართალია, ჩვენ გავიმარჯვებთო".

ბ. ჩხეიძის გმირებისათვის ბედნიერი ცხოვრების წყარო თავდადებული შრომაა, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ნაშრომი ისევ მათია, რომ ხალხის მონაგარი ისევ ხალხს ეკუთვნის. ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში მშრომელებს შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობა, ლაღად და ბედნიერად იცხოვრონ, თავიანთი შრომითა და გარჯით გაიხარონ. ჩვენს ქვეყანაში ადამიანის ბედნიერება სხვაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თვით ადამიანში, მის ნებისყოფაში, მის მუყაითობასა და შრომის უნარიანობაშია მოცემული. აკი ამასვე ამბობს კოლმეურნე სტეფო: „ვინც ბედნიერი არ არის, თავის თავს დააბრალოსო" („მკა"). თუ „კაცი მარჯვენას მონდომებული გულით მოიქნევ, თუ ზედ გონებასაც დაატან, იქ ხელი წაღმა შემოგიტრიალდება" — ამბობს მეორე კოლმეურნე („ნამოსახლარზე"). ამაშია სწორედ ჩვენი ადამიანების სიმართლე, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ცხოვრების ნამდვილი აზრი.

წარსული ბედუკუღმართი ცხოვრებაც ახსოვს ჩვენს ხალხს, როცა მისი ნაშრომი სხვას მიჰქონდა, როცა ადამიანის ყოველგვარი ნიჭი და უნარი ჩახშული იყო. ამ მწარე წარსულიდან მხოლოდ უსიამოვნო მოგონებები და დარჩა მის მომსწრე ადამიანებში, რომლებიც წყევლა-კრულვით იგონებენ იმ შავბნელ დროს. ისინი ახლა სიხარულით, ბედნიერების გრძნობით შესცქერიან ყველაფერს, ხეს, წყალს, მთებს, ქვეყანას, ერთი სიტყვით ჩვენი აყვავებული და გამარჯვებული ცხოვრების სინამდვილეს. ამიტომ სრულიად მართლად და დამაჯერებლად ისმის კოლმეურნე სტეფოს სიტყვები:

— „დედინაცვალი იყავ შენც, მიწავ. ჩვენს რძეს სწოვდი — ძირ-მწარეს კი გვაწოვებდი, გივლიდით, გამუშავებდით — მშიერს გვტოვებდი, გვიყვარდი, შენ კი მხოლოდ მაშინ ჩაგვიკრავდი გულში, როცა სამ აღლიან ორმოში ჩავეშვებოდით. გვწყუროდა და წყალს გვიშ-

რობდი, ახლა კი დედა ხარ, მიწავ, ტკბილო და მოამაგე“ („მკა“).

ასე უყურებენ ბ. ჩხეიძის გმირები ქვეყანას, ასეთი წმინდა გრძნობებით განიცდიან ისინი სოციალისტური ცხოვრების სინამდვილეს, სადაც ადამიანი მარტო კი არ არის, არამედ მასთან მთელი კოლექტივია, მთელი საზოგადოება. და თუ ზოგჯერ ვინმეს უნებურად ფეხი დაუცდა ცხოვრების გზაზე, იგი არ დაიღუპება, მას ჯაშინვე მიეშველებიან სხვა ადამიანები. მას კვლავ შეუძლია დაეწიოს ცხოვრებას და მის შემოქმედთა რიგებში ჩადგეს.

ჩვენი ცხოვრების ეს მომენტი კარგად აქვს ძიგნებული ბ. ჩხეიძეს და მხატვრული სიმართლით გადმოცემული. მისი მოთხრობების გმირები აბიკა ჩანგარაული და ობოლი ხურომანი სწორედ ასეთი ადამიანები არიან. ისინი გაექცნენ ჩამორჩენილ, ძველთაგან გადმონაშთენ ბნელ ადათებს. სოციალისტური საზოგადოება რომ არა, ისინი დაიღუპებოდნენ. ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ ისინი კვლავ შემოქმედებითი შრომის გზაზე დააყენა, ბედნიერები და გამარჯვებულნი გახადა.

აბიკა ჩანგარაული, როგორც ახალი დროის ადამიანი, ვერ შეეგუა ჩამორჩენილ მთის ადათ-წესებს, გამოექცა სისხლის აღებას. კარგად არის მწერლის მიერ დახატული ის ადგილი, სადაც ახალი ცხოვრების გზაზე მიმავალ ცოლქმარს აბიკასა და ძიძილოს მოულოდნელად დაეწევა მთიდან მოვარდნილი ლანქერი და დაბრჩობას უქადის მათ. ყელამდე მრისხანე ტალღებში მყოფ სასოწარკვეთილ ადამიანებს დაღუპვისაგან იხსნის კოლმეურნე ლევანი, რომელიც მისთვის უცნობი ადამიანების გულისათვის საფრთხეშიც კი აგდებს თავის სიცოცხლეს. ლევანმა გადაარჩინა უცნობი ადამიანები და მათ, როგორც ახლობლებს, გაუმართა ხელი: „ჩვენს ქვეყანას თვისტომი კაცი, სანაშენო ოჯახი შეემატებაო“, ფიქრობს ლევანი და ყოველმხრივ ხელს უწყობს ამ ახალ კოლმეურნეებს, გამრჯე და მუყაით ადამიანებს.

თითქმის ასეთივე ბიოგრაფიის მქონეა სამხრეთ საქართველოს შორეულ, ჩამორჩენილ სოფელში მცხოვრები უდედმამო გოგონა ხურომანიც („ალაჰის ფეშქაში“). მას მშობლები ადრე დაეხოცა. იგი დეიდამ გაზარდა და როდესაც დაქალდა, დეიდას ქმარმა ხურომანის ცოლად შერთვა მოინდომა, რის გამო მისი ცხოვრება უკეღმა შეატრიალა; ამას დაემატა გაიძვერა აიდამირის მზაკვრული საქციელი. რამაც ცეცხლზე ნავთი გადაასხა და ობოლი ხურომანი მსხვერპლი გახდა კიდეც ძველი ადათწესებისა, უკულტურო ადამიანების გაიძვერობისა. იგი ჩანთქა მტკვრის ბობოქარმა ტალღებმა, მაგრამ აქაც დახვდა მას ჩვენი ცხოვრების მტკიცე ხელი, რომელიც თითქმის დამბრჩალ ხურომანს გადაარჩენს, ახალი ცხოვრებისკენ [illegible] ნებს და ისიც ამ გზაზე [illegible] დაუზარელი შრომით გასწევს წინ ბედნიერებისაკენ. ადამიანებისადმი გულგატეხილი ხურომანი დარწმუნდა, რომ ნამდვილი ადამიანები ისეთები კი არ არიან, როგორც მოღალატე აიდამირი, ან უნამუსო დაშთამირი, არამედ ისეთები, როგორც ჭაბუკი ზოოტექნიკოსი.

ამ მოთხრობაშიც ყველა დეტალი მართებულადაა გააზრებული, უშეალოდ განცდილი და დამაჯერებლობით შესრულებული.

აღნიშნულ წიგნში დასახელებულ მოთხრობებს გარდა ყურადღებას იქცევს მოთხრობები: „ჩვენი ძველი ნაცნობები“, რომელიც ასახავს გერმანელ საოკუპაციო ჯარის თარეშს საქართველოში ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, „შვილები“, „ხაფთან “და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელნი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორისათვის ჩვეული ოსტატობით არიან დაწერილნი, გარკვეულ ნაკლსაც შეიცავენ. მოთხრობა „შვილები“ რამდენიმედ ხელოვნური მომენტებით არის დამძიმებული. ექვსი შვილი მოულოდნელად, მშობლების უკითხავად, ერთი-მეორის წაბაძვით მოხუც დედ-მამას მიატოვებენ, სახლიდან წავლენ, ჩვენი სამშობლოს შორეულ კუთხეებში გადაიკარგებიან, წერილებსაც კი იშვიათად და ძუნწად იწერებიან, ხოლო შემდეგ მოთხრობის ბოლოს, ისინი ყველა ერთდღეს ბრუნდებიან ლენინგრადიდან, მაგნიტოგორსკიდან, შორეულ აღმოსავლეთიდან და სხვა ადგილებიდან და ამით ამხიარულებენ აქამდე დარდიანად მყოფ მშობლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამბავი დამაჯერებლად ვერ არის გადმოცემული. ასევე ხელოვნურია მოთხრობა „ხაფთანში“ ხაფთანის ერთად-ერთი ვაჟის მურზუხის საქციელი. მურზუხი თანამედროვე ახალგაზრდაა, ახალი რწმენითა და იდეებით გამსჭვალული და ამიტომ ძალზე უხეშად ისმის მისი მიმართვა მოხუცი მამისადმი: „ჩუმად, შე ქოფაკო.“ — შეუტია შვილმა მამას და „ხელები გაუკავა“. შემდეგ მოულოდნელად ხელები უშვა „და ხაფთანი მთელი ტანით მაჩუბის კედელს დაეჯახა“. ან კიდევ: — „ენადასაბმელო, თუ კიდევ წამოგცდა, მიწაზე დაგანარცხებ“. რაც არ უნდა ძველი ადათ-წესების მიმდევარი იყოს მოხუცი მამა, რაც არ უნდა იდეური ბრძოლა არსებობდეს მათ შორის, მაინც არ შეიძლება გამართლებული იყოს თანამედროვე ახალგაზრდის მიერ ასეთი უხეში მოპყრობა მშობლისადმი. მურზუხი გაექცა ძველ ადათ წესებს, უარი თქვა სისხლის აღებაზე, ამიტომ გაექცა ოჯახსაც. ამ მხრივ იგი სწორად მოიქცა, მაგრამ მისი საქციელი მკითხველის სიმპათიას ვერ იმსახურებს .

საყურადღებოა მოთხრობა „საწაბლეს გადაწვა". იგი 1905 წლის რევოლუციური ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავს, მასში დახატულია 1905 წლის პერიოდში კაზაკების ჯარის ეგზეკუცია ზემო იმერეთის სოფლებში და მათ მიერ „ურჩი" მოსახლეობის გადაწვა. მწერალს სწორად აქვს დანახული მაშინდელი სინამდვილე იმ მხრივ, რომ თვით კაზაკებს შორისაც იყო მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანები. ასეთი ადამიანების ტიპიური წარმომადგენელია ამ მოთხრობაში ახალგაზრდა კაზაკი ვანია. იგი არ ასწავლის თავის ჯარს სოფელ საწაბლესაკენ მიმავალ გზას, წინასწარ აცნობებს სოფელს, თავს უშველეთო და არ ასრულებს უფროსის ბრძანებას სოფლისათვის ცეცხლის წაკიდების შესახებ. ვანია გმირულად იღუპება „თავისიანის" ვერაგული ტყვიით. იგი თავს სწირავს უდანაშაულო, მშრომელი ხალხის ინტერესებს.

მოთხრობა „ომგადახდილი" ბ. ჩხეიძის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესოა. სრულიად ბუნებრივია, რომ მას განსაკუთრებული ინტერესით შეხვდა მკითხველი საზოგადოება. მასზე მრავალი აზრიც გამოითქვა პრესაში. ზოგიერთები კიდეც ედავებოდნენ ავტორს მოთხრობის გმირების ნიკა მუხლიაშვილის და მისი მეუღლის ციცინოს საქციელში, მაგრამ საერთოდ კი ყველა აღნიშნავდა მოთხრობის უტყუარ ღირსებებს.

ბ. ჩხეიძის „მოთხრობები" უტყუარი საბუთია იმისა, რომ მისი ავტორის სახით ქართულ საბჭოთა პროზას ყავს ერთერთი ნიჭიერი ოსტატი.

ანდრო თევზაძე

ბ. ქუჩიშვილი — „მოგესალმებით, ბავშვებო", საგლიტგამი, 1950 წ.

★

ბ. ქუჩიშვილის საბავშვო ლექსები გამსჭვალულია საბჭოთა ქვეყნისადმი სიყვარულის მაღალი გრძნობებით. მისი ყველა ლექსი ნორჩ თაობაში პატრიოტულ გრძნობებს და სოციალისტური სახელმწიფოსადმი თავდადებისა და ერთგულების მისწრაფებას აღვივებს. ლექსში „ვფიცავ, ძმებო!" ავტორი წერს: „მტერს ზურგს ვინ აქცევს ჯაბანის მეტი, ვინ გაექცევა ჩვენს წმინდა ბრძოლას? და მეც, მოლაშქრე თქვენი პოეტი, დღეს მეც ხელთ ვიღებ პირმახვილ ფოლადს! და ვფიცავ, ძმებო, ჩვენს ურიცხვ გმირებს, ჩვენს უსაყვარლეს სამშობლოს ვფიცავ, რომ ბრძოლის ველზე თუ გავიგმირე, პირზე ღიმილით დავკოცნი მიწას!".. ლექსი ჩინებულად გამოხატავს ქართველი ხალხის სულიერ თვისებებს, საბჭოთა მიწაწყლისადმი უსაზღვრო სიყვარულს.

საბჭოთა საქართველოს სილამაზისა და ძლიერების გამომხატველია სხვა ლექსებიც: „25 თებერვალი", „25 თებერვლის ზეიმზე", „ორდენოსან საქართველოს". აქ ლექსების ფორმა, მათი შინაგანი წყობა სავსებით ეფარდება იმ შინაარს, რომელშიც გამოხატულია ქართველი ხალხის სიხარული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო. ქართველმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ბოლო მოუღო ხალხის მტრებს, მენშევიკურ ხელისუფლებას. პოეტი ამბობს: „საქართველოს ოქტომბერი არის ჩვენი თებერვალი!" („25 თებერვლის ზეიმზე"). დიდია ამ სტრიქონების სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. მასში ნათლად ჩანს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების საკაცობრიო მნიშვნელობა. გ. ქუჩიშვილის ლექსებში ეს ისტორიული სინამდვილე მხატვრულ სახეებშია განვითარებული. მისი ლექსების მრავალფეროვან სურათებში შესანიშნავად გამოსჭვივის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების ძალა. ამიტომაა ისინი მიმზიდველი და დამაჯერებელი. ამ ლექსების მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ისინი კარგად გვიჩვენებენ თუ საბჭოთა სინამდვილემ როგორ გამოიყვანა პოეტი სულიერი კრიზისიდან, იდეურ შეზღუდულობისაგან, რაც მას ემჩნეოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

დიდი ლენინი და სტალინი ცხოვრების აზრს, მის შინაარსს, ადამიანის უმაღლესი დანიშნულებას ხალხის სამსახურში, მათი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში ხედავენ. დიდი ადამიანების საუკეთესო მისწრაფებანი, მათი გენიალური აზრების საკაცობრიო, უდიდესი მნიშვნელობა მკაფიოდაა გამოხატული ლექსებში: „ბელადის ხსოვნას", „ლენინს", „ვ. ლენინი — ბავშვობის დროს", „ბელადს", „სტალინს" და სხვა. ამ ლექსებში ჩანს საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარული დიდი ლენინისა და სტალინისადმი.

ლენინ-სტალინის პარტიის მაღალი იდეებით აღჭურვილი პოეტი ბავშვებს მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

„მშრომელო ბავშვებო,
ყოველი ქვეყნისა,
ისმინეთ,
გახსოვდეთ ეს:
მხოლოდ ლენინიზმი
და მისი პარტია
დაამხობს
საერთო მტრებს!“
(„ბელადის ხსოვნას“).

ლექსის ყოველ სტროფში დიდი ლენინისადმი სიყვარულია ჩაქსოვილი, მისი სტრიქონები ლენინ-სტალინის პარტიის იდეების ყოვლისშემძლე ძალას ამყღავნებენ და გამარჯვების რწმენას აძლიერებენ.

დიდი ლენინის მოძღვრებისა და საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგი სტალინისადმი მზეცოვალე სიყვარული კარგადაა გამოხატული შემდეგ სტრიქონებში:

„ხალხთა დიდო მეგობარო,
შუქმფინარო
მზეო სტალინ!
ქვეყნად ყველა შენით ეხარობთ,
შენკენ გვრჩება ყველას თვალი!“
(„ბელადს“)

დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ სტრიქონები ლექსიდან „ბავშვების სიმღერა ლავრენტი ბერიაზე“: „ჩვენო დიდო მოამაგე, ტკბილო ძია ბერია, რაც შენ დარგე და რაც გვარგე, ჩვენს ბაგეს უმღერია! შეხე, შენი ყვავილნარი ღღეს რა მშვენიერია. ეს ჩვენა ვართ! შენი გვარიც ამ ჩვენს გულში სწერია!“ აქ მძლავრად ეღერს ის სიყვარული, რომელსაც ჩვენი ნორჩი თაობა გულის სიღრმეში ატარებს. ლექსის ყოველი სტროფი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი უსაზღვრო სიყვარულზე მეტყველებს. ლექსის შინაარსი ღრმაა, მის მრავალფეროვან სურათებში შესანიშნავად არის დახატული ლ. პ. ბერიას სახე, ის ამაგი, რომელიც ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ქართველ ხალხს დასდო.

წიგნში მოთავსებულ ლექსების სიუჟეტები უმთავრესად პიონერების ცხოვრებიდან არის აღებული. ლექსებში: „პიონერული“, „პიონერების სიმღერა“, „პიონერთა საკავშირო შეკრება მოსკოვში“, „პიონერთა ბანაკში“, „შეხვედრა პიონერებთან“, „პიონერები“, „პიონერის წერილი“ და სხვა, პიონერების სახე ცოცხლადაა დახატული. პიონერების მოქმედებით, ყოფა-ქცევით, მათი მაღალი [illegible] მოხიბლულმა პოეტმა [illegible] ამ, ...

მართალია, გ. ქუჩიშვილის ლექსების მთავარი მოქმედი პირნი დადებითი ტიპებია, მისი გმირები სიცოცხლით სავსე, მაღალი მისწრაფებების მქონე ბავშვებია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს მწერალს შეუმჩნეველი დაეტოვოს ზოგიერთი ნაკლოვანებანი. ჩვენს ბავშვებს შორის ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, რომლებიც სასკოლო დისციპლინას არღვევენ, ქუჩაში ცუდად იქცევიან, მშობლებს ყურს არ უგდებენ. სბავშვო ლიტერატურის პირდაპირი დანიშნულებაა დაეხმაროს ოჯახსა და სკოლას ასეთი ბავშვების აღზრდა-განათლებაში. ლექსი „ცუღლუტებს“ იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის მიზანია ზემოქმედება მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე. მწერალი აქ ბავშვის ფსიქოლოგიის კარგ ცოდნას იჩენს. იგი უხეშად კი არ მიმართავს იმ ბავშვებს, რომელნიც თავისი საქციელით გაკიცხვის ღირსნი არიან, არამედ სიყვარულით ეკიდება მათ და ყოველმხრივ ცდილობს გავლენა მოახდინოს მათზე და ზნეობრივად აამაღლოს ისინი. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ცუღლუტებზე დაწერილ ლექსებში აშკარად ჩანს, რომ საქმე არა ტიპიურ მოვლენებთან გვაქვს. ავტორი ისეთ შემთხვევებსა და სახეებს ანზოგადოებს, რომელიც ტიპიური და დამახასიათებელია ჩვენი ცხოვრებისათვის. „თქვენ ყველგან ხართ! ყველგან სწვდება ძლიერება თქვენი მკლავის! ომის ფრონტზეც თქვენმა წყებამ ისახელა ბევრჯერ თავი! სწავლაშიაც ბეჯითი ხართ, ეუფლებით ცოდნას რთულსა, კოლექტივსაც წინ უძღვიხართ, ჰქმნით უხვდოელათ ჭირნახულსა! ზოგნი იბრძვით ფაბრიკებზე, ჰქმნით მას, რასაც მხარე ითხოვს; მიწის გულში, კლდოვან მთებში ამუშავებთ ნახშირს, ლითონს, რომ სოფელმა ქალაქისგან მანქანები მოიკითხოს“ — ასეთია ის საერთო დახასიათება, რომელსაც პოეტი ჩვენს ახალგაზრდობას აძლევს. მართალია, მწერალი არც ამ ლექსში გვიჩვენებს საბჭოთა ახალგაზრდობის ხასიათის შემუშავების პროცესს, მათ სახეს მოქმედებაში არ აშქღავნებს, მაგრამ მკითხველი გრძნობს. რომ თვისებები, რომელსაც მწერალი აღნიშნავს, მხოლოდ ჩვენს ახალგაზრდობას გააჩნია და მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა პირობებისა და კომუნისტური აღზრდის შედეგია.

პატარებისათვის დაწერილ ლექსებს შორის აღსანიშნავია ლექსი „ბალღებს“. საბჭოთა ახალგაზრდების ცხოვრებით აღტაცებული პოეტი წერს: „ველის ყვავილებს გადარეთ, ყვავილნო, ფეხადგმულებო, ხან კლასში გხედავთ, ხან გარეთ, ლექსივით ფრთაასხმულებო! მახარებთ, რადგან მაგონებთ მეც რომ ვიყავი პატარა; მხოლოდ ერთი რამ მაღონებს: სკოლაში არვინ მატარა. თქვენთვის კი ყველგან ღიაა საბჭოთა სკოლის კარები, და მეც რომ ბალღად მაქცია, მოწაფედ მივებარები!“ სევდიან [illegible] მხოლოდ ერთი რამ მაღონებს: სკოლაში [illegible] მატარა“ მოსჩანს თუ რა მძიმე პირობებში გაატარა პოეტმა თავისი ბავშვობა. ჩვენი ნორჩი თაობის შეგნებითა და მაღალი მისწრაფებებით მოხიბლული პოეტი საღებავებს არ ზოგავს სტალინური მზით გასხივოსნებულ საბჭოთა ბავშვების სახის გამოსახატავად. პოეტს არ უყვარს სიტყვების ხელოვნური შეთხზვა. იგი მარტივად და სადად, ბავშვებისათვის სრულიად გასაგები ენით წერს. ამ ლექსების მთავარი ღირსება იდეაში და მიზანდასახულობაშია. ცხადია ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს პოეტი ფორმას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. შინაარსისა და ფორმის მტკიცე ერთიანობა გ. ქუჩიშვილის შემოქმედების ძირითადი თვისებაა. ამიტომ ახდენენ ისინი ნორჩ მკითხველზე აქტიურ ზემოქმედებას. მაგალითად ლექსები: „სკოლისაკენ“, „წარჩინებული“, „ბავშვთა ბაგა“, თავისი შინაარსით მდიდარია. ეს ლექსები პატარებს ღრმად აყვარებს სკოლასა და სწავლას. ისინი თავიდანვე აღვიძებენ მათში ცოდნის შეძენის მისწრაფებას.

გ. ქუჩიშვილი საბავშვო ლექსებში კონტრასტების ხერხს ფართოდ მიმართავს. კონტრასტზეა აგებული ლექსი „პირველი მერცხალი და ბავშვები“. ამ ლექსის სიუჟეტი კარგად არის მოფიქრებული და დამუშავებული. მასში გაშლილი ამბავი დიდად მოქმედებს ჩვენი ბავშვების გრძნობებზე. „ცრემლს ვამჩნევდი ჩვილ ბავშვებსაც“ ამბობს ჩვენს მხარეში მოფრენილი მერცხალი, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულითაა გამსჭვალული ჩვენი ქვეყნის ბავშვებისადმი. აი როგორი სიტყვებით მიმართავს ბევრი ამბების მნახველი მერცხალი ჩვენს ბავშვებს: „თქვენ კი ჩემო მალხაზებო, ცხოვრება გაქვთ ტკბილზე-ტკბილი და ბელადი საანქებო გზრდით და გმოსავთ სხივმოსილი. ო, რა მიყვარს თქვენი მხარე, ო, რა მიყვარს საქართველო! ვინც გივლით და ვინც გახარებთ დიდხანს, დიდხანს გიდღეგრძელოთ!“ პოეტი კარგად გამოხატავს ორ გრძნობას — სიყვარულს ჩვენი ქვეყნისადმი, სიძულვილს კაპიტალისტურ ქვეყნებისადმი. მწერალი სოციალურ მოვლენებს ბავშვებისათვის გასაგებ ახსნა-განმარტებას აძლევს, მის მიერ დაყენებული საკითხები ბავშვების გულს ღრმად სწვდება. ამასთან მწერალი განსაკუთრებული ოსტატობით ახერხებს ჩვენს ბავშვებში დაჩაგრული ბავშვებისადმი სიყვარულის გრძნობების დანერგვას. აქაც პოეტის ენა სხარტი და მსუბუქია. საერთოდ ვ. ქუჩიშვილის საბავშვო პოეზია, რომელიც შეესაბამება საბჭოთა პედაგოგიკის თეორიულ საფუძვ-

ლებს, მის მდიდარ გამოცდილებას, შთამაგონებელია, ხატოვანი და მრავალფეროვანი. გ. ქუჩიშვილის პოეზია კარგად ეხმარება ჩვენი ბავშვების მორალურ-ესთეტიკურ აღზრდის, მათი ფიზიკური და სულიერი განვითარების საქმე.

გ. ქუჩიშვილის საბავშვო ლექსების წიგნში შეტანილია ძველი ლექსებიც, რომლებიც გამოხატავენ რევოლუციამდელ ცხოვრებას. ისინი ნათელ წარმოდგენას იძლევიან მწერლის განვლილ გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ქუჩიშვილის საბავშვო ლექსების კრებულის გამოცემით საბჭოტგამმა კარგი საქმე გააკეთა, ბავშვებს კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნა.

ვლადიმერ ჯიბუტი

მოთხრობა საკოლმეურნეო სოფელზე

★

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" ცალკე წიგნად გამოსცა თენგიზ გოგოლაძის მოთხრობა „ვარიყულას განთიადი".

ამ მოთხრობაში ავტორი აგვიწერს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის შრომისა და სიხარულის დღეებს ომის შემდგომ პერიოდში. მოთხრობაში ნათლად იგრძნობა სოციალისტური შრომის პათოსი და ჩვენი ქვეყნის გმირი ადამიანების — კომუნიზმის მშენებელთა შინაარსიანი და მჩქეფარე ცხოვრება. მაგრამ ეს როდია ნაწარმოებში მოცემული ცალმხრივად, სიძნელეთა და წინააღმდეგობათა გათვალისწინების გარეშე. ახალგაზრდა მწერალს კარგად შეუმჩნევია ჩვენი ზრდისა და წინსვლის სიძნელეები, შემაფერხებელი გარემოებანი, რომელთაც ბოლშევიკური სიმტკიცით სძლევენ განახლებული სოფლის მოწინავე ადამიანები.

ავტორი მოგვითხრობს, რომ კოლმეურნეობა „განთიადში" ყველაფერი რიგზე როდია. კოლმეურნეობის წევრები ღარიბულად ცხოვრობენ, მოსავალი დაბალია, თავმჯდომარე უფხო და უნდილი ადამიანია. მას ძალა არ შესწევს თავი გაართვას ახალი, სოციალისტური ტიპის მეურნეობას — კოლექტიურ მეურნეობას. კოლმეურნეები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. ერთი მათგანი ბარნა დურგლიშვილი თავისი ოჯახით გადასვლასაც კი აპირებს მეზობელი სოფლის — ახალციხის კოლმეურნეობაში, სადაც საქმე ჩინებულად მიჰყავთ თავკაცებს. აქ ჯანსაღი და სწორი ხელმძღვანელობის შედეგად ცხოვრება დუღს, კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობენ, ისინი კმაყოფილი და ბედნიერი არიან.

ბარნას გადაწყვეტილებამ სხვა კოლმეურნეობაში გადასვლის შესახებ კიდევ უფრო დააფიქრა კოლმეურნეობის ჯანსაღი ბირთვი. კოლმეურნეობაში ახლად დანიშნული აგრონომი ქალი — ნათელა, პარტორგანიზაციის მდივანი — შაქრო და მერგოლური — მაყვალა იჩენენ თაოსნობას მდგომარეობის გამოსასწორებლად. საქმეში ჩაერევა პარტიის რაიკომი. უხერხემლო თავმჯდომარეს — თედოს კოლმეურნეები გადააყენებენ და მის ნაცვლად ირჩევენ სამამულო ომიდან დაბრუნებულ ვანო ბოგველს. ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, სოციალისტური შრომის ენთუზიასტი ბოგველი მტკიცედ დარაზმავს ამხანაგებს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. იწყება გარდატეხა. მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა. გარიყულელთა ცხოვრებაში ახალმა სიომ დაჰბერა. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაშიც კი ებმებიან ახალციხელებთან. ავტორს კარგად აქვს აწერილი კოლმეურნეთა საერთო კრება. დამაჯერებელია აგრეთვე გარდატეხა ზურაბის ხასიათშიც. ასევე ითქმის ბარნას მიმართ, რომელსაც მიღებული გადაწყვეტილება სხვა კოლმეურნეობაში გადასვლის შესახებ შეაცვლევინა შექმნილმა ვითარებამ.

მოთხრობის ბევრი ადგილი საკმაო მხატვრული დამაჯერებლობით არის შესრულებული. მაგრამ ავტორის მხატვრული ოსტატობა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება. მოთხრობაში არის ზოგიერთი გულუბრყვილო და პრიმიტიული მხატვრული ხერხები. აი, თუ გნებავთ, სიყვარულის საკითხი. ავტორი ძლიერ იოლად, ყოველგვარი მხატვრული მოტივაციის გარეშე იძლევა ქალ-ვაჟის სიყვარულს. თუ კი სავსებით ბუნებრივი, დამაჯერებელი და სათანადოდ მოტივირებულია სიყვარული შაქროსა და მაყვალას შორის ასევე არ ითქმის კოლმეურნეო-

ბის თავმჯდომარის ვანო ბოგველის გრძნობაზე ნათელას მიმართ. არც ზურაბისადმი ნათელას სიყვარულია მხატვრულად დასაბუთებული. მეტისმეტად აჩქარებით შეუყვარდება ამ უაღრესად სერიოზულ, დინჯ და საქმით გატაცებულ ქალიშვილს ზურაბი. და ეს მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ ზურაბმა კარგი სიმღერა იცის. სხვა მხრივ კი იგი სატრფიალო არსებად არ შეიძლება მიიჩნიოს ნათელამ, ვინაიდან პირველ ხანებში ზურაბი მთელ სოფელს ათვალწუნებული ჰყავს როგორც უსაქმური, ქეიფს გადაყოლილი ადამიანი. ოჯახის წევრებიც კი არ არიან მისი საქციელით კმაყოფილი.

დამაჯერებლობას მოკლებულია აგრეთვე ის ადგილი, სადაც ავტორს მოცემული აქვს ნათელას და ზურაბის შეხვედრის სცენა, როცა ეჭვით გაბოროტებული ზურაბი რუს პირად ზის და იტანჯება. აქ ნათელა მას წერილს ჩაუდებს ხელში, ზურაბი კი ნაცვლად იმისა, რომ სასწრაფოდ წაიკითხოს წერილი, წყალს გაატანს მას. ამ დროს არც მაყვალას ყოფნაა იმ ადგილას ბუნებრივი და დამაჯერებელი. ეს ავტორს მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, რომ მაყვალას დაეჭირა წყალში ეს ბარათი და ზურაბისათვის წაეკითხვინებინა.

მოთხრობაში ცოცხლად არიან დახატული ბარნა დურგლიშვილი, მაყვალა, შაქრო, ნათელა, ზურაბი. თვითეულ მათგანს გააჩნია ინდივიდუალურ თავისებურებათა გამომხატველი ნიშნები. ოდნავ სქემატიურია დათიკო გიუნაშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ვანო ბოგველი. არც თაფლო და ელენე გამოირჩევიან განსხვავებული ცხოველმყოფელი თვისებებით.

ნაწარმოების ერთ-ერთ [illegible] უნდა ჩაითვალოს თხრობის ძალდაუტანებელი მანერა. მოთხრობაში გამოყენებულია ბევრი ხალხური ხატოვანი გამოთქმა და ეპიტეტი.

ჯანსაღი ემოციების აღმძღვრელი და ნაწარმოების საერთო ოპტიმისტური განწყობილების გამომხატველია „გარიყულას განთიადის“ ბევრი ადგილი.

მაგრამ მოთხრობას საერთოდ მაინც ემჩნევა გამოუცდელი ოსტატის ხელი. უფერული და სუსტია ასეთი სტრიქონები: „მაყვალა ნიდაყვით დაეყრდნო ამბარს, ნავთის სანათს მიაჩერდა, რომელიც პაწია ალით ლიცლიცებდა“; „სატრფოს ცქერამ უფრო დაუბეგვა გული“; „კოლექტივის ანგარანის გადასწვრივ, წყაროსთან შედგა; სული მოითქვა“; „ანგარანის წინ მოედანია, გასწვრივ წყარო“; „თავმჯდომარისათვის საიმედო კაცი შერჩეულია“ და სხვა.

ყურს ეხამუშება აგრეთვე ისეთი სიტყვების ხმარება, როგორიცაა „ანგარანი“, „ამბარი“, „ნიდაყვი“, „შეაჯანღარა“, „ბევრმოსახლე“, „დადვეს“, „წამონაწყისი“, „გადასწვრივ“, „ეზოშამოუკავებელი“.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „გარიყულას განთიადი“ ახალგაზრდა მწერლის მიღწევაა.

პეტრე ბახტურიძე

თინა დონჭაშვილი — „განთიადი“ სახელგამი, 1950 წ.

★

თ. დონჭაშვილის რომანი „განთიადი“ ასახავს საბჭოთა ხალხის ბრძოლასა და შრომას სამამულო ომის დროს. მოქმედება მიმდინარეობს ძირითადად სოფელ განთიადში, მახარაძის რაიონში, აგრეთვე მოსკოვის მისადგომებთან, სტალინგრადთან, ჩრდილო კავკასიაში და ბოლოს ბერლინში. ავტორს უეჭველად კეთილშობილური მიზანი აქვს დასახული. მას სურს გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანების სიმამაცე, ვაჟკაცობა, პატრიოტიზმი, გვიჩვენოს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის მტკიცე მეგობრობა, გვიჩვენოს ჩვენი ქვეყნის გამარჯვების ძირითადი ფაქტორები. რომანში მოთხრობილია მისი მთავარი გმირებისა და მათი მშობლების ვრცელი ბიოგრაფია. ეს გმირებია: ნიკა ლომიძე, ნოდარ ღუდუშაური და რუსიკო ლომიძე. ნიკა და ნოდარი ფრონტზე იბრძვიან უშუალოდ მტრის პირისპირ, რუსიკო (ნიკას და) კი ზურგში ეწევა ფავდადებულ შრომას.

ავტორი გვიხატავს ნიკა ლომიძის და ნოდარ ღუდუშაურის წასვლას ფრონტზე, შემდეგ კი რუსიკო ლომიძის გამგზავრებას მახარაძის რაიონის სოფელ განთიადში, სადაც მან ექიმად უნდა იმუშაოს. რუსიკო ლომიძე ჩადის სოფელში და თითქოს მხოლოდ მას მოჰყავს წესრიგში სოფლის მოშლილი ცხოვრება. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, სწორედ ამაშია ავტორის სერიოზული შეცდომა. გამოდის, რომ რუსიკო ლომიძე თუ არა, სოფელ განთიადში მთლიანად ჩაკვდებოდა ცხოვრება, უმისოდ ვერას იზამდა ვერც განთიადის კომუნისტური ორგანიზაცია, ვერც პილიონერი კოლმეურნეობის მთელი კოლექტივი.

მივუვეთ ნაწარმოებს კვალდაკვალ. რუსიკო ბნელ ოთახში წევს დედასთან ერთად, მაგრამ მას ძალიან ეშინია სიბნელისა. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ის ადის სახლის სახურავზე და მთელ ღამეს იქ ატარებს. პირველ შემთხვევაში რუსიკოსათვის დამახასიათებელია სიბნელისადმი ძლიერი შიში, მეორე შემთხვევაში კი — უშიშრობა. ეს თვისებები კი ერთმანეთის საწინააღმდეგოა.

ნიკას საუკეთესო მეგობარი ნოდარ ღუდუშაური ფრონტზე წასვლის წინ ემშვიდობება რუსიკოს, რომელიც მას იდუმლად უყვარს. რუსიკო ნოდარს აბარებს და სთხოვს, რომ მან მოუაროს ფრონტზე მყოფ მის ძმას — ნიკას. ნოდარიც პირობას აძლევს, რომ თხოვნას აუსრულებს და უვნებლად ჩამოუყვანს ძმას. მკითხველს პირდაპირ უკვირს ფრონტის ცხოვრების ასეთი უცოდინარობა. სიყვარულით გატაცებულმა ნოდარმა არ იცის საღ. არის ნიკა, არც ის იცის თუ საით გზავნიან მას. მიუხედავად ამისა, ნოდარს ნამდვილად სჯერა, რომ იგი აუცილებლად ნახავს ნიკას და გადაარჩენს კიდეც მის სიცოცხლეს. და ყველაფერი ეს მაშინ, როცა ფრონტი ყირიმიდან მურმანსკამდეა გაჭიმული. განა დასაჯერებელია ეს ამბავი, როცა ყველამ იცის რომ სამამულო ომის დროს ფრონტზე წასული ადამიანის ნახვა ძალიან ძნელი იყო ფრონტების გაშლის სირთულისა და გრანდიოზულობის გამო.

რომანში მოთხრობილია სოფელ განთიადის (ყოფილ წმინდა სტეფანეს) ისტორია მისი დაარსებიდან დღემდე. ერთ-ერთ ეპიზოდში დახატულია შემდეგი: კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — სოლიკო შევარდნაძეს შეეშინდა „კაცებისაგან დაცარიელებულ“ სოფელში მუშახელის ნაკლებობისა, „აევსო გული მოხუცთა, ქალთა და ბავშვთა ბოლმით“ (?) და გადასწყვიტა რადაც არ უნდა დაჯდომოდა თავი დაეღწია აქაურობისათვის. ამისათვის იგი რაიკომის მდივანთანაც კი მიდის. რამდენიმე დღის შემდეგ შევარდნაძე ბრუნდება რაიონიდან. მისი რაიონში წასვლის მიზეზი არავინ იცოდა, მაგრამ სოფელი შევარდნაძეს მაინც ჰკიცხავდა ცუღლუტობისა და ზარმაცობისათვის. საკვირველია, რატომ არ შეიძლებოდა კოლმეურნეობის ხელმძღვანელი წასულიყო რაიონში ორი დღით სოფლის საქმეზე. მაგრამ ავტორს უნდოდა ეჩვენებინა სოფლის თავდადება საქმისათვის და მისი ზეგავლენა შევარდნაძეზე, ამისათვის კი ვერ მოძებნა შესაფერი ხელოვნური სიტუაცია.

წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი გურული და უკრაინელი კოლმეურნეების მეგობრობას სამამულო ომის პერიოდში, სოფელ იაბლონოვკის აღწერასა და იაბლონოვკელი კოლმეურნეების თავგადასავალს.

რუსუდან ლომიძე ჩამოდის გურიაში. რატომღაც ავტორს რუსიკო ლომიძე — სოფლად მივლინებული ექიმი შეჰყავს რაიკომში ნაცვლად იმისა, რომ იგი შევიდეს ჯანმრთელობის განყოფილებაში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ჩვენს ცხოვრებაში. საერთოდ რუსიკოს ურთიერთობა რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებასთან წიგნში სრულებით არ არის ნაჩვენები;— ეს კი საოცარია, რადგან რუსიკო ექიმია და უშუალოდ ემორჩილება ამ განყოფილებას.

მეორე ნაწილის პირველ თავში მკითხველი ხედავს მოსკოვის მისადგომებთან მყოფ ნიკა ლომიძეს. აქაც ბევრი რამ ხელოვნური და ნაძალადევია. მაგალითად, დივიზიის შტაბის მეკავშირის დემჩენკოს და ნიკას ავტომატების ცეცხლით შეშინებული ფაშისტები უკან გარბიან, ამდროს კი რატომღაც ბრძანებაა გაცემული ჩვენების უკან დახევის შესახებ (გვ. 72).

შემდეგ დაჭრილი ლეიტენანტი ლომიძე შტაბში შედის, პატაკს აძლევს შტაბის უფროსს, ღებულობს დავალებას, იქვე იძინებს და ძილში მყოფს შტაბშივე უკეთებენ ოპერაციას. დაუჯერებელი ამბავია.

რომანში არის ასეთი ეპიზოდი. ნიკა ლომიძის თვალწინ ყუმბარის ნამსხვრევისაგან კვდება ნინა ვორონინას მამა. ამ ამბის შემსწრე ნიკა გაკვირვებული იძახის: — „ნუთუ აქეთ-აქვე, ჩვენს გვერდით მუშაობდა და არ ვიცოდით? არა, შეუძლებელია“ (გვ.94). ისმება კითხვა, რატომ არ შეიძლებოდა, რომ მოსკოვის მისადგომებთან მებრძოლ მამა-შვილს არაფერი ცოდნოდათ ერთმანეთის?

ნიკა მიდის ნოდარის სანახავად, ავტორი წერს: — „მოხველი ნოდარ? მოხველი მეგობარო (ვითომც ნიკამ დაიბარა ნოდარი და ისიც იმ წუთშივე გაეშურა მისკენ — ნ. ჩ.), — უმღეროდა გული ნიკას და მიაჭროლებდა პოლკოვნიკის „ვილისს“, უცბად გაახსენდა, რომ სიხარულისგან ვეღარ იკითხა ვის ბატალიონში იყო ნოდარი ასმეთაურად, მაგრამ თავი ინუგეშა. გადაწყვეტილი ჰქონდა ახლავე დაეთვალიერებინა მთელი წინა ხაზი (?) და იცოდა, რომ ყველა ასმეთაურს შეხვდებოდა“ (გვ. 99). მაგრამ, სრულიად „ბუნებრივად“ გადაავიწყდა ნიკას, თუ რისთვის „გავარდა ბლინდაჟიდან“. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ავტორს სურს

მკითხველს შეექმნას ყალბი დაძაბულობა მათი შეხვედრის მოლოდინში.

ავტორი ისევ გურიას უბრუნდება, ხატავს გაჭირვების წინაშე ქედმოუხრელ ხალხს, გამარჯვების წყურვილით გასალკეევებულებს და იხსენებს სტახანოველ ბრიგადირს აკვირინე ხომერიკს. სხვათა შორის, ეს ის აკვირინე ხომერიკია, „მოჩხუბარა", რომელმაც პირველმა გაილაშქრა საავადმყოფოს მშენებლობის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ავტორი ვერ ჩოქცეულა სწორად. ჯერ ერთი, საავადმყოფოს მშენებლობის დაწყებისათვის წინდაწინ ამსჯელებდენ, როგორც კოლმეურნეობის თავჯდომარე, ისე პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია და მათთან ერთად ყველა ბრიგადის ხელმძღვანელები. ასეთ რამეს კი რომანში ვერსად ვერ ვპოულობთ. მკითხველს კი ექმნება შთაბეჭდილება, რომ აკვირინე ძლიერ ჩამორჩენილი ადამიანია. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისათვის კი ავტორს რატომღაც გვერდი აუვლია საერთოდ.

მთელი რომანი რუსიკო ლომიძის მოქმედებასა და ცხოვრებაზეა აგებული. რომანის ძირითადი იდეური შეცდომაც სწორედ ამ გმირთან არის დაკავშირებული. რუსიკო ლომიძე კომკავშირელი, ახლად ინსტიტუტდამთავრებული, ჯერ კიდევ გამოუცდელი ქალიშვილია, ჩაშირად ნებისყოფის სისუსტესაც იჩენს. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, რომ განთიადის მოწინავე კოლექტივს თვითონ ეჩვენებინა გზა რუსიკოსათვის, მოხმარებოდა სიძნელეთა დაძლევაში და შთაენერგა ბოლშევიკური სიმტკიცე, გამძლეობა და მუყაითობა. ფაქტიურად კი ყველა ღირსშესანიშნავი ღონისძიება, რომელიც განთიადში სამამულო ომის დროს ჩატარდა რუსიკოს ინიციატივითაა შემუშავებული და მისი ხელმძღვანელობითაც ხორციელდება. რუსიკოს წინადადებებს თითქმის ყოველთვის ეწინააღმდეგება ხალხი (ნაწილი ხალხისა მაინც) და რუსიკოს გმირობის გამოჩენა უხდება ამ წინააღმდეგობის დაძლევისათვის. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს სოფელი ძალიან ჩამორჩენილია პოლიტიკურად და კულტურულად და თითქოს მის გამოსასწორებლად მოდის გამოცდილი პარტიული მუშაკი სათანადო ცოდნით შეიარაღებული. საავადმყოფო აშენდა? — რუსიკოს ინიციატივით. სკოლა აშენდა? — რუსიკოს ინიციატივით. კოლმეურნეობის გამგეობის შენობა, — ისიც რუსიკოს წინადადებით. საველე სამზარეულო? — რუსიკოს ინიციატივით. ელსადგური რამდენიმე სოფლისათვის? — რუსიკოს წამოწყებით. რას აკეთებდა განთიადის პარტიული ორგანიზაცია? სად იყვნენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, რას აკეთებდა განთიადის კოლექტივი. თუ კი ყველაფერი, რაც გაკეთდა, რუსიკომ გააკეთა. რა ეშველებოდა სოფელს, ხალხს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რაიონისა და საფეხურ. პარტიულ ორგანიზაციას, რუსიკო — ლომიძე თუ არ გამოჩენილიყო?

რომანში არის აუარებელი ცალკეული ამბები, მომენტები, ბატალური სცენები, რომლებიც სრულებით არ შეესაბამებიან სინამდვილეს. მაგალითად, ფრონტზე ვორონინა ტელეფონით ელაპარაკება ნიკას. ტელეფონში, ავტორის თქმით, ვორონინა ძლიერ ამოიოხრებს, მაგრამ თავის ვინაობის შესახებ არაფერს ეუბნება ნიკას. ეს გაუმართლებელია, რადგან მათ ერთმანეთი უყვართ, ისინი ფრონტზე არიან და არ იციან თუ რა მოელით. შემდეგ ნიკა და ნოდარი ერთმანეთს ხვდებიან იასნაია პოლიანაში. მათი შეხვედრა ხელოვნურად გაჭიანურებული და არაბუნებრივად დაგვიანებულია. მით უმეტეს ნოდარს წერილები ჰქონდა გამოტანებული. გულუბრყვილობაა ფრონტზე მიმავალ კაცს გაატანო წერილი ფრონტზე მყოფ ადამიანთან, მაშინ როცა შეიძლება ის იყოს მურმანსკში, ლენინგრადში, მოსკოვში, უკრაინაში თუ ყირიმში. შენც რომელ ფრონტზე მოგიწევს წასვლა არავინ უწყის. მაგრამ რაკი ნოდარი ავტორმა თბილისიდან პირდაპირ ნიკას ნაწილში ჩაიყვანა, რაღა საჭირო იყო მათი შეხვედრის გაჭიანურება?!

როგოზინის დივიზია, რომელშიც ირიცხებიან ნიკა ლომიძე, ნოდარ ღუდუშაური, ნინა ვორონინა და სხვანი, რეიდზე მიდის მტრის ღრმა ზურგში. დივიზია რამდენიმე ხნით მოწყდება ფრონტს, მაგრამ კავშირის აღდგენა ხერხდება და დივიზიელები ბრძოლით უერთდებიან არმიას. ამ შეერთების დროს დაიღუპება ნიკა ლომიძე, ნინა ვორონინა, როგოზინი (დივიზიის მეთაური) და ნიკიტა ზერცალო, რომელიც საჰაერო დესანტთან ერთად გადმოვიდა მტრის ზურგში ცოლის დავალების შესასრულებლად. ნიკიტა ზერცალო ამჟამად განთიადში მცხოვრებ იაბლონოვკელ კოლმეურნის პროხორ ზერცალოს შვილია. თურმე ნიკიტას განთიადიდან ცოლმა მისწერა და დაავალა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ეპოვნა სადმე ნოდარ ღუდუშაური, ნიკა ლომიძე და მათი ამბავი მოეწერა მისთვის. ისიც გაიგებს (საინტერესოა როგორ?), რომ ნოდარი და ნიკა როგოზინის დივიზიაში არიან, დივიზია კი მტრის ზურგშია. ჯდება თვითმფრინავში და გადაფრინდება მათთან. ყველა ვინც კი ფრონტზე ყოფილა დაგვეთანხმება, რომ ასეთი ამბები არ ხდებოდა და არ შეიძლება მომხდარიყო.

მოთხრობილია ელეფთერ მჟავანაძის ჰოსპიტალში დაწოლის ამბავი. ეს ხდება სტალინგრადთან. სამოქალაქო ომში დასახიჩრებულ

ემელიანე რუბანს, რომელიც მარხილებით ზიდავს დაჭრილებს ფრონტის ხაზიდან ჰოსპიტალში, ელეფთერთან ერთად მოყავს ჰოსპიტალში მისი მეგობარი მაქსიმე პონომარენკო და აცხადებს: მარხილზე მომაკვდავი ელეფთეროვი წევსო. თითონ რუბანი არ იცნობს ელეფთერს, მისი ვინაობის შესახებ მისთვის არავის უთქვამს, და კიდეც რომ ეთქვათ, არავინ ეტყოდა „ლეფთეროვს“, რადგან ელეფთერის ერთადერთმა ნაცნობმა მაქსიმემ კარგად იცოდა მისი გვარი — მეავანაძე. ერთი თვის შემდეგ გონზე მოსული ელეფთერი ეკითხება მაქსიმეს: — „მოიცა მაქსიმელა, მოიცა... აი შენ იყავი შუბლზე რომ მადებდი ხოლმე ხელს? მაქსიმემ თავი დაუქნია... — წყალს რომ მალევინებდი ხოლმე და ყოველთვის აქანა მასხამდი კისერში?... მაქსიმე უსიტყვოდ უდასტურებდა. — ... მე ციცინო (ელეფთერის ცოლია — ნ. ჩ.) მეგონა“... (გვ. 174). შეიძლება ერთი თვის გონდაკარგულმა ადამიანმა ყველაფერი ის იგრძნოს, რაც აქ არის აღწერილი? და არ იცოდეს განთიადშია თუ ფრონტზე, ჰოსპიტალშია თუ სახლში, ცოლი ადგია თავზე თუ მეგობარი?

ავტორი გვიამბობს ჩრდილო კავკასიასთან მებრძოლ ბეჟან ჩხაიძისა და გრიშა გულენკოს (რომლის დაც ამჟამად განთიადშია), მეგობრობისა და ვაჟკაცობის შესახებ. საჭირო იყო აქ ავტორს მოენახა სხვა უფრო ახალი დეტალები ბეჟან ჩხაიძისა და გრიშკა გულენკოს გმირობის გამოსახატავად და არ გამოეყენებინა დიდიხნის ცნობილი, უკვე მოძველებული, „შაითან კაპიტანის“ ამბავი.

ლუშა ქმრის დაღუპვის ამბავს გაიგებს, იგი გონს დაკარგავს, მიწაზე დავარდება. ამ დროს საშინლად წვიმს და ავტორი ასე ხატავს ლუშას: „დასველებული ტანისამოსი ტანზე მჭიდროდ შემოჰკროდა და ისე ნათლად გამოხატავდა თვითეული ნაკვთს, თითქოს შიშველი ეგდო“. რა საჭიროა ასეთი სურათის დახატვა ამ მომენტში? როცა ლუშა ამ დღეშია, მოდის რუსუდანი, ნახულობს ტალახში ჩავარდნილ წერილს და კითხულობს მას. წერილში კი ნიკასა და ნინა ვორონინას დაღუპვის შესახებაც სწერია. საკვირველია, რუსიკოს მოქმედება ამ დროს, მის სახეზე არცერთი ნაკვთი არ შეირხევა, და ჩვეულებრივი საქმიანი კილოთი განაგრძობს საუბარს შევარდნაძესთან. ცხადია, ადამიანს შეუძლია სულიერი მწუხარების დამალვა. მაგრამ ავტორი ასე ახასიათებს რუსიკოს: „ვერაფერი ვერ აღადგენდა ღრმად ჩაცივნულ თვალებში ჩაფერფლილ სიცოცხლეს, ვიდრე თვითონ რუსუდანი არ განდევნიდა თავის გულიდან ამ სიცარიელეს“ (გვ. 218). ასეთი ადამიანი ვერ შესძლებდა ამ ამბის გაგების დროს თავის თავის ასე დამოუკიდებელ [illegible] მეტი: რამდენიმე ხნის შემდეგ [illegible] გებს ნოდარის კარგად ყოფნის ამბავს, გონს კარგავს, და როცა გონს მოვა „ჩვეულებრივად“ წარმოიწყებს საუბარს რენტგენის საჭიროების შესახებ. უდავოდ, რუსიკოს სულიერი განწყობილება და მოქმედება მოკლებულია ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას.

რუსიკო ლომიძე ღამით პატარა ბიჭებს მოახსენებინებს სახლებზე გაბოფენილ სამგლოვიარო ნიშნებს და ბუხარში სწვავს, რომ ოჯახებმა არ იგლოვონ ფრონტზე დაღუპული წევრები. ვინ იქნებოდა ისეთი შეუგნებელი, მოურიდებელი, სოფლის მწუხარებისა და გლოვის აბუჩად ამგდები, რომ ასეთი რამ გაეკეთებინა?

წიგნის მეხუთე ნაწილში ნოდარ ღუდუშაურის ცხოვრების ამბები მეტად სქემატიურად არის მოთხრობილი.

რომანში ნახსენები ყველა მებრძოლი, ფრონტზე იყო ის თუ ზურგში, თავს იყრის ბერლინში ნოდარ ღუდუშაურის გარშემო, როცა ის სწორედ ომის დამთავრების წინა დღეს დაიჭრება. ეს შეხვედრები ისეა გაკეთებული, რომ ზღაპარს მოგვაგონებს.

ნაწარმოებში ბევრი ისეთი სურათია და ცალკეული ამბავი, რომლებიც არავითარ კავშირში არ იმყოფებიან რომანის ძირითად სიუჟეტურ ხაზთან. მაგალითად, სტალინგრადისა და ჩრდილო კავკასიის ამბების შეტანა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა რომანისათვის, ისინი არავითარ ორგანიულ კავშირში არ არიან ნაწარმოების სიუჟეტთან.

ნაწარმოებში ბევრია ენობრივი შეცდომა და არასწორი გამოთქმა. მაგალითად, „შეეცადა ეხუმრა გაცრეცილი ღიმილით“ (გვ. 68), „ქვეყნის დასაბამი. თითქოს ქუთუთოებს მოადგა“ (გვ. 24), „მძინარეს წყალს მიაწუწუნებდა“ (გვ. 12), „ყველასთან მიაქვს დაუდეგარი სიცოცხლით გალიცლიცებული, ფიალად ქცეული გული“ (გვ. 271), „ქოშები დაიგდო ფეხიდან“ (გვ. 24), „სამშობლოს ცა იქრუშება მოახლოებული განსაცდელისაგან“ (გვ. 150), „მარხილებზე ჩვეულებრივ მძიმედ დაჭრილები იყვნენ ხოლმე დალაგებულნი“ (გვ. 170), „რუსიკო ფეხის წვერებიდან ჩამოვიდა“ (გვ. 67), „მტკვარზე გადატყორცნილი მუხრანის ამაყი ბონდი“ (გვ. 25) და სხვა მრავალი.

რომანში ბევრი რამ დაუჯერებელი და არარეალურია. ავტორმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სინამდვილის დახატვა შეიძლება მხოლოდ მისი ღრმა შესწავლისა და საფუძვლიანი ცოდნის შედეგად.

ნოდარ ჩხეიძე

★

ნარკვევი სტალინურ შევარდენზე

(ნინო მშველიძის — „ჭიჭიკო ბენდელიანის“ გამოცემა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი სამშობლოს სახელოვანმა შევარდნებმა გააფთრებულ საჰაერო ბრძოლებში გაანადგურეს გერმანიის ნაქები ავიაცია, რითაც უზრუნველყვეს მოქმედების თავისუფლება წითელი არმიისათვის და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა იხსნეს ჰაერიდან მტრის მიერ დაბომბვისაგან.

მთელ წითელ არმიასთან ერთად ისინი გამანადგურებლად ურტყამდნენ მტერს და სპობდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ჩვენი მამაცი ავიაციის უნარიანი მოქმედება მუდამ უწყობდა ხელს სახმელეთო ჯარების წარმატებას და დაეხმარა მტრის საბოლოო განადგურების მიღწევას“ (ი. სტალინი).

ავიაცია იყო ის მძლავრი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების განადგურების დაჩქარებას. დიდ სამამულო ომში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისთვის ათათასობით საბჭოთა მფრინავი დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, 2.100 მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სტალინურმა შევარდნებმა უმაგალითო გმირობითა და სიმამაცით ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებათა ისტორიაში. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ავიაციის ლეგენდარული გმირების — გასტელოს, ტალალიხინის, ხარატონოვის, ივანოვის, წურწუმიას და მრავალ სხვათა სახელებს, რომელთა ვაჟკაცობასა და თავგანწირვის სწორუპოვარ მაგალითებზე იზრდებიან ჩვენი ქვეყნის მფრინავთა ახალგაზრდა კადრები. მათ რიცხვს ეკუთვნის საბჭოთა კავშირის გმირი ჭიჭიკო ბენდელიანი.

ფრთოსანი რაინდის ცხოვრებასა და მამაცურ ბრძოლებზე მოგვითხრობს ნინო მშველიძის წიგნი — „ჭიჭო ბენდელიანი“, რომელიც ამას წინათ „კომუნისტის“ გამომცემლობამ გამოსცა. წიგნში მხატვრული, გასაგები ენით, საინტერესოდ და დამაჯერებლად არის მოცემული ჭიჭიკო ყაისარის-ძე ბენდელიანის ლამაზი და შინაარსით აღსავსე ცხოვრება, ფრონტის ამბები, საბჭოთა მხურვალე პატრიოტიზმი, ხალხთა სტალინური მეგობრობის მაგალითები.

წიგნის პირველ თავში მოთხრობილია გმირის ბავშვობისა და მოწაფეობის წლების შესახებ. სოფლის სკოლაში სიცოცხლით აღსავსე, ენამეტყველი და ჭკვიანი ჭიჭიკო ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი ნიჭითა და ბეჯითობით. იგი წარმატებით სწავლობდა. ამავე დროს აქტიური პიონერი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სკოლის პიონერულ ორგანიზაციაში. ჭიჭიკო ბავშვობიდანვე გატაცებული იყო სპორტით. მას ვერავინ ჯობნიდა ჭიდაობაში, ცურვაში, ფეხბურთში.

1930 წელს ჭ. ბენდელიანმა დაამთავრა სოფლის შვიდწლედი და ჩოხატაურის მეაბრეშუმეობის ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. იგი კომკავშირში მიიღეს. ეს ის პერიოდი იყო როცა ყალიბდებოდა კოლმეურნეობები. ჭიჭიკოს მამა. ძველი ბოლშევიკი ყაისარ ბენდელიანი ერთ-ერთი პირველი შევიდა კოლმეურნეობაში. ამ დიდ საქმეში ჩაება ახალგაზრდობაც. ენერგიული კომკავშირელი ჭიჭიკო ბენდელიანი არაჩვეულებრივ შრომის მოყვარეობას იჩენს. მას, როგორც ტექნიკუმის კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელს, ვხედავთ კოლმეურნეობების ჩაის პლანტაციებში, ვენახებში, სიმინდისა და სოიას თოხნაში.

საზოგადოებრივ მუშაობაშიც დიდ აქტივობას იჩენდა კომკავშირელი ჭ. ბენდელიანი. როგორც ავტორი ამბობს, არც ერთი საზოგადოებრივი საქმე, არც ერთი თვითმოქმედი წრე, არც ერთი რაიმე კომკავშირული წამოწყება არ ჩატარდებოდა ისე, რომ ჭიჭიკოს მონაწილეობა არ მიეღოს და პირველთა რიგებში არ ყოფილიყო. იგი მუშაობდა სასკოლო კომიტეტის თავმჯდომარედ.

წიგნში დამაჯერებლადაა მოცემული ჭ. ბენდელიანის ფორმირება, მისი აღზრდა, ცხოვრების სარბიელზე გამოსვლა. ჭიჭიკომ წარმატებით დაამთავრა ტექნიკუმი. იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა სამხედრო სამსახურზე. მას საგმირო საქმეები იტაცებდა, კავალერისტობა იზიდავდა. მაგრამ ერთხელ ცაში თვითმფრინავს მოკრა თვალი და გადაწყვეტით თქვა:

— თვითმფრინავს მაინც არაფერი სჯობს...

მრავალი დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვის შემდეგ ჭ. ბენდელიანს აუსრულდა დიდი ხნის ნატვრა — იგი ჩაერიცხა ერთერთ საავიაციო სასწავლებელში. დაიწყო გმირის ცხოვრების ახალი პერიოდი. ნინო მშველიძე წიგნის შემდეგ თავში მეტად მიმზიდველად და საინტერესოდ აღწერს ჭ. ბენდელიანის ბეჯითი სწავლასა და შრომას საავიაციო სასწავლებელში, მის თანდათანობით დავაჟკაცებას, საფრენოსნო საქმეში მის დახელოვნებას. „ჭიჭიკო ერთ-ერთი საუკეთესო კურსანტი გახდა. ის ყველაფერში პირველი იყო, თეორიულ საგნებში, თვითმფრინავის მატერიალური ნაწილის შეთვისებაშიც. ყოველთვის მხიარული, ცოცხალი, ყოჩაღი ყმაწვილი ყველას შეუყვარდა—ამხანაგებ-

საც და მასწავლებლებსაც... პირველი მოცურავე, ტანმოვარჯიშე და ფეხბურთელი იყო სასწავლებელში. ამასთან უაღრესად თავაზიანი, პატიოსანი და კეთილშობილი" (გვ. 31).

ჭ. ბენდელიანისათვის ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე, ამაღელვებელი წუთები იყო პირველი დამოუკიდებელი გაფრენა, რომელიც წარმატებით ჩაატარა. ნიჭიერი ახალგაზრდა სწრაფად ითვისებდა მფრინავის ოსტატობას, ყოველ საქმეში იჩენდა საკუთარ ინიციატივას, შემოქმედებითს უნარს. განსაკუთრებული სიზუსტით, სილამაზითა და გამბედაობით ასრულებდა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს.

ჭ. ბენდელიანმა წარმატებით დაამთავრა საავიაციო სასწავლებელი და მიიღო ოფიცრის წოდება. ავტორს წიგნში მოყავს ჭ. ბენდელიანის მიერ სასწავლებლის დამთავრებისას მიღებული დახასიათების ტექსტი, რომელშიც სწერია: „შრომის უნარიანი, ამტანი, ინიციატივიანი; დისციპლინიანი მეომარი. საფრენოსნო საქმეს დიდი ინტერესით ეკიდება. საფრენოსნო პროგრამას ითვისებს სწრაფად და საუკეთესოდ..."

ავტორი გადმოგვცემს ომის წინა წლებში ჭ. ბენდელიანის საბრძოლო დაოსტატებას, მისი სამსახურისა და ცხოვრების ღირსშესანიშნავ მომენტებს. საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჭ. ბენდელიანი კიევის საჰაერო დაცვაში მსახურობდა. მან მალე მიიქცია ყურადღება როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო მფრინავმა. პოლკში, ისევე როგორც სასწავლებელში, ყველას უყვარდა ახალგაზრდა ოფიცერი. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, წარჩინებული სამსახურისა და დისციპლინისათვის ლეიტენანტი ბენდელიანი დაჯილდოებულ იქნა სამკერდე ნიშნით— „მუშურ-გლეხური წითელი არმიის წარჩინებული". ეს იყო პირველი ჯილდო. მაგრამ ჭ. ბენდელიანი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა. ახალგაზრდა სტალინური შევარდენის დაუშრეტელი მისწრაფება იყო — „არ დაკმაყოფილებულიყო მიღწეულით, წასულიყო წინ, დაეძლია მეტი სიძნელეები".

1941 წლის ივნისი. დაიწყო დიდი სამამულო ომი. ჭ. ბენდელიანმა ცეცხლის ხაზს მიაშურა. ნ- საავიაციო ნაწილის მფრინავებმა, რომელთა რიგებში ჭ. ბენდელიანი იბრძოდა, პირველი გამანადგურებელი დარტყმა აგემა გათავხედებულ მტერს.

ავტორი ფაქტიური მასალების საფუძველზე გვაცნობს ჭ. ბენდელიანის მამაცობითა და გმირობით აღსავსე საფრონტო ცხოვრებას. მის საჰაერო ბრძოლების ოსტატობას აღტაცებაში მოყავს მკითხველი. მან არა ერთი და ორი ფაშისტი სვავი გაანადგურა. წიგნში ჭ. ბენდელიანი დახატულია. როგორც დიდი სოციალისტური სამშობლოს მხურვალედ მოსიყვარულე და ღრმა სიძულვილით გამსჭვალული ადამიანი. ამას ნათლად ადასტურებს [illegible] ჰიჭიკოს მგზნებარე, მეტად მგრძნობიარე, პატრიოტიზმით გამსჭვალული პირადი წერილები თავისი ოჯახისადმი.

სამამულო ომის დაწყებიდან ერთმა წელმა განვლო. ავტორი ამ ხნის მანძილზე ბენდელიანის მიერ ჩატარებულ ბრძოლების შესახებ წერს: ომის ერთი წლის მანძილზე მას ჰქონდა 243 საბრძოლო გაფრენა. ნაწილმა, რომლის მეთაურის მოადგილე იგი იყო ჩამოაგდო მტრის 23 თვითმფრინავი, გაანადგურა მტრის 3500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 464 ავტომანქანა სურსათითა და საომარი მასალით.

ნინო მშველიძეს ეხერხება დამაჯერებლად მოუთხროს მკითხველს ჭ. ბენდელიანის საბრძოლო ეპიზოდები. 1942 წლის 21 მაისი იყო. ჭ. ბენდელიანმა სამ მფრინავთან ერთად მიიღო დავალება ჰაერიდან დაეცვათ ჩვენი სახმელეთო ნაწილების მოქმედება. საბჭოთა ოთხ მამაცს მფრინავს ბრძოლა მოუხდა მტრის 24 თვითმფრინავთან. რგოლის მეთაურმა ჭ. ბენდელიანმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება. გაიმართა მძაფრი საჰაერო ბრძოლა. ჩვენმა ოთხეულმა განსაკუთრებული მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა. მტრის ბევრმა თვითმფრინავმა სამარე ჰპოვა რუსეთის ტრამალებზე, დანარჩენები ბრძოლას მოერიდნენ და უკან გაბრუნდნენ ნ. ამ ბრძოლებისათვის ოთხივე ჩვენი მფრინავი დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენებით.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ამხანაგ სტალინის მხედარმოავრული გენიით ჩაფუშეს მტრის „ელვისებური" ომის გეგმა. საბჭოთა არმიის შესანიშნავმა ბრძოლებმა როსტოვთან და ქერჩთან, მოსკოვთან და კალინინთან, ტიხვინთან და ლენინგრადთან მძიმე ზარალი მიაყენეს ფაშისტური გერმანიის არმიებს. ჰიტლერელებმა ვერ შესძლეს მოსკოვის აღება. გამხეცებულმა მტერმა გეგმა შესცვალა: მთელი ძალები ფრონტის სამხრეთ — დასავლეთი მიმართულებით მოაყარა... 1942 წლის ზაფხულიდან დაიწყო სტალინგრადის გმირული დაცვის დღეები.

წიგნის მომდევნო თავში ნაჩვენებია ჭ. ბენდელიანის მონაწილეობა ქალაქ სტალინგრადის დაცვაში. სტალინის ქალაქის დამცველებმა ბევრი სახელოვანი საგმირო საქმე ჩასწერეს დიდი სამამულო ომის მატიანეში. სტალინგრადის დამცველ მრავალ შესანიშნავ გმირთა სახელებს შორის ქართველი მფრინავის ჭ. ბენდელიანის სახელიც ბრწყინავს: „აქ, სტალინგრადთან, განსაკუთრებით გამოვლინდა ბენდელიანის შეუპოვრობა, დაუშრეტელი ენერგია, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული". (გვ. 63) „გერმანელებმა კარგად იცოდნენ, რომ საბჭოთა მფრინავებს შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის არის ქართველი „ასსი“, რომლის ხელში ჩავარდნა სიკვდილს ნიშნავდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ბენდელიანს სპეციალურად გამოედევნებოდნენ ხოლმე გერმანელი სვავები და ცდილობდნენ ჩამოეგდოთ იგი, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ“ (გვ. 71).

1943 წლის თებერვალში საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა სტალინგრადის ეპოპეა, „სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო“ (ი. სტალინი). სტალინგრადის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის გვარდიის მაიორმა ჭ. ბენდელიანმა მიიღო მესამე ჯილდო — სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი. უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებით, პოლკს, რომელშიაც ბენდელიანი იბრძოდა, მიენიჭა გვარდიულის წოდება.

სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ, როგორც ავტორი მოგვითხრობს, ბენდელიანი მონაწილეობას იღებდა ორიოლ-კურსკთან წარმოებულ ბრძოლაში. „ეს იყო გერმანელთა უკანასკნელი ცდა განეხორციელებინათ ზაფხულის დიდი შეტევა და მისი წარმატების შემთხვევაში აენაზღაურებინათ ის, რაც დაჰკარგეს“ (ი. სტალინი). გერმანელთა ზაფხულის შეტევა მარცხით დამთავრდა. კურსკთან ბრძოლამ ფაშისტური არმია კატასტროფის წინაშე დააყენა. ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინა ბენდელიანმა, იგი სარდლობის ყველა დავალებას ბრწყინვალედ ასრულებდა. ჭ. ბენდელიანის პოლკის მფრინავები აქტიურ დახმარებას უწევდნენ შეტევაზე გადასულ ჩვენს მამაც არმიის ნაწილებს. 1943 წლის ზაფხულისათვის სახელოვან მებრძოლს ოთხასამდე საბრძოლო გაფრენა ჰქონდა. მის მიერ მოსპობილ და განადგურებულ იქნა მტრის რამდენიმე თვითმფრინავი, ათეული ავტომანქანა და სხვ.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის გვარდიის მაიორ ჭიჭიკო ბენდელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. რადიოთი გადმოცემული ეს სასიხარულო ცნობა უდიდესი ზეიმით აღინიშნა როგორც სამხედრო ნაწილში, ისე ჭიჭიკოს სამშობლოში — ჩოხატაურში.

1943 წლის ოქტომბერში მაღალი ჯილდოს მისაღებად ჭ. ბენდელიანი მოსკოვში გამოიძახეს. კრემლში მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა ბენდელიანს გმირობის მედალი — „ოქროს ვარსკვლავი“ და ლენინის ორდენი გადასცა, მაგრად ჩამოართვა ხელი და წარმატება უსურვა მტრის საბოლოო განადგურებაში.

„... მოდის ჭიჭიკო მოსკოვის ქუჩებით და მისი გული ვერ იტევს სიხარულს. ათასი ფიქრი უტრიალებს თავში. აი, ჭიჭიკო ბენდელიანი, პატარა ჩოხატაურელი ბიჭი, უბრალო გლეხის შვილი მთებში ჩაკარგული სოფლიდან. დღეს იგი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში, დღეს გულზე მას უბრწყინავს ოქროს ვარსკვლავი, სიმბოლო იმისა, რომ იგი არის ხალხის გმირი, საბჭოთა ხალხის საყვარელი შვილი, ერთი საუკეთესოთაგანი“ (გვ. 85).

ჭიჭიკო ბენდელიანი მტრის წინააღმდეგ გაასკეცებული შურისძიების გრძნობით აღსავსე დაბრუნდა მოსკოვიდან ფრონტზე.

ორიოლისა და კურსკის ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ჯარები შეუპოვრად მიიწევდნენ წინ. 1944 წლის ივნისსა და ივლისში დაიწყო ახალი დიდი შეტევა მთელ ფრონტზე... მდინარე დასავლეთ ბუგის გადალახვისათვის საბჭოთა ჯარებს ჰაერიდან ეხმარებოდა იმ ნაწილის მფრინავები, რომელშიც იბრძოდა ჭ. ბენდელიანი. გამანადგურებელ თვითმფრინავთა რგოლი ჭ. ბენდელიანის მეთაურობით დასაცავად გაჰყვა ჩვენს მოიერიშეებს. სტალინურმა შევარდნებმა სარდლობის დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს. ამ ბრძოლებში გმირულად დაეცა ჭ. ბენდელიანი. ეს იყო 1944 წლის 20 ივლისი. მფრინავ გამანადგურებლის დაღუპვა მწვავედ განიცადეს მისმა თანამებრძოლებმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა. დაბა ბიტენში, ქალაქ კოველის მახლობლად, დიდი ბაღის შუაგულში, ასწლოვანი ცაცხვებისა და ალვისხეების ქვეშ გაითხარა სახელგანთქმული მფრინავის, ამაყი სტალინური შევარდნის სამარე. საფლავზე დადგმულ უჟანგავი ლითონის ძეგლი ამცნობს გამვლელს, რომ აქ სამუდამო ძილით განისვენებს ქართველი ვაჟკაცი, დიდი სამამულო ომის შესანიშნავი გმირი ჭიჭიკო ბენდელიანი.

წიგნის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ მასში ნათლად არის მოთხრობილი საბჭოთა სახელმწიფოს მრავალეროვანი ხალხის სახელოვანი შვილების საბრძოლო მეგობრობა — ჩვენი საბჭოთა სოციალისტური წყობილების უძლეველობის, მტერზე ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვების საწინდარი. თავისი მამაცობითა და ოსტატობით, თავგანწირული მოქმედებით მრავალჯერ უხსნია ჭიჭიკო ბენდელიანს მებრძოლ მეგობართა სიცოცხლე მოსალოდნელი უბედურებისაგან.

ამაყმა სტალინურმა შევარდენმა ჭ. ბენდელიანმა მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას შესწირა. მადლიერი სამშობლო არ ივიწყებს დიდი სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში მამაცთა სიკვდილით დაღუპულ შვილებს, რომლებმაც თავიანთი სისხლით მოუპოვეს მას მშვიდობა და ბედნიერება. საბჭოთა კავშირის გმირის ჭ. ბენდელიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი მიკუთვნებული აქვს ჩოხატაურის ტექნიკუმს, თბილისის სპეციალურ სამხედრო სა-

ჰაერო სასწავლებელს, მასზე მღერის მთელი საბჭოთა ხალხი.

ნინო მშველიძის წიგნი — „ჭიჭიკო ბენდელიანი“, რომლის გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა, თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება. არის ადგილები, რომელთა წაკითხვა მღელვარების გარეშე შეუძლებელია.

წიგნი გარეგნულად კარგადაა გამოცემული. მას ნაკლიც გააჩნია: ავტორი ხშირად ხმარობს სიტყვას — „ბიჭები“, „ბაღნები“ (განსაკუთრებით ეს ითქმის წიგნის პირველ ნაწილზე). ეხვდებით ასეთ წინადადებებსა და გამოთქმებს: „ფოთლებიანი ნაჭრისაგან შეკერილი“, (გვ. 7), „გაიძრობდნენ (თუ გაიხდიდნენ?) ტანსაცმელს“... (გვ .9)

„ჭიჭიკო ზოგჯერ გამოჩნდებოდა, ცეცხლთან ჩამოჯდებოდა, ზურგზე ტაბაკ-გაჭრებოდა (გვ. 11). „დააცხავა“ (გვ. 63), „გამუტი“ (გვ. 67) და სხვ.

მიუხედავად თქმულისა, წიგნი მეტად სასარგებლო და კარგია. მას დიდი კმაყოფილებით გაეცნობა არა მარტო ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა, არამედ ფართო საზოგადოებაც. ჭიჭიკო ბენდელიანის ცხოვრება, მისი გმირობისა და მამაცობის მაგალითები აღაფრთოვანებს ჩვენს ხალხს კომუნიზმისათვის წარმოებულ შრომასა და ბრძოლაში.

მ. ჯინჭველაშვილი

И. Г. АНТЕЛАВА. ОЧЕРКИ ПО ИСТОРИИ АБХАЗИИ XVII — XVIII ВЕКОВ. ИЗД. АКАД. НАУК ГССР. СУХУМИ. 1949.

★

ი. ანთელავას წიგნი იხილავს გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთ ნაკლებად შესწავლილ საკითხს — აფხაზეთის სამთავროს XVII — XVIII საუკუნეების ისტორიას.

ნაშრომი შესდგება რამდენიმე ნარკვევისაგან, რომლებშიაც თანმიმდევრობითაა განხილული შემდეგი საკითხები: ქართული ფეოდალური სამეფოს დაშლა და აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს წარმოქმნა, აფხაზთა ბრძოლა სულთანის თურქეთის წინააღმდეგ, XVII — XVIII საუკუნეების აფხაზეთის ეკონომიური განვითარება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება. ნარკვევებს წინ უძღვის ავტორის მიერ გამოყენებული ძირითადი წყაროების მოკლე მიმოხილვა.

ი. ანთელავას წიგნის გამოცემა უეჭველად საჭირო და დროულია. იგი პრინციპულად განსხვავდება სხვა დანარჩენი ავტორების (კუდრიავცევი, ფადეევი და სხვ.) ნაშრომებისაგან, რომელნიც ცდილობდნენ გაეშუქებინათ აფხაზეთის ისტორიის ეს პერიოდი. ისინი ჰქმნიდნენ აფხაზეთის ისტორიის ანტიმარქსისტულ სქემებს და ამავე დროს ცდილობდნენ ხელოვნურად მოეწყვიტათ აფხაზეთის ისტორია საქართველოს ისტორიისაგან, ქართველებს უპირისპირებდნენ აფხაზებს. მაგალითად, კ. კუდრიავცევი (იხ. მისი „Сборник материалов по истории Абхазии“ სუხუმი, 1923 წ.). XVII — XVIII სს. აფხაზ-მეგრელთა ფეოდალების შინაომებს იხილავდა, როგორც აფხაზთა ბრძოლას „დამოუკიდებლობისათვის“ (!). ამგვარ „შრომებში“ ძირფესვიანადაა დამახინჯებული აფხაზეთის ისტორია და მათ არაფერი აქვთ საერთო მეცნიერებასთან.

ი. ანთელავას წიგნი წარმოადგენს გვიანიფეოდალური აფხაზეთის სამთავროს ისტორიის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე განხილვის პირველ ცდას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორის სწორი მიდგომა აფხაზეთისადმი, როგორც გვიანიფეოდალური საქართველოს ტიპიური სამთავროსადმი. მხოლოდ ასეთი მიდგომა მოგვცემს საშუალებას სწორად გავაშუქოთ შესასწავლი საკანი.

წიგნის შესავალში, როგორც აღნიშნული იყო, ავტორი იძლევა მის განკარგულებაში არსებული წყაროების მოკლე დახასიათებას. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ყველაზე სანდო წყაროს XVII — XVIII სს. აფხაზეთის ისტორიისათვის წარმოადგენს ქართული წყაროები, რომლებიც, უნდა ითქვას, უგულვებელყოფილი იყვნენ წინანდელი ავტორების მიერ. აღნიშნავს რა ამავე დროს უცხოური წყაროების (ლამბერტი, შარდენი, ჩელები და სხვ.) მნიშვნელოვანობასაც, ავტორი მოითხოვს ამ წყაროებისადმი მკაცრ კრიტიკულ მიდგომას.

პირველი წყაროების სიღარიბე აიძულებს ავტორს გამოიყენოს აგრეთვე XIX ს. მასალები — განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის შესწავლისას — და შემდეგ კი რეტროსპექტული მეთოდით აღადგინოს ის, რაც პირველ წყაროებში არ მოიპოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის პირველ თავში ავტორი მოგვითხრობს საბედიანოს სამთავროს დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბების შესახებ, რომლის შემადგენლობაშიაც XV — XVI სს. აფხაზეთიც შედიოდა; შემდეგ მოთხრობილია საკუთრივ აფხაზეთის ცალკეული სამთავროს ჩამოყალიბების შესახებ. ყველაფერი ეს გაშლილია საქართველოს გვიანფეოდალური ეპოქის პირველი პერიოდის საერთო ისტორიულ ფონზე.

ლაპარაკობს რა სამეგრელო-აფხაზეთში წარმოებული შინაფეოდალური ბრძოლების შესახებ, ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ მთელი მათი სიმძიმე აწვებოდა მშრომელ მასებს.

ნაშრომის მეორე თავი ეხება აფხაზების ბრძოლას სულთანის თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ. ავტორი უდავოდ მართალია, როდესაც განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ თურქი მოძალადეები მიზნად ისახავდნენ აფხაზებისა და მთლიანად ქართველი ერის ფიზიკურ განადგურებას (გვ. 43 — 44).

ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ უშლიდა ხელს ფეოდალური პარტიკულარიზმი და შინაომები ქართველი ერის ღონისძიებებს გაერთიანებულიყო თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი კონკრეტული ფაქტებით ცხადყოფს, თუ როგორ სარგებლობდნენ თურქები ფეოდალური შინაომებით თავისი ბატონობის დასამყარებლად.

წიგნში მოთხრობილია თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ არაერთხელ მომხდარ სახალხო აჯანყებებზე, რის გამოც თურქებმა ვერ შესძლეს საბოლოოდ დამკვიდრებულიყვნენ აფხაზეთში. აფხაზებმა ამ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს XVIII ს. ბოლოს, ქელეშბეგ ჩაჩბას მთავრობის დროს (გვ. 74 და შემდეგ).

ნაშრომში სწორად არის აღნიშნული, რომ გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მეტად მახინჯი ფორმის — ტყვეებით ვაჭრობის — მთავარი დამნაშავენი თურქები იყვნენ. ამასთანავე სამართლიანად აქვს ხაზი გასმული იმ გარემოებასაც, რომ „ტყვეებით ვაჭრობდნენ უმთავრესად ფეოდალები" (გვ. 48).

ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ, თურქული აგრესიის მსხვერპლად გახდომასთან შედარებით რუსეთის მფარველობა აფხაზეთზე, ისევე როგორც მთელ საქართველოზე, უმცირესი ბოროტება იყო (გვ. 87).

მე-3 თავში ავტორმა გვიჩვენა, რომ XVII — XVIII სს. აფხაზეთის ეკონომიურ საფუძველს ფეოდალური ნატურალური მეურნეობა წარმოადგენდა.

ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შედარებით დაბალ დონეს ავტორი სამართლიანად ხსნის ფეოდალური ანარქიითა და ზოგი სუბიექტური თავდასხმებით.

სანაპირო ვაჭრობის განხილვასთან დაკავშირებით, ავტორი მიუთითებს თურქ დამპყრობთა იმ რეაქციულ როლზე, რომლის საშუალებითაც სანაპირო ვაჭრობამ საქონლის უბრალო გაცვლა-გამოცვლის სახე მიიღო.

ნაშრომის უკანასკნელ თავში დახასიათებულია იმდროინდელი აფხაზეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილება. ავტორი სავსებით სწორია, როცა ცდილობს გვიჩვენოს გვიანფეოდალური აფხაზეთის სხვადასხვა რაიონების არაერთფეროვანი განვითარება. მაგალითად, ფეოდალურმა ურთიერთობამ მთის აფხაზეთში გაბატონებულ მდგომარეობას ვერ მიაღწია. ამ თავში, აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური წყობილების აღწერასთან ერთად, ავტორი გვიჩვენებს დამოკიდებულ გლეხთა (ანხაიუ, ახ-უიუ და სხვ.) ცალკეული კატეგორიების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის თავისებურებას.

ავტორი ძირითადად სწორად სწყვეტს ანხაიუს პრობლემას: ამ კატეგორიას იგი იხილავს როგორც დამოკიდებულს, რომელიც ფეოდალურ ექსპლოატაციას განიცდის. მაგრამ, ანხაიუ ამავე დროს არ იყო მიწაზე მიმაგრებული როგორც მიწის დანართი, ტიპიური ყმა გლეხი (გვ. 151).

ი. ანთელავას ნაშრომს ზოგი ნაკლიც ახლავს. უწინარეს ყოვლისა, ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში, რომ აფხაზეთის ისტორიის ძირითად შინაარსს თითქოს XVII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მთელი XVIII საუკუნის მანძილზე სულთანის თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდეს (გვ. 38). ასე შეიძლება ითქვას იმ პერიოდის აფხაზეთის მხოლოდ გარეპოლიტიკური ისტორიის შესახებ. ხოლო, რაც შეეხება გვიანფეოდალური აფხაზეთის ისტორიის ძირითად მამოძრავებელ ძალას, — ეს, უეჭველად, ფეოდალებსა და მათზე დამოკიდებულ გლეხებს შორის არსებული კლასობრივი ბრძოლაა.

ნაშრომში არ არის მკაფიოდ ხაზგასმული XV — XVI სს. მიწაზე საქართველოს ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად დაშლის სოციალურ-ეკონომიური მიზეზები, „რომლისოდაც გაუგებარი იქნება ფეოდალური პერიოდის საქართველოს მომდევნო ისტორია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბატონყმობის გამარჯვება მთავარ რაიონებში და ამ ნიადაგზე აღმოცენებული სათავადოების სისტემა.

არ არის სწორი აგრეთვე იმის მტკიცება, რომ აფხაზეთს თითქმის მთელი XVIII ს. მანძილზე

ბიბლიოგრაფია

არ ჰყავდა მთავარი (გვ. 38). მთავარი აფხაზეთს, რა თქმა უნდა, ჰყავდა, მაგრამ იგი ვერ სარგებლობდა ფაქტიური ძალაუფლებით და მას არ შესწევდა ძალა ჩაეხშო ცალკეული თავადების პარტიკულარიზმი. ავტორი არაერთხელ აღნიშნავს, რომ აფხაზეთის სამთავრო თუმცა ნომინალურად, მაგრამ მაინც ყოველთვის შედიოდა იმერეთის სამეფოში. სამწუხაროდ, ავტორი არ მიუთითებს კონკრეტულად, თუ რაში გამოიხატებოდა ეს დამოკიდებულება, თუმცა ყოველივე ამის საჩვენებლად მას სათანადო მასალა მოეპოვებოდა.

ნაშრომის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ ავტორი არ იძლევა გაბატონებული კლასის ცალკეული კატეგორიების დახასიათებას. მასალის სიმცირე ამ საკითხის გარშემო შეიძლებოდა ანაზღაურებულიყო როგორც საქართველოს სხვა რაიონების, ისე აბაზური მასალების გამოყენებითაც. მაგალითად, ცნობილია, რომ აბაზებს (ჩრდ. კავკასიაში მცხოვრები აფხაზები) ის ფეოდალური კატეგორიები, რომლებიც თვით აფხაზებს XIX საუკუნეში უკვე აღარ ჰქონდათ, შემორჩათ რევოლუციამდე. მათ რიცხვს ეკუთვნის „აამისთადუ", რაც სიტყვასიტყვით თარგმნილია ქართულიდან აფხაზურად და ნიშნავს „დიდ აზნაურს".

იგივე შეიძლება ითქვას გლეხთა წოდების შესახებაც. მაგალითად, აბაზებისათვის ცნობილი იყო „ანხაიუს" კატეგორია, ხოლო ვინაიდან აბაზები ჩრდილო კავკასიაში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგამდე გადასახლდნენ, თავისთავად საგულისხმებელია „ანხაიუს" არსებობა აფხაზეთის ტერიტორიაზე XVII საუკუნეში.

ბოლოს, აღსანიშნავი იყო აგრეთვე რევოლუციამდელი აბაზების სოციალური კატეგორიები, როგორც, მაგალითად, ათაუად, აგირვა და სხვ., რომელთა განხილვაც ავტორს საინტერესო დასკვნამდე მიეყვანდა.

სოციალ-ეკონომიური ურთიერთობების დახასიათებისას ავტორს უფრო ფართოდ უნდა გამოეყენებინა ეთნოგრაფიული მასალები. ურომლისოდაც წარმოუდგენელია იმ ხალხის ისტორიის შესწავლა, რომელსაც დამწერლობა არ ჰქონდა.

ნაშრომში არ არის ახსნილი, თუ რატომ იყო უფრო მეტად განვითარებული ბატონყმური დამოკიდებულება სამურზაყანოში, ვიდრე აფხაზეთის სხვა რაიონებში; ან რატომ ჰქონდათ არსებითად ერთნაირ სოციალურ-ეკონომიურ კატეგორიებს — „ახუიუსა" და „ამაწურასკუს" — სხვადასხვა სახელწოდება.

ავტორი შემცდარია, როდესაც ეთანხმება სოლომონ I იმაში, თითქოს საქართველოს ეკონომიური სისუსტის მიზეზი ძველთაგანვე დამკვიდრებული ტყვეებით ვაჭრობა იყო (გვ. 63). ნამდვილად კი მთავარი მიზეზი სახელმწიფოში გაბატონებული ფეოდალურ-ბატონყმური ანარქია და თურქული პოლიტიკა იყო. ავტორი სხვა ადგილას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საკითხს სწორად აშუქებს.

დაუსაბუთებელია ავტორის აზრი, თითქოს სამურზაყანოს მფლობელები — ლევანი და მანუჩარი — არ იყვნენ ქელეშ ბეგის ვასალები. ეს აზრი ავტორს იქიდან გამოყავს, რომ 1805 წელს ლევანმა და მანუჩარმა ქელეშ-ბეგის დასტურის გარეშე მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა (გვ. 76). მაგრამ სამეგრელოს მთავარი ვრიგოლ დადიანიც ხომ თავისი სიუზერენის, სოლომონ I, სურვილის წინააღმდეგ გახდა რუსეთის ქვეშევრდომი?

დასასრულ, ნაშრომის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ წიგნში არ არის მოცემული XVII—XVIII სს. აფხაზეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის მიმოხილვა.

ზ. ანჩაბაძე.

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

★

სახელგამი

გიორგი გულია — გაზაფხული საკენში (თარგ. პ. ბახტურიძისა), რედ. ნ. შველიძე. გვ. 146. ფასი 6 მან.

თედო სახოკია — ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. რედ. შ. ძიძიგური, გვ. 231, ფ. 20 მან.

აკაკი წერეთელი — თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად. ტომი I. (ლექსები) რედ. გ. აბზიანიძე, გვ. 503, ფ. 18 მან.

ილია ჭავჭავაძე — თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. 2 (მხატვრული პროზა), რედ. პ. ინგოროყვა. გვ. 636, ფასი 20 მან.

კ. ლორთქიფანიძე — მოთხრობები. რედ. დ. შენგელაია, გვ. 210, ფ. 10 მან.

საბლიტგამი

პ. ცახელი — რჩეული (საბავშვო ლექსები, იგავ-არაკები და პოემები) რედ. მ. ბურჭულაძე. გვ. 181, ფ. 9 მან.

კლ. ჯოგიავა — მერხეულის განთიადი, რედ. ვ. ესაიაშვილი, გვ. 53 ფ. 3 მან.

ე. მარკოვი — მოთხრობები ცხოველებზე (თარგ. ირ. ქავჯარაძისა) რედ. ნ. ჯაში, გვ. 127. ფ. 8 მან.

მიხეილ დავითაშვილი, დიმიტრი ქუმსიშვილი — გამომგონებლები მტრის ზურგში (ნარკვევი), რედ. შ. გაგოშიძე, გვ. 74, ფ. 4 მან.

ჩიტი და მელა — (ხალხური ზღაპარი გადმოკეთებული გ. თავზიშვილის მიერ) რედ. თ. მათიაშვილი, გვ. 9, ფ. 3 მან.

ირმისა — (ხალხური ზღაპარი, დამუშავებული მაყვალა მრევლიშვილის მიერ), რედ. ნ. ნაკაშიძე, გვ. 12, ფ. 3 მან.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

პირველი სხივი, — რედ, ბ. ჟღენტი. გვ. 231 ფ. 8 მან.

ი. ზალკინდი — გახსნილჯაჭვიანი ორგანული შენაერთის ქიმია. რედ. ი. მოსეშვილი. გვ. 451. ფ. 12 მან. 50კაპ.

ი. დოლიძე — ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები. რედ. ა. ვაჩეიშვილი. გვ. 121. ფ. 7 მან.

ა. რაკოვსკი — ფიზიკური ქიმიის შესავალი. რედ. შარაშენიძე, კოკოჩაშვილი, გვ. 424; ფ. 17 მან. 50 კაპ.

ა. თვალჭრელიძე — მაგმური ქანების პეტროგრაფია. რედ. გ. ძოწენიძე. გვ. 485. ფ. 17 მან.

კ. მეგრელიძე — საქონელმცოდნეობა. რედ. გიოშვილი, გვ. 341, ფ. 10 მ.

ს. ყაუხჩიშვილი — ბერძნული ლიტერატურის ისტორია. რედ. პ. ბერაძე. გვ. ფ. 25 მან.

ლ. ასათიანი — საანგარიშო ტექნიკა. რედ. გ. გამყრელიძე გვ. 176. ფასი 7 მან.

ა. ხარაძე, ჭელიძე, ქარცივაძე, ხვედელიძე — მათემატიკური ანალიზის კურსი. რედ. ა. ხარაძე. გვ. 400, ფ. 17 მ.

ფასი 8 მ. 4/21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ